

075-0
1993

ISSN-0132-6038

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
გეოგრაფიის ინსტიტუტი

მანძი

② №1 1993

ისტორიის
ეთნოგრაფიისა და
ხელოვნების
ისტორიის
სერია

1

1993

ისტორიის,
ეთნოგრაფიისა და
ხელოვნების ისტორიის
სერია

СЕРИЯ
ИСТОРИИ,
ЭТНОГРАФИИ И
ИСТОРИИ ИСКУССТВА

675
1993
w1

2



1. 1993

ქურნალი დაარსებულია 1971 წელს
Журнал основан в 1971 году



გამოდის 3 თვეში ერთხელ
Выходит раз в 3 месяца

სარედაქციო კოლეგია: ა. აფაქიძე, ვ. ბერიძე, გ. გიორგაძე, ვ. ითონიშვილი, ი. კაჭარავა, მ. ლორთქიფანიძე, გ. მელიქიშვილი, რ. მეტრეველი (რედაქტორი), დ. მუსხელიშვილი, თ. უორდანიას, ე. ხოშტარია-ბროსე (რედაქტორის მოადგილე), თ. ციტიშვილი, ლ. ჭილაშვილი, ნ. ჯანბერიძე.

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: А. М. Алакидзе, В. В. Беридзе, Г. Г. Гиоргадзе, О. К. Жордания, В. Д. Итонишвили, Ю. М. Качарава, М. Д. Лордкипанидзе, Г. А. Меликишвили, Р. В. Метрели (редактор), Д. Л. Мухелишвили, Э. В. Хоштария-Броссе (заместитель редактора), О. В. Цкитишвили, Л. А. Чилашвили, Н. Ш. Джанберидзе.

პასუხისმგებელი მდივანი გ. ლორთქიფანიძე
Ответственный секретарь Г. Г. Лордкипанидзе

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, დ. გამრეკელის ქ. № 19
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Д. Гамрекели, 19
ტელეფონი 37-85-50 Телефон

გადაეცა წარმოებას 18.1.94; ხელმოწერილია დასაბეჭდად 12.9.94; ანაწყოების ზომა 7×12; ქაღალდის ზომა 70×108¹/₁₆; ნაბეჭდი თაბახი 16.1; საარტიკვო-საგამომცემლო თაბახი 12,9; შეკვეთა № 31; ტირაჟი 600

ფასი სახელშეკრულებო

საწარმო-საგამომცემლო გაერთიანება „მეცნიერება“,
თბილისი, 380060, კუტუხოვის ქ. 19

შინაარსი

წიგნი

შ. მაღალკონია, გერმანიის გაერთიანების საკითხი და ქართული საზოგადოებრივი აზრი გაზეთ „დროების“ ფურცლებზე	5
ბ. სონღულაშვილი, ავტონომიური ფორმირებების შექმნის სამართლიანობა საქართველოს ტერიტორიაზე	19
ბ. მახარაძე, ძველ ქართლში (იბერიაში) ორმეფობის ისტორიის საკითხისათვის	34
ბ. აფრასნიძე, ქალაქი და მისი „ქუყუყანა“ შუა საუკუნეების საქართველოში	50

ცნობები და შენიშვნები

მ. ილურჩიძე, იბრაჰიმ რაჰმიზადეს ცნობები საქართველოს შესახებ	59
რ. ვაუხაშვილი, კახეთის რკინიგზის ზეგავლენა კახეთის ეკონომიკაზე	66
ლ. მაძღვარაშვილი, ცის ღვთაებასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები დასავლეთ საქართველოში XIX ს-ის II ნახევრის პერიოდულ პრესაში („ივერია“, „დროება“)	77
დ. ლიფსანი, ვნების კვირისა და აღდგომის წეს-ჩვეულებები სამეგრელოში	84

კუბლიკაცია

მ. სილოგაძე, ბეთანიის წარწერები	91
---------------------------------	----

დისკუსია და განხილვა

დ. მიხრეაშვილი, ნატყუარია თუ არა 1594 წ. სიმონ I-ის მიერ გაცემული წყალობის წიგნი?	150
ს. სალუშვილი, პასუხი უსაფუძვლო კრიტიკის გამო	168

ქართული პერიოდიკის ისტორიიდან

ნ. გურგენიძე, ძველი ქართული პრესა როგორც საბიბლიოთეკო საქმის ისტორიის კვლევის წყარო	181
---	-----

საისტორიო მაცნეობების გამოჩენილი მოღვაწენი

წ. რუხაძე, ქართული სიტყვისა და კულტურის დიდი მოაზარებელი	179
ალ. ბანდინიშვილი, მ. ხოშტარია-ბროსა, გრიგოლ მარგიათი (ნეკროლოგი)	189

СО ДЕРЖАНИЕ

СТАТЬИ

Ш. В. МАЛАЗОНИЯ, Вопрос объединения Германии и грузинская общественная мысль на страницах газеты «Дроэба»	5
А. В. СОНГУЛАШВИЛИ, Правовость создания автономных формирований на территории Грузии	19
Г. А. МАХАРАДЗЕ, К вопросу о двоецарствии древней Картли (Иберии)	34
Г. П. АПРАСИДЗЕ, Город и его «Кукана», (пригородная зона) в средневековой Грузии	50

СООБЩЕНИЯ И ЗАМЕТКИ

М. А. ИЛУРИДЗЕ, Сведения Ибрагима Рахими заде о Грузии	59
Р. ВАЖБЕДАШВИЛИ, Влияние кахетинской железной дороги на экономику Кахети	66
Л. Б. МАДЗГАРАШВИЛИ, Веравания, связанные с божеством неба в Западной Грузии и нашедшие отображение в периодической печати II пол. XIX в. («Ивериа», «Дроэба»)	77
Д. ЛЕПСАИА, Обычаи вербойной или страстной недели и Пасхи в Самегрело	84

ПУБЛИКАЦИЯ

В. И. СИЛОГАВА, Бетанийские надписи	91
---	----

ДИСКУССИИ И ОБСУЖДЕНИЯ


Д. Г. МЕГРЕЛАДЗЕ, Поддельная ли жалованная грамота данная Симоном I-ым в 1594 г.?	150
С. С. САЛУКВАДЗЕ, Ответ на бесновательную критику	168

ИЗ ИСТОРИИ ГРУЗИНСКОЙ ПЕРИОДИКИ

Н. ГУРГЕНИДЗЕ, Старая грузинская пресса как источник исследования истории библиотечного дела	181
--	-----

ВЫДАЮЩИЕСЯ ДЕЯТЕЛИ ИСТОРИЧЕСКОЙ НАУКИ

ДЖ. А. РУХАДЗЕ, Великий служитель грузинского слова и культуры	179
А. С. БЕНДИАНИШВИЛИ, Э. В. ХОШТАРИЯ-БРОССЕ, Г. Н. МАРГИАНИ (некролог)	189



სოფია პალატი

გერმანიის გაერთიანების საკითხი და ქართული საზოგადოებრივი
აზრი გაზეთ „დროების“ ფურცლებზე

თანამედროვე მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენაა დასავლეთ და აღმოსავლეთ გერმანიის გაერთიანება. მთელი მსოფლიო პროგრესული საზოგადოება დიდი სიხარულით შეხვდა ამ ფაქტს, ჩათვალა რა ის ისტორიული სამართლიანობის აღდგენად.


მაგრამ ჩვენ შევეხებით გერმანიის არა ახლანდელ, არამედ პირველ გაერთიანებას. კერძოდ, ჩვენი სტატიის მთავარი მიზანია განვიხილოთ და გავაანალიზოთ XIX ს-ის მეორე ნახევრის ერთ-ერთი ძირითადი ქართული პერიოდული ორგანოს გაზეთ „დროებას“ (1866—1885 წწ) დამოკიდებულება ამ პრობლემისადმი.

ახალი დროის მსოფლიო ისტორიის უმნიშვნელოვანესი მოვლენაა გერმანიის გაერთიანება, რომელსაც წინ უსწრებდა ევროპული მნიშვნელობის სამი ომი. ამ ომებმა უდიდესი გარდატეხა მოახდინეს ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაში და აქედან გამომდინარე უდიდესი გამოხმაურება პოვეს არა მარტო ევროპაში, არამედ მთელ მსოფლიოში. გერმანიის გაერთიანების შემდეგ შეიქმნა იუნკრულ-ბურჟუაზიული გერმანული იმპერია, რომელმაც თავისი აგრესიული, რეაქციული პოლიტიკის წყალობით მეტად გამაწვავა ევროპული ურთიერთობანი და გახდა პირველი მსოფლიო ომის გამჩაღებელი.

უნდა აღინიშნოს, რომ გაზეთი „დროება“ თავისი არსებობის პირველსავე დღიდანვე დიდ დაინტერესებას იჩენდა საზღვარგარეთის ქვეყნების ისტორიისადმი. ამიტომ ბუნებრივია, რომ გაზეთის ყურადღების ცენტრში მოექცა ახალი დროის მსოფლიო ისტორიის ისეთი საკვანძო საკითხი, როგორც იყო გერმანიის გაერთიანება, ამ მოვლენის შესახებ იმდენი დაიწერა „დროების“ ფურცლებზე, რომ გაზეთს ერთგვარი „ბოდიშის“ მოხდაც კი მოუხდა მკითხველთა წინაშე: „მკითხველი იქნებ გვისაყვედურებს კიდეც, — წერდა გაზეთი „დროება“, რომ ჩვენს მიმოხილვაში ხშირად გერმანიაზედაც ვლაპარაკობთ. ეს გარემოების ბრალია და არა ჩვენი. გერმანია ეხლა საპოლიტიკო ცენტრია მთელი ევროპისა და რა გასაკვირია, რომ იგი არ მოიქცევს უმთავრეს ყურადღებას“¹.

პოლიტიკური მიმომხილველებიდან. რომლებმაც ფართოდ გააშუქეს „დროების“ ფურცლებზე გერმანიის ისტორიის საკვანძო საკითხები, განსაკუთრებით აღსანიშნავია ნიკო ნიკოლაძე, სერგეი მესხი, დიმიტრი დადიანი, დიმიტრი მი-

¹ „დროება“, 1884, № 276, გვ. 1.



ქელაძე, გიორგი ქოჩაიძე და სხვები. მათ შეხედულებებს გერმანიის გაერთიანების საქმეში დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა.

გაზეთი „დროება“ ფართოდ გამოეხმაურა გერმანიის გაერთიანებისათვის ბრძოლის ერთ-ერთ ეტაპს — ავსტრია — პრუსიის 1866 წლის ომს. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ნიკო ნიკოლაძის წერილები „გერმანიის მდგომარეობა“ (ისტორიული მიმოხილვა)² და „პრუსიის გაძლიერება გერმანიაში“ (ისტორიული მიმოხილვა)³.

ავსტრია-პრუსიის 1866 წლის ომმა, იარაღით და სისხლით გადაწყვიტა ორი მეტოქის — პრუსიისა და ავსტრიის ჭიდილი გერმანიისათვის. „მისი შედეგი, — როგორც ნ. ნიკოლაძე წერდა, — იყო ავსტრიის გამორიცხვა გერმანიიდან და ჩრდილოეთ გერმანიის შეერთება პრუსიის უფროსობის ქვეშ“⁴.

იყო შემთხვევები, როცა გაზეთი „დროება“ სცილდებოდა ქრონოლოგიურ ჩარჩოებს — აკეთებდა მოკლე ისტორიულ ექსკურსებს, რათა ქართველი მკითხველები წინა მოვლენათა არსში გაერკვია და ამით სრულყოფილი წარმოდგენა შეექმნა მის თანადროულ ისტორიულ მოვლენებზე.

XIX ს-ის დასაწყისში გერმანია, სადაც ჯერ კიდევ ფეოდალური წყობილება იყო გაბატონებული. ეკონომიკურად და პოლიტიკურად ჩამორჩენილი ქვეყანა იყო. ამ დროისათვის გერმანია მრავალ წვრილ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ იყო დანაწილებული. ნ. ნიკოლაძე აღნიშნავს გერმანიის უკიდურეს დაქუცმაცებულობის ფაქტს. „მთელი შუაგული ევროპა, რომელიც გერმანიის ქვეყანას შეადგენს, პაწაწინა სამთავროებად ჰქონდათ დარიგებული სხვადასხვა მთავრებს... უკანონო, უწესოთ, ისე, როგორც ქეიფში მოუვიდოდათ მართავდნენ ქვეშევრდომ ხალხს“⁵.

ასეთ მდგომარეობაში იყო გერმანია საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის წინ. ამ რევოლუციას ძალზე მტრულად გამოეხმაურნენ გერმანელი მეფე-მთავრები. მათ აქტიური მონაწილეობა მიიღეს ევროპის კონტრ-რევოლუციური კოალიციის შექმნაში, რომელიც მიმართული იყო რევოლუციური საფრანგეთის წინააღმდეგ.

ნაპოლეონის მიერ წარმოებული ომების ორგვარ ხასიათზე — მტაცებლურ-დაპყრობით, იმპერიალისტურზე და ბურჟუაზიულ-პროგრესულზე სწორი წარმოდგენა აქვს ნ. ნიკოლაძეს და ამას იგი სწორედ პრუსიისა და გერმანიის მაგალითით ცხადყოფს.

აღნიშნავს რა იმ პროგრესულ სიახლეებს, რაც ნაპოლეონმა შეიტანა გერმანიაში მისი დაპყრობის შემდეგ ნ. ნიკოლაძე წერს: „უწინდელი უწყესობის და უსამართლობის მაგივრად, საფრანგეთის ახალი კანონები თავისი სიმართლით და განწყობით, ხალხს სუნთქვას აბრუნებინებდნენ და ცოტა არ იყოს კაცურ ცხოვრებას აჩვენებდნენ“⁶.

ნაპოლეონის ბატონობის დამხობის შემდეგ ვენის კონგრესზე მონაწილე სახელმწიფოების მიერ, როგორც ნ. ნიკოლაძე წერს: „გერმანიის დაქუცმა-

² „დროება“, 1870, № 25 გვ. 3.

³ იქვე, № 27, გვ. 4, № 29, გვ. 3—4, № 31, გვ. 3—4.

⁴ იქვე, № 31, გვ. 4.

⁵ იქვე, № 25, გვ. 3.

⁶ იქვე, № 25, გვ. 3.



ცებლობა და მთავართა დესპოტიზმი ხელუხლებლად იქნა დატყვევებული. 1815 წელს შეიქმნა გერმანიის კავშირი, აი, როგორ ახასიათებს ამ კავშირს გაზეთი „დროება“: „გერმანიის კავშირი შემდგარია გერმანიის სამფლობელოებისაგან და ფედერაციად ანუ კავშირად არის დაწესებული... მთელი გერმანიის კავშირი არის განაწილებული 36 სამფლობელოში. ეს სამფლობელოები არიან ერთი იმპერია, ავსტრია, 5 საკაროლოლო-პრუსსია, ბავარია, საქსონია, დანოვერი და ვირტემბერგი, 7 დიდი სალერცოგო, 8 სალერცოგო, 4 სამთავრო და 1 სალანდგრაფო: გარდა ამისა 4 თავისუფალი ქალაქი—ლამბურგი, ბრემენი, ლუბეკი და ფრანკფურტი მაინის მდინარეზედ. ეს კავშირი დააწესა ვენის ტრაქტატმა 1815 წელში. კავშირის სეიმის შესაყრელად არის დანიშნული ქალაქი ფრანკფურტი მაინზედ, პრეზიდენტობა აქ ეკუთვნის ავსტრიის წარმომადგენელს“⁷.

1848 წლის ბურჟუაზიული რევოლუციის დამარცხების შემდეგ ბრძოლა გერმანიის გაერთიანებისათვის ახალ ფაზაში შევიდა, დაიწყო ბრძოლა ორ მიმდინარეობას, ორ გზას შორის გერმანიის გაერთიანების საკითხში—ქვევიდან, დემოკრატიულ საწყისებზე გაერთიანების მომხრეებსა და ზევიდან, რეაქციული გზით, პრუსიის ხელმძღვანელობით.

1862 წლის სექტემბერში პრუსიის მეფემ ვილჰელმ I-მა პრუსიის კანცლერად დანიშნა ოტო ფონ ბისმარკი (1815—1898 წწ). იგი დაჯილდოებულ იყო დიდი დიპლომატიური ნიჭით. მისი მიზანი იყო გერმანიის გაერთიანება ზემოდან პრუსიის მეთაურობით: საერთოდ, ბისმარკის პოლიტიკური მრწამსი კარგად ჩანს იმ სიტყვებიდან, რომელიც მან ინგლისის პრემიერ-მინისტრს დიზრაელს უთხრა ლონდონში 1862 წელს: „მალე მე იძულებული ვიქნები ჩემს თავზე ავიღო პრუსიის პოლიტიკის ხელმძღვანელობა, ჩემი პირველი ამოცანა იქნება მოვახდინო პრუსიის არმიის რეორგანიზაცია, შემდეგ კი ვისარგებლო პირველივე მოხერხებული საბაბით იმისათვის, რომ ომი გამოვუცხადო ავსტრიას, მოვსპო გერმანიის კავშირი და შევქმნა ერთიანი გერმანია პრუსიის მეთაურობით“⁸.

1863 წელს ბისმარკს დაუდგა მეტად ხელსაყრელი მომენტი, რომ დაეწყო თავისი ფართო დიპლომატიური ოპერაცია.

1864 წელს მოიპოვა რა დიდი სახელმწიფოები ნეიტრალიტეტი, პრუსია ავსტრიასთან ერთად გამოვიდა დანიის წინააღმდეგ. შლეზვიგ-ჰოლშტეინის ოლქების შემოერთებისათვის.

პრუსიისა და ავსტრიის არმიის რიცხობრივმა და თვისობრივმა უპირატესობამ განსაზღვრა მათი გამარჯვება დანიასთან ომში, რასაც შედეგად მოჰყვა 1864 წლის 30 ოქტომბრის საზავო ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულებით დანიამ პრუსიისა და ავსტრიას გადასცა შლეზვიგის, ჰოლშტეინის და ლაუენბერგის საპერცოგოები. ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე ბისმარკმა კარგად იცოდა, რომ ავსტრია და პრუსია მშვიდობიანი გზით ვერ გაყოფდნენ მონაპოვარს. ბისმარკს ეს არც სურდა, ის ავსტრიასთან ომის საბაბს ეძებდა. მართლაც, ნადავლის გაყოფისათვის ავსტრიასა და პრუსიას შორის დაუმთავრებელი დავა

⁷ „დროება“, 1870, № 25, გვ. 3.

⁸ იქვე, 1866, № 12, გვ. 3.

⁹ Бисмарк О., Мысли и воспоминания, М., 1940, т. I, გვ. 12.



გაჩაღდა, საქმე იქამდეც მივიდა, რომ ორივე მხარემ დაიწყო მსჯელობა სათვის.

ბისმარკს სურდა დაერწმუნებინა მსოფლიო, რომ ავსტრიასთან მომავალი ომის მიზეზი იყო შლეზვიგ-პოლშტეინის საკითხი. ამაზე გაზეთ „დროებას“ ასეთი შეხედულება ჰქონდა: „1864 წელს ავსტრიამ და პრუსიამ დანიას ჩამოართვეს საღერცოგოები, რომელნიც ელბის მდინარეზედ მდებარეობენ ლოლშტეინ, შლეზვიგი და ლაუენბერგი. ახლა ლოლშტეინი უჭირავს ავსტრიას, შლეზვინგი და ლაუენბერგი — პრუსიას. პრუსიას სურს ლოლშტეინიც თვითონ ჩაიგდოს ხელში და ეს არის მიზეზი ახლანდელის განხეთქილების ავსტრიასა და პრუსიას შორის“¹⁰.

როგორც ვხედავთ, პირველ ხანებში გაზეთი „დროება“ ვერ გაერკვა ბისმარკის დიპლომატიურ ხრიკებში, რის გამოც ვერ ახსნა ავსტრია-პრუსიის ომის ნამდვილი გამომწვევი მიზეზები.

უფრო მოგვიანებით ნ. ნიკოლაძემ გამოასწორა გაზეთ „დროების“ მიერ დაშვებული ეს შეცდომა. მან მოკლე, მაგრამ ამომწურავი ანალოზი გაუკეთა ავსტრია-პრუსიის ომის გამომწვევ მიზეზებსა და ომის შედეგებს, რასაც ქვემოთ შევეხებით.

1866 წლის 16 ივნისს პრუსიამ დაიწყო ომი.

გაზეთ „დროებაში“ დაბეჭდილია კალენდარი, რომელიც გვიჩვენებს, თუ რა სწრაფად მოხდა პრუსიის მიერ ავსტრიის დამარცხება¹¹.

გადამწვევტი ბრძოლა სწორედ საღოვისთან მოხდა. პრუსიის არმიამ მოლტკეს მეთაურობით სასტიკად დაამარცხა ავსტრიის არმია, რომელსაც ბენედეკო მეთაურობდა.

გაზეთმა „დროებამ“ მთელი ორი გვერდი დაუთმო ამ ბრძოლის აღწერას, აქედან მხოლოდ ნაწყვეტს მოვიყვანთ: „... პრუსიის ჯარმა საღოვასთან დიდი ბრძოლა მოიგო, ჯარი იბრძოდა განუდრეკელის სიმამაცით და თითო საათობით იღვა ხოლმე პირდაპირ იქ, სადაც მომაკვდინებელი თოფ-ზარბაზანი სცემდა, ორივე მხრით... როგორც პრუსიელები ამტკიცებენ საზოგადო ზარალი ავსტრიელების მხრივ გამოდის 40 ათას კაცამდე და პრუსიის მხრივ 100 ათას კაცზედ მეტი. პრუსიელებს დარჩათ ხელში 174 ზარბაზანი და 18 ათასი კაცი ტყვედ წაიყვანეს“¹².

საღოვასთან დამარცხებისთანავე ავსტრიის იმპერატორმა ტელეგრაფით აცნობა საფრანგეთის იმპერატორ ნაპოლეონ III-ს, რომ ის ვენეციას მას გადასცემდა და სთხოვდა შუამავლობას მოწინააღმდეგე მხარეების შერიგების საქმეში.

გაზეთი „დროება“ ამის შესახებ წერდა: „ავსტრია უთმობს იმპერატორს ვენეციის მაზრას და სთხოვს, რომ იმის შემწეობით ბოლო მიეცეს ამ დამღუპავ ბრძოლას და სისხლის დანთხევას გერმანიაში“¹³.

ნაპოლეონ III-ემ იკისრა შუამავლობა ავსტრია-პრუსიის შესარიგებლად; მართლაც, მალე ავსტრიამ მიიღო პრუსიის მიერ წაყენებული პირობები და 1866 წლის 26 ივლისს ქ. ნიკოლსბურგში ხელი მოაწერეს დროებით დაზავ-

¹⁰ „დროება“, 1866, № 12, გვ. 3.

¹¹ იქვე, № 21, გვ. 3.

¹² იქვე, № 26, გვ. 1—3.

¹³ იქვე, № 21, გვ. 3.



ბას. „დროებასაც“ არ დაუყოვნებია და გამოაქვეყნა საზავო ხელშეკრულების ტექსტი გარკვეული შემოკლებით¹⁴.

საბოლოო ზავი პრუსიასა და ავსტრიას შორის ხელმოწერილი იქნა 1866 წლის 23 აგვისტოს პრაღაში. მან ერთგვარად დაამტკიცა ნიკოლსბურგის დროებითი ხელშეკრულება. გერმანიის კავშირი ლიკვიდირებული იქნა, ავსტრია გავიდა ამ კავშირიდან და დაუთმო პრუსიას პირველი ადგილი გერმანიის გაერთიანებაში. გერმანიის კავშირის ნაცვლად წარმოიშვა ჩრდილოეთ გერმანიის კავშირი 1867 წლის დასაწყისში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნ. ნიკოლაძემ მოკლე და ამომწურავი ანალიზი გაუკეთა ავსტრია-პრუსიის 1866 წლის ომს: „... აგერ ერთ საუკუნეზე მეტი იქნება, რაც გერმანიაში დავა ატყდა ავსტრიასა და პრუსიას შუა იმ საგანზე თუ რომელს უნდა ეჭიროს პირველი ადგილი, და რომლის ხელში იქმნება გერმანიის ბედი. ავსტრია, რა თქმა უნდა, ყოველსავე საშუალებას ხმარობდა, ოღონდ კი თვითონ დაეჩინა ხელში თავისი წინანდელი უპირატესობა და უწინდელი ხელქვეით ჰყოლოდა გერმანიის წვრილმანი მთავრები. პრუსია, თავის მხრით, უარეს შვრებოდა, ოღონდ კი ავსტრიის ხელიდან გერმანიის უფროსობა გამოეღლიტა, ასე მიდიოდა საქმე 1866 წლამდე, როცა ბისმარკმა ნაპოლეონს დაანახა, რომ პრუსიის გაძლიერება საფრანგეთისათვისაც სასარგებლო იქნებოდა. ამიტომ რომ გაძლიერების შემდგომ პრუსიას საფრანგეთისათვის რეინის მარცხენა ნაპირის მიცემა შეეძლებოდა. რადგანაც საფრანგეთს ეს ნაპირი განსაკუთრებით სჭირია, ნაპოლეონმაც თავის მხრით დაპირდა, რომ საფრანგეთი ავსტრიის დამარცხებას და გერმანიაში გაძლიერებას არ დაუშლის პრუსიასო. მაშინ პრუსია, რომელსაც აქამომდე მარტო საფრანგეთის შიში აკავებდა გამწვარებულათ შეეტევა ავსტრიას და რამდენიმე კვირას შემდგომ მათი ბრძოლა პრუსიის გამარჯვებით გათავდა. ამ ბრძოლას მისდევდა ავსტრიის გამორიცხვა გერმანიიდან და ჩრდილოეთი გერმანიის შეერთება პრუსიის უფროსობის ქვეშ“¹⁵.

ავსტრიის დამარცხების შემდეგ პრუსიამ ბისმარკის ხელმძღვანელობით განახორციელა მთელი რიგი აქტები, რათა გერმანია კიდევ უფრო დაექვემდებარებინა პრუსიის დინასტიისათვის.

ნ. ნიკოლაძე ამ აქტებში საეგზეთი სამარაჰლიანად ხედავს გერმანიის ეკონომიკური გაერთიანების პროცესის დასრულებას „დარჩა მხოლოდღა ნამდვილი პოლიტიკური შეერთება“¹⁶, რომელიც საფრანგეთ-პრუსიის ომის შედეგად განხორციელდა.

გაზეთმა „დროებამ“ ჯერ კიდევ საფრანგეთ-პრუსიის ომის დაწყებამდე იწინასწარმეტყველა მათ შორის ომის გარდუვალობა. ნიკო ნიკოლაძე წერდა: „საფრანგეთი, საღოვის ბრძოლის შემდეგ, ცუდი თვალთ უტკერის პრუსიას. ბისმარკმა თავისი დანაპირები ვერ დასრულა და ნაპოლეონს რეინის მარცხენა ნაპირი ვერ მისცა. ამ საგანზე საფრანგეთი ძლიერ ნაკლული დარჩა და წლებადღელ ომს მეტი საფუძველი არა აქვს რა. ეს ომი მძიმე და საშინელი უნდა იყოს“¹⁷.

14 „დროება“, 1866, № 15, გვ. 2.

15 იქვე, 1870, № 21, გვ. 4.

16 იქვე, 1870, № 31, გვ. 4.

17 იქვე.

ჩრდილოეთ გერმანიის კავშირის შექმნით გერმანიის გაერთიანება არ დამთავრებულა. ბისმარკი ცდილობდა გამოეყენებინა შოენისტური ვნებათაღელვა (რომელმაც მოიწვია მთელი ქვეყანა სამხედრო გამარჯვების შემდეგ), მესამე ომის გაჩაღებისათვის — ამჯერად საფრანგეთის წინააღმდეგ, რათა დამთავრებინა გერმანიის გაერთიანება „ზემოდან“, პრუსიის მეთაურობით.

ავსტრიასთან გამარჯვების შემდეგ ნაპოლეონ III ელოდა, რომ პრუსია გადაცემდა მას ადრე დაპირებულ ტერიტორიებს, მაგრამ ბისმარკი არ ჩქარობდა. მან გააგრძელა დიპლომატიური ვაჭრობა ლუი ნაპოლეონთან, რომ დრო მოეგო, რათა პრუსიის არმია უკეთ მომზადებულიყო მომავალი ომისათვის¹⁸.

ბისმარკი თვლიდა, რომ საფრანგეთთან ომისათვის საჭირო იყო ისეთი საბაბის გამოჩნება, რომელიც გამოაშკარავებდა ლუი ნაპოლეონის მთავრობის აგრესიულ პოლიტიკას და ნეიტრალურ სახელმწიფოებს განაწყობდა პრუსიის სასარგებლოდ¹⁹.

ომის მზადებისათვის ბისმარკმა გამოიყენა შემდეგი საბაბი. 1868 წლის ზედაპირულმა რევოლუციამ ესპანეთში დაამხო დედოფალი იზაბელა. ახალმა მთვრობამ ესპანეთის ვაკანტური ტახტი, ბისმარკის ფარული ჩაგონებით და მისი ინტრიგების წყალობით, შესთავაზა პრუსიის მეფის ვილჰელმ I-ის ნათესავს, პოპენცოლერნთა დინასტიის გვერდით განშტოების წარმომადგენელს პრინც — ლეპოლდ პოპენცოლერნ-ზიგმარინგენს. ამ ცნობის გამოქვეყნებამ დიდი აღშფოთება გამოიწვია საფრანგეთში. ნაპოლეონ III-ემ მოითხოვა, რომ პრინცს უარი ეთქვა შეთავაზებულ ტახტზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ომი საფრანგეთსა და გერმანიას შორის გარდუვალი გახდებოდა²⁰.

ამრიგად, წარმოიშვა დიპლომატიური კონფლიქტი, რომელიც საფრანგეთის მთავრობის ავანტურისტული, ტლანქი და მოუქნელი პოლიტიკისა და ბისმარკის ფრთხილი, მოხერხებული და ცბიერი პოლიტიკის გამო საფრანგეთ-პრუსიის ომში გადაიზარდა.

გაზეთი „დროება“ ფართოდ გამოეხმაურა ესპანეთის ტახტისათვის ატეხილ დავას და ამასთან დაკავშირებით პრუსიის მეფეს ვილჰელმ I-სა და საფრანგეთის ელჩ ბენედეტს შორის ემსში გამართულ მოლაპარაკებას.

„დროებამ“ ასეთი აზრი გამოთქვა ვილჰელმსა და ბენედეტს შორის გამართული მეორე მოლაპარაკების შესახებ: „... საფრანგეთმა მოსთხოვა პრუსიის ხელმწიფეს პირობა მოგვეცი, რომ თავის დღეში არ მისცემ ლოლენცოლერნს ესპანეთის ტახტზე ასვლის ნებასო. ეს მეტის მეტი შეურაცხყოფა იყო პრუსიისათვის. ამის გამო ხელმწიფემ აღარ მიიღო საფრანგეთის ელჩი, რასაკვირველია, რომ ეს ამბავი ომის გამოცხადებას ნიშნავდა, მაშინ საფრანგეთმა პრუსიას ომი გამოუცხადა და პრუსია თავის მხრით საომარ თადარიგს მოაძღვა“²¹.

¹⁸ Ерусалимский А. С., Бисмарк, Дипломатия и милитаризм .М., 1968, 33-70.

¹⁹ Ротштейн Ф. А., Из истории Пруско-германской империи. М.—Л., 1948, 33-137.

²⁰ იქვე.

²¹ „დროება“, 1870, № 28, გვ. 4.



უნდა აღინიშნოს, რომ მოვლენები მთლიანად ისე არ წარმართულა, როგორც ამას გაზეთი „დროება“ აღნიშნავდა. აქ უკვე საქმეში ერევა ბისმარკი. იგი მეტად აღაშფოთა ემსში გამართული მოლაპარაკების შედეგებმა. მან ახალი რედაქცია გაუყეთა ცნობილ „ემსის დეპეშას“ და შეცვლილი დეპეშის ტექსტი ვადასცა პრესაში გამოსაქვეყნებლად. იგი წინასწარ იყო დარწმუნებული, რომ ეს დეპეშა საფრანგეთის მმართველებს წონასწორობიდან გამოიყვანდა. „... ისე უნდა მოვაწყოთ საქმე, — ამბობდა ბისმარკი, — რომ ჩვენ ვიყოთ თავდასხმის მსხვერპლი. ვალელთა ქედმაღლობა და ფხუციანობა დაგვეხმარება ამაში“²² და მართლაც, ბისმარკი არ შემეცდარა თავის ვარაუდში.

პარიზში უდიდესი აღშფოთება გამოიწვია „ემსის დეპეშის“ გამოქვეყნებამ. საფრანგეთის პრესტიჟი უაღრესად შეურაცხყოფილია, ჩვენი ერთდერთი პასუხი ამ შეურაცხყოფაზე შეიძლება მხოლოდ ომი იყოს“. ასეთი იყო საფრანგეთის სამეფო კარის და ოფიციალური პრუსიის გამომხატურება ბისმარკის პროვოკაციულ ნაბიჯზე²³.

ბისმარკი თავის მემუარებში ცინიკურად წერდა: „... ყველაფერი გამოვიდა ისე, როგორც საჭირო იყო“²⁴.

ბისმარკის ზემოთ მოყვანილი ინტრიგების შესახებ ქართველმა საზოგადოებრიობამ არაფერი არ იცოდა და არც შეიძლებოდა ცოდნოდა (ბისმარკმა ხომ თავისი მემუარები რამდენიმე წლის შემდეგ გამოაქვეყნა) მაგრამ, მიუხედავად ამისა, „დროება“ სწორი ორიენტაცია მისცა მკითხველ საზოგადოებას იმ საბაბის შესახებ, რომელმაც აუცილებელი გახდა ომი — საფრანგეთსა და პრუსიას შორის. მას მხედველობიდან არ გამორჩენია ესპანეთის თავისუფალ ტახტზე ბისმარკის ფარული ინტრიგებით ჰოპენცოლერნთა ნათესავის პრინცი ლეოპოლდ ზიგმარინგუნის კანდიდატურის წამოყენება, რამაც ნაპოლეონ III სასტიკი პროტესტი გამოიწვია და ომის ძირითადი საბაბი გახდა“²⁵.

მოყოლებული პირველი ცნობიდან, ვიდრე ფრანკფურტის ზავის დადებამდე გაზეთი „დროება“ პერიოდულად ეხმაურებოდა საფრანგეთ-პრუსიის ომს. განსაკუთრებით დიდი წვლილი მიუძღვის ამ ომის გაშუქების საქმეში ნიკო ნიკოლაძეს, რომელმაც წერილების სერია მიუძღვნა საფრანგეთ-პრუსიის ომს: „ომის ამბები“²⁶, „პრუსიის გაძლიერება გერმანიაში“²⁷, „პრუსია და გერმანია“²⁸, „გერმანიის მდგომარეობა“²⁹, „ომის გავლენა ევროპაზე“³⁰, „საფრანგეთის ახალი მმართველობა“³¹, „ბრძოლის ველიდან“³², „იმპერატორ

²² „დროება“, გვ. 261.

²³ ახალი ისტორია (მეორე პერიოდი), თბ., 1973, გვ. 16.

²⁴ Бисмарк Отто, Мысли и воспоминания Оттона фон-Бисмарка. СПб, 1899, გვ. 261.

²⁵ ვ. დონაძე, საფრანგეთის ახალი ისტორიის აქტუალური პრობლემები და ქართული პუბლიცისტიკა, გვ. 74.

²⁶ „დროება“, 1870, № 31, გვ. 1—2.

²⁷ იქვე, № 27, გვ. 4, № 29, გვ. 3—4; № 31; გვ. 3—4.

²⁸ იქვე, № 32, გვ. 4.

²⁹ იქვე, № 25, გვ. 3.

³⁰ იქვე, № 35, გვ. 3.

³¹ იქვე, გვ. 1—2.

³² იქვე, გვ. 1.

ნაპოლეონი დააწყვეევს³³, „პრუსიის პოლიტიკა“³⁴, „შარშან-წინა“³⁵, „ტიერი“³⁶, „ბაზენის საქმე“³⁷, „ბაზენის პროცესი“ და სხვა.

ასევე ყურადსაღებია, ს. მესხის წერილები, „ბაზენის საქმის გათავება“³⁸, „მაკ-მაჰონი და საფრანგეთი“³⁹, „ქართველი ევროპაში“⁴⁰, დიმიტრი მიქელაძის წერილები „თანამედროვე სურათები“⁴¹, „თანამედროვე შენიშვნები და სურათები“⁴², დიმიტრი დადიანის სტატია „ნაპოლეონ III-ის დამარცხება ბისმარკის მიერ და მისი საგარეო პოლიტიკა“⁴³. და გიორგი ქოჩიაძის მიმოხილვა „მოკლე მიმოხილვა ფრანცუტებსა და პრუსიელებს შუა ომისა“⁴⁴.

მასალების ერთი ნაწილი, მეთაური წერილები, კორესპონდენციები, ნარკვევები სათაურით „ომის ამბები“ ხელმოუწერელია.

ომის დაწყების წინ „დროება“ თავის ფურცლებზე დაბეჭდა ორივე მეომარი მხარის — საფრანგეთისა და პრუსიის მეფეთა განცხადებანი ომის წარმოშობის მიზეზების შესახებ.

გაზეთი სწორ კომენტარს უკეთებს ამ განცხადებებს:

„... ვინ იცის ვინაა მართალი ამ საქმეში და ვინ მტყუანი, საქმე კი იმა-შია, რომ ორივე მეომარ მხარეს სურს საზოგადოების თვალში წინააღმდეგეა გააშავოს, და მთელი ევროპის მშვიდობიანობის დამრღვეველად გამოიყვანოს“⁴⁵, ე. ი. „დროებისათვის“ ნათელია იმ მეთოდთა უპატიოსნება. რომლითაც მოქმედებენ საფრანგეთისა და პრუსიის მმართველი წრეები ომის შემზადების დროს.

ომის დაწყების წინ გაზეთი „დროება“ მიმოიხილავს ევროპის დიდი სახელმწიფოების დამოკიდებულებას ამ ომისადმი.

ამ საკითხებს კომენტარს უკეთებს ნ. ნიკოლაძე. უნდა ითქვას, რომ ეს წინგადაგებული ნაბიჯია „დროების“ მიერ, რადგან ავსტრია-პრუსიის ომის დროს გაზეთი ასეთ საკითხს არ შეხებია.

ნ. ნიკოლაძემ შესანიშნავად გამოხატა ევროპის დიდი სახელმწიფოების საერთო დამოკიდებულება საფრანგეთ-პრუსიის ომისადმი. „...საზოგადოთ, მთელი ევროპა ომის დაბოლოებას უცდის, ან უფრო სწორედ რომ ვსთქვათ, მთელი ევროპა უცდის, თუ რომელი მხარე დარჩება გამარჯვებული ახლანდელ ომში. რასაკვირველია, რომ ევროპა იცდის არ გააძლიეროს ნამეტნათ და არც ნამეტნათ დააუძლიეროს არც ერთი მეომარი მხარე“⁴⁶.

ომი დაიწყო. საფრანგეთი მოუშზადებელი შიხვდა ამ ომს. ყალბი აღმოჩნდა საფრანგეთის სამხედრო მინისტრ ლეფევერის საკმაოდ ცნობილი განცხა-

33 „დროება“, 1870, № 34, გვ. 1.

34 იქვე, № 39, გვ. 1.

35 იქვე, № 39, გვ. 1.

36 იქვე, 1871, № 6, გვ. 3.

37 იქვე, 1873, № 44, გვ. 4, № 43, გვ. 3, № 44, გვ. 2—3.

38 იქვე, 1873, № 403, გვ. 1-2.

39 იქვე, 1877, № 55, გვ. 2-3.

40 იქვე, 1873, № 404, გვ. 4.

41 იქვე, № 33, გვ. 3-4.

42 იქვე, № 38, გვ. 3.

43 იქვე, 1875, № 48, გვ. 3—4.

44 იქვე, 1872, № 28, გვ. 3, № 129, გვ. 4.

45 იქვე, 1870, გვ. 1, № 32.

46 იქვე, 1870, № 35, გვ. 3.

დება: „ჩვენ მზადა ვართ, ჩვენს არმიაში ყველაფერი წესრიგშია და უკანასკნელი ღირსების ფარაჯაზე უკანასკნელი ღილის ჩათვლით“⁴⁷.

გერმანიაში ბისმარკის მოხერხებული პოლიტიკის წყალობით ომმა მაშინათვე მიიღო სახალხო ხასიათი. ბისმარკის მთავრობა დაბეჯითებით ნერგავდა ხალხში შეგნებას, რომ ეს ომი თავდაცვითია, რომ ნაპოლეონი თავს დაესხა გერმანიას და მან აუცილებლად უნდა გასცეს პასუხი. ამასთან ამტკიცებდა, რომ ეს ომი მიმართულია არა ფრანგი ხალხის, არამედ ნაპოლეონის წინააღმდეგ⁴⁸.

საერთოდ, ამ პერიოდში გერმანელ ხალხს ერთი დიდი სურვილი ასულდგმულვებდა, რაც შეიძლება მალე დამთავრებულიყო გერმანიის გაერთიანება.

ამასთან, ხალხის ფართო მასებში შეიმჩნეოდა მისწრაფება არა მარტო გაერთიანების დასრულებისათვის, ასევე სწრაფვა დაპყრობისაკენ, გამძვინვარება ფრანგების მიმართ, გერმანული სახელმწიფოს საზოგადოებრივი შეხედულებანი საფრანგეთ-პრუსიის 1870—1871 წწ. ომზე წარმოადგენს ნათელ მაგალითს, თუ შეიძლება ასე ითქვას „მასობრივი ჰიპნოზის“ და შოვინისტური შეზღუდულობის, ყველაფერი ეს განმეორდა მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ფაშისტურ გერმანიაში⁴⁹.

საფრანგეთ-პრუსიის ომი ახალი დაწყებული იყო, როდესაც ნ. ნიკოლაძემ ივარაუდა ამ ომში საფრანგეთის დამარცხება, იგი წერდა „... გერმანიის ხალხს სასტიკი სურვილი აქვს თავისი ერთობა დაარსოს და თავისი თავი სხვა ქვეყნის ხალხს არ ჩაუგდოს ხელში. ეს გრძნობა მეტისმეტად აძლიერებს ამ ხალხს, რომელსაც ის გულში უდგია.“

საფრანგეთს, კი 1848 წლის შემდგომ, ძალიან ცუდი სურვილი და გრძნობა აღელვებს. იმას სხვისი გაძლიერება ეხერხება და სურს თვითონაც რაიმე შეიძინოს, რომ მასზე ძლიერი მაინც არავინ დარჩეს, ამგვარი გრძნობა ძალიან აუძლიერებს კაცს, ამიტომ რომ კლავს მასში აღტაცებას და თავის განწირვას, რომელიც აუცილებლად საჭიროა ომისა და ბრძოლის დროს.

საფრანგეთის ჯარში ეხლა ძლიერ ძვირად იბოვება ნიჭიერი უფროსება. გერმანიაში კი უფროსობა მეტისმეტად ნიჭიერ და გამოცდილ კაცებს ეკუთვნის⁵⁰. ყოველივე ამის შემდეგ ნ. ნიკოლაძე გამოთქვამს აზრს, რომ ამ ომში პრუსიელები გაიმარჯვებენო. საომარ ოპერაციების შემდგომმა მსვლელობამ სავსებით დაადასტურა ნ. ნიკოლაძის ეს ვარაუდი.

პირველი სერიოზული დამარცხების შემდეგ საფრანგეთის არმიის მდგომარეობა არ გამოსწორებულა.

1870 წლის 1 სექტემბერს სედათან გაიმართა სასტიკი ბრძოლა. ფრანგებმა სამარცხვინო მარცხი განიცადეს, დღის 3 საათზე საფრანგეთის არმიამ შეწყვიტა წინააღმდეგობა⁵¹. 2 სექტემბერს სედანის ჯერ კიდევ ბრძოლის უნარიანი არმია (82—88 ათასი კაცის რაოდენობით) იმპერატორთან ერთად დანებდა

⁴⁷ ახალი ისტორია (მეორე პერიოდი) ნ. I, თბ., 1973, გვ. 16.

⁴⁸ Пименова Е. К., Железный канцлер Бисмарк—творец Германской империи, М., 1914, გვ. 45.

⁴⁹ Оболенская С. В., Франко-Прусская война и общественное мнение Германии и России.—М., 1977, გვ. 310—311.

⁵⁰ „დროება“, 1870, № 31, გვ. 4.

⁵¹ ახალი ისტორია (მეორე პერიოდი) ნაწ. I, გვ. 20.



ქართული
ენების
სწავლის
სამეცნიერო
ცენტრი

მტერს. ეს იყო საფრანგეთის არმიის გაუგონარი მარცხი, რომელიც დაამტკიცა ნაპოლეონის ლიანდ შერაქვეს „სედანის კატასტროფა“⁵². სედანის კატასტროფით დამთავრდა საფრანგეთ-პრუსიის ომის პირველი პერიოდი. გერმანელების ასეთ გამარჯვებას საფრანგეთის არმიაზე, რაღაც 4 კვირის მანძილზე, 4 აგვისტოდან 1 სექტემბრამდე ყველასათვის მოულოდნელი იყო⁵³.

ტყვედ ჩავარდნილი, ომის შედეგებით გაოგნებული ნაპოლეონ III-ე წერდა თავის მეუღლეს: „... როგორი ომია, ისტორიას არ ახსოვს მსგავსი რამ. ცეზარს ბარბაროსულ დროში გალის დასპყრობად 7 წელი დასჭირდა. ჩვენ კი რაღაც სამ თვეში გავკვანადგურეს“⁵⁴.

სედანთან საფრანგეთის არმიის დამარცხების მიუხედავად ომი კვლავ გაგრძელდა მთელ ხუთ თვეს. ეს იყო ფრანგი ხალხის უდიდესი პატრიოტიზმის ნაყოფი. ფრანგებმა ხანმოკლე დროის მანძილზე, თავისი ინიციატივით შექმნეს რამდენიმე არმია.

გაზეთ „დროების“ ფურცლებზე ნ. ნიკოლაძე გამოეხმაურა „სედანის კატასტროფას“. „საფრანგეთის იმპერატორი, ნაპოლეონ III დაუტყვევებია გერმანიის ჯარს ჟ. სედანთან და ფრანკლენის ჯარის სარდალს მაკ-მაჰონს, გაცხარებული ბრძოლის შემდეგ, თოფ-იარაღი დაუყრია“⁵⁵. გერმანელებმა დაატყვევეს საფრანგეთის იმპერატორი, რომელმაც ბრძოლის ველზე სიკვდილიც ვერ მოახერხა, რომ ამ სიკვდილით ცოტაოდენი მაინც გამოეხსიდა ის ვნება, რომელიც მან საფრანგეთს მიაყენა⁵⁶.

გამართლდა ნ. ნიკოლაძის ვარაუდი, რომ „სედანის კატასტროფას“ მოჰყვებოდა ნაპოლეონის ტახტის დამხობა და რესპუბლიკის გამოცხადება: „რასაკვირველია, საფრანგეთში ახლავე „დროებითი მმართველობა“ დაწესდება და შემდეგ იმაზე იქნება დამოკიდებული საფრანგეთში მმართველობის ფორმის დაარსება და ამ ომის გაგრძელება, ან მოსპობა“⁵⁷.

მართლაც, 1870 წლის 4 სექტემბერს უსისხლო რევოლუციამ დაამხო მეორე იმპერია და დაამყარა რესპუბლიკა.

ნ. ნიკოლაძე მართალი აღმოჩნდა იმაშიც, როცა იწინასწარმეტყველა, რომ: „... ომიანობა კი, ვგონებ, ასე ადვილად არ გათავდება“⁵⁸.

პრუსია კვლავ აგრძელებდა ომს, რომლისთვისაც ის ახლა დაპყრობით ომად გადაიქცა. გაზეთი „დროება“ წერდა: „ჩაფიქრდით პრუსიის პოლიტიკაში. გაიმართა თუ არა ომი, პრუსიის კაროლმა, გამოაცხადა, რომ მე საფრანგეთის მართველობას ვეომები და არა ხალხსო... მაგრამ ნემცები ეხლა სხვას მოსძახიან. ბისმარკი პირდაპირ აცხადებს, რომ სანამ საფრანგეთს ორ საუკეთესო პროვინციას ელზასა და ლოტარინგს არ წავართმევთ, სანამ იმის ნახევარ

⁵² ახალი ისტორია (მეორე პერიოდი), ნაწ. I, გვ. 20.

⁵³ М и х и е в и ч Н. П., Война между Германией и Францией 1870—71 г.г. От начала войны до Седана включительно. СПб., 1879, г-1, гв. 609.

⁵⁴ Б у ш, Д. М о р и ц, Граф Бисмарк и его люди за время войны сь Францией по листкам дневника. СПб, 1879, ч—1, гв. 316.

⁵⁵ „დროება“, 1870, № 34, გვ. 1.

⁵⁶ იქვე, № 35, გვ. 1.

⁵⁷ იქვე, № 34, გვ. 1.

⁵⁸ იქვე.

ფლოტს არ დაეიმტკიცებთ, და სანამ დიდ კონტრიბუციას არ გადაუხადებთ, მანამ ჩვენი მორიგება არ იქნებაო“⁵⁹.

გაზეთი „დროება“ გულისტკივილით მოუთხრობს მკითხველს საფრანგეთ-პრუსიის დასკვნითი ეტაპის შესახებ, როცა საფრანგეთის გამცემლურმა მთავრობამ ჯერ დედაქალაქი ჩააბარა მტერს, შემდეგ კი ქულ-ფავრი გაგზავნა ბისმარკთან კაპიტულაციის პირობებზე მოსალაპარაკებლად.

აი, რას წერდა გაზეთი „დროება“ ამის შესახებ: „... პარიეი დამორჩილება გერმანულ ჯარს, ... არც სედანში ნახევარ ჯარის და იმპერატორის დატყვევება, არც მეცის აღება, არც ასი და ათასი დამარცხება არ ყოფილა საფრანგეთისთვის ისეთი დამცირება, როგორც ეს ახალი განსაცდელი... პარიეობა საფრანგეთის ვერც ერთი ქალაქი ვერ იზამს“⁶⁰. „დროება“ თავის პუბლიკაციას ასე ამთავრებს: „ხალხის მოძრობა რომ დაემშვიდებინათ ქულ-ფავრი ბისმარკს მოუტირგდაო“⁶¹.

ბისმარკთან დაჩქარებით დაწყებული მოლაპარაკება 25 თებერვალს დამთავრდა ვერსალში პრელიმინარულ ზავზე ხელმოწერით. პირველ მარტს იგი დამტკიცა ეროვნულმა კრებამ (საბოლოო ზავი ხელმოწერილი იქნა 1871 წლის 10 მაისს მაინის ფრანკფურტში).

გაზეთმა „დროებამ“ გამოაქვეყნა საზავო მოლაპარაკების პირობები:

1. საფრანგეთი სამუდამოდ დაუთმობს გერმანიას ლოტარინგიის მეხუთედ ნაწილს, მეციტა და ტიონვალითა და ელზას, ბელფორს გარდა; 2. საფრანგეთი გადაუხდის გერმანიას ხუთ მილიარდ ფრანკს, რომლიდგანაც ერთ მილიარდს მისცემს 1871 წელს და დანარჩენს შემდეგი სამი წლის განმავლობაში; 3. პარიეიდან და საფრანგეთის დასავლეთის პროვინციებიდან ნემცები გავლენ იმწამსვე, როგორც ეს პირობა დამტკიცდება, დანარჩენ დეპატამენტებიდან ნემცების ჯარები, ვალის გადახდისთანავე წავლენ; 4. მორიგების პირობების დამტკიცების შემდეგ, ნემცები არაფერს არ გადაახდევინებენ საფრანგეთის პროვინციებს, მხოლოდ ისინი სანამ არ წავლენ საფრანგეთის ხარჯზე უნდა იყვნენ“⁶².

უნდა აღინიშნოს, რომ „დროების“ მიერ გამოქვეყნებული საზავო მოლაპარაკების პირობები ზუსტად ასახავს ისტორიულ სინამდვილეს.

1871 წლის 10 მაისს ფრანკფურტში ხელი მოაწერეს სამშვიდობო ზავს პრუსიასა და საფრანგეთს შორის. ის ამტკიცებდა ვერსალის პრელიმინალურ ზავს ზოგიერთი შესწორებით. პრუსიის დახმარება კომუნარების წინააღმდეგ ტიერმა იყიდა საზავო ხელშეკრულების გაუარესებით საფრანგეთისათვის, ეს გამოიხატა კონტრიბუციის გადახდის ვადების შემცირებით და აგრეთვე გერმანიის არმიის საფრანგეთში დარჩენის ვადის გადიდებით. ეს იყო „მძარცველური“ ზავი.

ამგვარად, საფრანგეთ-პრუსიის ომი საფრანგეთის სასტიკი დამარცხებით დამთავრდა. საფრანგეთის დამარცხებისა და მრავალი ფრანგი პატრიოტის სიცოცხლის საფასურად იშვა გერმანიის ერთიანობა. 1871 წლის 18 იანვარს პრუსიის მეფემ ვილჰელმ I-მა ვერსალის სასახლის დიდ სარკეებიან დარბაზში

59 „დროება“, 1870, № 39, გვ. 3.

60 იქვე, 1871, № 3, გვ. 1—2.

61 იქვე, გვ. 2.

62 იქვე, 1871 № 9, გვ. 1.



ქართული ენციკლოპედია

საზეიმო ვითარებაში თავზე დაიდგა გერმანიის იმპერატორის გერმანიის იმპერატორის სიული გერმანული იმპერია იშვა „რკინისა და სისხლის“ გზით.

საფრანგეთ-პრუსიის ომის დამთავრების შემდეგ უმნიშვნელოვანესი ცვლილებები მოხდა ევროპის პოლიტიკურ რუკაზე, დამთავრდა გერმანიის გაერთიანება. ეს აქტი, თავის მხრივ, რა თქმა უნდა, პროგრესული, მოხდა ზემოდან პრუსიის მონარქიის ეგიდით. შეიქმნა ახალი უდიდესი სახელმწიფო, რომელსაც სათავეში ედგნენ აგრესიული მილიტარისტული ძალები. სამ ომში — დანიასთან, ავსტრიასთან და საფრანგეთთან, ამ სახელმწიფომ გამოავლინა თავისი დიდი სამხედრო ძალა და აგრესიული ამბიციები. ამასთან დამთავრდა იტალიის გაერთიანება. ისიც მოხდა არა რევოლუციის გზით, არამედ ზემოდან „სავოის სახლის“ გამარჯვებით.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ პროგრესულმა ქართულმა საზოგადოებრივმა აზრმა დიდი გულისტკივილით აღიქვა საფრანგეთის დამარცხება 1870—1871 წლების ომში. მართალია, ქართველი პუბლიცისტები მიესალმებოდნენ გერმანიის გაერთიანებას, თუმცა მასთანავე განიცდიდნენ, რომ ეს გაერთიანება მოხდა ზემოდან, პრუსიული იუნკერების მეთაურობით. მათ სწორედ გაიგეს, რომ ამ ომმა წარმოშვა ღრმა ანტაგონიზმი — საფრანგეთსა და გერმანიას შორის და შეამზადა ნიადაგი მომავალი ომის აღმოცენებისათვის.

ერთიანი გერმანიის იმპერიის შექმნით ევროპის ცენტრში აღმოცენდა ძლიერი მილიტარისტული სახელმწიფო, რომლის საგარეო პოლიტიკამ თავიდავე აგრესიული ხასიათი მიიღო. იმპერიის დიპლომატია, მისი კანცლერის ბისმარკის წყალობით, აგებული იყო მეზობელი სახელმწიფოების დაშინების და ურთიერთწაყიდების პოლიტიკაზე, აღებული საგარეო პოლიტიკური კურსის შესაბამისად გერმანიის იმპერია მილიტარიზმის მთავარი კერა გახდა ევროპაში, გარდა ამისა, XIX ს-ის 80-იანი წლებიდან გერმანიის იმპერია ისწრაფვის კოლონიურ დაპყრობათა განხორციელებისაკენ. ზემოაღნიშნული მხედველობიდან არ გამორჩენია გაზეთ „დროებას“, რომელიც 1871 წლის შემდეგაც დიდ ყურადღებას უთმობს გერმანიის ისტორიის საკითხების განხილვას, რადგანაც კარგად ესმის, რომ გერმანიის იმპერია გახდა მთელი ევროპის პოლიტიკური ცენტრი: „ყველაფრის შემძლე და ყველაფრის მცოდნე ევროპის პოლიტიკაში ეხლა ბისმარკია. თოთხმეტი წლის განმავლობაში, ფრანკო-პრუსიის ომის შემდეგ, გერმანიამ დაიჭირა უპირველეს: ადგილი სახელმწიფოთა შორის და ბისმარკი თითქმის დიქტატორულად განაგებს ქვეყნის ბედობალს, ამ თოთხმეტი წლის წინათ პრუსიამ შეისწავლა თავისი ისტორიული მოვალეობა, მიაღწია თავის წადილს, მან შეაერთა, შეაკავშირა განცალკევებული გერმანული სახელმწიფოები, მოუსპო მათ ყოველი პოლიტიკური მნიშვნელობა და შექმნა გერმანიის იმპერია თავის მეთაურობით. ბისმარკს ჯერ კიდევ არ შეუხსრულებია თავისი საქმე. ის ცდილობს ხელთ იგდოს პროვინციები, რომელნიც ნემეცის ხალხით არიან დასახლებულნი. ბისმარკის სურვილი გამოიწვევს უკმაყოფილებას, შეძენს მრავალ მტერს გერმანიას. ამის გამო ახლავე და ამ თავითვე ჰსურს ბისმარკს შეასუსტოს გერმანიის მეზობლები, რომ მომავალში არავინ აღმოუჩინოს მავნე წინააღმდეგობა და მეტოქეობა... ბოლო დროს ევროპის სახელმწიფოებმა განსაკუთრებულის გულის მოდგინებით მოჰკიდეს ხელი კოლონიურ პოლიტიკას, განსაკუთრებით აქტიურობას იჩენს ამ მხრივ გერმანია... ბისმარკმა აშკარად აღიარა, რომ დღედაღამ გერმანია კოლონიზაციის მიზნად უნდა შეუდგესო. ამით იქმნება გაყვანილი ახალი ხაზი

საქართველოს ენციკლოპედია



გერმანიის პოლიტიკაში. მაშასადამე ბისმარკი ცდილობს სხვადასხვა დედაქალაქის პუნქტებზე მაგრად ფეხი მოიდგას და ამასთანავე მოახლოვოს „აღმოსავლეთის საქმის“ გადაწყვეტა, რომლის შედეგად მთელი ნემეცის ერის შეერთებას და პოლიტიკურად გაერთიანებას მოელოს, გერმანიას ომი უნდა“⁶³.

ჩვენ განვიხილეთ ახალი დროის მსოფლიო ისტორიის უმნიშვნელოვანესი მოვლენა, კერძოდ გერმანიის გაერთიანების საკითხი და ამ საკითხზე ქართული საზოგადოებრივი აზრი გაზეთ „დროების“ ფურცლებზე.

გაზეთი „დროება“ ფართოდ გამოეხმაურა გერმანიის გაერთიანების საქმეში გადაწყვეტი მნიშვნელობის მქონე ომებს, როგორც იყო ავსტრია-პრუსიისა და საფრანგეთ-პრუსიის ომი. პირველ ხანებში გაზეთმა ვერ შეძლო და ალბათ არც შეეძლო, ბისმარკის ინტრიგების წყალობით, აეხსნა ამ ომების გამომწვევი მიზეზები. ჩათვალა რა ავსტრია-პრუსიის ომის მიზეზად შლეზვიგ-ჰოლშტეინის პრობლემა, ხოლო საფრანგეთ-პრუსიის ომის მიზეზად ესპანეთის ეკანტური ტახტის საკითხი.

აღსანიშნავია, რომ ავსტრია-პრუსიის ომის დასაწყის ეტაპზე გაზეთი „დროება“ ქართველ მკითხველებს მხოლოდ მშრალ ფაქტებს აწვდიდა, მოუთხოვრებდა უმთავრესად სამხედრო ამბების შესახებ, მაგრამ შემდგომში, როდესაც გაზეთმა შეიძინა პოლიტიკური ამბების გაშუქების ერთგვარი გამოცდილება ამ მოვლენების ახსნა დაიწყო მეტად საინტერესოდ. კონკრეტულ ფაქტების დამაჯერებელი ანალიზით გააშუქდა „დროების“ ფურცლებზე ბრძოლა გერმანიის გაერთიანებისათვის „ზევიდან რეაქციულ-პრუსიულ საწყისებზე“, ბისმარკის „რკინისა და სისხლის“ პოლიტიკის შედეგები და ავსტრიის მარცხი, მისი ჩამოშორება გერმანიის საქმეებისაგან.

განსაკუთრებით დიდი ადგილი დაუთმო თავის ფურცლებზე გაზეთმა „დროებამ“ საფრანგეთ-პრუსიის ომს. ეს ლოგიკური იყო, რადგანაც საფრანგეთ-პრუსიის ომი ევროპის ახალი ისტორიის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო. ამ ომმა წერტილი დაუსვა გერმანიის გაერთიანებას, უდიდესი კვლილება მოახდინა საფრანგეთ-გერმანიისა და საერთოდ ევროპის სახელმწიფოთა პოლიტიკურ ურთიერთობებში. მიუხედავად იმისა, რომ „დროება“ პირველ ხანებში ვერ გაერკვა საფრანგეთ-პრუსიის ომის გამომწვევ მიზეზსა და საბაბში, მაინც ამ ომის დეტალურად ასახვა გაზეთის ფურცლებზე წინ გადადგმული ნაბიჯია პოლიტიკური მოვლენების აღწერის საქმეში. მით უმეტეს, რომ იმავე „დროების“ ფურცლებზე, მხოლოდ ცოტა უფრო მოგვიანებით, ნ. ნიკოლაძემ გამოასწორა გაზეთის მიერ თავის დროზე დაწვებულა შეცდომა, როგორც ავსტრია-პრუსიის, ისე საფრანგეთ-პრუსიის ომის გამომწვევი საბაბისა და მიზეზის შესახებ. მან კარგად გვიჩვენა საფრანგეთ-პრუსიის ომში გერმანიის გამარჯვებისა და საფრანგეთის დამარცხების მიზეზები, ევროპის სხვა სახელმწიფოთა დამოკიდებულება ამ ომისადმი. ბისმარკის ანტიხალხური და მშვიდობის საწინააღმდეგო პოლიტიკა გერმანიის გაერთიანების პროცესში, მხედველობიდან არ გამოორჩენია თვით გერმანიის ერთიანი-ეროვნული სახელმწიფოს შექმნის უდიდესი მნიშვნელობა ქვეყნის შემდგომი ეკონომიკური განვითარებისათვის.

202/1

⁶³ „დროება“, 1885, № 83, გვ. I.

2. „მ ა ც ნ ე“, ისტორიის სერია, 1993, № 1

საქართველოს
ისტორიის
საზოგადოება

გაზეთი „დროება“ უარყოფითად შეხვდა გერმანიის „ზემოდან“ გაერთიანების ფაქტს. აკრიტიკებდა გერმანიის ახლად შექმნილ იმპერიას, განსაკუთრებით კი მის აგრესიულ საგარეო პოლიტიკას, ბისმარკის დიპლომატიურ ოინებს, რომელიც იქითკენ იყო მიმართული, რომ ევროპაში შეექმნა დაძაბული მდგომარეობა და გაეჩაღებინა ახალი ომი, რომელიც ტერიტორიებს შექცნდა გერმანიის იმპერიას.

Ш. В. МАЛАЗОНИЯ

ВОПРОС ОБЪЕДИНЕНИЯ ГЕРМАНИИ И ГРУЗИНСКАЯ ОБЩЕСТВЕННАЯ МЫСЛЬ НА СТРАНИЦАХ ГАЗЕТЫ „ДРОЭБА“.

Резюме

В работе изучены опубликованные в газете „Дроэба“ в 1866 — 1885 годах материалы, посвященные проблеме объединения Германии. Автором изучены и проанализированы отношения газеты „Дроэба“ к происходившим в Европе процессам общественно-политического развития, которые в определенной степени влияли на ход объединения Германии. В работе заострено внимание на позитивных отношениях грузинских публицистов к процессу объединения Германии. В статье сделан акцент и на опасения грузинских публицистов, которые считали, что объединение Германии послужит толчком в развязывании войны за мировое господство.

წარმოადგინა სულხან-საბა ორბელიანის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის საქართველოს ისტორიის კათედრამ

ავთანდილ სონულაშვილი

ავტონომიური ფორმირებების შექმნის სამართლიანობა საქართველოს ტერიტორიაზე

ჯერ კიდევ 1919 წლის 31 აგვისტოს შემდგარ მაჰმადიანთა ყრილობის დადგენილების თანახმად, 1919 წლის 19 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა სამუსულმანო საქართველოს ავტონომია მიანიჭა¹.

საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ 1921 წლის 21 თებერვალს მიღებული კონსტიტუციის 107-ე მუხლით გამოაცხადა აფხაზეთის, სამუსულმანო საქართველოს (ბათუმის ოლქი) და ზაქათალის ოლქის ავტონომია, როგორც საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელი ნაწილისა².

ბოლშევიკებს რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე საბჭოთა ხელი უფლებების დამყარების დროს მხარდამჭერები რომ ჰყოლოდათ ეროვნულ უმცირესობებს ავტონომიურ მმართველობას უბოძებდნენ ხოლმე. ამ საქმის დიდოსტატად მოგვევლინა ახალი ციციანოვი სერგო ორჯონიკიძე. „სწორედ სერგოს ხელმძღვანელობით, გამოცხადებული იყო დაღესტნის, ოსეთის, ინგუშეთის, ჩეჩნეთის და ყაბარდოს ავტონომიები“³.

უკვე 1920 წლის 23 მარტს რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის სხდომაზე მიღებულ ოქნა გადაწყვეტილება „სამხრეთ ოსეთში“ საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებისა და სამხრეთ ოსეთის რევკომის ორგანიზაციის შესახებ.

1920 წლის 6 მაისს ახლად შექმნილმა სამხრეთ-ოსეთის რევკომმა დაადგინა: „... ვემორჩილებით რა კავკასიის სამხარეო კომიტეტის გადაწყვეტილებას აუცილებლად მიგვაჩნია გამოვაცხადოთ საბჭოთა ხელისუფლება... რის შესახებაც ვაცნობოთ მოსკოვს და დემოკრატიულ საქართველოს“. რევკომის გადაწყვეტილება, როგორც ვხედავთ წარმოადგენდა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის უხეშ დარღვევას⁴.

საბჭოური რეჟიმის დამყარების შემდეგ, ავტონომიური ერთეულების შექმნისას გარკვეული როლი შეასრულა ლოზუნგმა — კომუნისმის დროს სულ ერთია მაინც წაიშლება საზღვრები ურთიერთშორისა, ანტიბატრიოტულად განწყობილი ქართველი ბოლშევიკების მიერ განხორციელებულ ამ უაღრესად მტკივნეულ აქტს სრული გულგრილობით შეხვდა „კომუნისმისა“ და „ინტერ-

1 ვ. ნოზაძე, საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, თბ., 1989, გვ. 58.

2 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული 1918—1921 წწ. თბ., 1990, გვ. 470.

3 ა. ირემაძე, ჩვენი სერგო, თბ., 1986, გვ. 96.

4 Ментешашвили А. Из истории взаимоотношений грузинского, абхазского и осетинского народов, Тбилиси., 1990, с. 66.



ნაციონალიზმის“ დემაგოგიური ლოზუნგებით მოტყუებული წილი⁵.

საეულისხმოა, რომ კავბიუროს დადგენილებით საოლქო კომიტეტმა 1921 წლის 25 თებერვალს განმეორებით მიიღო დადგენილება ე. წ. „სამხრეთ ოსეთის რევკომის“ შექმნის შესახებ და განსაზღვრა მისი შემადგენლობაც. სხდომის ოქმში ამის თაობაზე ვკითხულობთ: „შეიქმნას სამხრეთ ოსეთის რევოლუციური კომიტეტი შემდეგი ამხანაგებისაგან: 1. ვლადიმერ სანაკოვეი, 2. რაქდენ კოზაევი, 3. ალექსანდრე ჯატიევი, 4. სერგეი გაგლოევი, 5. ყაზბეგ ბუტაევი, 6. არონ პლიევი, 7. ნიკოლოზ გადიევი“⁶. როგორც ვხედავთ რევკომის ყველა წევრი, მხოლოდ ოსი ეროვნების წარმომადგენლებისაგან დააკომპლექტეს. სამხრეთ-ოსეთის რევკომმა მაშინვე დააყენა სამხრეთ-ოსეთისადმი ავტონომიის მინიჭების საკითხი, რაც ერთობ ძნელი გადასაწყვეტი გამოდგა. ამას თავისი ობიექტური მიზეზები ჰქონდა. ჯერ ერთი, გასარკვევი იყო რა ტერიტორიაზე და რა სახის ავტონომია უნდა მიენიჭებინათ სამხრეთ ოსეთისათვის, მეორე, რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და რევოლუციურ კომიტეტს, რომელთაც ვერაფრით ვერ დაეწამებთ ინტერნაციონალიზმის ნაკლებობას, გაუჭირდათ სამხრეთ ოსეთის რევოლუციური კომიტეტისა და პარტიული კომიტეტის მიერ წამოყენებული უსაფუძვლო მოთხოვნების დაკმაყოფილება (როგორც ზევით დავინახეთ სამხრეთ ოსეთის რევოლუციური კომიტეტი, ზუსტად ამ სახელწოდებით, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე შეიქმნა, თუმცა მაშინ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ერთეული თავისი სტატუსითა და ტერიტორიით რეალურად არ არსებობდა)⁷.

საქართველოს ტერიტორიაზე სამხრეთ ოსეთის სახელმწიფოებრივი ფორმირების შექმნის მოთხოვნა წმინდა წყლის ავანტიურა იყო — ყოველგვარ საფუძველს მოკლებული. ასეთი პრეტენზიები ოსებს მხოლოდ თავიანთ ისტორიულ სამშობლოში — ჩრდილო კავკასიაში მდებარე ნამდვილ ოსეთში შეიძლება ჰქონოდათ. იქ, ჩრდილო კავკასიაში კი იმ დროს ოსეთის არც ავტონომიური რესპუბლიკა არსებობდა და არც ცალკე ოლქი⁸.

1921 წლის ბოლოს, როგორც კი ცნობილი გახდა, რომ შიდა ქართლის ტერიტორიის ნაწილს ოსებისთვის ავტონომიურ ერთეულად გამოცხადებას უპირებდნენ ქართველობა აღსდგა ამ გაუგონარი უსამართლობის წინააღმდეგ. ეს იყო კიდევ ერთი საშინელი დარტყმა ეროვნული სახელმწიფოებრიობის მოსპობის გზაზე. ძირძველ ქართულ მიწაზე „ქართველი მთავრობა“ სახელმწიფოებრიობას უქმნიდა სხვა ერს.

ცხინვალის რაიონის თითქმის ყველა ქართულ სოფელში ჩატარდა კრებები, სადაც ერთსულოვნად დაგმეს ეს აქტი. საპროტესტო აქციით გამოვიდნენ სოფლების: დიცის, ერგნეთის, დვანის, ავნევის, ნულის, გორდის; მელგრეკისის, ერედვის, თამარაშენის, ტირძნისის ბროწლეთის სვირის; ქემერტის; მონასტრის ზემო ნიქოზის, ქვემო ზვითის და სხვა მრავალი სოფლის მცხოვრებნი.

5 ვ. მჭედლიშვილი, იმპერიის მარწუხებში, თბ., 1990, გვ. 25.

6 ა. ი. რემაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 229.

7 ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1991, გვ. 52—53.

8 იქვე, გვ. 54.



1921 წლის 26 დეკემბერს სოფელ ქორდის მოსახლეობა თავიანთ მოთხოვნილებაზე უარის შემთხვევაში მზად იყო უკიდურესი ზომისათვის მიემართა: „... სსრ მთავრობამ მაშინ მოგვეცეს ბინა და გადაგვასახლოს შორს სადმე, რომ ჩვენს თვალსა და ყურს ვერ მოსწყვდებოდეს ჩვენი ადგილების კენესა და არ ატირებდნენ ჩვენ ძველად განთქმულ გულგმირულ ჩვევებს“.

როგორ უნდა გამწარდეს ქართველი, რომ თავისი მამაპაპური კერიდან აიყაროს და სხვაგან გადასახლდეს⁹.

1922 წლის იანვარში საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა მიიღო ქ. ცხინვალში მცხოვრებ ქართველთა, სომეხთა და ებრაელთა საერთო კრების დადგენილება, „რომლითაც ისინი მოითხოვდნენ ცხინვალისა და მისი რაიონის კვლავ ისტორიულ საზღვრებში დარჩენას“¹⁰.

ქართველი და ოსური მოსახლეობის ურთიერთობა თანდათან იძაბებოდა, რასაც შესაძლოა, შეიზარებულნი შეტაკება მოჰყოლოდა. ვერც ერთი მხარის ბოლომდე განაირალება ვერ მოხერხდა.

„სამხრეთ ოსეთის“ პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელობა, ცხადია, ყველა ღონეს ხმარობდა, რომ რესპუბლიკის ცენტრალურ ორგანოებს, რაც შეიძლება მალე გამოეცათ დეკრეტი, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნის შესახებ. 1922 წლის 19 აპრილს ამ საკითხზე სპეციალურად იმსჯელა „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური აღმასრულებელი კომიტეტისა (ასეთი ორგანოც სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის იურიდიულ გაფორმებამდე არსებობდა) და საოლქო პარტიული კომიტეტის გაერთიანებულმა სხდომამ, რომელმაც დაადგინა, რომ დეპეშა გაეგზავნა საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისათვის და ეთხოვათ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის იურიდიული გაფორმების დაჩქარება¹¹.

საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისარიატის საბჭოს 1922 წლის 20 აპრილის დადგენილებით, რომელსაც ხელს აწერდნენ ფ. მახარაძე და ს. ქავთარაძე, შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, როგორც საქართველოს სსრ შემადგენელი ნაწილი. ოლქის ცენტრად დადგენილ იქნა ცხინვალი. ოლქის ფარგლებში მოაქციეს არა მარტო იმ დროს ოსებით დასახლებული ჯავის, ზნაურისა და ზოგიერთი სხვა ხეობები, არამედ, ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგობის მიუხედავად გორის, დუშეთისა და რაჭის მაზრების მთელი რიგი ქართული სოფლები. ამგვარად, ოლქი შეიქმნა ისე, რომ არავითარი ანგარიში არ გაუწიეს ქართველებს, არც აქ მცხოვრებ სხვა ხალხებს. არ გაითვალისწინეს ამ მხარის წარსული, მისი მკვიდრი მოსახლეობის ინტერესები და თვითნებურად გადაწყვიტეს ეს საკითხი¹².

ქართველ კომუნისტთა იმდროინდელი წარმოდგენით ეს იყო ეროვნული საკითხის გადაჭრა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საფუძველზე. ძვირად, ერთობ ძვირად დაუჯდა ქართველ ხალხს ეროვნული პრობლემისადმი ასეთი მიდგომა. ცხადია, საკითხი შეთანხმებული იყო (თუ მეტი არა!) რკპ(მ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროსთან¹³.

9 ნ. ხუციშვილი, შიდა ქართლი—ისტორია და თანამედროვეობა, „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1990, 20 ივლისი.

10 ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 75.

11 საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის არქივი, ფ. 14, ანაწ. 1, საქ. 263, ფურც. 9.

12 შ. ნოზაძე, ოსეთი და ოსები საქართველოში, გაზ. „თბილისი“, 1990, 25 სექტემბერი.

13 ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1991, გვ. 80.

პარტიული პოზიცია კარგად ჩანს ე. წ. „სამხრეთ-ოსეთის“ რეკომის 1921 წლის 6—8 სექტემბრის დადგენილებაში, სადაც ავტონომიური ოლქის შექმნის მიზანშეწონილობის საკითხი იხილებოდა. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ „Образование такой политической единицы, при данных объективных условиях, создает благоприятную почву для приобщения трудящихся Юго-Осетии к советской власти.“¹⁴

საგულისხმოა, რომ როცა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქს ხელოვნურად ქმნიდნენ და მასში ქართულ სოფლებსაც ძალით აერთიანებდნენ მაშინ, როგორც ითქვა, კავკასიონის იქეთა ოსეთს, რომელიც ოსთა ნამდვილი თავდაპირველი სამშობლოა, არავითარი ავტონომია არ გააჩნდა. ჩრდილო ოსეთის ავტონომიური ოლქი მხოლოდ 1924 წელს წარმოიქმნა რუსეთის სფს რესპუბლიკაში. 1936 წელს ამ ავტონომიური ოლქს ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი მიეცა. მაგრამ ვიდრე ეს მოხდებოდა, გარკვეული ძალები სამხრეთ ოსეთისა და ჩრდილო ოსეთის გაერთიანებას ცდილობდნენ. ჯერ კიდევ დემოკრატიული საქართველოს პერიოდში სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის წარმომადგენლებმა მიმართეს გერმანიის რწმუნებულს გრაფ შულენბურგს, რომ შუამდგომლობა გაეწია საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასთან ჩრდილო და სამხრეთ ოსეთის შეერთებაზე საქართველოსთან ფედერაციულ პრინციპებზე¹⁵. ეს საკითხი 1925 წლის იანვარშიც წამოიჭრა ჩრდილო ოსეთის საბჭოების პირველ ყრილობაზე. ოსები საქართველოს ტერიტორიაზე მოითხოვდნენ გაერთიანებას. აშკარაა, რომ ძნელი იყო მათი ნამდვილი გული; წადილის ამოცნობა. ვინ იცის იქნებ ეს გეგმა მომავალში ქართული მიწა-წყლის დაპყრობის შუალედურ ეტაპადაც კი ჰქონდათ წარმოდგენილი. ყოველ შემთხვევაში არ იყო გამორიცხული, რომ საქართველოსათვის ეს ერთი შეხედვით, უვნებელი (თითქოს სასარგებლოც კი) წამოწყება ძვირი დაუჯდებოდა ქართველ ხალხს მომავალში, იმ ქართველების დროს, საბჭოთა ქვეყნის ხელმძღვანელთა შეცვლას რომ მოჰყვებოდა ხოლმე უმთავრესად¹⁶.

1925 წლის 15 ივლისს, საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (ცაკ-ის) სესიის მუშაობის შუა პერიოდში, ფ. მახარაძემ მის მონაწილეებს წარუდგინა ჩრდილო ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომის თავმჯდომარე ა. ტაკოევი და დასძინა, რომ სტუმარი მათ მოახსენებდა ერთი მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ.

ა. ტაკოევმაც სესიის მონაწილეებს აუწყა, რომ იგი წარმოდგენილია ჩრდილო ოსეთის ავტონომიური ოლქის ცაკის მიერ ჩრდილო და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქების გაერთიანების საკითხის გამო. მან თავის მოკლე სიტყვაში აღნიშნა, რომ ეს იყო მეტად „სალი და მშვენიერი საქმე“, რომ მისადმი მხარდაჭერა იქნებოდა „მაჩვენებელი ჩვენი მტკივნეული ნაციონალური საკითხის სწორი და სალი გადაწყვეტისა“.

კამათი არ გამართულა. სესიამ მიიღო რეზოლუცია სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის გაერთიანების შესახებ. ასე ჰაიპარად, სასწრაფოდ, ექსპრომტად გადაწყვიტეს ეს უმნიშვნელოვანესი საკითხი.

14 ნ. ხ. უ. ც. ი. შ. ვ. ი. ლ. ი, დასახ. სტატია.

15 რევოლუციონური დროშა, 1918, 16 ივნისი.

16 ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 86, 88.



ხედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ პრობლემა, რომელიც სტრუქტურული ცვლილებების შესახებ აღნიშნავდა. მაგრამ ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ განსახილველი საკითხი არ იყო შეტანილი დღის წესრიგში, რომელიც სესიამ მაილო („დღიური წესრიგი“ სესიამ თავის პირველსავე სხდომაზე — 14 ივლისს დაამტკიცა). წარმოდგენილია, რომ ასეთი სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე პრობლემა სესიაზე განსახილველად ექსპრომტად, მოუძმადებლად და მოულოდნელად გაეტანათ. მაშ, რა მოხდა? შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს შემთხვევით კი არა, შეგნებულად გაკეთდა, რათა აკვიდან აეცილებინათ წინასწარი ვნებათაღელვა და უზრუნველყოთ სასურველი გადაწყვეტილების უმტკივნეულოდ მიღება.

ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის გაერთიანების საკითხი საგულდაგულოდ მზადდებოდა. იგი შესაბამის პარტიულ და სახელმწიფო ორგანოებში განიხილებოდა¹⁷.

საქმეში ჩაერთვნენ უმაღლესი ორგანოები და პარტიული ხელმძღვანელები. სტალინმა შემოსული საწინააღმდეგო მასალების გამო საჭიროდ ჩათვალა მოთათბირებოდა ორჯონიკიძეს და პარტიის ჩრდილოეთ კავკასიის სამხარეო კომიტეტის მაშინდელ მდივანს. ჩვენ არ ვიცით ამ შეხვედრის შინაარსი, მაგრამ ფაქტია, რომ ეს გეგმა არ განხორციელდა¹⁸. თუმცა იდეა გაერთიანებისა (უფრო სწორად — ქართული მიწა-წყლის მიტაცებისა), არ ჩამკვდარა.

ჭეშმარიტებაა, რომ არ არსებობდა სამხრეთ ოსეთის ერი. ოსი — ოსია, კავკასიის სამხრეთ კალთებზე იცხოვრებს იგი თუ ჩრდილოეთის. როგორც დავინახეთ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი შეიქმნა საქართველოს იძულებითი გასაბჭოების შემდეგ, რომელიც საბჭოთა რუსეთმა ორჯონიკიძის მეშვეობით მისცა სამაჩაბლოში მცხოვრებ ოსებს, როგორც „საფასური“ ოთხი აჯანყებისათვის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ¹⁹. საბჭოთა საქართველოს მთავრობამ იმთავითვე პრივილეგიურ მდგომარეობაში ჩააყენა ოლქის პარტიული და საბჭოთა ხელისუფლების ორგანოები: პრაქტიკულად ოლქს ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოების სტრუქტურა ქონდა, რაც ძვირად დაუჯდა მშრომელ ხალხს, ოლქის და რესპუბლიკის ბიუჯეტს²⁰.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის არსებობის მთელ მანძილზე აქ ყოველთვის ირღვეოდა ყველა ეროვნების ადამიანის უფლებები. მათ შორის განსაკუთრებით ქართველთა, რაც მუდმივი დაძაბულობის წყაროს წარმოადგენდა და საბოლოოდ მხოლოდ ოსურ პარტოკრატიას აძლევდა ხელს. ბოლშევიკების მოგონილი ხელოვნური წარმონაქმნის — სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის არსებობა არღვევდა საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთ ყველაზე ძირითად პრინციპს — დისკრიმინაციის გამორიცხვას.

ამრიგად, საქართველოს ნაწილის „ოსეთად“ მონათვლას (მაშინ, როდესაც ნამდვილი ოსეთი საქართველოს გარეთ, ჩრდილოეთ კავკასიაში მდებარეობს) არც ისტორიული, არც სამართლებრივი, არც მორალური საფუძვლები არ გა-

17 ი. ფუტყარაძე, საღი ძახილი, „კომუნისტი“, 1989, 13 დეკემბერი.

18 შ. ნოზაძე, დასახ. სტატია.

19 მე — იოსებ სტალინი, თბ., 1990, გვ. 8.

20 ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 115.

აჩნდა და მხოლოდ ერთი მიზანი ჰქონდა — შეექმნა საქართველოს ტერიტორიაზე პოლიტიკური პლაცდარმი რუსეთის კომპარტიისათვის, რომელიც მანამდე ოსებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ იყენებდა შიდა ქართლში.

ცნობილი ოსი მეცნიერი ვასილ აბაევი ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ საკითხს ადარებს ბასკების პრობლემას. მეცნიერის აზრით, „საფრანგეთის სამხრეთ-დასავლეთში არსებობს ბასკების ეროვნული ოლქი, იქაური ბასკები სარგებლობენ კულტურული ავტონომიით, შენარჩუნებული აქვთ თავიანთი ენა, აქვთ თავიანთი სკოლები, ცოცხალი კავშირები აქვთ თავიანთ თანამომძმებთან პირენეის ნახევარკუნძულზე. მაგრამ მათ რომ მოესტრვებინათ თავიანთი ტერიტორიის ესპანეთთან შეერთება, საფრანგეთი ამაზე არაფერსაა შემთხვევაში არ დათანხმდებოდა. ი გ ი ვ ე ვ ი თ ა რ ე ბ ა ა ს ა მ ხ რ ე თ დ ა ჩ რ დ ი ლ ო ე თ ო ს ე თ ი ს ს ა ზ დ ვ ა რ ზ ე“ (ხაზგასმა ჩემია — ა. ს.)²¹.

აბაევის დემაგოგიური შედარება ბუნებრივია შორს სცილდება ჭეშმარიტებას. ისტორიული კატაკლიზმების შედეგად XVI საუკუნეში ბასკების განსახლების ჩრდილოეთი რაიონები საფრანგეთის შემადგენლობაში შევიდა, სამხრეთი რაიონები კი XV—XVI საუკუნეების მიჯნაზე — ერთიანი ესპანეთის სახელმწიფოს გაერთიანებაში. ამდენად, არსებული ვითარების გამო ბასკეთი ორად გაიხლიჩა და თითოეული მათგანი სხვადასხვა სახელმწიფოს ტერიტორიის საზღვრებში აღმოჩნდა.

სულ სხვა ვითარება გვაქვს ოსებთან დაკავშირებით. გვიანი ფეოდალიზმის პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე, განსაკუთრებით შიდა ქართლში მაჩაბლების სათავადოში კარგად ცნობილი მიზეზების გამო ინტენსიურად ხდებოდა ოსების ჩამოსახლება. ქართულ მიწაზე კომპაქტურად დასახლებული ოსები, რომ განესხვავებინათ ჩრდილოეთით მდებარე მათი ისტორიული სამშობლოს მოსახლეობისაგან, ჩნდება ტერმინი „სამხრეთ ოსეთი“. მოგვიანებით ამ ტერმინმა ი. გოგებაშვილის „ბუნების კარშიც“ ჰპოვა ასახვა.

იმდენად ხელოვნურად დამკვიდრდა ცნებები „ჩრდილო“ და „სამხრეთ ოსეთი“, რომ ფაქტურად არაფერს ამბობს და იქნებ „აღარც ფიქრობს“, რომ ოსეთს შეიძლება ჰქონდეს დასავლეთი და აღმოსავლეთი მხარეებიც!?

ამდენად, აზრს „სამხრეთ ოსეთის საქართველოსაგან გამოყოფაზე — აღნიშნავს ვ. აბაევი — საქართველოს არცერთი მთავრობა არ დაეთანხმება. იმიტომ რომ ეს იქნება საქართველოს მთლიანობის ტერიტორიული დარღვევა“²² აქვე გვინდა დავუმატოთ, რომ ეს იქნება არა მარტო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, არამედ, საქართველოს ისტორიული ტერიტორიის დაპყრობა, რასაც არათუ მთავრობა, არასდროს არც ერთი ქართველი არ დათმობს.

ოსები საქართველოს მკვიდრი მოსახლეობა არ არის. ისინი ჩამოსახლებული ხალხია. რა დროიდან, ამას მნიშვნელობა არა აქვს, მიუხედავად იმისა, დიდი ხნის წინათ ჩამოსახლდნენ ისინი, თუ ცოტასი. მაგრამ ჰქონდათ ოსებს ავტონომიური ოლქის სტატუსის უფლება? აქ ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს — არა.

21 ვაზ. „თბილისი“, 1992, 23 იანვარი.

22 იქვე.

* ყველა დროში და ყველა ქვეყანაში, წინათაც და ახლაც, მკვიდრი მოსახლეობა, ლევა იმ ხალხს, რომელიც მოცემული ტერიტორიის მკვიდრი მოსახლეობაა, მაგრამ, ისტორიული პერიპეტეების შედეგად, სხვა უფრო მრავალრიცხოვანი სახელმწიფოს შემადგენლობაში აღმოჩნდა. როცა ესპანეთის ერთიანი სახელმწიფო ყალიბდებოდა და, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ბასკეთი მის შემადგენლობაში მოყვა. რაკი ბასკები ბასკეთის მოცემული ტერიტორიის მკვიდრა მოსახლეობაა, მათ სრული უფლება აქვთ ავტონომიისა. მაგრამ ესპანეთში მოსახლე ებრაელობას მისი არამკვიდრობის გამო, ავტონომიის უფლება არა აქვთ. თუმცა ებრაელებმა ესპანეთის ისტორიულ-კულტურულ ცხოვრებაში უდიდესი როლი შეასრულეს.

რაკი ოსები შიდა ქართლის მკვიდრი მოსახლეობა არ არის, მათთვის ამ ტერიტორიაზე ავტონომიური ოლქის სტატუსის მინიჭება ქართველი ხალხის სუვერენული უფლების სრული დარღვევა იყო. ოსებისათვის ავტონომიის მინიჭება იურიდიულად წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციის დაკანონებას. სამართლებრივი თვალსაზრისით, ეს ისეთივე ოკუპაციაა, როგორც რუსეთის მიერ აღმოსავლეთ პრუსიის დაპყრობა.

მაშ რისი უფლება ჰქონდათ და აქვთ ოსებს საქართველოს ტერიტორიაზე? მათ აქვთ კულტურული ავტონომიის უფლება. მათ აქვთ უფლება დაიცან ოსური ენა, ოსური მწიგნობრობა, ოსური სკოლა, ოსური ზნე-ჩვეულება, ოსური ხალხური სიმღერა-ცეკვა და ა. შ. ამ უფლების ხელშეუხებლობას გარანტიას მათ საქართველოს კონსტიტუცია უნდა აძლევდეს²³.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ დროებითი მთავრობის მიერ შექმნილმა „ამიერკავკასიის განსაკუთრებულმა კომიტეტმა“ ადგილებზე შექმნა საგუბერნიო, სამხარეო და საქალაქო კომიტეტები. აფხაზეთის სამხარეო კომიტეტის კომისრად დაინიშნა თავადი ა. შერვაშიძე, ხოლო სამხარეო მილიციის ხელმძღვანელობა დაეკისრა თავად ტ. მარშანიას. აფხაზი თავადების რეაქციულმა ჯგუფმა და მათთან დაახლოებულმა წრეებმა დაიწყეს აშკარა ბრძოლა თავისი პოლიტიკური პრივილეგიების შესანარჩუნებლად. მათ ორიენტაცია აიღეს მთიულთა გაერთიანებულ კავშირზე, რომელიც შეიქმნა 1917 წლის მაისში²⁴.

იმავე წლის 8 ნოემბრის სოხუმში მოწვეულ ყრილობაზე შეიქმნა აფხაზეთის სახალხო საბჭო, რომლის შემადგენლობა და მოქმედების ამოცანები 1918—1921 წლებში რამდენჯერმე შეიცვალა. მის მიერ მიღებულ იქნა „აფხაზი ხალხის ყრილობის დეკლარაცია“, რაშიც დაისახა შემდგომი მუშაობის გარკველება „აფხაზი ხალხის თვითგამორკვევის შესახებ“, ასევე მიიჩნიეს საჭიროდ „აფხაზეთის სახალხო საბჭოს კონსტიტუციის“ შექმნა.

1918 წლის 9 თებერვალს თბილისში მიღწეულ იქნა შეთანხმება აფხაზეთის სახალხო საბჭოს წარმომადგენლებსა და საქართველოს ეროვნულ საბჭოს შორის საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის ავტონომიური უფლებითა შესვლის შესახებ. შეთანხმების საფუძველზე საქართველოს ხელისუფლებას უნდა ეზრუნა „აფხაზეთის ისტორიული საზღვრების აღდგენაზე“.

²³ ა. ბაქრაძე, დეკემბრიდან დეკემბრამდე, ვაზ. „მამული“, 1990, № 1.

²⁴ М. Г а б е д а в а, Общественно-политическое движение в Абхазии в 1917—1921 годах, თბილ. „პოლიტიკა“, 1993, № 8, გვ. 2.



ქართული
ლიბრარი

როგორც ცნობილია, რუსეთის იმპერიის ადმინისტრაციის დასაყრდენად აფხაზეთის ტერიტორია დანაწილებული იყო. კერძოდ, 1883 წელს შექმნილი სოხუმის ოლქი შედიოდა ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში; გაგრა და მისი შემოგარენი კი ექვემდებარებოდა შავიზღვისპირეთის გუბერნიის სოჩის ოლქს²⁵.

ამ დროისათვის აფხაზეთის ტერიტორიაზე ბოლშევიკებმა გააქტიურეს საქმიანობა. პირველი ცდა დაემყარებინათ აქ ბოლშევიკური დიქტატურა განხორციელდა 1918 წლის 16—21 თებერვალს. სოხუმში შექმნეს სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი ეფრემ ეშბას თავმჯდომარეობით. დამკვიდრდა შავიზღვისპირეთის ფლოტის (კრეისერ „დაკიას“, ნაღმოსანი „შეუპოვარის“) ბოლშევიკ-მატროსთა განუკითხავი ბატონობა.

მასობრივ გამოსვლებს ბოლშევიკური უზუტუპატორების წინააღმდეგ სათავეში ჩაუდგა აფხაზეთის სახალხო საბჭო. 21 თებერვალს დროებითი რევოლუციური კომიტეტი ლიკვიდირებულ იქნა.

აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მეორე ცდა განხორციელდა იმავე წლის 8 აპრილიდან 17 მაისამდე. აღნიშნულ პერიოდში ბოლშევიკებმა თავისი ხელისუფლება გაავრცელეს ყოფილი სოხუმის ოლქის მთელ ტერიტორიაზე, კოდორის (ოჩამჩირის) ნაწილის გარდა.

17 მაისს განთავისუფლებულ იქნა ბოლშევიკებისაგან სოხუმი და სოხუმის ოლქი 22 აპრილს შექმნილი ამიერკავკასიის ფედერაციული დემოკრატიული რესპუბლიკის შეირადებული ჯარების მიერ ვალიკო ჯუღელის სარდლობით. მოგვიანებით, საბჭოთა ხელისუფლებისაგან განთავისუფლებული აფხაზეთი შევიდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში.

1918 წლის 8 ივნისს საქართველოს დემოკრატიულ მთავრობასა და აფხაზეთის სახალხო საბჭოს შორის დაიდო ხელშეკრულება აფხაზეთისათვის ფართო საშინაო ავტონომიის მინიჭებისა და სამხედრო დახმარების შესახებ. ხელშეკრულების საფუძველზე 17—22 ივნისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ აფხაზეთის ტერიტორიაზე მოახდინა ქართული არმიის ნაწილების გადაადგილება გენერალ გიორგი მაზნიაშვილის ხელმძღვანელობით, რომლებიც განლაგდნენ ზღვის სანაპიროზე ტუაპსედან სოჩამდე. როგორც ვხედავთ, ქართული არმიის ნაწილების დისლოკაციის შეცვლა ორივე მხარის თანხმობით მოხდა. მიუხედავად ამისა სახალხო საბჭომ პროვოკაციული განცხადება ატეხა და 12—13 სექტემბერს მიმართა ყუბანის კაზაკთა ფორმირებების მეთაურს გენერალ მ. ს. ალექსეევს თხოვნით „გაეთავისუფლებინა აფხაზეთი საქართველოს სამხედრო ჩარევისაგან“*.

საქართველოს მთავრობამ დაშალა აფხაზეთის სახალხო საბჭო სახელმწიფო გადატრიალების ცდისათვის, რაც მიზნად ისახავდა საქართველოსაგან აფხაზეთის ჩამოშორებას. დააბატონდა შეთქმულები, რომლებმაც კავშირი დაამყარეს გარეშე ძალებთან. სოხუმის ოლქის საგანგებო კომისრად დაინიშნა

²⁵ С. М. Червоная. Абхазия — 1992: Посткоммунистическая вандея, М., 1993, с. 175.

* ეს ფაქტი ორი წვეთი წყალივით ჰგავს მაშინდელი და 90-იანი წლების დასაწყისის აფსუა ლიდერების პოლიტიკას. ასევე პროვოკაციულად დაარღვია შეთანხმება 1992 წლის 14 აგვისტოს აფსუების ლიდერმა ვ. არძინბამ და სახელმწიფო ჯარების გადაადგილება საქართველოში, აფხაზეთის ტერიტორიაზე გამოიყენა აფსუთა საყოველთაო მობილიზაციისა და საქართველოს წინააღმდეგ ომის გასაჩაღებლად.



ჩ. ჩხიკვიშვილი. დაიწყო მომზადება აფხაზეთის სახალხო საბჭოს არჩევნებ-სათვის²⁶.

ამავე დროს რუსეთის წითელი თუ თეთრი ძალები საქართველოს ოკუპაციაზე ფიქრობდნენ. კერძოდ, 1919 წლის იანვარში თეთრგვარდიელი გენერალი ი. ა. დენიკინი შეტევას იწყებს სოხუმზე. დენიკინის შეხედულებით აფხაზეთი წარმოადგენდა „ერთიანი რუსეთის განუყოფელ“ ნაწილს. საქართველოს ჯარებმა მოიგერიეს დენიკინის აგრესია.

1919 წლის 18—22 მარტს მიმდინარეობდა ახლად არჩეული აფხაზეთის სახალხო საბჭოს სესია, სადაც პირველსავე სხდომაზე მიღებულ დადგენილებაში აღინიშნა, რომ აფხაზეთი შედის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში. როგორც მისი ავტონომიური ნაწილი. 1921 წლის 21 თებერვალს მიღებულ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციაში დადასტურდა აფხაზეთის ავტონომიის არსებობა საქართველოს შემადგენლობაში.

როგორც ცნობილია, ბოლშევიკების მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა აფხაზეთში 1921 წლის 4 მარტს. 6 მარტს შეიქმნა აფხაზეთის რევკომი ე. ეშბას (თავმჯდომარე), ნ. ლაკობასა და ი. აკირტავას შემადგენლობით. ფუნქციონირება დაიწყო აგრეთვე რკ(ბ) აფხაზეთის საორგანიზაციო ბიურომ. ამავე დროს ბოლშევიკებს თავისი გეგმები ჰქონდათ საქართველოს მომავალი მოწყობის შესახებ. უკვე 1921 წლის 27 მარტს ეფრემ ეშბა აფხაზეთის რევკომის სახელით მოითხოვდა აფხაზეთის დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადებას, ან აფხაზეთის ფედერაციის რსტს შემადგენლობაში.

„სოხუმის ოლქის მოსახლეობის 80%-ს შეადგენენ აფხაზები — აღნიშნავდა ე. ეშბა, — რომელთაც არ სურთ შედიოდნენ საქართველოს შემადგენლობაში“. ეს იყო აფხაზეთის კომუნისტების პოზიცია, რომ აფხაზეთი ჩამოეშორებინათ საქართველოსაგან. ჯერ ერთი აფსუა კომუნისტებს სოხუმის ოლქის აფხაზ მოსახლეობაში რეფერენდუმი არ მოუწყვეიათ. მეორეც სოხუმის ოლქში არ შეიძლებოდა ყოფილიყო 80% აფხაზი, რადგანაც მაშინ აფხაზები ოლქის ტერიტორიაზე 36 ათასს შეადგენდნენ. ამდენად, აფხაზები ქართველებთან შედარებით მაშინაც უმცირესობა იყვნენ.

როგორც ცნობილია, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მოსკოვში ეშბამ და ორჯონიკიძემ მოილაპარაკეს, რომ აფხაზეთი შევიდოდა საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიური რესპუბლიკის უფლებით. ხოლო მოგვიანებით, როცა საქართველო კომუნისტების ხელში აღმოჩნდა ეშბამ და აფსუა კომუნისტებმა შეიცვალეს პოზიცია.

აფსუა ხელმძღვანელების აზრით, თუ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციამ დააფიქსირა აფხაზეთის ავტონომია, მაშინ საბჭოთა ხელისუფლებას „საგანგებოს“ — რევკომის სახით მეტი უნდა მიეცა მათთვის, ე. ი. გამოეცხადებინა აფხაზეთის დამოუკიდებლობა. ამით ეჩვენებინა ეროვნული საკითხისადმი თავისი შედარებით „პროგრესული“ დამოკიდებულება.

26 ს. ჩ ე რ ვ ა ნ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 176.

მაშინ არავის მოსვლია აზრად, რომ არღვევდა (ფეხქვეშ თელავდა) საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას²⁷.

28—31 მარტს რკპ(ბ) ცკ კავშიტროს ხელმძღვანელობითა და ს. ორჯონიკიძის ინიციატივით „ბათუმის თათბირმა“ განიხილა აფხაზეთში „საბჭოთა ხელისუფლების სტრუქტურის“ საკითხი, სადაც მოამზადა ნიადაგი აფხაზეთის სსრ გამოცხადების შესახებ. 1921 წლის 31 მარტს კი ოფიციალურად გამოაცხადეს აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.

აფხაზეთის საქართველოსაგან მოწყვეტას და ცალკე რესპუბლიკად გამოცხადებას, სადაც აღნიშნული პერიოდისათვის 70%-ზე მეტი ქართველი ცხოვრობდა უარყოფითად შეხვდა ქართველი მოსახლეობის დიდი ნაწილი. გამოითქვა მრავალი დასაბუთებული მოსაზრება, მაგრამ²⁸...

ასეთ აქტს მომავალში რა შედეგებიც მოყვებოდა კარგად იგრძნო ზოგიერთმა ქართველმა და აფსუა ბოლშევიკმაც. მათი მეცადინეობის შედეგს წარმოადგენდა 1921 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე რკპ(ბ) ცკ პოლიტიკაში გარკვეული ცვლილებები, რომელმაც აიღო ორიენტაცია აფხაზეთის „ავტონომიზაციაზე“ საქართველოს სსრ შემადგენლობაში.

1921 წლის 16 დეკემბერს საბჭოთა საქართველომ და საბჭოთა აფხაზეთმა ხელი მოაწერეს „განსაკუთრებულ სამოკავშირეო ხელშეკრულებას“, რის საფუძველზეც ფაქტიურად გაერთიანდა მათი ტერიტორია. 1922 წლის თებერვალში აფხაზეთის საბჭოების პირველმა ყრილობამ დაამტკიცა აფხაზეთისა და საქართველოს სსრ სახელმწიფოებრივი გაერთიანება. ამავე დროს მიღებულა საქართველოს სსრ კონსტიტუციაშიც აღინიშნა, რომ აფხაზეთი „უკავშირდება საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას—ამ რესპუბლიკათა შორის დადებულ, განსაკუთრებულ საკავშირო ხელშეკრულების საფუძველზე“²⁹.

საგულისხმოა, რომ 1922 წლის მარტში შექმნილ ამიერკავკასიის ფედერაციაში აფხაზეთი შევიდა, როგორც საქართველოს შემადგენელი ნაწილი.

აფხაზეთის ასეთი სტატუსი, რომ არ შეეფერებოდა არც ისტორიულ და არც რეალურ ვითარებას კარგად გრძნობდნენ საბჭოთა სახელმწიფოს მესვეურებიც. ადრე დაშვებული შეცდომის ნაწილობრივ გამოსწორებას ისახავდა მიზნად ცაქის 1930 წლის აპრილის III სესია, სადაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება გარდაექმნათ „ხელშეკრულებითი“ აფხაზეთი სსრ აფხაზეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად საქართველოს შემადგენლობაში.


ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე 1931 წლის 11 თებერვალს საქართველოს სსრ და აფხაზეთის სსრ საბჭოების VI ყრილობების გადაწყვეტილებით აფხაზეთი შევიდა საქართველოს სსრ შემადგენლობაში ავტონომიური რესპუბლიკის უფლებით.

საქართველოს სასახლვრო-ტერიტორიული ცვლილებების საკითხი მოსკოვმა თავიდანვე საკუთარ პრეროგატივად აქცია. მაგალითად, ზაქათალის ოლქის საქართველოსაგან მოწყვეტისა და აზერბაიჯანისთვის გადაცემის წინაპირობებს საბჭოთა რუსეთი ადრევე შეუდგა. ჯერ კიდევ 1920 წლის 7 ივნისის სხდომაზე რკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა და დაამტკიცა

²⁷ ა. მ. ე. თ. შ. ა. შ. ვ. ი. ლ. დ. სახ. ნაშრომი, გვ. 53, 54.

²⁸ ვაზ. „ტრიბუნა“, 1922, 25 იანვარი.

²⁹ საქართველოს კონსტიტუციური აქტების კრებული (1921—1978), თბ., 1983, გვ. 73.



ჩიხერიძის მიერ წარდგენილი ინსტრუქცია, რომელიც პირველ რიგში ვაჭარ-ლისწინებულებს იყო სერგო ორჯონიკიძისათვის. აღნიშნულ ინსტრუქციასთან ერთად ქათალის ოლქის შესახებ აღინიშნა, რომ „იგი საქართველოში კი არ უნდა შევიდეს, არამედ მიჩნეულ იქნეს სადავო ადგილად. მისი კუთვნილების საკითხი უნდა გადაწყვიტოს შერეულმა კომისიამ რუსეთის სფსრ მიერ დანიშნულ წარმომადგენლებთან ერთად...“³⁰. ასე დაიწყო საბჭოთა რუსეთმა დაპყრობამდე საქართველოს დანაწილება.

როგორც შესავალ ნაწილში აღვნიშნეთ 1919 წლის აგვისტოში ბათუმის ოლქის წარმომადგენელთა ყრილობამ დაადგინა საქართველოსთან შეერთება ავტონომიურ საფუძველზე და გამოჰყო ამ ავტონომიური ერთეულის მმართველი ორგანო, რომლის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა მამედ იბრაჰიმის ძე აბაშიძე.

ბუნებრივია თურქეთთან უკიდურესად დაძაბული ურთიერთობის გამო ყორდანის მთავრობა თანახმა იყო აჭარის ავტონომიური მმართველობისა საქართველოს შემადგელობაში. თუმცა ძნელად ეგუებოდა აჭარის თვითმმართველობას და ცდილობდა მისი უფლებების შევიწროებას, რის გამოც კონფლიქტური სიტუაცია შეიქმნა რესპუბლიკის მთავრობასა და ავტონომიური მმართველობის ხელმძღვანელთა შორის³¹.

აჭარის ავტონომიის იდეა შეიძლებოდა ჩასახულიყო და ჩაისახა კიდევ ერთი ქართველი ხალხის, პირველ რიგში აჭარის მკვიდრი მოსახლეობის არაკეთილმოსურნეთა თეორიულ სამზარეულოში. ამიტომაც მან გასავალი ნახა ადგილობრივი ფეოდალურ-სასულიერო ფენების მხოლოდ ელიტურ ნაწილში. ფართო მასებს, მშრომელ მოსახლეობას და პატრიოტულად განწყობილ ინტელიგენციას ავტონომიის იდეა არც გაუთავისებია და, სამწუხაროდ არც გადაჭრით უარუყვია, ის, რაც იმ დროს ეროვნული ცნობიერების უმწიფარობაზე მიგვანიშნებს³².

საბჭოთა რუსეთისა და თურქეთის დაახლოება ამ ორ ქვეყანას შორის ძმობისა და მეგობრობის ხელშეკრულებით დაგვირგვინდა. იგი 1921 წლის 16 მარტს გაფორმდა მოსკოვში. ეს ის დროა, როცა საქართველოს გასაბჭოების პროცესი მთავრდებოდა. ამ ხელშეკრულებით საბჭოთა მთავრობამ ოფიციალურად ცნო თურქეთის დამოუკიდებლობა, უარი თქვა ამ ქვეყნის მიმართ მეფის რუსეთის ყველა განსაკუთრებულ პრივილეგიაზე და დაუტოვა მას ვრცელი ტერიტორია, რომელიც ადრე რუსეთის იმპერიაში შედიოდა³³.

რუსეთ-თურქეთის აღნიშნული გარიგებით აჭარა საქართველოს შემადგენელ ნაწილად ცნეს. ამასთან რუსეთმა საქართველოს ხარჯზე დიდი ხელგაშლილობა გამოიჩინა და ტერიტორიულ დათმობებთან ერთად, მეორე მხარეს „მტკიცედ“ აღუთქვა, რომ ადგილობრივ მოსახლეობას ავტონომიის მისცემდა, რაც კრემლის დიდმპყრობელური გეგმებითაც იყო გათვალისწინებული. ეს იყო პოლიტიკური ცინიზმის შედეგები: ერთი მხრით, გეგმავენ თურქეთის საზღვრებში მცხოვრები მილიონობით ქართველის დაჩქარებულ ასიმილაციას,

³⁰ ა. ი რ შ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 126.

³¹ ს. ჭ ა ნ ა შ ი ა, თხზ., ტ. VI, თბ., 1988, გვ. 227.

³² დ ხ ა ხ უ ტ ა ი შ ე ი ლ ი, რა მისცა ავტონომიამ აჭარას? ჟურნ. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1991, № 3, გვ. 51.

³³ ლ. თ ო ი ძ ე, ინტერვენციაც ოკუპაციაც ძალდატანებითი გასაბჭოებაც ფაქტობრივი ანექსიაც, თბ., 1991, გვ. 50.



არაფერს ამბობენ მათ პოლიტიკურ უფლებებზე, ხოლო, მეორე მხრივ, თომც და იცავენ აჭარელთა ინტერესებს. გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ქემალისტების ამგვარი პოზიცია ბოლშევიკების შორს გამიზნულ გეგმებს ემთხვეოდა. იგი ფაქტობრივად ცარიზმის რუსეთისა და სულთნის ოსმალეთის ტრადიციული პოლიტიკის ახალი, კოორდინირებული, საბჭოთურ-ქემალისტური გაგრძელება იყო. სავარაუდოა, რომ ავტონომიის საკითხი ხელშეკრულებაში საბჭოთა დელეგაციის ინიციატივით შეიტანეს.

• 1921 წლის 16 ივლისს საქართველოს რევკომის დეკრეტით აჭარა ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოცხადდა.

• ოფიციალურად მიჩნეულია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა შეიქმნა ამ კუთხის სამეურნეო, სოციალური და კულტურული ჩამორჩენილობას დასაძლევად, მაგრამ ფაქტობრივად კრემლი მას იმისთვის ქმნიდა, რომ აჭარის მკვიდრი მოსახლეობა დანარჩენი საქართველოსათვის დაებრისპირებინა, რაც მომავალში გააძვილებდა ქართველთა, მათ შორის მაჰმადიან ქართველთა გარუსების საქმეს, ერთიანი „საბჭოთა ხალხის“ ფორმირებას.

• აჭარაში დაამკვიდრეს ადმინისტრაციულ-მმრძანებლური ხერხებით განხორციელებული ისეთი შეფარული, შეურაცხყოფელი ღონისძიებები, როგორც იყო ქალაქ ბათუმში მკვიდრი მოსახლეობის მიღება-ჩაწერის მკაცრად შეზღუდვა. საამისოდ, თითქმის ყოველთვის, ან ყოველთვის ქალაქის საპასპორტო მაგიდის უფროსად ინიშნებოდა არა ადგილობრივი მკვიდრი (აჭარელი). ამავე დროს აჭარის წყლის ხეობა, საიდანაც ბარი ყოველთვის იღებდა მოსახლეობის ნამატს, „გადაიკეტა“ სამი სასაზღვრო-საჯარისო ხერგილით (მახუნცეთში, ქედასთან და გოდერძის უღელტეხილზე), რაც ბუნებრივია საზღვრების დაცვას მხოლოდ გარეგნულად თუ ემსახურებოდა³⁴.

რისთვის იქნა გამოგონებული ავტონომიური ერთეულები და რას წარმოადგენდნენ ისინი ჩვენს სინამდვილეში?

ოქტომბრის გადატრიალებით მოპოვებული ხელისუფლების შენარჩუნება ბოლშევიკებმა ადრე გაცემული დაპირებების წყალობით მოახერხეს. მათი დაუყოვნებელი რეალიზაცია ახალი ხელისუფლების პრესტიჟისათვის იყო აუცილებელი და იმ მოსალოდნელ წინააღმდეგობათა თავიდან აცილებისათვისაც, რაც დაპირებათა შეუსრულებლობას უეჭველად მოჰყვებოდა. ამასთან ერთად, ადგილობრივ მართვამეგობას ისეთი ფორმა უნდა ჰქონოდა, რომ ხელისუფლებისათვის ხალხის სრული მორჩილებით „სოციალიზმის მშენებლობისათვის“ საჭირო ვითარებაც ყოფილიყო გარანტირებული. გამოყენებულ იქნა იმპერიის ისტორიაში კარგად ცნობილი „სამოურავო სისტემა“: გარკვეული პირი, ამ შემთხვევაში მსხვილი პარტიული ფუნქციონერი, იბარებს ეროვნებასა თუ ერს ტერიტორიითურთ, კისრულობს პოლიტიკურ და სამეურნეო ვალდებულებებს, რომელთა შესასრულებლად აჰყავს ხელქვეითთა შტატი და თავისივე ხალხის მორჩილებისათვის ეყრდნობა მპყრობელი ერის სამხედრო ძალას. ამ ერთეულებს დაერქვათ ავტონომიური „რესპულიკები“, „ოლქები“, „ნაციონალური ოკრუგები“ და სხვა.

საქართველოში როგორც დავინახეთ შექმნეს სამი ავტონომიური წარმონაქმნი. ერთ ფიორა ტერიტორიაზე სამი ავტონომიის არსებობა ინტერნაციონალიზმის ორგონიკიძისეული გეგმის ნაყოფად უნდა ჩაითვალოს. ან უნდა

³⁴ დ. ხახუტაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 53, 54.

მივიღოთ, რომ იგი ოქტომბრის გადატრიალების ქეშმარიტ მიზნებს მიმართულად ერკვეოდა — „დაყავი და იბატონე!“.

ქართველი ერის დამოუკიდებულება რუს ბოლშევიკებს ბურჟუაზიულ ნაციონალიზმად ჰქონდათ მონათლული, ასე იყო საჭირო მათი სახელმწიფოსათვის. ორჯონიძემ აქტიურად უჭერდა მხარს ქართველი ბოლშევიკების უმრავლესობა და, რა თქმა უნდა, თვით სტალინიც ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით. ქართველთა დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვის აღმოსაფხვრელად, პანაცეად იქცა ჩვენი ეროვნული ენერჯისა და ტერიტორიის დაქუცმაცება, ერთა შორის წინააღმდეგობათა გამწვავებისათვის ხელის შეწყობა.

ავტონომიასა და მის დაწესებულებებს ორასი, სამასი ისეთი თანამდებობა ახლავს, რომლებიც ამდენივე პირის კეთილდღეობას უზრუნველყოფს და ის, რომ რაიმე გამორჩეული ნიჭი, ჭკუა და შრომისმოყვარეობა საჭირო არ არა... „მოურავი ამ თანამდებობებს ახლობლებსა და სანდო პირებში ანაწილებდა. იქმნებოდა სიბარიტების კასტა, რომელიც მომდევნო, მხვეჭელთა ფენას აყალიბებდა და მის კანონსაწინააღმდეგო საქმიანობას მფარველობდა ყოველთვისური ფულადი თუ სხვა რამ ღირებულებრივი მონართმევის საკომპენსაციოდ. მხვეჭელები, ხაზინისა და ხალხის ძარცვით, სარფიანი ადგილები გაყიდვით, სპეკულაციით, ხელქვეითთა დაბეგვრით ქრთამითა და სხვა საშუალებებით მდიდრდებოდნენ, ამდიდრდნენ მფარველებს და, რა თქმა უნდა, მორჩილებაში ჰყავდათ თავისი კლანები. ასე ხორციელდებოდა რეგიონში სიმშვიდე, სტაბილურობა და ადგილობრივი „პირველი კაცის“ ვალდებულებების შესრულება³⁵.

სრულიად შეუძლებელია ნორმალური ლოგიკით ახსნა, თუ რატომ მიენიჭათ ერთგან ეროვნულ უმცირესობებს ავტონომიის სტატუსი და სხვაგან საერთოდ არაფერი, რომ აღარაფერი ვთქვათ ასეთი წარმონაქმნების ისტორიულ უნიადაგობაზე.

ვერც საბჭოთა კავშირის კონსტიტუციაში და ვერც საბჭოთურ იურიდიულ ლიტერატურაში ვერ იპოვით განმარტებას — როდის, როგორ, რა პირობით, რა უფლებებით შეიძლება მიიღოს ამა თუ იმ ხალხმა ავტონომირობა. ყველა საბჭოთური ავტონომია შექმნილია სსრკ-ის იმდროინდელ მმართველთა გუნება-განწყობილების შეზამისად.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოს ქვეყნების გამოცდილებაში და სამართლებრივ კონცეფციებში პოლიტიკური ავტონომია სრულებით არ გვევლინება ეროვნულ უმცირესობათა პრობლემების გადაჭრის საუკეთესო გზად. არც ერთი საერთაშორისო დოკუმენტი არ შეიცავს ასეთი ავტონომიის შექმნის სახელმწიფო ვალდებულებებს³⁶.

ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ რუსეთში არსებულ ავტონომიებსა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქართველოში შექმნილ ავტონომიურ წარმონაქმნებს შორის პრინციპული განსხვავებაა და არ შეიძლება მათი საერთო, საბჭოთა სახელმწიფოს თვალთახედვით განხილვა. გარკვევით უნდა ითქვას, რომ რუსეთში არსებული თითქმის ყველა (თუ აბსოლუტურად ყველა არა) ავტონომიური წარმონაქმნი არის რუსეთის მიერ სხვადა-

35 აფხაზეთის სისხლიანი ქრონიკები, თბ., 1993, გვ. 19—20.

36 საქართველოს რესპუბლიკა, 1992, 31 იანვარი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

სხვა დროს დაპყრობილი თუ „ნებით შეერთებული“ (რატომ ვაძულებთ?) ქვეყნები. მაგალითად, ჩრდილო კავკასიის ტერიტორია, სადაც შემდეგ რუსეთის ფედერაციაში შემავალი ავტონომიური ერთეულები შეიქმნა, ჩრდილო ოსეთის, ყაბარდო-ბალყარეთის, ჩეჩენ-ინგუშეთის, დაღესტნის... სხვადასხვა დროს რუსეთის მიერ დაპყრობილი, თუ სხვადასხვა პირობით შეერთებული მიწა-წყალია.

სულ სხვა ვითარებაა საქართველოში. რაც შეეხება აჭარას, ყველამ კარგად ვიცით, რომ აჭარა საქართველოა და აჭარლები ქართველები არიან. ყველაზე კარგად ეს თვით აჭარლებმა იციან და აჭარის პრობლემა არ დგას და, ალბათ არც დადგება.

ის ტერიტორია კი, სადაც საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შეიქმნა აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ერთეულები, უძველესი დროიდან ქართული მიწა-წყალია, ქართულ სახელმწიფოთა ფარგლებში მყოფი რეგიონებია³⁷.

1992 წლის 3 მარტს ვაშინგტონში, რადიოსადგურ „ამერიკის ხმის“ სააქტო დარბაზში ჩატარდა კონფერენცია, რომელიც ბჭობდა ყოფილ საბჭოთა კავშირში არსებულ მდგომარეობაზე. განხილულ საკითხთაგან ერთ-ერთი ცენტრალური იყო სიტუაცია კავკასიაში, მათ შორის საქართველოში. ამ თემაზე ისაუბრა ცნობილმა ამერიკელმა სოვეტოლოგმა, პროფესორმა ვიქსმანმა. პროფესორმა აღნიშნა, რომ „ჩემს მრავალ პუბლიკაციაში ვსვამ კითხვას: რატომ არსებობს საერთოდ აფხაზეთის ავტონომია? ვანა საგულისხმო არ არის ის ფაქტი, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა თავიდან მხოლოდ 34 ათასი აფხაზისათვის შეიქმნა? — ვიქსმანის მართებული დასკვნით — თავიანთი ტერიტორიის საკითხებს ქართველები საქართველოში კი არ წყვეტდნენ, არამედ მოსკოვში ხდებოდა“.

კონფერენციის შემდეგ მიცემულ ინტერვიუში პროფესორი ვიქსმანი შეეხო ყოფილ სამხრეთ ოსეთის საკითხს: „ეჭვი არ არის, რომ ქართველებისათვის ძალზე მნიშვნელოვანია სამხრეთ ოსეთის პრობლემა. ეს საქართველოა. ოსებმა გადმოლახეს საქართველოს საზღვარი მონღოლ-თათართა კავკასიაში ყოფნისას. ქართველებმა შეიფარეს ოსები. ჩემთვის, — ამბობს ამერიკელი ექსპერტი, — ნახსენებ საკითხთა შორის ყველაზე ბუნდოვანია სამხრეთ ოსეთის პრობლემა. საერთოდ, ისმის კითხვა: რატომ გაჩნდა ეს პრობლემა? არაფერია იმაზე ნათელი, რომ სამხრეთ ოსეთი საქართველოა“³⁸.

და ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ეროვნულ უმცირესობას არ შეიძლება ჰქონდეს საკუთარი სახელმწიფოს შექმნის უფლება, რადგან, ეს პირველ ყოვლისა, არსებული სახელმწიფოების ტერიტორიულ მთლიანობას აყენებს საფრთხეს ქვეშ და ეთნო-კონფლიქტების გამოწვევის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ხდება. როგორც ცნობილია, საერთაშორისო სამართალი თვითგამორკვევის უფლებას აძლევს მხოლოდ კოლონიურ და დამოკიდებულ, ე. ი. ძალით მიერთებულ და მორჩილებაში მყოფ ხალხებს. ეროვნულ უმცირესობას კი, რომელიც სხვადასხვა ისტორიული კატაკლიზმების შედეგად უცხო ქვეყნის ბინადარი გახდა, მიუხედავად ცხოვრების დროის ხანგრძლივობისა თვითგამორკვევის უფლება არა აქვს.

³⁷ მ. ლ. ო. რ. თ. ქ. ი. ფ. ა. ნ. ი. მ. ე, ომი მშვიდობამ უნდა შეცვალოს, „საქართველოს რესპუბლიკა“, 12 იანვარი.

³⁸ ვაზ. „დრონი“, 1992, 25 აპრილი.

А. В. СОНГУЛАШВИЛИ

ПРАВОВОСТЬ СОЗДАНИЯ АВТОНОМНЫХ ФОРМИРОВАНИЙ НА ТЕРРИТОРИИ ГРУЗИИ

(Резюме)

В период укрепления Советской власти на территории Российской Империи с целью приобретения сторонников большевики предоставляли национальным меньшинствам автономное правление. Например, Юго-Осетинская автономная область была создана после насильственной советизации Грузии, когда проживающим в Самачабло осетинам посредством Орджоникидзе Советская Россия пожаловала автономию как «плату» за четыре восстания против демократической Республики Грузии.

ძველ ქართლში (იბერიაში) ორმეფობის ისტორიის საკითხისათვის

ლეონტი მროველის მიხედვით „ადრეკის ესხნეს ორნი ძენი, რომელთა ერქუა სახელად ერთსა ბარტომ და მეორესა ქართამ. და ამათ განუყო ყოველი ქუეყანა თვისი“. ადრეკისთან დაკავშირებით მოყვანილია შემდეგი ქრონოლოგიური ცნობა: „...ოცდაათის წელსა მეფე იქმნა და ორმოც და შვიდმეტ წელ მეფობდა. ხოლო პირველსავე წელსა მეფობასა მისისა იშვა უფალი ჩუენი იესო ქრისტე, ბეთლემს ურიასტანისასა“¹. ე. ი. ქართლი ორად გაიყო ადრეკის მეფობის დასასრულს, ახ. წ. I საუკუნის მეორე ნახევარში. ანალოგიური ცნობა დაცულია „მოქცევაი ქართლისაიში“: „და მეფობდა (ადე) როკ, რომელმან რაითურთით მცხეთაი გაიშორა. და მეფობაი ორად გაიყო, ორნი მეფენი დასხდეს იმიერ და ამიერ“². მაგრამ, „ორმეფობის“ პერიოდის დასაწყისი, აღნიშნულ წყაროში, შედარებით ადრეულ ხანაში არის ნაგულისხმება, რადგან ქრისტეს ჯვარცმის თანადროულ მეფედ „მოქცევაიში“ გამოყვანილია ადერკის შვილიშვილის შვილი — მეფე ამაზაერი, რომელიც ლეონტი მროველის ცნობით მოღვაწეობს ადერკის „შემდგომად მრავალთა წელიწადთა“³. აქედან გაჟომდინარე, ქართლში „ორმეფობის“ პერიოდის დაწყება სავარაუდლოა ძვ. წ. II—I სს.

უცხოური წყაროები და ისეთი მნიშვნელოვანი ეპიგრაფიკული ძეგლი, როგორცაა მცხეთის ბერძნული წარწერა, ახ. წ. I საუკუნის დასაწყისიდან ვიდრე 80-იან წლებამდე იბერიის მეფეებად ასახელებენ მითრიდატე I, ფარსმან I, მითრიდატე II და არ ადასტურებენ ქართლში „ორმეფობის“ არსებობის ფაქტს⁴. საურმაგ კაკაბაძემ, თვით ლეონტი მროველის თხზულებაში შემონახული მეფე ადერკის გენეალოგიის შესწავლის საფუძველზე, მისი ზეობის პერიოდი სომხეთის მეფე არტაშეს I (ძვ. წ. 189—დაახლ. 160) ხანაში ივარაუდა⁵, ხოლო გიორგი მელიქიშვილის ქრონოლოგიური გამოთვლით ადერკის ძეთა — ბარტომისა და ქარტამის მეფობის წლები ძვ. წ. 169 წელს ემთხვევა⁶.

1 ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955., გვ. 43 და 35.

2 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ტ. I, თბ., 1963., გვ. 81.

3 გ. ა რ ა ხ ა შ ი ა, მოქცევაი ქართლისაი და ცხოვრება ქართველთა მეფეთა, ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევები, თბ., 1991., გვ. 61.

4 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, რედ. გ. მელიქიშვილი, თბ., 1970., გვ. 510 და შემდეგ; გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, მცხეთის ბერძნული წარწერა ვესპასიანეს ხანისა, თბ., 1952., გვ. 15.

5 С. С. К а а б а д з е, Некоторые вопросы хронологии древней Картли по Грузинским источникам, Палестинский сборник, вып. 13 (76), Тб. 1965., с. 122—125.

6 გ. მელიქიშვილი, ქართლის (იბერიის) მეფეთა სიებში არსებული ხარვეზის შესახებ, მაცნე, ისტორიის სერია № 3, 1978., გვ. 53—56.



ქართლის ცხოვრებაში „ორმეფობის“ პერიოდში აღწერილი იმეფობები, რომ ძვ. წ. II საუკუნეს განეკუთვნება, დასტურდება სომხური წყაროებითაც. ლეონტი მროველი აგვიწერს ქართლის მეცამეტე მეფეთა — აზორკისა და არმეზელის ბრძოლებს სომხეთის მეფე არტაშანთან და მის სპასპეტ სუმბატ ბივრიტიანთან⁷. ამავე ლაშქრობებზე მოგვითხრობს მოვსეს ხორენაციც, რომელიც არტაშესისა და სუმბატ ბივრიტიანის შესახებ ცნობებს, ისევე როგორც ლეონტი მროველი, ქრონოლოგიის დიდი დარღვევით გადმოგვცემს. არტაშესი და მისი სპასპეტი სუმბატი სომხეთის არშაკიდების ხანის მოღვაწეებად არიან გამოყვანილი და ახ. წ. I საუკუნის რომის იმპერატორთა თანამედროვეებად გვევლინებიან⁸. სომხურ ისტორიოგრაფიაში, მოვსეს ხორენაციის ქრონოლოგიური სისტემის ანალიზის საფუძველზე დამტკიცებულია, რომ სუმბატ ბივრიტიანის ლაშქრობათა ციკლი არტაშეს I (ძვ. წ. 189—160) მეფობის ხანას ასახავს, რაც გ. მამულიას აძლევს საშუალებას, ლეონტის წყარო სუმბატ ბივრიტიანის ლაშქრობებზე ამავე პერიოდის მოვლენებს დაუკავშიროს⁹.

შეკვლევართა უმრავლესობა, ძველ ქართლში „ორმეფობის“ დამყარების მიზეზად ასახელებს სომხეთის სახელმწიფოს, რომლის მეფეებს არტაქსიას (არტაშესი) და ზარიადრეს (ზარეპი), მთელი რიგი პროვინციები ჩამოუჭრიათ იბერიისათვის¹⁰. „მოქცევაი ქართლისაი“ და ქართლის ცხოვრება ასეთი დასკვნის გამოტანის საშუალებას არ იძლევა. მეფე ადრეკი, მცხეთის მშენებლობის დასრულების შემდეგ, გაურკვეველი მიზეზით, სამეფოს უნაწილებს ქარცხისა და ბარტომს. მხოლოდ, შემდგომი წყვილი მეფის — ფარსმანისა და კაოსის მოღვაწეობის უამს, ლეონტი მროველის თქმით: „მეფე იქმნა სომხითა დიდი იგი მეფე იარვანდ, და დაივიწყა მან კეთილი ქართველთა... და მიუღო საზღვარსა ქართლისასა ქალაქი წუნდა და არტანი მტკვრამდე“¹¹. იარვანდის მიერ ჯავახეთის მიტაცება, რომ რეალურ ისტორიულ ფაქტს ასახავს, დამაჯერებლად აჩვენა თავის გამოკვლევაში გ. მამულიამ, მაგრამ ეს მოვლენა მან ძვ. წ. IV ს-ის 40-იანი წლებით დაათარიღა¹².

აქემენიდური ირანის სომხეთის სატრაპიის მმართველებად ცნობილ არისტოკრატიული სახლის წარმომადგენლები — იარვანდიანები ინიშნებოდნენ. იარვანდ სახელით ცნობილი სატრაპი დასტურდება დარიოს III (ძვ. წ. 336—330) მეფობის წლებში. ამავე სახლს ეკუთვნოდა სომხეთის მმართველი იარვანდ უკანასკნელი (დაახლოვებით ძვ. წ. 200—189), როდესაც იარვანდიანთა დინასტია სომხეთში არტაშესიდებმა შესცვალეს¹³. მოვსეს ხორენაციის ცნობით, „უკანასკნელი დარეპის“ (დარიოს III — გ. მ.) მეფობის მერვე წელს ტახტა დაუკავებია იარვანდს, რომელსაც შებრძოლებია არტაშესი და სუმბატ ბივრი-

⁷ ქართლის ცხოვრება, გვ. 48.

⁸ მოვსეს ხორენაცი სომხეთის ისტორია, თბ., 1984., გვ. 139.

⁹ გ. მამულია, კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბება ძველ ქართლში, თბ., 1979., გვ. 129, იხ. იქვე ლიტერატურა.

¹⁰ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, გვ. 465—466; გ. მამულია, დსახ. ნაშრომი..., გვ. 116.

¹¹ ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 44.

¹² გ. მამულია, დსახ. ნაშრომი, გვ. 94 და შემდეგ.

¹³ Г. Х. Саркисян, Образование Армянского царства, История Армянского народа, Ереван, 1980., с. 32.



ტიანის დახმარებით მოუკლავს იგი¹⁴. გამოდის, რომ იარვანდი გააფრთხილდა ძვ. წ. IV საუკუნეში და ტახტი დაუკარგავს II საუკუნეში. როგორც სამართლიანად მიუთითებს გ. მამულია მოვსეს ხორენაცისა და ლეონტი მროველს ანალოგიური შეცდომა მოუვიდათ, როცა სახელთა იგივეობის გამო იარვანდ უკანასკნელზე და დარიოს III ხნის სომხეთის სატრაპ იარვანდ დიდზე არსებული გადმოცემები გააერთიანეს. ქართლის ცხოვრებაში იარვანდ დიდმა იარვანდ უკანასკნელის სახე მიიღო, რადგან ლეონტი მროველის მიხედვით სუმბატ ბივრიტიანი ქართლზე ორმეფობის ხანაში ლაშქრობს, ხოლო მისივე ცნობით იარვანდს სწორედ სუმბატი ჰკლავს. ამიტომ ჩაუბრუნო ლეონტიმ იარვანდ დიდის გადმოცემა ჯავახეთის მიტაცების შესახებ „ორმეფობის“ ხანაში¹⁵.

ანტიოქოს III (ძვ. წ. 223—187) მმართველობის პერიოდში, სელევკიდების რიგით სატრაპიად ქვეყნული სომხეთი ვერ შეძლებდა ძლიერების ზენიტში მყოფი იბერიის ტერიტორიის მიტაცებას¹⁶. არტაშეს I (189—160), როგორც ცნობილია, ქართლის სამეფოს ჩამოჭრა მნიშვნელოვანი მიწა-წყალი, რომელშიც ჯავახეთი შედიოდა, რაც მიუთითებს იმაზე, რომ იარვანდ უკანასკნელის (200—189) მმართველობაში ეს პროვინცია სომხეთის საზღვრებში არ შედიოდა. ამიტომ, ჯავახეთის მიმტაცებლად უნდა ჩათვალოს დარიოს III (ძვ. წ. 336—339) თანამედროვე სატრაპი-იარვანდ დიდი¹⁷. მაგრამ, ძვ. წ. IV საუკუნის 40-იან წლებში ის ვერ შეძლებდა ჯავახეთის დაპყრობას, რადგან ამ დროს იარვანდიანთა სახლს ჩამორთმეული ჰქონდა სომხეთის მმართველობა¹⁸. შესაძლოა ამის მიზეზი გახდა არტაქსერქსე III (ძვ. წ. 405—359) წინააღმდეგ მიმართული, კაპადოკიის სატრაპი დატამის აჯანყება, რომელშიც მონაწილეობას იღებდა მცირე აზიის თითქმის ყველა სატრაპი, მათ შორის ორონტი — სომხეთის მმართველი¹⁹. ყოველ შემთხვევაში ფაქტია, რომ ძვ. წ. IV საუკუნის 40-იანი წლებიდან სომხეთის სატრაპიას განაგებდა კოდომანი, აქემენიანთა გვარიდან, რომელმაც ძვ. წ. 336 წლიდან დარიოს III სახელით სპარსეთის ტახტი დაიკავა, ხოლო XIII სატრაპია ჩააბარა იარვანდ III-ს, — ქართულა წყაროების იარვანდ დიდს²⁰. ძნელი წარმოსადგენია, რომ იმ პერიოდში, როცა აქემენიდები მარცხს — მარცხზე განიცდიდნენ ბერძენ-მაკედონელთა ლაშქართან, იარვანდ III-ს დამოუკიდებელი ლაშქრობა წამოეწყო ჯავახეთის დაპყრობის მიზნით, მით უმეტეს შეუძლებელი გახდებოდა ეს დარიოს III-ის სიკვდილის შემდეგ (330 წ.), როცა ალექსანდრე მაკედონელმა სომხეთის სატრაპია თავის ერთგულ, ლიდის დედაქალაქ სარდესის ყოფილ თავს — მითრენს ჩააბარა²¹.

ძვწ. 323 წელს, ალექსანდრე მაკედონელის გარდაცვალების შემდეგ, სომხეთის სატრაპია ნეოპტოლემოსს ერგო. იმპერიის დანაწილებისთანავე ალექსანდრეს მემკვიდრე სარდლები (დიადოხები) ერთმანეთთან გაუთავებულ

14 მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, გვ. 132—138.

15 გ. მამულია, დასახ. ნაშრომი..., გვ. 95 და შემდეგ,

16 Г. Х. Саркисян, დასახ. ნაშრომი, გვ. 36.

17 გ. მამულია, დასახ. ნაშრომი..., გვ. 98,

18. Г. Х. Саркисян, დასახ. ნაშრომი, გვ. 36.

19 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, გვ. 441; ბერძნული ორონტი იგივეა, რაც სომხური იარვანდ, იხ. გ. მამულიას დასახ. ნაშრომი.

20 Г. Х. Саркисян, დასახ. ნაშრომი, გვ. 32.

21 გ. მამულია, დასახ. ნაშრომი, გვ. 105, იხ. იქვე ლიტერატურა.



ომებში ჩაებნენ²². შინაომთ ისარგებლა დარიოს III-ის არა ერთხელ დასაპყრობად, რომლებმაც თავი დამოუკიდებელ მეფეებად გამოაცხადეს. ასე მოიქცა მაგალითად, ჩრ. მიდიის სატრაპი ატროპატე, რომელმაც არა თუ შეინარჩუნა ძალაუფლება, არამედ ლაშქრობა მოაწყო ამიერკავკასიაში და დაიმორჩილა ალბანელები და საკასენელები²³. ამავე პერიოდში, ისტორიის ასპარეზზე კვლავ გამოდის დარიოს III-ის ნახარაად ყოფილი იარვანდი. იგი გვევლინება დამპარსებლად ე. წ. არარატის სამეფოსი, რომლის ძირითადი ტერიტორია მოიცავდა აქემენიდური ირანის XVIII სატრაპიის ნაწილს²⁴.

პეროდოტე, აგვიწერს რა აქემენიდების დაპყრობების წინ არსებულ პოლიტიკურ სიტუაციას, მიდიის ძლევამოსილ სამეფოს გვერდით მოიხსენიებს სასპერების მსხვილ გაერთიანებას, რომელიც მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, მოიცავდა თანამედროვე აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიასაც²⁵. ამ გაერთიანების ძირითადი ცენტრები განლაგებული უნდა ყოფილიყო ისტორიულ სპერში. მდ. ჭოროხის ზემო დინებაზე, ხოლო მოსახლეობის უდიდეს ნაწილს შეადგენდნენ აღმოსავლეთ ქართული ტომები²⁶. აქემენიდური ირანის იმპერიის შექმნის შემდეგ, სასპერები მოექცენ XVIII სატრაპიის შემადგენლობაში. მათთან ერთად ამ აღმინისტრაციულ დანაყოფში გაერთიანებული იყვნენ: ხურიტული ტომები მატიანები, რომლებსაც გ. მელიქიშვილი ათავსებს ვანის ტბის დასავლეთით და ჩრ. დასავლეთით; აგრეთვე გადარჩენილი ურარტული მოსახლეობა ალაროდები, — ისინი მოსახლეობდნენ ვანის ტბის ჩრდილოეთით მდებარე რაიონებში²⁷.

XVIII სატრაპია წარმოადგენდა ხელოვნურად შექმნილ კონგლომერატს. მისი არსებობა შესაძლებელი იყო მხოლოდ ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების არსებობის პირობებში. ბერძნებთან განცდილი მარცხის შემდეგ ირანის შიდაპოლიტიკური ვითარება მკვეთრად გაუარესდა. ძვ. წ. V — საუკუნის დასასრულს, როცა XVIII სატრაპიის ტერიტორიაზე ქსენოფონტემ გაიარა (ძვ. წ. 401 წ.), ტაოხების ტომის ერთი ნაწილი უკვე აღარ ემორჩილებოდა სპარსელებს. აღნიშნულ პროვინციას ქსენოფონტე დასავლეთ სომხეთს უწოდებს. ხოლო მის სატრაპს ტირიბაზს „ჰესპერიტებისა“ და „ფასიანების“ მმართველს. ამ მონაცემებზე დაყრდნობით გ. მელიქიშვილი ვარაუდობს, რომ აქემენიდური ირანის ჩრ. საზღვარი სადღაც ძველი ქართული პროვინციის, — ტაოს ტერიტორიაზე გადიოდა. აქ თავდებოდა „სპარსული ქართლი“; ანუ როგორც მას „მოქცევაი ქართლისაი“ უწოდებს, „არიან ქართლი“, რომლის ჩრდილოეთით მცხოვრები ქართული მოსახლეობა უშუალოდ არ ემორჩილებოდა აქემენი-

²² Всемирная история, т. I, М., 1956 с. 224—230.

²³ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, გვ. 464, საკასენე მდებარეობდა კამბისენეს, ქართული კამბეჩოვანის სამხრეთ-აღმოსავლეთით. იხ. История СССР с древнейших времен до наших дней, М., 1966, т. I, с. 197.

²⁴ История СССР с древнейших времен до наших дней, 1959, с. 233.

²⁵ დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, თ., 1977, გვ. 69; Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тб., 1959, с. 233.

²⁶ Г. А. Меликишвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 233—234.

²⁷ იქვე, გვ. 256—257.

დებს²⁸. არ არის გამორიცხული, ძვ. წ. IV ს-ის 30-იან წლებში, აქემენიდური ირანის მსხვერვის პერიოდში, „არიან-ქართლსაც“ გადაეგდო უცხო უფელი.

სპარსეთის დაპყრობის შემდეგ, ალექსანდრე მაკედონელის საშინაო პოლიტიკა მიმართული იყო მდგომარეობის სტაბილიზაციისაკენ. იგი შეგნებულად ტოვებდა დარიოს III სამსახურში მყოფ ირანული არისტოკრატიული გვარების წარმომადგენლებს არა ერთი პროვინციის სათავეში. ამ მიზანს ემსახურებოდა სომხეთის სატრაპად მითრენის დანიშვნა, რომელიც ასევე, იარვანდიანთა სახლს ეკუთვნოდა. მითრენს, როგორც ალექსანდრეს მიერ განწესებულ ხელისუფალს, მაკედონელთა ხელში გადასული აქემენიდური იმპერიის, ჩვენთვის საინტერესო რეგიონის ბედი ეკითხებოდა. მოვსეს ხორენაცი პირდაპირ მიუთითებს, რომ იბერთა დიდი ბდესშების საგვარეულო „გამოსული იყო ნათესავისაგან მოპრდატისა, დარევის (დარიოს III.—გ. მ.) ნახარარისა. რომელიც დააყენა (მმართველად) ალექსანდრემ იბერთა ქვეყანაზე“²⁹. სწორედ ამ მონაცემებზე დაყრდნობით ვარაუდობს გ. მამულია, რომ „არიან ქართლისი მმართველმა სახლმა ურთიერთობა დაამყარა XIII სატრაპიის ხელისუფალ მითრენთან³⁰. „მოქცევაი ქართლისაის“ მიხედვით, აზო არიან-ქართლის მეფის ძეა, მისი მამა, იბერიის სამეფოს წინამორბედი პოლიტიკური გაერთიანების ხელისუფალია³¹. დასაშვებია, რომ „არიან ქართლი“ უკვე ამ ეტაპზე აღარ წარმოადგენს რომელიღაც ადმინისტრაციული ერთეულის შემადგენელ ნაწილს და მისი უფალი უშუალოდ შესულიყო მაკედონელთა მფარველობაში მითრენის შვილობის საშუალებით³².

ძვ. წ. 323 წელს, ალექსანდრე მაკედონელის გარდაცვალების შემდეგ, მის დიადოხებს შორის გამართული შინაომების დროს, უზარმაზარი იმპერიის ტერიტორიაზე სოკოებივით დაიწყეს აღმოცენება ახალმა სახელმწიფოებმა. იბერიის სამეფოს ფორმირებაც, ამ პროცესთან ჩანს დაკავშირებული.

ძვ. წ. 322 წელს დამოუკიდებელი გახდა მცირე სომხეთი, რომელიც გ. მელიქიშვილის აზრით, წარმოადგენდა XVIII სატრაპიისა და ქსენოფონტესელი პროვინცია დასავლეთ სომხეთის მემკვიდრეს. ეს სამეფო მდებარეობდა ისტორიული სპერის სამხრეთ-დასავლეთით, მდ. ეფრატის (ყარა-სუ) და მდ. ჰალისის სათავეებთან³³. ყოფილი XIII სატრაპიის დაუფლებას ცდილობდნ სელევკიდები, რომელთა პოზიციები მეტ-ნაკლებად მყარი იყო ვანის ტბის მიდამოებში და ნაწილობრივ სოფენაში. მაგრამ, უფრო ჩრდილოეთით

²⁸ Г. А. Меликишвили, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 268.

²⁹ მოვსეს ხორენაცი, გვ. 106—107 და გვ. 111.

³⁰ გ. მამულია, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 104—107.

³¹ მოქცევაი ქართლისაი, გვ. 81.

³² ვასალად მოკიდებას ძველ ქართლში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, შეილად მოკიდებას უწოდებდნენ, იხ. დაწერილებით, გ. მამულიას *დასახ. ნაშრომი*, გვ. 105—107; აქვე აღვნიშნავთ რომ მაკედონელთა მფარველობაში შესვლას, შესაძლოა თან ახლდა გარკვეული ძალდატანებაც. ამ მხრივ, ყურადღებას იმსახურებს ცნობა ალექსანდრე მაკედონელის მიერ თავისი სარდლის — მენონის საგანგებო რაზმით სპერში გაგზავნის შესახებ. ეს ექსპედიცია პარცით დასრულებულა. იხ. ამის შესახებ, *История Армянского народа*, Ереван., 1951., ч. I, с. 31.

³³ Очерки истории Грузии, т. I, Тб., 1989, с. 276; История СССР с древнейших времен до наших дней, с. 260.



მათი ძალაუფლება არ ვრცელდებოდა³⁴. ძვ. წ. 322—316 წლებში, ძველ ქართლში, შუა დინებაზე, პეროდოტეს მიერ ნახსენებ ალაროდების ტერიტორიაზე, რომელთა არმენიზაციის პროცესი დიდი ხანია ინტენსიურად მიმდინარეობდა, ყალიბდება ე. წ. არარატის სამეფო, დედაქალაქით არმავირი (ძველი არკ-შტიხინილი)³⁵. ძვ. წ. 316 წელს იარვანდ III დამოუკიდებელი ხელისუფალია და ძლიერების ზენიტში იმყოფება: ლოგიკური იქნება, თუ იარვანდ დიდის მიერ ჯავახეთის დაპყრობას ძვ. წ. IV ს-ის ათიან წლებში ვივარაუდებთ.

ამრიგად, სელევკიდები ვერ აკონტროლებდნენ მცირე სომხეთისა და არა-რატის სამეფოების ტერიტორიებს, მით უმეტეს მათთვის მიუწვდომელი იქნებოდა „არიან-ქართლი“. როგორც ჩანს, ამ პოლიტიკური გავრთიანების ფორმირება მიმდინარეობდა სომხურ სახელმწიფოებთან ჰიდრილში და საწყის ეტაპზე მათი უპირატესობითაც, რის გამოძახილსაც წარმოადგენს იარვანდის მიერ ჯავახეთის მიტაცება.

სომხურ სამეფოებთან ბრძოლაში, „არიან ქართლი“ საჭიროებდა ძლიერი მოკავშირის დახმარებას. ძველი ქართული ისტორიული ტრადიციის მიხედვით, აზოს მიერ წარმოებულ საომარი მოქმედების დროს, ასეთ ძალად გვევლინება საბერძნეთი, რომელიც საქართველოს მოსახლეობისთვის წინა აზიასი იწყებოდა³⁶.

ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის დანაწილების შემდეგ, წინა აზიის დიდი ნაწილი ერგო მის ერთ-ერთ სარდალს — ევემენს. მას უნდა გაეკონტროლებინა კაპადოკია და შავი ზღვის სამხრეთი სანაპირო პაფლაგონიიდან ტრაპიზონის ჩათვლით³⁷. აღნიშნული სატრაპიების დაპყრობის მიზნით გალაშქრებული ევემენი, საკუთარმა ჯარმა „ჩააბარა“ დიდი ფრიგიის სატრაპ ანტიგონს. ძვ. წ. 316 წლიდან მის ხელში გადავიდა თითქმის ყველა ზემო სატრაპია და შავი ზღვის სამხრეთი სანაპირო, აგრეთვე ფრიგია, კაპადოკია, ფინიკია, სირია, ჩრ. მესოპოტამია. გაძლიერებულმა ანტიგონემ მოაკვლევინა მიდიის სატრაპიც. ამით შეშინებული სელევკი გაიქცა ბაბილონიდან და თავი შეაფარა პტოლემაიოსს ეგვიპტეში³⁸. ძვ. წ. 301 წელს, იფსოსთან გამართულ ბრძოლამდე, ანტიგონე ცალთვალა და მისი ვაჟი დემეტრიოსი უცილობლად ბატონობდნენ წინა აზიაში. ანტიგონეს დაღუპვის შემდეგ ეს რეგიონი ლისიმაქეს ხელში (ქართული წყაროების ბიზანტიოსი?)³⁹ გადავიდა. ლისიმაქე ძირითადად ანტიგონეს პოლიტიკის გამგრძელებელი იყო. მისი ხელისუფლება წინააზიის ჩრ. აღმოსავლეთ ნაწილში ეფემერულ ხასიათს ატარებდა, თუმცა ძვ. წ. 281 წლამდე, — სერო-ოზულ გავლენას ახდენდა აღნიშნული რეგიონის პოლიტიკურ ცხოვრებაზე⁴⁰. „არიან ქართლის“ მოკავშირედ სწორედ ეს ელინისტური სახელმწიფო უნდა ვიგულისხმოთ, რადგან მკვლევართა აბსოლუტური უმრავლესობა აზოს მიერ ქართლის დაპყრობას და იბერიის სამეფოს წარმოქმნას ძვ. წ. IV ს-ის დასას-

³⁴ Всемирная история, т. I, с. 260.

³⁵ История СССР с древнейших времен до наших дней, с. 195.

³⁶ Г. А. Меликишвили, დასახ. ნაშრომი გვ. 440.

³⁷ М. И. Максимова, Античные города юго-восточного причерноморья, М., с. 173.

³⁸ Всемирная история, т. I, с. 225—227.

³⁹ Ю. М. Гагошидзе, Самадло I, Тб., 1979, с. 98.

⁴⁰ М. И. Максимова, დასახ. ნაშრომი, გვ. 174.



რულით ათარიღებს⁴¹. ამ მოვლენას წინ უძღოდა აზოს მიერ ბიზანტიის
არტანიდან სომხების განდევნა. „მოქცევაი ქართლისაის“ და ლეონტი მროვე-
ლის თხზულებაში, ან მათ წყაროებში დატული უნდა ყოფილიყო გარკვეულ
ინფორმაცია აღნიშნული ამბების შესახებ, მაგრამ მათი კვალი შეერწყა სუმბატ
ბივრიტიანის ლაშქრობათა ციკლს, მას შემდეგ, რაც ორ სხვადასხვა იარვანდზე
არსებული გადმოცემების აღრევის შედეგად, ჯავახეთის მიტაცების ეპიზოდზე
ჩართულ იქნა „ორმეფობის“ ხანაში. შესაძლებელია ამის ანარეკლი იყოს
წუნდა-არტანის დაბრუნებისათვის მებრძოლი მეფის სახელი აზორკი, რო-
მელიც მეტად ახლოს დგას აზო-აზონთან⁴².

ამრიგად, გადმოცემას სომხეთის მეფე იარვანდის მიერ ჯავახეთის დაპყ-
რობის შესახებ დიდი მნიშვნელობა აქვს იბერიის სამეფოს წარმოქმნის ის-
ტორიისათვის, მაგრამ იგი არ ასახავს ქართლში „ორმეფობის“ პერიოდის მოვ-
ლენებს ფარსმან-კაოსის „თავგადასავლის“ „ორმეფობიდან“ ამოგდებით,
შემდეგი წყვილი მეფის, აზორკისა და არმაზელის შესახებ არსებულ გადმო-
ცემას „ეკარგება“ სიუჟეტის დასაწყისი, სადაც აღწერილი უნდა ყოფილიყო
ჯავახეთის დაპყრობის ამბები. ქართლის ცხოვრებაში კი სუმბატ ბივრიტიანის
ლაშქრობები, ამ ეპიზოდის ლოგიკური გაგრძელებაა. ლეონტი მროველი პირ-
დაპირ მიუთითებს; „მოჰკლა სუმბატ ბივრიტიანმა იარვანდ, მეფე სომეხთა,
და დასვა ძმა იარვანდისი, რომელსა ეწოდებოდა სახელად არტამან⁴³. ეს გა-
რემოება გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ სუმბატ ბივრიტიანის ლაშ-
ქრობათა ციკლის ჩართვა იარვანდის მიერ ჯავახეთის მიტაცების ეპიზოდის
შემდეგ, უშუალო კავშირშია ორი იარვანდის შესახებ არსებული გადმოცემე-
ბის აღრევასა და პირველწყაროს რედაქტირებასთან.

„მეფეთა ცხოვრების“ (მხედველობაში გვაქვს ქართლის ცხოვრების კრე-
ბულის მონაკვეთი უძველესი დროიდან აშოტ ბაგრატიონამდე) ერთ-ერთი
ქართული პირველწყაროა „მოქცევაი ქართლისაის“⁴⁴. მისი ტექსტი უმეტესწი-
ლად უცვლელადაა შეტანილი ამ თხზულებაში. მაგრამ, ცნობების ის ნაწილი,
რომელიც „მეფეთა ცხოვრების“ ავტორის თვალსაზრისით ექვს იწვევდა, გა-
დააკეთებდა ისე, როგორც ეს მისი წარმოდგენით რეალურ ვითარებას შეესა-
ბამებოდა [ასეთი არა ერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება: ქართლში „ჰონთა“
მოსვლა, რომელსაც „მოქცევის“ მიხედვით ადგილი ჰქონდა ალექსანდრე მა-
კედონელის ლაშქრობათა პერიოდში, „მეფეთა ცხოვრების“ ავტორმა შეცვა-
ლა ურიების მოსვლით და გადაიტანა მეფე ნაბუქოდონოსორის ხანაში⁴⁵].

სპეციალურმა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ „მოქცევის“ ტექსტში მნიშ-
ვნელოვანი აზრობრივი, შინაარსობრივი და ქრონოლოგიური ცვლილებებს
შეტანა პირველწყაროს შინაარსის თავისებური ინტერპრეტაციის, მასში შეგ-
ნებული ჩარევის შედეგია⁴⁶. მსგავსი რევიზიისაგან არ არის დაზღვეული ძველი

41 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, გვ. 436—444; გ. მამულია, დასახ.
ნაშრომი, გვ. 111—113; О. Д. Лардкин-Виндз, Наследие древней Грузии, Тб.
1989., с. 324.

42 ქართლის ცხოვრება, გვ. 48.

43 იქვე, გვ. 45.

44 Г. А. Меликишвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 24—25.

45 იხ. ამის შესახებ დაწვრილებით გ. არახამიას დასახ. ნაშრომი, იხ. იქვე, ლიტ.

46 გ. ა რ ა ხ ა მ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 49.



„მოქცევაი ქართლისაი“, ვინაიდან ამ თხზულებამაც განიცადა იდეოლოგიური მიდგომა V, VII და IX საუკუნეებში⁴⁷. წყაროებისადმი ასეთი თავისებური მიდგომა ჩვეულებივი ჰოვლენაა შუა საუკუნეების ისტორიოგრაფიისათვის, რაც თორიულად მისაღებად ხდის ზემოთ შემოთავაზებულ ვარაუდს. შესაბამისად შეიძლება დავუშვათ, ძვ. წ. II ს-ის ქართლის მეფეთა სიებში ქრონოლოგიური წყვეტილის არსებობა, რომელში ჩართვის შემთხვევაში სუმბატ ბივრიტიანის ლაშქრობათა ციკლში აღწერილი მოვლენები, წინამორბედი თხრობის ლოგიკური გაგრძელება იქნება.

ლეონტი მროველის მიხედვით, მესამე ფარნავაზიანი მეფის მირვანას ზეობის დასასრულს „მიიცვალა ანტიოქისა მეფობა ბაბილონს და მას ეჟმას შინა მეფე იქმნა სომხითს, რომელსა ერქვა არშაკ. ეზრახა მირვან არშაკს, და მისცა ასული თვისი ძესა არშაკისასა, არშაკს და მოკვდა მირვან და მეფე იქმნა მის წილ ძე მისი ფარნაჯომ“⁴⁸. აღწერილ მოვლენებს გ. მელიქიშვილი უკავშირებს ძვ. წ. 190 წელს მაგნესიისთან გამართულ ბრძოლაში, რომელების მიერ ანტიოქოს III-ის (ძვ. წ. 223—187) დამარცხებას, რის შედეგად სომხეთში ჩაყენებულმა მისმა სტრატეგოსებმა არტაშესმა და ზარეზმა თავი დამოუკიდებელ მეფეებად გამოაცხადეს. არშაკს ავტორი აიგივებს დიდი სომხეთის მეფე არტაშესთან, რომელმაც სუმბატ ბივრიტიანის დახმარებით დაამხო სომხეთში იარვანდიანთა დინასტია⁴⁹.

იბერიასა და სომხეთში ახლად დაფუძნებული სამეფო სახლების დამოუკიდებების შესახებ ცნობა დაცულია მოვსეს ხორენაცისთანაც: „არტაშესმა, თავისი ასული არტაშამა მიათხოვა ვინმე მიპრდატს, ქართველთა დიდ პიტიალშს“. რომლის საგვარეულოც გამოსული ყოფილა დარიოს III-ის ნახარარის, ალექსანდრე მაკედონელის მიერ იბერების ხელისუფლად დანიშნული მიპრდატისაგან⁵⁰. მიპრდატი, რომელთანაც დინასტიურ კავშირს ამყარებს არტაშესი შესაძლოა ქართული წყაროების მირვანი იყოს⁵¹.

ამრიგად, ძვ. წ. 189 წელს სომხეთში მეფდება არტაშეს I (ძვ. წ. 189—160). ქართლის მეფე მირვანი მისი უფროსი? თანამედროვე იყო, რომელიც 80-იანი წლების პირველსავე ნახევარში ტახტზე უნდა შეეცვალა ფარნაჯომს⁵². წყაროების ჩვენებით, წინამორბედი ფარნავაზიანების მსგავსად, ისიც აქტიურ სააღმშენებლო მოღვაწეობას ეწევა, ფარნაჯომს აუგია ზადენის ციხე, სადაც აღუმართავს ზადენის კერპი, კახეთში დაუწყია ქალაქ ნელქარის — ნეკრესი მშენებლობა⁵³. მაგრამ, ამ დროისათვის იბერიის საგარეოპოლიტიკური ვითარება მკვეთრად გაუარესდა.

47 მ. ჩხატარაიანი, ქართული ჰაგიოგრაფიის წყარომცოდნეობითი შესწავლის პრობლემები, ცხოვრებაი წმინდისა ნინოსი, თბ., 1987., გვ. 81 და შემდეგ, იხ. იქვე ლიტერატურა.

48 ქართლის ცხოვრება, გვ. 28;

49 Г. А. Меликишвили, გვ. 50.

48 ქართლის ცხოვრება, გვ. 28.

51 მოვსეს ხორენაცი არტაშესს სახავს მთელი სამყაროს დამპყრობად და რომელი სარდლის კომპლუსის გამთოკავად. დასაშვებია მას, ქართლის მეფე არტაშესი დიდ პიტიალშად გამოეყვანა.

52 დ. აბაშიძე, ქართლის (იბერიის) პოლიტიკური ისტორიის ზოგიერთი საკითხი, მნათობი, 1987., № 9, გვ. 156.

53 ქართლის ცხოვრება, გვ. 29.



ქართლის პირველი სამი ფარნავაზიანი მეფის ვასალური დამოკიდებულება სელევკიდებისადმი ფორმალურ ხასიათს ატარებდა, ფაქტობრივად კი წარმოადგენდა სომხეთის წინააღმდეგ მიმართულ კავშირს⁵⁴. ძვ. წ. III ს-ის განმავლობაში ეს მექანიზმი წარმატებით მოქმედებდა, ხოლო დაახლოებით ძვ. წ. 201—200 წლებიდან, ანტიოქოს III (ძვ. წ. 223—187) ლაშქრობების შედეგად, სომხეთი სელევკიდების რიგით სატრაპიად გადაიქცა⁵⁵. მაგრამ, ძვ. წ. 188 წელს რომაელებთან დადებული ზავის მიხედვით, ანტიოქოს III-ემ უარი თქვა ყველა თავის სამფლობელოებზე ევროპაში და აზიაში, ტავროსის ქედის ჩრდილოეთით⁵⁶. უმოკავშირეოდ დარჩენილ იბერიას სამხრეთიდან გაუმეზობლდნენ ძლიერი სომხური სახელმწიფოები, რომლებსაც სტრაბონის ცნობით ჩამოუჭირათ კიდევაც მისთვის მთელი რიგი პროვინციები⁵⁷. შესაძლოა, არტაშეს I-ის ზრახვები თავდაპირველად მიმართული იყო შედარებით სუსტი ალბანეთისაკენ და კახეთში ქალაქ ნელქარის მშენებლობით ქართლის სამეფო კარი ცდილობდა ამ რეგიონში თავისი პოზიციების გამაგრებას. მოგვიანებით აქ სომხეთია გაბატონებული და კამბისენეს, ანუ ქართული კამბეჩოვანის ტერიტორიაზე ერთმანეთს ესაზღვრებიან იბერები, სომხები და ალბანელები⁵⁸. როგორც ჩანს, დაძაბულობა ორ სახელმწიფოს შორის, მოკლე ხანში აშკარა კონფრონტაციაში გადაიზარდა. ლეონტი მროველის ცნობით, სომხეთის მეფეს უსარგებლია ფარნავაზის პოლიტიკით უკმაყოფილო ქართველი ერისთავების ერთი ნაწილის მხარდაჭერით და არტანში გამართულ ბრძოლაში დაუმარცხებია ქართლის მხედრობა. შეტაკებაში დაღუპული ფარნავაზის მაგივრად ტახტი დაუკავებია სომეხ უფლისწულ არშაკს⁵⁹.

აკად. გ. მელიქიშვილი, პ. ინგოროყვა, კ. თუმანოვი, ს. გორგაძე ქართლის ცხოვრების სწორედ ამ მონაკვეთში აფიქსირებენ მეფეთა სიაში, დაახლოებით 120—130 წლიან ხარვეზს, რადგან არშაკის მომდევნო მეფე არტაგს აიგივებენ დიონ კასიოსთან მოხსენიებულ, პომპეუსის იბერიაში ლაშქრობის (ძვ. წ. 65 წ.) თანამედროვე მეფე არტოკესთან⁶⁰. ქართული წყაროების მონაცემებზე დაყრდნობით გ. მელიქიშვილმა შეძლო აღნიშნული ხარვეზის შევსება და სათანადო ქრონოლოგიური გამოთვლის საფუძველზე ქართლის მეთორმეტე მეფეების, — ბარტომისა და ქარძამის ზეობის წელი ძვ. წ. 169 წლით განსაზღვრა⁶¹. ასეთ დათარიღებას, თვით ავტორის განმარტებით ერთგვარი შეუსაბამობა ახლავს თან. ფარნავაზის მეფობის წლებს თუ 5—6 წლით შემოვფარგლავთ გამოვა, რომ სულ რაღაც 12—14 წლის განმავლობაში ქართლის ტახტზე შვიდ

54 გ. მ ა მ უ ლ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 132.

55 Г. Х. Саркисян, დასახ. ნაშრომი, გვ. 36.

56 გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, ქართლის (იბერიის) მეფეთა სიებში..., გვ. 55.

57 თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, სტრაბონის გეოგრაფია, თბ., 1957., გვ. 189.

58 Г. А. Меликишвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 297.

59 ქართლის ცხოვრება, გვ. 30.

60 ეს საკითხი საგანგებოდ განიხილა დ. აბაშიძემ თავის ნაშრომში: ქართლის (იბერიის) პოლიტიკური... გვ. 156, იხ. იქვე ლიტერატურა. Г. А. Меликишвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 51.

61 გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, ქართლის (იბერიის) მეფეთა სიებში..., გვ. 55—57.



გვირგვინოსანს შეუცვლია ერთმანეთი. საინტერესოდ გამოიყურება იმის შესახებ, რომ ოდის (ძვ. წ. 188—169 წწ.) მეფეთა სიაც:

- | | |
|---------------------|---------------------|
| 1. ფარნაჯომ | 5. მირვან |
| 2. არშაკ I | 6. არშაკ II |
| 3. არტაგ | 7. აღრეკი |
| 4. ბარტომ და ქართამ | 8. ბარტომ და ქართამ |

მეორე წყვილი ბარტომ — ქართამი არიან სომეხი უფლიწულის არშაკ I-ის შვილიშვილის შვილიშვილები⁶². ეს მაშინ, როდესაც თითოეული მეფის ზეობის წლები, საშუალოდ ორი წლით შემოიფარგლება. აღსანიშნავია, რომ „მოქცევაი ქართლისაი“ საერთოდ არ იცნობს სომეხ უფლისწულ არშაკს და ფარნაჯომის შემდეგ მეფედ ასახელებს არსოკს⁶³. გ. მელიქიშვილმაც ამ ცნობას მიანიჭა უპირატესობა და ქართლის მეფეთა სიაში მეხუთე ნომრად არსოკის სახელი შეიტანა⁶⁴.

ფარნაჯომის შემკვიდრედ არსოკის მოხსენიება მრავალ მხრივ არის საყურადღებო. ქართლის ცხოვრებაში სუმბატ ბიერტიანის და არტაშესის თანამედროვეებად გამოყვანილია აზორკი და არმაზელი, ხოლო „მოქცევაი ქართლისაი“ მათ ადგილზე იხსენიებს არსოკს და ამაზაერს⁶⁵. ამ ორი არსოკის იდენტიფიკაცია კი სავსებით მისაღები ჩანს.

ამრიგად, დიდი სომხეთის მეფე არტაშესთან, ძვ. წ. II საუკუნის 80-იან წლებში განცდილი მარცხის შემდეგ, ქართლის სამეფო ტახტს იკავებს არსოკი. „მოქცევაი ქართლისაი“ მეტად მწირ ინფორმაციას გვაწვდის მის შესახებ. წყაროში მითითებულია, რომ მას გალავნით გაუმაგრებია რომელიღაც ქალაქი⁶⁶. გ. მელიქიშვილი „მოქცევის“ ტექსტს ქართლის ცხოვრების მიხედვით აღადგენს, სადაც აღნიშნულია: „უმბატა ყოველთა სიმაგრეთა ქართლისათა. და უმეტეს მოამტკიცნა ზღუდენი ჯავახეთს, ქალაქსა წუნდას⁶⁷. სუმბატ ბიერტიანის ლაშქრობების ჩართვა, მეფე არსოკის მოღვაწეობის პერიოდში სავსებით გამართლებულია ქრონოლოგიურად და არ არღვევს ქართლის ცხოვრების თხრობის თარგს. უფრო მეტიც, სხვანაირად წარმოგვიდგება მეფე არსოკისა და ფარნაჯომის ზეობის წლებში აღწერილი მოვლენები, ვინაიდან მთლიანად ეს ციკლი წინამორბედი პერიოდების ლოგიკური გაგრძელებაა.

უპირველეს ყოვლისა ცხადია, რომ ფარნაჯომის მიერ განცდილი დამარცხების შედეგად ქართლის სამეფომ დაკარგა სამხრეთ საქართველოს ვრცელი მიწა-წყალი. ჯავახეთი უკვე გადაქცეულია არტაშეს I-ის (ძვ. 189—160) ექსპანსიის ობიექტად, მაგრამ ეს რეგიონი რჩება იბერიის შემადგენლობაში. „ყოველთა სიმაგრეთა ქართლისათა“ და განსაკუთრებით წუნდის გამაგრება იმაზე მიუთითებს, რომ მეფე არსოკი აქტიურად ემზადებოდა სომხეთის მორიგი შემოტევის მოსაგერიებლად⁶⁸. გარკვეულ ეტაპზე, როცა ქართლის სა-

62 ქართლის ცხოვრება, გვ. 29 და შემდეგ.

63 „მოქცევაი ქართლისაი“, გვ. 82.

64 გ. მელიქიშვილი, ქართლის (იბერიის) მეფეთა სიებში..., გვ. 61.

65 „მოქცევაი ქართლისაი“, გვ. 82.

66 იქვე, იხ. აგრეთვე ქართლის ცხოვრება, გვ. 45.

67 Г. А. Меликишвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 42—43.

68 სხვაგვარად წარმოგვიდგებოდა ეს ფაქტი, თუ ციხეების მშენებლობის ინიციატორად სომეხ უფლისწულ არშაკს დავსახავთ. აქვე აღვნიშნავთ, რომ „მოქცევაი ქართლისაის“ მა-

მეფო კარმა ომისათვის მზადების პერიოდი დასრულებულად ჩათვალა, აქტიურ სამარ მოქმედებაზე გადავიდა. ქართველები, დიდოელების, პაპანიკების, ჯიქების, დურძუკების, ლეკთა მეფისა და ოვსების ლაშქრით სომხეთში შეიჭრნენ⁶⁹. „უგრძნულად წარმოსტყუენეს შირაკუანი და ვანანდი ბაგრევანადე, და შეიქცეს და ჩატყუენეს დაშტი ვიდრე ნახჭევანამდე... და გამოვლეს გზა ფარისოსა“⁷⁰. მოვსეს ხორენაცის ცნობით: „ალანები შეუთანხმდენ ყველა მთიელებს, მიიმხრეს ქართველთა ნახევარი და დიდძალი ლაშქრით მოეფინენ ჩვენ მიწა-წყალს“⁷¹. გამარჯვებული ქართველ-კავკასიელების მხედრობა, ნადავლის გასაყოფად მდ. ოორის პირზე, კამბეჩოვანში დაბანაკებულა, სადაც მათ დადევნებული სომხები წამოეწიენ. სუმბატ ბივრიტიანმა მოლაპარაკება გამართა მოწინააღმდეგესთან და გარკვეული პირობების მიღების შემთხვევაში მზად იყო უბრძოლველად გაბრუნებულიყო, მაგრამ უკომპრომისო პასუხი მიიღო: „არა სხუად შემოვედით სომხითს, არამედ ძიებად შენდა და ვერ გპოვეთ შენ. და აწ მოვედ ჩუენდა, მიიღე ნაწილი შენი, თუ არა მოვიდე-თ შენდა, სადაცა იყო და ვერ განერე ხელთაგან ჩვენთა ცოცხალი“⁷². ქართველები შემთხვევით არ ეძიებდენ სუმბატის სისხლს. მისი მამული სპერში მდებარეობდა, ეს პროვინცია კი იბერიის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი კერა იყო. სომხეთის სამეფო კარი თავისი გავლენის გავრცელებას ქართლზე სუმბატ ბივრიტიანის ლაშქრობების წყალობით ლამობდა. ფარნაჯომისაგან გამდგარი ერისთავებიც ამ რეგიონის მკვიდრნი უნდა ყოფილიყვნენ და ამიტომ, ქართველ-კავკასიელთა ლაშქარმა სომხეთთან ერთად ეს ტერიტორიებიც მოაოხრა. გ. მამულიას აზრით, არტაშეს I-ის მიერ ფართო დაპყრობითი ომების წამოწყებისთანავე კლარჯეთის ერისთავები, რომლებიც აზოს „სახლისშვილები“ იყვნენ, აუჯანყდნენ ქართლის მეფეს. არტაშეს I-მა ისინი თავის ნახარარებში ჩარიცხა და აქტიურად იყენებდა იბერიის წინააღმდეგ ბრძოლაში⁷³.

ხელვით, ქართლის მეცხრე მეფემ არსუკმა „კასპი შეიპყრა და უფლისციხე განაგო“, მისვე დაუსრულებია ქალაქ ნელქარის მშენებლობა. გ. მელიქიშვილის ქრონოლოგიური გამოთვლის გაზიარების შემთხვევაში, არსუკი უნდა მეფობდეს ძვ. წ. II ს-ის 70-იან წლებში. იგი, ბარტომ—ქარტამს (ძვ. წ. 169 წ.) პაპად ეკუთვნის. თუ არსოკ-არსუკში (ქართლის ცხოვრებით არშაკ I და არშაკ II) ერთი მეფის მოღვაწეობის კვალს დავინახავთ მაშინ, — „უმბატა ყოველთა სიმაგრეთა ქართლისათა“ შეიძლება ნიშნავდეს უფლისციხესა და კასპში ჩატარებულ სარესტავრაციო სამუშაოებს. შესაბამისად ნელქარის მშენებლობის დასრულებაც ფარნაჯომის შემკვიდრის, — არსოკის მოღვაწეობის პერიოდში უნდა ვივარაუდოთ. დაახლოებით ძვ. წ. II ს-ის 70-იან წლებში. იხ. გ. მელიქიშვილი, ქართლის (იბერიის) მეფეთა..., გვ. 55; მისივე დასახ. ნაშრომი.

69 ძვ. წ. II საუკუნეში ქართველებთან ერთად ლაშქრობაში ოვსთა მონაწილეობა ანაქრონიზშია. შესაძლოა აქ ადგილი ჰქონდეს ალბანთა და ალანთა სახელების ტრადიციულ აღრევას, რომელიც მოგვიანებით ოვსებით შეიცვალა. აღსანიშნავია, რომ სომხეთის დარბევის შემდეგ ქართველ-კავკასიელთა მხედრობა ნადავლის გასაყოფად შიდა ქართლისკენ კი არ მიემართება, საიდანაც დარიალის ხეობით ოვსებს სამშობლოში გაბრუნება შეეძლოთ, არამედ კამბეჩოვანში, — იბერიისა და ალბანეთის საზღვარზე ბანაკდება. უცხოური წყაროები, რომლებიც მოგვიანო პერიოდის (ძვ. წ. I—ახ. წ. I) მოვლენებს ასახვენ იბერთა ძირითად მოკავშირეებად ალბანელებს ასახელებენ. ამ კავშირის ჩასახვა სავარაუდოა ძვ. წ. II ს-ის პირველ ნახევარში, როცა ეს ქვეყნები არტაშესიდების სომხეთის მძლავრ ექსპანსიას განიცდიდნენ. იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, გვ. 500 და შემდეგ.

70 ქართლის ცხოვრება, გვ. 45.

71 მოვსეს ხორენაცი, გვ. 141.

72 ქართლის ცხოვრება, გვ. 48.

73 გ. მამულია, დასახ. ნაშრომი, გვ. 144—145.

კამბეჩოვანში გამართულ ბრძოლაში ქართველები დამარცხდნენ. სუმბატ ბიერტიანიმა ქართლი მოაოხრა, მაგრამ წყაროს ჩვენებით, რადგან არ გააჩნდა ციხე-ქალაქების ასაღებად საჭირო აღჭურვილობა, უკან გაბრუნდა, მოკლუ ხნის შემდეგ: — „კვლავ წარმოემართა ძალითა მისითა ყოვლითა არტაშან, მეფე სომეხთა, და სპასპეტი მისი სუმბატ ბიერტიანი. ხოლო ქართველთა განამაგრნეს ციხენი და ქალაქნი, და მოვიდეს სომეხნი და დადგეს მცხეთას და ჰბრძოდეს ხუთ თუე... მაშინ შეშქირდა ქართველთა და ოვსთა და ითხოვეს მშვიდობა, და აღუთქუეს მორჩილება და არაღარა ძიება სისხლისა და ზღუარისა. მაშინ ისმინა სომეხთა მეფემან ვედრება მათი: ქმნეს ფიცი და აღთქმა, და დაიმონნა იგინი ქართველნი და ოვსნი სომეხთა მეფემან და წარვიდა“⁷⁴ ამ გამანადგურებელი ლაშქრობის კვალი, შიდა ქართლის არქეოლოგიურ ძეგლებზეც არის არეკლილი. სამადლო-ნასტაკისის ნაქალაქარი გამთხრელების თვალსაზრისით, ძვ. წ. II ს-ის პირველ ნახევარში, არტაშეს I-ის არმიას უნდა გადაეწვა⁷⁵. აქვე აღვნიშნავთ, რომ ზოგიერთი მეკლევარი, სწორედ ამ დასახლებას მიიჩნევს იბერიის დედაქალაქად — ძუელ მცხეთად⁷⁶.

ქართლის ცხოვრება გვიხატავს არტაშეს I-ის სრული გამარჯვების სურათს. შესაძლოა ქართლში გამართულ ბრძოლებს შეეწირა მეფე არსოკი და მტერმა მართლაც მოახერხა იბერიის დედაქალაქის გადაწვა. სუმბატ ბიერტიანიმა ოძრხისა და ჯავახეთის ციხეებში, კერძოდ დემოთში და წუნდაში სომხურ გარნიზონები ჩააყენა⁷⁸. „ორმეფობის“ დამკვიდრება ქართლში, სომხეთთან დადებული მეტად მძიმე საზავო პირობების პირდაპირ შედეგს უნდა წარმოადგენდეს. აღწერილი მოვლენები ძვ. წ. II საუკუნის 70-იანი წლებით შეიძლება დათარიღდეს, რადგან ფარნაჯომმა ტახტი ამავე საუკუნის 80-იანი წლების პირველ ნახევარში დაიკავა, ხოლო მომდევნო, არსოკის მეფობის საწყისი ეტაპი დათმობილი ჰქონდა ციხეების მშენებლობასა და ომისათვის მზადებას. ძვ. წ. 169 წელს კი ქართლში მეფობენ ბარტომი და ქარძამი.

გ. მელიქიშვილი „ორმეფობას“ უკავშირებს არა ქვეყნის შუაზე გახლეჩას, არამედ სტრატონთან მოხსენიებული იბერთა მეფის შემდგომ „მეორე პირის“ ანუ ქართული წყაროების სპესპეტის ხვედრითი წონის მკვეთრ ზრდას. თუმცა იქვე დასძენს, რომ ეს მიუთითებს იბერიის ცენტრალური ხელისუფლების დასუსტებაზე, რაც განპირობებული იყო ძვ. წ. II საუკუნეში მეზობელი სომხეთის გაძლიერებით⁷⁹. გ. მამულიას აზრით, დაპყრობილ მიწა-წყალზე არტაშეს I (ძვ. წ. 189—160) მმართველობის რაღაც ფორმა უნდა შემოეღო. სპერი და ტაო მან უშუალოდ სომხეთს შეუერთა, ხოლო დანარჩენ ტერიტორიაზე (ხუნანიდან კლარჯეთის ჩათვლით), დაარსა ნახევრადდამოუკიდებელი „იბერთა საპიტახზო“. იმის გამო, რომ სპერი სუმბატ ბიერტიანის „ხმლით ნაშოები“

⁷⁴ ქართლის ცხოვრება, გვ. 48.

⁷⁵ Ю. М. Гагошидзе, Самадло I. с. 98—99.

⁷⁶ ა. ბოხოჩაძე, ძველი მცხეთის ლოკალიზაციის საკითხები, ჯეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები III, თბ., 1978., გვ. 5—26.

⁷⁸ ქართლის ცხოვრება, გვ. 47, წყაროს ჩვენებით, წუნდაში გარნიზონი მეფე იარვანდმა ჩააყენა. ამიტომ, აღნიშნულია, რომ სუმბატმა დემოთის გარნიზონი წუნდელთა „შემწელ“ განაწესაო.

⁷⁹ გ. მელიქიშვილი, ქართლის (იბერიის) მეფეთა..., გვ. 59.



ქვეყანა იყო, იბერთა პიტიახშებად“ არტაშეს I-მა თავისი ერთგულებით, ანთის „სახლიშვილები“, კლარჯეთის ერისთავები დანიშნა⁸⁰.

სუმბატ ბივრიტიანის ლაშქრობათა ციკლში გადმოცემული ამბებები, პირობითად ორ ნაწილად შეიძლება გაიყოს, რომელთაგან პირველი, არტაშან მეფის გამარჯვებით სრულდება. მეორე ნაწილში მოთხრობილია ქართველთა აჯანყების შესახებ, რომელსაც გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ჰქონდა ადგილი: „ხოლო გარდახდეს ამის შინა წელნი რაოდენნიმე. და აშენდა ქართლი მოთხრებული სომეხთაგან. მაშინ უცალო იქმნეს სომეხნი, რამეთუ იწყეს ბრძოლა სპარსთა და ბერძენთა. და ჰპოვეს მას შინა ყამი მარჯვე ქართველთა და ოვსთა...“⁸¹ ჯავახეთში გამართულ ბრძოლაში სომხეთის ლაშქარი, რომელსაც არტაშესის ძე ზარენი სარდლობდა დამარცხდა. მტერს დადევნებულმა ქართველებმა სომეხი უფლისწული ტაოს ტერიტორიაზე დაატყვევეს და დარიალის ციხეში „გამოკეტეს“. „მაშინ წელსა მესამესა მოვიდა სუმბატ ბივრიტიანი და ორნი ძენი მეფისანი არტავაზ და ტიგრან“⁸². დამსჯელი ექსპედიციის მხოლოდ სამი წლის შემდეგ გამოგზავნაც, სომეხთა „უცალოებაზე“ მიუთითებს. ერთადერთი მომენტი, როცა არტაშეს I (ძვ. წ. 189—160), მარათლაც, არ შეეძლო რეაგირება მოეხდინა ქართლის აჯანყებაზე, მისი მეფობის ბოლო პერიოდზე მოდის. ძვ. წ. 166 წელს ანტიოქოს IV (ძვ. წ. 175—164) დალაშქრა სომხეთი და მისი მეფე არტაშეს I ტყვედ ჩაიგდო. დამარცხებულ არტაშესი იძულებული იყო ანტიოქოს IV-ის ნაკარნახევი ზავის პირობები მიეღო⁸³.

სელევკიდების სახელმწიფოს შთამბეჭდავი გამარჯვება, უთუოდ იმედებს აღუძრავდა იბერიის მესვეურთ. ისინი აუცილებლად შეეცდებოდნენ, ყოფილა მოკავშირის წარმატების თავის სასარგებლოდ გამოყენებას და სომხეთის პოლიტიკური გავლენისაგან განთავისუფლებას. ვფიქრობთ, პერიოდი ძვ. წ. 166 წლამდე საკმარისი იქნებოდა არტაშეს I-ის ლაშქრობებით მიყენებული ჭრილობების მოსაშუშებლად. შემოთავაზებული ვარაუდის გაზიარების შემთხვევაში უნდა დავეუშვათ, რომ ქართველების გამოსვლას ადგილი ჰქონდა ბარტომისა და ქარძამის მეფობის პერიოდში, რადგან გ. მელიქიშვილის გამოთვლით მათი ზეობის თარიღი ძვ. წ. 169 წელზე მოდის⁸⁴.

საბედნიეროდ, გვაქვს საშუალება სომხური წყაროებით გავაკონტროლოთ ეს მოსაზრება. მოვსეს ხორენაცის თქმით, როცა არტაშესის შვილები წამოიზარდნენ, სმბატის მოკვლა დააპირეს, რათა ხელში ჩაეგდოთ სომხეთის ჯარების სარდლობა. აფორიაქებულმა არტაშესმა „აღმოსავლეთის ჯარი დაუტოვა არტავაზდს, დასავლეთისა გადასცა ტიგრანს, სამხრეთისა მიანდო სმბატს, ხოლო ჩრდილოეთისა — ზარენს. ზარენი იყო პატივმოყვარე კაცი, მხეცებზე ნადირობაში მარჯვე, ხოლო ომში მხდალი და უვარგისი. იგი გამოცდილი ჰყავდა ქართველთა მეფეს, ვინმე ქარძამს, (რომელმაც) აუჯანყა ქვეყანა, შეიპყრო და კავკასიის მთაზე ციხეში ჩასვა. (ქარძამს) შეებრძოლენ არტავაზდი და ტიგანი, სმბატის თანხლებით და გამოიყვანეს ძმა ტალახნდან“⁸⁵.

⁸⁰ გ. მ. ა. მ. უ. ლ. ი. ა., დასახ. ნაშრომი, გვ. 143.

⁸¹ ქართლის ცხოვრება, გვ. 49.

⁸² იქვე, გვ. 49.

⁸³ Я. А. М а ж а н д я н, Тигран II и Рим, Ереван, 1943. с. 23.

⁸⁴ გ. მელიქიშვილი, ქართლის (იბერიის) მეფეთა სიაში..., გვ. 55—56.

⁸⁵ მოვსეს ხორენაცი, გვ. 144—145.



ქართლის ცხოვრების მიხედვით, კონფლიქტი მოლაპარაკებების გარეშე დასრულდა. ქართველებმა გაანთავისუფლეს ზარენი, ხოლო სომხებმა დაცალეს დემო-
თისა და წუნდის ციხეები. იბერიამ დაიბრუნა ჯავახეთი და არტანი. ზავის
პირობების შესაბამისად ქართლის მეფეები კისრულობდნენ სომეხთა ლაშქ-
რობებში მონაწილეობას, აგრეთვე აღუთქვამთ: „ქალაქსა ამას ჩუენსა არტაშან
მეფისა ხატითა ღრამა დავცეთო“⁸⁶.

ქართველთა მედგარი წინააღმდეგობის მიუხედავად, სუმბატ ბივრტიანის
ლაშქრობების შედეგად სომხეთმა მაინც მოახერხა ქართლზე პოლიტიკური
გავლენის შენარჩუნება. ზავის საკმაოდ მძიმე პირობები უნდა აიხსნას იბერიის
საგარეოპოლიტიკური ვითარების გაუარესებით. ანტიოქოს IV-ის მოულოდ-
ნელმა სიკვდილმა სომხეთს დამოუკიდებლობა შეუნარჩუნა. არტაშეს I-მა
ნაწილობრივ აღადგინა დაკარგული პოზიციები ქართლში, მაგრამ წარმატების
განვითარებისათვის სათანადო ძალები არ აღმოაჩნდა. ძვ. წ. II ს-ის მეორე
ნახევარში სომხეთს გამოუჩნდა ძლიერი მოწინააღმდეგე პართიის სამეფოს სა-
ხით. არტაშესის შემკვიდრე არტავაზი, საბოლოოდ ამ ბრძოლას შეეწირა. ტა-
ხტი მისმა ძმამ ტიგრან I-მა დაიკავა, რომელმაც ზავის საფასურად პერეთის
მთელი რიგი აღმოსავლეთის პროვინციები დაუთმო⁸⁷. თავის მხრივ, იბერიას არ
გააჩნდა ძალა ანექსირებული ტერიტორიების დასაბრუნებლად. შეიძლება ით-
ქვას, რომ ძვ. წ. II ს-ის მეორე ნახევარში, მახლობელ აღმოსავლეთში შექმ-
ნილი სიტუაცია ორივე მხარეს სტატუს კვოს შენარჩუნებისაკენ უბიძგებდა.
აღსანიშნავია, რომ „მოქცევაი ქართლისაი“ მცხეთის მშენებლობის დაწყებას
მეფე ბარტომს მიაწერს⁸⁸. ასეთი მაშტაბის სამუშაოებისა და ხარჯების გაღება
ქართლის სამეფო კარს შეეძლო მეტ-ნაკლებად მყარ, სტაბილურ პირობებში,
სომხეთთან დადებული საზოგადოებრივი ურთიერთობების შენარჩუნების
იძლეოდა, რაც სავსებით შეესაბამება უახლეს არქეოლოგიურ აღმოჩენებს. სპე-
ციალურ ლიტერატურაში ღართის კარის სასიმაგრო სისტემის და არმაზის
ციხის ყველაზე ადრეული ფენის ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი ძვ. წ. II ს-ის
მეორე ნახევრით არის განსაზღვრული⁸⁹.

ძვ. წ. 65 წელს პომპეუსის ლაშქრობამ ბოლო მოუღო სომხეთის ძლიე-
რებას, რომელიც თანდათან გადაიქცა რომისა და პართიის მუდმივი ჭიშპისა
და ომების ასპარეზად. ძვ. წ. 53 წელს, ქალაქ კარასთან გამართულ ბრძოლაში
პართელებმა სასტიკად დაამარცხეს მარკუს კრასუსი, რითაც შეაჩერეს რომის
წინსვლა აღმოსავლეთისაკენ⁹⁰. დამყარდა ძალთა თანაფარდობა, რომელიც
თავის სასარგებლოდ გამოიყენეს იბერიის მეფეებმა. ისინი აკონტროლებდნენ
კავკასიონის გადასასვლელებს და მათ პოზიციაზე ბევრად იყო დამოკიდებული
რომისა და პართიის ჩრ. საზღვრების უსაფრთხოება. სიტუაციაში, როცა იბე-
რიის გაძლიერებას წინ არაფერი ელობებოდა, ხოლო კლარჯეთის ერისთავებმა

⁸⁶ ქართლის ცხოვრება, გვ. 49.

⁸⁷ Я. А. Манандян, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 24—25.

⁸⁸ მოქცევაი ქართლისაი, გვ. 83.

⁸⁹ Ю. М. Гагошидзе, *Картли (Иберия) в V—I вв. до н. э.*—Автореферат
диссертации на соискание ученой степени доктора исторических наук, გვ. 13 და 48; მცხეთა
IX, თბ., 1989, გვ. 23—24.

⁹⁰ *Очерки истории Грузии*, т. I, с. 302—303.

დაკარგეს არტაშესიდეული სომხეთის მხარდაჭერა, მცხეთელმა შეფეხებმა აღადგინეს ქართლის სამეფოს ერთიანობა⁹¹.

ამრიგად, ორი იარვანდის შესახებ არსებული გადმოცემების აღრევის შედეგად, ქართულ და სომხურ საისტორიო წყაროებში ერთმანეთს დაუკავშირდა ორი სხვადასხვა ეპოქის მოვლენები.

სუმბატ ბივრიტიანის ლაშქრობათა ციკლში დატული ცნობები განეკუთვნება ძვ. წ. II ს-ის პირველ ნახევარს, როცა იარვანდიანთა დინასტია სომხეთში არტაშესიდეებმა შეცვალეს. ქართლის მეფეთა სიაში არსებული ხარვეზის აღნიშნული ლაშქრობებით შევსება, არა თუ არღვევს ქართლის ცხოვრების თხრობის თარგს, არამედ წინამორბედი მოვლენების ლოგიკური გააზრების საშუალებას იძლევა. საესებით შეესაბამება ეს სტრაბონის ცნობებს და არქეოლოგიური წყაროების მონაცემებს.

ქართლის სამეფოს ისტორიის საწყისი პერიოდის კვლევისათვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს დარიოს III სატრაპად ყოფილ, იარვანდ დიდის მიერ ჯავახეთის დაპყრობის ძვ. წ. IV ს-ის 10-იანი წლებით დათარიღებას. ეს ლაშქრობა უთუოდ წინ უსწრებდა აზოს ქართლში გამეფებას, რასაც ადგილი უნდა ჰქონოდა ძვ. წ. IV ს-ის დასასრულს. ძველი ქართული ისტორიული ტრადიცია და არქეოლოგიური წყაროების მონაცემები ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს.

ქართულ ისტორიოგრაფიაში აღიარებულია მესხური ეთნიკური ელემენტის აქტიური მონაწილეობა ქართლის სამეფოს ფორმირებაში, რაზეც არაორაზროვნად მიუთითებს „მოქცევის“ ცნობები, — არიან ქართლიდან „აზნაურთა“ და „მდაბითა“ გადმოსახლების შესახებ⁹². აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ირანული კულტურის ზემოქმედების არეალში მოქცეული ქართველური ტომების შემოსვლამ განაპირობა მატერიალური კულტურის მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია. რაც გამოიხატა აქემენიდური არქიტექტურული ტრადიციების, დაკრძალვის ახალი წესის (ქვევრსამარხების), შავპრიალა და მოხატული კერამიკის (რომელიც აშკარად ვანიცდის აღმ. ანატოლიური, კერძოდ გვიანფრიგიული სტილის გავლენას) გავრცელებაში. ამ არქეოლოგიური მასალის ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი, სპეციალურ ლიტერატურაში, ძვ. წ. IV საუკუნის დასასრულით შემოიფარგლება⁹³. ძვ. წ. IV ს-ის დასასრულით და III ს-ის დასაწყისით თარიღდება ურბანისტური აფეთქება აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, რაც გამოიხატა მთელი რიგი მსხვილი საქალაქო ცენტრების მოულოდნელ გაჩენაში⁹⁴. აქვე აღვნიშნავთ, რომ ფარნავაზის გამეფების თარიღად მიჩნეულია ძვ. წ. 284 წ.⁹⁵ „ქართლის ცხოვრება“ აზოს მმართველობის ხანგრძლივობას 24 წლით შემოფარგლავს, ე. ი. მისი გამეფება ქართლში სავარაუდოა ძვ. წ. 308 წელს.

⁹¹ გ. მ ა მ უ ლ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 145—146.

⁹² საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, გვ. 432.

⁹³ იხ. ამის შესახებ დაწვრილებით: О. Д. Лордкипанидзе, Наследие древней Грузии, с. 312; Ю. М. Гагошидзе, Самадло I, с. 54—94.

⁹⁴ О. Д. Лордкипанидзе, Наследие..., с. 312—324; А. Б. Бохочадзе, Настакиси, Саркине, Дзалиси—города Иберии античной эпохи, К. С. И. А. № 151, 1977. с. 55.

⁹⁵ ქართლის ცხოვრება, გვ. 21; პ. ი ნ გ ო რ თ ე ვ ა, ძველქართული მატანე „მოქცევი ქართლისაი“ და ანტიკური ხანის იბერიის მეფეთა სია, სსმმ., XI—I, 1941., გვ. 289—317; Ю. М. Гагошидзе, Самадло I, с. 99; О. Д. Лордкипанидзе, Наследие... с. 324.

Г. А. МАХАРАДЗЕ

К ВОПРОСУ О ДВОЕЦАРСТВИИ В ДРЕВНЕЙ КАРТЛИ (ИБЕРИИ)

Резюме

Критический анализ грузинских и армянских исторических источников показал, что сведения, сохранившиеся в цикле описания походов Сумбата Бивритиани (полководца царя Великой Армении Арташеса I, 189 — 160 гг. до н. э.), прямым результатом которых должно было стать появление феномена двоецарствия в древней Картли, датируются первой половиной II века до н. э.

Согласно древним источникам, захват армянским царем Ервандом одной из провинций Картли-Джавахети должен был произойти не в сороковых годах IV в. до н. э., как это предполагалось ранее, а в предпоследнем десятилетии того же столетия, когда Ерванд стал независимым сюзереном (316 г. до н. э.). Следовательно, завоевание Картли Азо-Азоном, сыном царя Ариан-кارتвелов, могло иметь место лишь к концу IV в. до н. э.

წარმოადგინა საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ქველი ისტორიის განყოფილებამ

ქალაქი და მისი „ქუეყანა“ შუა საუკუნეების საქართველოში

ქალაქი თავისი წარმოშობის დღიდანვე დიდ როლს ასრულებდა ქვეყნის ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური თუ კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში. სწორედ ამიტომაცაა რომ ისტორიულ მეცნიერებაში ამ ბოლოდროს სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა ქალაქის პრობლემას, მის სხვადასხვა ასპექტებს — წარმოშობა, შინაგანი სტრუქტურა, საქალაქო მეურნეობა, განვითარების დინამიკა და სხვა.

ფეოდალური საქართველოს აღმავლობის ხანაში ხელოსნობსა და ვაჭრობის განვითარება და შესაბამისად ქალაქების ზრდა დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების წინსვლისათვის. ამასთან, ვაჭრობა-ხელოსნობის აღორძინება, საქალაქო ცხოვრების წინსვლა, ცალკეულ კუთხეებს შორის ეკონომიკური კავშირების დამყარება ერთ-ერთი ძირითადი და უმთავრესი ფაქტორთაგანი იყო ქვეყნის პოლიტიკური ერთიანობისათვისაც.

ფეოდალური ქალაქი, კერძოდ, მისი საქალაქო მეურნეობის ყოველმხრივი შესწავლა, თავის მხრივ, მოითხოვს ქალაქის სასოფლო-სამეურნეო რაიონის შესწავლასაც. წინასწარ, აპრიორის სახით შეიძლება ითქვას, რომ შუა საუკუნეების საქართველოს ქალაქებში მოქმედი საწარმო-სახელოსნო ცენტრები თავიანთი პროდუქციით ამარაგებდნენ ქალაქის შემოგარენს, მის მეზობელ რაიონებს. თავის მხრივ, ქალაქის სამეურნეო განვითარებაში დიდ როლს ასრულებდა ამა თუ იმ ქალაქის სასოფლო-სამეურნეო რაიონი, რომელიც სოფლისმეურნეობის პროდუქტებითა და ხელოსნური წარმოებისათვის საჭირო ნედლეულით უზრუნველყოფდა ქალაქს. აღნიშნული პროცესი, ეს ორმხრივი ურთიერთობა, აუცილებელი პირობა იყო საქალაქო ცხოვრების განვითარებისათვის.

შუა საუკუნეებში თითქმის ყველა ფეოდალურ ქალაქს ჰქონდა თავისი „ქუეყანა“* ანუ „სამოქალაქო“, რომელთა სიძლიერეზე დიდად იყო დამოკიდებული თვით ქალაქის სამეურნეო ცხოვრება თუ ყოფა.

ამასთან დაკავშირებით ნ. ბერძენიშვილი მიუთითებდა, რომ „ქალაქს საზოგადოებრივი ურთიერთობა წარმოშობს, მაგრამ ქალაქის წარმოშობი ეს საზოგადოება გარკვეული ერთეულია ამა თუ იმ ფიზიკურ გეოგრაფიულ სივრცეზე. აი, ეს საზოგადოება წარმოადგენს ქვეყანას (ხაზგასმა ავტორისა), რომლის „ცენტრიც“ არის მისი ქალაქი. ასე, რომ ესა თუ ის ქალაქი

* „ქუეყანა“ ძველ ქართულში სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარებოდა; იგი ნიშნავდა მიწას, დედამიწას, მიწა-წყალს, კუთხეს, მთელ ქვეყანას (თანამედროვე გაგებით), ზოგჯერ სახელმწიფოს და საკომლო მიწასაც კი (ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VI, თბ., 1982, გვ. 130; დ. გოგოლაძე, ქართული სოფელი ფეოდალიზმის ხანაში, თბ.; 1992, გვ. 12—14).

უქვეყნოდ არ წარმოიდგინება. ქალაქი მისი სახელოსნო, თუ სამონაწამრობელი უბნებით... არის ცენტრი, რომელიც ამ ქვეყანას, უპირატესად, მოემსახურება¹. ციტირებული ადგილიდან თვალნათლივ ჩანს თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მეცნიერი კარდინალური საკითხების კვლევისას ქალაქისა და მისი შემოგარენის ურთიერთმიმართებაში შესწავლას.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საყურადღებოა ქართულ წყაროებში არაერთგზის მოხსენიებული „სამოქალაქო“, კერძოდ: ბაგრატ IV „მოვიდა ქუთაისს, და მოიყენა ქუთათისისა სამოქალაქოსა ლაშქარი“²; 1080 წელს, „დიდთურქობის“ ეპოქაში „... ქართლი, არაგუეთი, სამოქალაქო და ჭყონდიდელი აღივსო თურქითა“³; „აფხაზეთი, სუანეთი და ყოველი სამოქალაქო აქუნდა დაწყნარებით“⁴; აჯანყებულ იური ბოგოლიუბსკის მიემხრო „ყოველი სუანეთი და აფხაზეთი, საეგროი, გურია, სამოქალაქო, რაჭა, თაკურეი და არგუეთი“⁵.

ქართულ წყაროებში დამოწმებულმა ცნება — „სამოქალაქომ“ კარგა ხანია მიიქცია მკვლევართა ყურადღება.

ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით, „სამოქალაქო“ ქუთაისის სანახებს უნდა გულისხმობდეს⁶. ამასვე აღნიშნავდა კ. კეკელიძე⁷. იგივე აზრისაა ნ. ბერძენიშვილიც, როცა მიუთითებდა, რომ „თბილისსაც ჰქონდა თავისი სამოქალაქო (ისევე, როგორც ქუთაისს)“⁸, ხოლო ს. ჯანაშიას კი „სამოქალაქო“ მუხიარესის (მოხირისის) ძველ ქართულ სახელწოდებად მიაჩნდა და მასში იმერეთისა და სამეგრელოს (კერძოდ, აბაშა-მარტვილის) ნაწილს გულისხმობდა⁹.

ა. ჩაკვეტაძე, რომელმაც მონოგრაფიულად შეისწავლა ქუთაისი, თვლის, რომ „სამოქალაქო“ (აღრინდელი სახელწოდება მოხირისი) ქუთაისის ახლომახლო მდებარე ტერიტორიას, ანუ მის სანახებს ეწოდებოდა და არავითარ შემთხვევაში არ მოიცავდა თანამედროვე აბაშა-მარტვილის რომელიმე ნაწილს¹⁰. მისივე აზრით, „სამოქალაქოს“ სინონიმურ ცნებად უნდა მივიჩნიოთ „ქუეყანა ქუთათისისა“¹¹. არსებობს სხვა მოსაზრებაც; ქ. ჩხატარაიშვილის დაკვირვებით, „ფიცის კაცთა“ ინსტიტუტი ადრეულ საისტორიო წყაროებში დამოწმებული „სამოქალაქო“ მოსახლეობის იდენტურია და გულისხმობს მეფის დო-

1 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, თბ., 1975, გვ. 135.

2 მათიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 299.

3 ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 319.

4 ლაშა გიორგის დროინდელი მათიანე, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 367.

5 ისტორიანი და აზმანი შარავანდედანი, ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1983, გვ. 54—55.

6 ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II, თბ., 1983, გვ. 54—55.

7 История и восхваление венценосцев. Грузинский текст перевел, предисловием и примечаниями снабдил К. С. Кекелидзе, глава XXIV, გვ. 105, შენიშ. თბ., 1954.

8 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, თბ., 1974, გვ. 116.

9 ს. ჯანაშია, შრომები, ტ. II, თბ., 1952, გვ. 320.

10 ვ. ჩაკვეტაძე, ქუთაისის ისტორია, 1960, გვ. 115.

11 იქვე, გვ. 116. „სამოქალაქო“-ს საკითხს შეეხო მ. გაბაშვილიც, რომელიც ძირითადად იზიარებს ვ. ჩაკვეტაძის მოსაზრებას (საქართველოს ქალაქები XI—XII სს., 1981, გვ. 47—48).



მენს¹². ამასვე იზიარებს მ. კეკელიაძე¹³, ხოლო გ. ცქიტიშვილი¹⁴ „სამოქალაქო“ ქუთაისთან ერთად მოიცავდა ქვემო იმერეთს¹⁴.

დ. მუსხელიშვილი, რომელმაც ისტორიულ-გეოგრაფიული თვალთახედვით შეისწავლა „სამოქალაქო“, თვლის, რომ იგი აღნიშნავდა ფეოდალური ხანის ქალაქის სანახებს, მის ე. წ. „მიმდგომ ქვეყანას“ — ქალაქისაგან ადმინისტრაციულად და ეკონომიკურად დამოკიდებულ ტერიტორიას, მოიცავდა ძველი მოხირისის (გვიანდელ „ეკე იმერეთს“), წარმოადგენდა მეფეთა დომენს¹⁵.

აშკარაა, რომ ცნება „სამოქალაქო“ გაცილებით უფრო ვრცელ ტერიტორიას გულისხმობს ვიდრე ცალკე აღებული ქალაქი, ამ შემთხვევაში ქუთაისი. „სამოქალაქო“ ანუ „ქვეყანა“, თანამედროვე გაგებით „საგარეუბნო ზონა“¹⁶, ეს არის გარკვეული ფიზიკურ-გეოგრაფიული ტერიტორია, რომელიც იმყოფება მისსავე ცენტრთან, ქალაქთან განსაკუთრებით მჭიდრო ეკონომიკურ და კულტურულ კავშირში. „სამოქალაქოში“ წარმოდგენილი იყო მთელი რიგი დასახლებული პუნქტები, რომლებიც ქალაქს ერტყა გარშემო და რომელნიც ქალაქს ასაზრდოებდნენ. აქ უნდგილო არ იქნება თუ დავიმოწმებთ. ნ. ბერძენიშვილის მრავლისმთქმელ მითითებას იმის შესახებ, რომ „ფეოდალები ქალაქის გარშემო მიწების მფლობელობაში დაინტერესებული იყვნენ: კარის ახლო იყვნენ, პროდუქტებს ადვილად ჰყიდნენ (როცა სურდათ), ინტრიგებში ადვილად მონაწილეობდნენ, მეფე ხელთა ჰყავდათ, ქუეყნის ცენტრში იყვნენ და პოლიტიკურ კურსში იყვნენ“¹⁷. და იქვე განაგრძობს მკვლევარი, რომ „შეიძლება „სამოქალაქო“, ძველი ქუთაისის მოქალაქეთა მიწები ქალაქის გარშემო, ამისი გამართლება იყო ფეოდალურ ხანაში“¹⁸.

ფეოდალური ქალაქი გარკვეულ ხანაში თავისი „სამოქალაქოთი“, „ქუეყანათი“ იყო ძლიერი. მაგრამ იმავე გარკვეულ ხანაში, ქალაქის ეკონომიკა მნიშვნელოვნად სუსტდებოდა, როგორც კი მისი „სამოქალაქო“ მოიშლებოდა.

ისევე, როგორც ქუთაისს, თბილისსაც ჰქონდა თავისი „სამოქალაქო“. ნ. ბერძენიშვილი, რომელმაც სპეციალურად შეისწავლა ძველი თბილისის ტრპონიმიკა, კერძოდ აგარანი, აღნიშნავდა, რომ „თბილისის გარშემო სოფლები — ზოგი წარმოშობითვე, ზოგი შემდეგ დაქვემდებარებით — მისი (ქალაქის) აგარაები იყო“¹⁹ და იქვე სქოლიოში შენიშნავდა რომ „ასეთი „აგარაების“ გარეშე თბილისის როგორც ქალაქის წარმოქმნა ძნელად წარმოსადგენი იქნებოდა“²⁰. მისივე დაკვირვებით, შემდეგში ამ დაბეზმაც დაკარგეს აგარათა

12 ქ. ჩხატარაიშვილი, ძველი ფეოდალური სამხედრო ორგანიზაციის ისტორიიდან (შიდა ლაშქარი), მაცნე, 1971, № 4, გვ. 131—139.

13 ნ. კეკელია, იმერეთის სამეფოში არსებული „ფიცისკაცთა“ ინსტიტუტის შესახებ, მაცნე, 1972, № 3, გვ. 143, შენ. 6.

14 გ. ცქიტიშვილი, „ისტორიანი და აზმანი შარავანდეღთანი“-ს ერთი ადგილის წაკითხვისათვის, კრ.; საქართველო რუსთაველის ხანაში, 1966, გვ. 223; „სამოქალაქო“ „ქვემო იმერეთის“ გაგებით აქვს განმარტებული ს. ყაუხჩიშვილსაც (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 681).

15 დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, 1980, გვ. 150—151.

16 ცნება საგარეუბნო ზონის“ შესახებ უფრო ვრცელად იხ. ა. ს. ონდუღაშვილი, ქალაქისა და სოფლის ურთიერთობა XX საუკუნის 20—30 იან წლებში (თბილისის საგარეუბნო ზონის მაგალითზე), თბ., 1992.

17 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, გვ. 120.

18 იქვე.

19 იქვე.

20 იქვე.

ძველი მნიშვნელობა, ქალაქმაც დაკარგა უფლება ამ აგარაკებზე, ისე რომ XVII ს-დან ყველა ეს აგარაები, გარდა კოურისა, კერძო მფლობელთა ხელში გადავიდა²¹.

X ს-ის მოღვაწე, არაბი გეოგრაფი ალ-მასუდი გვაუწყებს, რომ „ტფილისის მუსლიმანებმა ყოველგვარი პატივისცემა დაკარგეს... ტფილისის ბევრი სოფელი გამოეყო მათ²².

წყაროს ეს ჩვენება უშუალოდ ეხება თბილისის საამიროს პოლიტიკური ერთეულის საზღვრების შევიწროებას. მაგრამ ჩვენი ყურადღება მიიქცია იმ სოფლებმა, რომლებიც ქალაქის სანახებში, მის სასოფლო-სამეურნეო რაიონში შედიან და მოიცავენ თბილისის „სამოქალაქოს“, „ქუეყანას“.

შუა საუკუნეების ქართული ფეოდალური ქალაქი რომ იყო არა მარტო მომხმარებელი, არამედ მწარმოებელიც ეს კარგად ჩანს დავითის ისტორიკოსის ერთი ცნობიდანაც. ჩანს, რომ ქალაქი არა მარტო ხელოსნობას და ვაჭრობას მისდევდა, არამედ სოფლისმეურნეობასაც და ნაწილობრივ მეცხოველეობასაც. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით აღსანიშნავია დავითის ისტორიკოსის ცნობის ის ადგილი, სადაც ნათქვამია: „შემოვიდა ოდესმე ქარავანი დიდი განძით, და თან შემოჰყვეს თურქნი დიდნი. ცნა რა მეფემან (დავით IV—გ. ა.), გავზავნა მონათაგანნი თხუთმეტნი კაცნი რჩეულნი, რათა ლოჭინით კერძო ნახირი მძოვარი ქალაქისა წარმოიტაცონ, ნუ უკუე იგი თურქნი გამოვიდნენ დევნად, და მოსწყვდნეს ამით ღონითა. ხოლო თუთ სამასითა ოდენ მკედრითა დაიშალა ღელეთა ავჭალისათა...“²³.

წყაროს ეს ჩვენება მრავალმხრივია საყურადღებო; ირკვევა, რომ ლოჭონი ქალაქის სასოფლო-სამეურნეო რაიონში — „სამოქალაქოში“ შედიოდა. ირკვევა ისიც, რომ ქალაქს საკუთარი ნახირი ჰყავდა და, როგორც ჩანს, ნაწილობრივ საკუთრივე იკმაყოფილებდა მოთხოვნილებას მეცხოველეობის პროდუქტებზე.

ქალაქის განვითარებისა და მისი სასოფლო-სამეურნეო რაიონის წარმოსადგენად ფასდაუდებელი მასალა მოგვცა ყინვალის „ნაქალაქარის“ არქეოლოგიურმა გათხრებმა. კერძოდ, ყინვალის გათხრებმა გამოავლინა მჭიდროდ დასახლებული უბნები, რომლებიც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნიან საცხოვრებელი სახლების განაშენიანების სახესა და მის პრინციპებზე; გათხრების შედეგად გამოვლენილი საცხოვრებელი სახლები ტერასულადაა განლაგებული (არაგვის მარცხენა უბანზე გაითხარა 7 — ტერასა, მარჯვენაზე — 5), ოთახები ერთმანეთის გვერდით — მიჯრითაა მიშენებული ისე, რომ მათი ცალკე „ბინებად“ დანაწევრება ჭირს, ოთახების ფართობი განსხვავებულია და 22-დან 52 კვ. მ-დე მერყეობს.

გათხრებმა ცხადყო ისიც, რომ თითოეული ტერასა ერთმანეთთან მჭიდროდ კავშირში იმყოფებოდა და მათ შორის გამყოფი ფართობი (ვიწრო ქუჩების სახით) არ არსებობდა.

თითოეული ტერასის სათავსებს ტკეპნილი ბანური გადახურვა ჰქონდა და მომდევნო, მომალლო ტერასისათვის ეს სახურავები წარმოადგენდა კომუ-

²¹ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, გვ. 120.

²² СМОМПК, вып. 38, გვ. 56; მარკო პოლოს მიხედვითაც, „В этой области прекрасный город Тифлисъ; кругом много замков и деревень (Книга Марко Поло, перевод Н. П. Минаева, М., 1955, с. 252).

²³ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 349.

ნიკაიის საშუალებას და, ალბათ, როგორც ამას გამთხრელი არქეოლოგები ფიქრობენ, სამეურნეო ეზოს დანიშნულებასაც ასრულებდა²⁴.

საცხოვრებელი ბინების ერთგვარობა და დასახლების სიმჭიდროვე მიგვანიშნებს იმაზე, რომ აქ საქმე უნდა გვექონდეს სოციალურად ერთგვაროვან მოსახლეობასთან, კერძოდ, ქალაქის საშუალო და დაბალი საზოგადოებრივ ფენებთან. საერთოდ, როგორც ფიქრობენ, ქალაქი ძირითადად დასახლებული ყოფილა ვაჭრებითა და ხელოსნებით²⁵.

ერთი სიტყვით, ჟინვალის გათხრებმა ცხადყო, რომ ქალაქის საცხოვრებელი უბნები ისე მჭიდროდ ყოფილა დასახლებული, რომ იქ საცხოვრებელი სახლებთან მიმდებარე რაიმე მეურნეობის არსებობა ფიზიკურად გამორიცხებულია.

ჟინვალს, გარდა ამ ორი უბნისა, ჰქონდა მესამე უბანიც, ე. წ. „ხერთვისი“, რომელიც ჟინვალიდან 2 კმ. იყო დაშორებული და ქალაქს ეკვროდა ჩრდილოეთიდან. სწორედ აქ აღმოჩნდა 1971 წ. XIII ს. მეორე ნახევრის მონღოლური ფულის განძი — სულ 74 მონეტა, აქედან 70 მოჭრილია თბილისში²⁶.

„ხერთვისის“ უბანი, როგორც ამას რ. რამიშვილი უთითებს, უფრო განსახიერებდა ჟინვალის სასოფლო-სამეურნეო მიკრორაიონს. როგორც ფიქრობენ, ჟინვალში ბალებიც ქალაქის გარეთ, მის ჩრდილო-დასავლეთით იყო გაშენებული²⁷. ასე რომ, ჟინვალსაც ჰქონდა საკუთრივ თავისი „სამოქალაქო“

ამასთან, არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს ქართული ფეოდალური ქალაქის ტოპოგრაფიას, მის განაშენიანებასა და გეოგრაფიულ მდებარეობას. თუკი ღრმად ჩავაკვირდებით ძველი თბილისის, დმანისის, სამშვილდეს, ჯავახეთის ახალქალაქის, ჟინვალის და სხვათა ტოპოგანლაგებას, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ქართული ქალაქის ერთ-ერთ თავისებურებას სწორედ მისი მჭიდროდ, კომპაქტური დასახლება წარმოადგენდა (სხვათაშორის იგივე შეიძლება ითქვას აღმოსავლეთ საქართველოს ქართული სოფლის შესახებაც, სადაც ბაღ-ბოსტნები, სავარგულები უშუალოდ საცხოვრებელ სახლების მიმდებარედ კი არ იყო გაშენებული, არამედ მოშორებით, სოფლის გარეთ).

ჟინვალის განსაკუთრებული მნიშვნელობით უნდა აიხსნას ის, რომ „შვიდთა მთეულთთან“ ერთად იგი სავამგეოდ ეძლეოდა სამეფო ხელისუფლების ისეთ მსხვილ მოხელეებს, როგორც იყვნენ მეჭურჭლეთუხუცესი აბულასანი²⁸. და მანდატურთუხუცესი ჭიბებერი²⁹. ეს შემთხვევითი არ უნდა იყოს. ჟინვალი და „შვიდთა მთეულეთთან“ ფაქტობრივად ერთ ეკონომიკურ ერთეულს ქმნიდა. ჟინვალი სამეფო ქალაქი იყო, საიდანაც ხორციელდებოდა სოციალურ-ეკონომიკურად უფრო დაწინაურებული ბარის გავლენა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთზე³⁰.

24 ჟინვალის ექსპედიცია, ტ. I, თბ., 1975, გვ. 37—40, 51—52; ტ. II, თბ.; 1980; გვ. 29—42.

25 ჟინვალის ექსპედიცია, ტ. I, გვ. 5.

26 ი. ჯალალანია, XIII ს. მეორე ნახევრის მონღოლური ფულის განძი ჟინვალის ხერთვისიდან, კრ.: „ჟინვალი“, I, თბ., 1983, გვ. 167—180.

27 რ. რამიშვილი, ჟინვალის ექსპედიცია, მიზანი, პირველი შედეგები, პრობლემები, კრ.: „ჟინვალი“, I, თბ., 1983, გვ. 13—14.

28 ვ. ბერიძე, თბილისის „ლურჯი მონასტერი“, „ქართული ხელოვნება“, 2, 1948; გვ. 97; ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 28—30.

29 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 55.

30 ჯ. გვასალია, არავეის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, სიგვ. V, გვ. 72.



ქალაქისა და მისი „ქუეყანის“ ურთიერთმიმართების თვალსაზრისით საყუ-
რადღებოა თამარის ისტორიკოსის ერთი ცნობა. კერძოდ, გიორგი რუსზე გა-
მარჯვების შემდეგ თამარმა „შეიწყალა ზაქარია ვარამის ძე, და უბოძა გაგა
ქურდვაჭრითა განძამდის მრავლითა საკუთართითა და მრავლითა სანახევროთა
ქალაქებითა, ციხეებითა და სოფლებითა“³¹. ე. ი. გაგის ქვეყანა ქალაქებით,
ციხეებით, სოფლებით. იმავე ისტორიკოსის გადმოცემით, არდაველს გამარჯ-
ვებულ ზაქარიას და ივანეს „მეფემან უბოძა მრავალნი ციხენი და ქალაქნი და
ქუეყანანი“³² როგორც ამას ნ. ბერძენიშვილი მიუთითებს, აქ „ქვეყანანი“ ნა-
გულისხმევია ამ ციხეთა და ქალაქთა მიმდგომი ქვეყანანი³³.

ფარსადან გორგიჯანიძის მიხედვით „მეორეთ კიდევ მისცა ყაზან ყაენმან
მეფობა საქართველოს ვახტანგ მეფესა. დაიჭირა ვახტანგ მეფემან სომხითი,
დმანისი, სამშვილდე და ქვეყანანი ამ ციხეთა“³⁴. ფარსადანის ცნობის მიხედ-
ვით, თითოეულ ციხეს ახლავს ქვეყანა, ამ ციხის შემავალი ქვეყანა.

უაღრესად საყურადღებოა იოვანე საბანისძეს ერთი ცნობა, კერძოდ,
აფხაზეთიდან ქართლში, თბილისში დაბრუნებული აბო სამ წელიწადს „იქცე-
ოდა ქალაქსა მას შინა და გარემოას ყოველსა სოფლებსა განცხადებულად
ქრისტიანედ“³⁵.

წერილობით ძეგლებში, რამდენადაც ჩვენ ვიცით, პირველადაა აღნიშნუ-
ლი ქალაქი და „გარემოას სოფლები“. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ პერიოდში
უკვე არსებობდა გამოთქმა ქალაქი და „გარემოას სოფლები“, ე. ი. „ქალაქის
პირის სოფლები“, როგორც ამას გვიან იტყოდნენ, ან ავარარები³⁵.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობით, მეფე გიორგი II იყო „მა-
მულსა თესსა ტაოს... ხოლო მუნ მოვიდა წინაშე მათსა ზორვარი აღმოსავლე-
თისა გრიგოლ ბაკურიანის ძე, რომელსა ჰქონდეს ოლთისი, და კარნუ-ქალა-
ქი და კარი... და მოსცა გიორგი მეფესა კარის ციხე-ქალაქი და მისი მიმდგომი
ქუეყანა და განიყარნეს“³⁷. აქაც ურადღებებს იპყრობს წყაროს მითითება კა-
რის ციხე-ქალაქისა და მისი მიმდგომი ქუეყანის შესახებ.

იგივე ისტორიკოსი დავით აღმაშენებლის მოღვაწეობასთან დაკავშირებით
წერს, რომ დავითს ღმერთი მისცემდაო „სამეფოთა ქუეყანათა, ქალაქთა და
ციხეთა“, მაგრამ „არა იყო ესეოდენი სიმრავლე ლაშქართა სამეფოსა შინა
მისსა, რათამცა ქალაქთა და ციხეთა შინა მდგომად და დამჭირველად და კუ-
ალად თვთ მის თანა მყოფად და მოლაშქრემცა კმა ეყვენეს“³⁸.

წყაროს ეს ჩვენება ჩვენთვის საინტერესოა იმიტომ, რომ ქვეყანის დაპყრ-
ვა შეიძლება ქალაქებში და ციხეებში ჯარის ჩაყენებით. ეს იმიტომ, რომ ქვეყ-
ნის ცენტრი მისი ქალაქი და ციხეა, რომ თითოეულ ქალაქსა და ციხეს თავისი
მიმდებარე ქვეყანა აკრავს.

წყაროებში ზოგჯერ ესა თუ ის პუნქტი არა მხოლოდ ქალაქის, არამედ
ქვეყანის აღმნიშვნელადც გვხვდება. ასე მაგალითად, დავით აღმაშენებელი

31 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 54.

32 იქვე, გვ. 103.

33 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, გვ. 134.

34 ფარსადან გორგიჯანიძე, ისტორია, გვ. 108.

35 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 62.

36 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, გვ. 136.

37 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 318.

38 იქვე, გვ. 385.

აფხაზეთს იყო, თურქები „გულდებით ჩამოდგეს პირსა მტკვრისასა“, მაგრამ დავითი სწრაფად გამოვიდა და „დაესხა ხუნანს. და აღავსო ლაშქარმან მთით მტკუარამდე და გაგათ ბერდუჯამდე. და მოსრეს პირითა მახვლისათა, რომელ არა დაუშთა მთხრობი ამბავისა“³⁹. გაზაფხულზე მტკვარი აღიდდა. „ამისითა მინდობითა ჩადგეს თურქმანნი ბარდავს გულდებით. მაშინ მონახა მეფემან ივინიცა და ალონს მტკუარსა გაცურდა ყვიჩაყითა და უზრავსა მას წყალსა, მოსრნა თურქნი, არბია ბარდავი“⁴⁰.

წყაროდან აშკარად ჩანს, რომ „ხუნანი“ და „ბრდავი“ აქ აღნიშნავენ ქვეყანას და არა მხოლოდ ქალაქს.

სუმბატ დავითის ძე გადმოგვცემს: „ხოლო აშოტ კურაპალატი მთავრობდა ქუეყანასა მას შინა და სახლად მისა იყო ბარდავი და ტფილისი, და ჰქონდა მას ქუეყანა, რომელ არს გარემოს მისსა. და მაშინ გაძლიერდა კელმწიფობა აგარიანთა და იწყეს ძიება აშოტ კურაპალატისა. და ვერ უძლო წინააღმდეგომად მათდა აშოტ და ივლტოდა მათგან. და წარემრთა, რათა წარვიდეს საბერძნეთად“⁴¹. ნიშანდობლივია, რომ წყაროს გაგებით თბილისის ქვეყანა — ე. ა. არის „რომელ არს გარემოს მისსა“.

ჯავახეთის ახალქალაქის წარმოშობაში დიდი როლი შეასრულა მისმა სასოფლო-სამეურნეო რაიონმა, საკუთრივ „სამოქალაქომ“. ახალქალაქის „სამოქალაქო“ ანუ „ქუეყანა“ საკმაოდ დიდ ტერიტორიას მოიცავდა⁴². აქაც ცენტრის, ახალქალაქის სახელი თანდათანობით გადადის „მის შესავალ ქვეყნებზედაც“. ეს კარგად ჩანს XIV ს. ერთი საბუთიდან, სადაც დასახელებულია „ახალქალაქის თავს სოფელი ოკამი“⁴³. აქ რომ ჯავახეთის ახალქალაქის მხოლოდ პუნქტი იგულისხმებოდეს, მაშინ ოკამიც მის სიახლოვეს უნდა იყოს. სინამდვილეში კი იგი დაახლოებით 20 კმ-ზეა ახალქალაქის სამხრეთით, მისი რაიონის თითქმის საზღვარზე⁴⁴.

ახალქალაქი თანდათან მთელი ზემო ჯავახეთის ცენტრი გახდა.

1064 წ. საქართველოს აღფარსლანი შემოესია. აი, რას წერს სადრ აღდინ ჰუსეინი: „სულთანმა (აღფარსლანმა, — გ. ა.) მონიდომა ახალქალაქის სახელწოდების სხვა ქვეყნის დაპყრობაც“⁴⁵. ასე რომ, ახალქალაქსაც ჰქონდა თავისი „სამოქალაქო“, რომელიც შემდეგში ახალქალაქის ქვეყნად ჩამოყალიბდა.

იგივე სურათი ჩანს დმანისთანაც. კერძოდ, ერთ საბუთში საუბარია „დმანისის პირს სოფელი ორომაშენის“⁴⁶ შესახებ, რომელიც საკმაო მანძილითაა დაშორებული დმანისს.

39 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 339—340.

40 იქვე, გვ. 340.

41 იქვე, გვ. 376.

42 დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, თბ., 1985, გვ. 98.

43 ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, III, თბ., 1970, გვ. 117—118.

44 დ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 98.

45 ნ. შენგელია, სადრ აღდინ ჰუსეინი აღფარსლანის საქართველოს და ამიერკავკასიის ქვეყნებში ლაშქრობის შესახებ, კრ., ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, თბ., 1976, გვ. 189.

46 ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 146.

ქართული ფეოდალური ქალაქების „ქუეყანებად“ ჩამოყალიბება — ეს იყო ფეოდალური ურთიერთობის განვითარების პირობებში კანონზომიერი მოვლენა. ქალაქებში მოქმედი სახელოსნო ცენტრები თავიანთი პროდუქციით ამარაგებდნენ „ქალაქის პირის სოფლებს“. თავის მხრივ, ქალაქის განვითარებაში, მის ეკონომიკურ ცხოვრებაში დიდ როლს ასრულებდა ქალაქის სასოფლო-სამეურნეო რაიონი („სამოქალაქო“, „ქუეყანა“). აღნიშნული პროცესი, ეს ორმხრივი ურთიერთობა აისახა არქეოლოგიურ მასალაშიც. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს ნაქალაქარ ყინვალის მახლობელ სოფლებში (დევებიანი, მღვიმე) ნაპოვნი კერამიკული მასალა, რომელიც ყინვალის „ნაქალაქარზე“ მოქმედი სამეურნეო სახელოსნოს მიერ გამოშვებული პროდუქციის იდენტურია⁴⁷.

თელავის სამეურნეო სახელოსნოებში დამზადებული კერამიკული მასალის აღმოჩენა ახლომდებარე სოფლებში⁴⁸ აშკარად მიუთითებს ქალაქსა და სოფელს შორის ეკონომიკურ ურთიერთობაზე.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოჭიქული კერამიკული ჭურჭელი აღმოჩნდა ნასოფლარ ნაჭივჭავებში. მოჭიქულ კერამიკული ნაწარმი ქვემო ქართლში, ძირითადად მზადდებოდა სამშვილდეში. როგორც ფიქრობენ, ნაჭივჭავებში აღმოჩენილი მოჭიქული თიხის ჭურჭელი სამშვილდედან უნდა იყოს შემოტანილი⁴⁹.

როგორც ირკვევა XI—XIII სს. საქართველოს ქალაქებში მოქმედი სახელოსნო ცენტრების მიერ დამზადებული პროდუქცია ფართოდ გადიოდა მის სასოფლო-სამეურნეო ზონაში მდებარე სოფლებში. თავის მხრივ, ეს სასოფლო-სამეურნეო რაიონი ამარაგებდა ქალაქის მზარდ მოთხოვნილებას როგორც სოფლის მეურნეობის პროდუქტებით, ისე ხელოსნობისათვის საჭირო ნედლეულით⁵⁰. შეიძლება გარკვევით ითქვას, რომ ქალაქი თავისი სასოფლო-სამეურნეო და სახელოსნო გარეუბნებით ქმნიდა ერთ მთლიან ეკონომიკურ რაიონს⁵¹.

დასასრულს დასკვნის სახით შეიძლება ითქვას შემდეგი: შუა საუკუნეებში ქალაქი „უქუეყნოდ“ არ არსებობდა. ცენტრის — ქალაქის სახელის თანდათან გადასვლა მის „შესავალ ქუეყანაზე“ და „ქუეყანების“ ჩამოყალიბება თავიანთი ცენტრებით უკვე გარკვეულ სახეს იღებს XI—XIII საუკუნეებში. ქალა-

47 მ. მარგველაშვილი, ყინვალის ნაქალაქარი, გვ. 38; ც. ლომიძე, ნასოფლარი „მღვიმე“, გვ. 52—56; გ. რჩეულიშვილი, „დევებიანისა“ და „დიდრუვის“ ნასოფლარები, გვ. 57—66. სამივე ანგარიში დაბეჭდილია კრ., ყინვალის ექსპედიცია, თბ., 1981.

48 ც. ნიკოიძე, ქალაქ თელავის ისტორიისათვის, გვ. 83; მისივე, ქალაქი თელავი, გვ. 67.

49 ი. გრძელიშვილი, ნასოფლარი ნაჭივჭავების თხრის შედეგები. საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, XVII, № 7, 1956; მისივე, ნასოფლარი ნაჭივჭავები, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, XXIV, № 3, 1964; მისივე, რუსთაველის ეპოქის ქართული სოფელი, კრ., საქართველო რუსთაველის ხანაში, თბ., 1966, გვ. 194.

50 რუსთავისა და ლოქინის ზევისპირა მდებარე სოფლებს შორის ეკონომიკური ურთიერთობის შესახებ იხ. ლ. ქილაშვილი, ქალაქი რუსთავი, თბ., 1958, გვ. 162—163, 175.

51 შუა საუკუნეების საქართველოს ქალაქებს, კერძოდ თბილისს გვიან შუა საუკუნეებშიაც კი ჰქონდა თავისი სასოფლო-სამეურნეო რაიონი (ამის შესახებ უფრო ვრცლად იხ. მ. ბერიძე, თბილისის გარეგანი სახე XVIII საუკუნეებში, თბ., 1965; თ. ბერიძე, ძველი თბილისის გარეუბნების ისტორია, თბ., 1977; ავთ. სონღულაშვილი, თბილისის საგარეუბნო ზონის საკითხისათვის, „მაცნე“, ისტორიის სერია, № 2, 1984, გვ. 70—76).

ქი თავის სანახებით თუ მიმდებარე სოფლებითურთ ქმნიდა ერთიან სამეურნეო-ეკონომიკურ ერთეულს — „ქუეყანას“, რომლის ცენტრიც იყო თვით ქალაქი.

Г. П. АПРАСИДЗЕ

ГОРОД И ЕГО „КУЕКАНА“ (ПРИГОРОДНАЯ ЗОНА) В СРЕДНЕВЕКОВОЙ ГРУЗИИ

Резюме

Средневековый город не существовал без „куекана“ — пригородной зоны. Название города постепенно распространялось на примыкающие к нему сельскохозяйственные районы, которые со своей стороны превращаются в центры пригородных зон в XI—XIII веках.

წარმოადგინა საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის განყოფილებამ

მარინე ილურიძე

იბრაჰიმ რაჰიმზადეს ცნობები საქართველოს შესახებ

XVI ს-ის ოსმალთა ისტორიკოსი ჰარიმი იბრაჰიმ რაჰიმზადე ჩაეუში ავტორია სამი თხზულებისა; ესენია: 1. სულთან მურად-ხანის გამარჯვების წიგნი (Zafername-i Hazret-i Sultan Murad-Han), 2. განჯის დაპყრობის წიგნი (Kitab-i Gencine-i Feth-i Gence) და 3. მურად. III-ის წალკოტის გაუშლელი ვარდი თავრიზის დაპყრობის წიგნი (Gonce-i bag-i Murad). პირველში აღწერილია 1578 წელს საქართველოში, შირვანსა და დაღესტანში ოსმალეთის არმიის შემოსვლა ლალა მუსტაფა ფაშას მეთაურობით. ცნობები საქართველოს შესახებ გვხვდება ასევე მეორე თხზულებაშიც, რომელიც 1579 წელს ოსმალთაგან განჯის დაპყრობას ეძღვნება, მესამეში კი მთელი სისრულითაა აღწერილი 1585 წელს ოსმალთა მხედართმთავრის ოზდემირ-ოღლუს ოსმან ფაშას ხელმძღვანელობით თავრიზის დამორჩილება. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, არც ერთი ამ თხზულებათაგანი გამოქვეყნებული არ არის.

სამივე ნაშრომი ინახება სტამბოლის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში — № 2372. „განჯის დაპყრობის წიგნის“ კიდევ ერთი ნუსხაა დაცული თოფქაფის სასახლის ბიბლიოთეკის ერევნის კოშკშიც — № 1296. ეს თხზულება აღწერილია ა. ლევენდისა და ფ. კარატაის კატალოგებში¹. თურქი ისტორიკოსები ი. დანიშმენდი და ბ. ქუთუქოღლუს სამივე ნაშრომს², ფ. ქირზიოღლუს კი მხოლოდ „სულთან მურად-ხანის გამარჯვების წიგნსა“ და „განჯის დაპყრობის წიგნს“ უთითებს³. ამ სამ ნაშრომს იხსენიებენ, აგრეთვე, აზერბაიჯანელი მეცნიერებიც ო. ეფენდიევი და შ. ფარზალიევი⁴.

¹ Ağah Sirri Levend, Gazavat nameler ve Mihaloğlu Ali beyin Gazavat namesi, Ankara, 1956, გვ. 89—90; F. E. Karatay, Topkapı, Sarayı Müzesi Kütüphanesi türkçe yazmalar kataloğu, İstanbul, 1961, გვ. 233.

² I. H. Danişmend, İzahlı Tarihi Kronolojisi, ტ 3, İstanbul, 1961, გვ. 694; B. Küçüköğlü, Osmanlı İnan Sıyası Münasebetleri, 1, 1578—1590, İstanbul, 1962, გვ. X.

³ F. M. Kırgıoğlu, Osmanlıların Kafkas ellerini fethi/1451—1590/, Ankara, 1976, გვ. 399.

⁴ О. А. Эфендиев, Ш. Ф. Фарзалиев, К источниковедческой характеристике трудов османского хрониста XVI в. Ибрагима Рахимзаде, Советское Востоковедение, Проблемы и перспективы, М., 1988, гв. 144—148; Ш. Ф. Фарзалиев, Восточные источники по истории Дагестана, Махачкала, 1980, гв. 105.

ი. ჰამერი შეცდომით რაპიმიზადეს აკუთვნებს „ოსმან ფაშას ისტორიას“ და „ამბავი ჩილდირისას“ (7)⁵. გ. ფლუგელის არაბულ, სპარსულ და თურქულ ხელნაწერთა ცნობილ ვენურ კატალოგში შესულია ნახსენები „ოსმან ფაშას ისტორია“ და კიდევ „თავრიზის დაპყრობის წიგნი“ — № 1016/1018⁶. პირველში გადმოცემულია 1578—1580 წლებში საქართველოში, შირვანსა და აღესტანში ლალა მუსტაფა ფაშასა და ოზდემიროღლუ ოსმან ფაშას ლაშქრობები, მეორეში კი 1585 წელს ოსმალთაგან თავრიზის დაპყრობა. როგორც აღვნიშნეთ, ი. ჰამერი პირველ თხზულებას რაპიმიზადეს აკუთვნებს, გ. ფლუგელი კი ეპყვევში აყენებს მის ავტორობას. მისი აზრით, „არც ხელნაწერი და არც სხვა ცნობები არ გვაწვდიან ამ მოსაზრების დამამტკიცებელ საბუთებს“⁷. ჩვენ ხელთ გვქვს ფოტოპირები „ოსმან ფაშას ისტორიის“ კიდევ ერთი ნუსხისა, რომელიც პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში ინახება და რომელსაც კოლოფონში გარკვევით აქვს მიწერილი ავტორის ვინაობა — სოლაქ აბუბექრ ბინ აბდულაჰი⁸. „თავრიზის დაპყრობის წიგნის“⁹ ავტორის ვინაობა თითქოსდა გარკვეულია. თხზულებას ბოლოში მიწერილი აქვს რაპიმიზადე ჩაუფში, მაგრამ ჩვენი აზრით გამორიცხული არაა, იგი გადამწერის მიერ იყოს მიწერილი და ვფიქრობთ, თხზულება აბუბექრ ბინ აბდულაჰს უნდა ეკუთვნოდეს. საქმე ის არის, რომ ოსმალთაგან თავრიზის დაპყრობა 1585 წელს რაპიმიზადეს აღწერილი აქვს „Gonce-i bag-i Murad“-ში და საეჭვოა, რომ მას ერთი ფაქტის შესახებ ორი თხზულება შეედგინა და, რაც მთავარია, „თავრიზის დაპყრობის წიგნისა“ და აბუბექრის „ოსმან ფაშას ისტორიის“ ერთმანეთთან შედარებისას აღმოჩნდა, რომ ორივე თხზულებას საერთო აქვს წერის მანერა და ლექსიკა. ხშირ შემთხვევაში მეორდება ერთი და იგივე ან ძალიან მსგავსი ფრაზები და წინადადებები, ამ მსგავსებამ კი გვაფიქრებინა, რომ „თავრიზის დაპყრობის წიგნის“ ავტორადაც შესაძლოა აბუბექრ ბინ აბდულაჰი ვიგუღვოთ.

იბრაჰიმ რაპიმიზადე ჩაუფშის ბიოგრაფიიდან ვიცით მხოლოდ ის, რაც მის თხზულებებშია დაცული, კერძოდ, რომ იგი ქუთაჰის ალაი-ბეგი იყო⁹ და 1578 წელს მამამისის მეგობარმა ლალა მუსტაფა ფაშამ ქუთაჰის მახლობლად მდებარე სოფელ „საქაში“ ყოფნისას თავისთან მიიწვია⁹. რაპიმიზადე

⁵ I o s e p h H a m m e r, Geschichte des Osmanischen Reichs, ტ. 9, Wien, 1833, გვ. 204.

⁶ G. F l ü g e l, Arabischen, persischen und türkischen Handschriften kaiserlich-königlichen Hofbibliothek, ტ. 2, Wien, 1865, გვ. 237.

⁷ იქვე.

⁸ აბუბექრის შესახებ იხ. მ. ი ლ უ რ ი ძ ე, აბუბექრ ბინ აბდულაჰი და მისი „ოსმან ფაშას გამარჯვებათა წიგნი“. — „გულანი“, თბ., 1989, გვ. 187—199.

⁹ ვენის ნაციონალური ბიბლიოთეკიდან მიღებული „ოსმან ფაშას ისტორიისა“ და „თავრიზის დაპყრობის წიგნის“ ფოტოპირები დავეითმო ც. აბულაქმ, რისთვისაც დიდ მადლობას მოვასხენებთ.

⁸ A g ä h S i r r i L e v e n d. დასახ. ნაშრომი, გვ. 89.

⁹ I. H. D a n i ş m e n d, დასახ. ნაშრომი, გვ. 18.



შირვანში დატოვებული ოსმალთა ლაშქრის სარდლის ოსმან ფაშას¹⁰ ირიცხებოდა¹⁰. მას დიდი ნდობა დაუმსახურებია და როგორც ჩავუშის ტიტულის მქონეს, სამხედრო ბანაკიდან წერილები გაუტანებია სტამბოლში, იქიდან კი სხვადასხვა ბრძანებები ჩამოუტანია¹¹.

ჩვენ ხელთ გვაქვს რაჰიმზადეს „განჯის დაპყრობის წიგნის“, „მურად III-ის წალკოტის გაუშლელი ვარდისა“ და „სულთან მურად-ხანის გამარჯვების წიგნის“ ფოტოპირები*. ამჯერად ყურადღებას ამ უკანასკნელზე ვამახვილებთ.

თხზულება ავტორს ოსმალეთის სულთნის მურად III-ის (1574—1595) „ნებართვითა და დავალებით“ შეუდგენია. იგი ოთხი კარისა და ცხრა თავისაგან შედგება და 116 გვერდს მოიცავს. თითოეულ გვერდზე 25 სტრიქონია, დაწერილია შავი მელნით, ხელი ნასხი.

როგორც ყველა ოსმალთა ისტორიკოსი, რაჰიმზადეც ტენდენციურია. მისთვის მისაღებია ოსმალთა ყოველგვარი მოქმედება, ხოლო მოწინააღმდეგის ყოველი ნაბიჯი კი მის აღშფოთებას იწვევს, მაგრამ მიუხედავად ამისა, რაჰიმზადეს ცნობები, როგორც ამ ამბების თვითმხილველისა და თანადამხედურისა, საგულისხმო და გასათვალისწინებელია XVI ს-ის 70-იანი წლები საქართველოს ისტორიის საკითხების კვლევისას, მით უფრო, რომ 1578 წელს საქართველოში ოსმალთა შემოსვლა მუსტაფა ~~ლექსი~~ შემდეგ ასე დაწვრილებით და სიმართლით არავის არ აღუწერია.

საქართველოს შესახებ საუბარია მეორე კარის პირველსა და მეორე თავში და მეოთხე კარის მეორე თავში. იმის გამო, რომ მიკროფირი მეტად უხარისხოა, ტექსტის სრულად ამოკითხვა შეუძლებელია.

როგორც რაჰიმზადე გვაუწყებს, არზრუმიდან აყრის შემდეგ ოსმალთა ლაშქარი პირველად ბასიანის ველზე დაბანაკდა და ლალა მუსტაფა ფაშამ არზრუმის ბეგლარბეგ ბაჰრამ ფაშას ზარბაზნებითურთ ოლთისის ციხეში გავზავნა „ჩათვალა საჭიროდ“¹². ოსმალების მიერ უპირველესად ოლთისის ციხის დალაშქერის მიზეზი ალბათ ის იყო, რომ იგი ათაბაგ ყვარყვარე IV-ის ეკუთვნოდა და მისი დაპყრობა ოსმალთა საბოლოო გამარჯვების ერთგვარი გარანტი იქნებოდა. მეხუთე დღეს ოსმალები „ბასმალად“ სახელდებულ სადგომში მივიდნენ. აქ მუსტაფა ფაშას „გურჯისტანის მელოქებიდან ბაშიაჩიყად წოდებული ოლქის ქეთხუდა და მამაცი და სახელოვანი ბეგები ეახლნენ, მორჩილება გამოუცხადეს, რამდენიმე ფრთა მიმინო და საჩუქარი მიართვეს და განუცხადეს: „დღეის იქით ჩვენი ვილაიეთი ფადიშაჰის სამართავ ოლქში შედის, მორჩილების გზას არ გადაუხვევს და ერთგულების დიდ გზაზე ივლისო“¹³. გახარებულმა ლალა ფაშამაც დიდი პატივი მიაგო მათ და „სიცოცხლი, ქვეყნის და ქონების ხელშეუხებლობა აღუთქვა“¹⁴. მუსტაფა ალის ცნობით

¹⁰ I. H. Danişmend, დასახ. ნაშრომი, გვ. 78, 82, 96.

¹¹ F. M. Kirzioğlu, დასახ. ნაშრომი, გვ. 399.

* სამივე თხზულების ფოტოპირები გადმოგვცა ც. აბულაძემ.

¹² رحیمی زاده چغوشر، ظفرنامه حضرت سلطان مراد خان

¹³ იქვე.

¹⁴ იქვე.



ლალა ფაშას იმერეთის მეფე გიორგი II-ის (1565—1583) ელჩი მტრეხეთისა და წიგნითა და საჩუქრებით მთა ალაჰუქებერის სიახლოვეს მიუღია¹⁵.

ბასმალიდან არტანუში მისვლისას მუსტაფა ლალა ფაშა კიდევ ერთმა ვიზიტმა გაახარა, მასთან „გურჯისტანის მეღიქებიდან რამდენიმე მეღიქის მორჩილების წიგნით კაცები მოვიდნენ და მეგობრობა და გულწრფელობა გამოამჟღავნეს და ეს მოწონებულ იქნა. მათ სულთნის უაგვესტოესი წიგნი ებოძათ და ამგვარად, სარწმუნოებრივი მტრების უმრავლესობა დამორჩილდა“¹⁶. მუსტაფა ალი აზუსტებს ამ ცნობას, მორჩილების წიგნით ქაიხოსრო II-ის (1545—1573) ქვრივის დედისიმედის ელჩი მისულა. იგი პირობას სდებდა, რომ უმცროს ვაჟს მანუჩარს მძევლად გააგზავნიდა, ხოლო თვითონ და უფროსი ვაჟი ყვარყვარე კი თავის ხალხს თურქებისკენ გადაიბირებდა და გადასახლდაც გადაიხდიდა¹⁷.

შემდეგ მოთხრობილია ჩილდირის ციხისათვის გამართული ბრძოლის ამბები. ამ ციხესთან ოსმალთა ძირითადი ლაშქრის მისვლისას ქართველებთან შეტაკება უკვე დაწყებული ყოფილა¹⁸. აბუბეკრის ცნობით, არტანიდან აყრის შემდეგ ოსმალებს იბლისის (ქაჯის) ციხე დაუმორჩილებიათ¹⁹, მუსტაფა ალი კი სტამბოლში გაგზავნილ არზანში იენი-ყალას იხსენიებს²⁰. იენი-ყალა უთითებენ ასევე მუნეჯიმ-ბაში და იბრაჰიმ ფეჩევი²¹. როგორც ერთ სიგელშია ნათქვამი, „შეითან-ყალას იენი-ყალასაც უწოდებენ“²². შეითან-ყალა ისევე, როგორც იბლისის ციხე, ქართულ ენაზე ქაჯის ციხეს ნიშნავს, მაგრამ, როგორც ზემოთ ვთქვით, რაჰიმიზადეს მოხსენიებული აქვს არა იბლისის (ქაჯის), არამედ ჩილდირის ციხე, ჩილდირის ციხეს კი ზოგიერთი მკვლევარი ქაჯის ციხესთან აიგივებს²³.

ჩილდირის (იბლისის) ციხისათვის გამართული ბრძოლის პარალელურად

15 نهر تنامه ، عالی، ვენური ნუსხა. ადრე ვისარგებლეთ ს. ჯიქიას მიერ შესრულებული თარგმანით, მაგრამ თარგმანიცა და ოსმალური ტექსტის ფოტოპირებიც დღესდღეობით დაკარგულია, ამიტომ გვერდებს ვერ ვუთითებთ.

16 رحیمی زاده چاوش გვ. 27.

17 نصر تنامه، ვენური ნუსხა.

18 رحیمی زاده چاوش გვ. 27; თვალში საცემია ის, რომ რაჰიმიზადეს ჩილდირის ომი ქართველებსა და ოსმალებს შორის გამართულ ბრძოლადა აქვს გააზრებული.

19 ابوبکر بن عبد الله، تايخ عثمان پاشا გვ. 15—16.

20 نصر تنامه სტამბოლური ნუსხა, გვ. 69ა, 70ბ, 76გ, ვუთითებთ B. Kütükoğlu-ს დასახ. ნაშრომის მიხედვით, გვ. 51.

21 ნ. შენგელია, ოსმალთა ისტორიკოსის მუნეჯიმ-ბაშის ცნობები ლალა მუსტაფა ფაშას ამიერკავკასიის ქვეყნებში ლაშქრობის შესახებ.—„ქართული წყაროთმცოდნეობა“, II, თბ., 1968, გვ. 146; იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თურქული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ს. ჯიქიამ, თბ., 1964, გვ. 39.

22 ვუთითებთ B. Kütükoğlu-ს დასახ. ნაშრომის მიხედვით, გვ. 51.

23 ივ. ჯაეახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. IV, თბ., 1967, გვ. 268; თურქეთ-სპარსეთის ომი და ქრისტიანი ქართველები, 1577—1581, იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ელდარ შამისთვალიშვილმა, თბ., 1987, გვ. 48, F. Kirzioğlu, დასახ. ნაშრომი, გვ. 289, 473; ჩილდირის ციხის თაობაზე საპირისპირო აზრის შესახებ იხ.: ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი III, თბ., 1958, გვ.



ჩილდირის ომიც დაწყებულა. ყარაულში მყოფი დიარბაქირის დერვიშ ფაშა ერევნის მმართველ თოქმაქ-ხანს, განჯის გამგებელ იმამყული-ხანს და კიდევ სხვა ხანებსა და ბეგებს გადაწყდომია. როგორც ჩვენი ავტორი შენიშნავს, დერვიშ ფაშამ „სურვილი ველარ დაიოკა და ვარსკვლავებევით მრავალრიცხოვან ლაშქარს ერთი ბეგლარბეგი აღუდგა წინ“²⁴, მაგრამ მტრის სიმრავლემ თავისი გაიტანა, დერვიშ ფაშა ცხენიდან ჩამოვარდა, ხოლო ქურთი ბეგებიდან ამრადანის ეიალეთის ბეგი და კიდევ სხვა ამირები, ზაიმე-ბი და თიმარიოტები დაეცნენ ბრძოლის ველზე, „მთელმა ჯარმა სირცხვილი ჭამა, ხოლო მტერს ხელსაყრელი შემთხვევა მიეცა“. ლალა მუსტაფა-ფაშამ დერვიშ ფაშას დამხმარედ ოზდემიროღლუ ოსმან ფაშა, არზრუმის ბეგლარ-ბეგი ბაჰრამ ფაშა და მარაშული აჰმედ ფაშა გაუგზავნა. ბრძოლა გვიან დამემდეგ გაგრძელდა, მაშხალების ანთებაც კი დასჭირდათ. რაჰიმზადეს თქმით. „ბრძოლაში დაცემულ ურჯულოებზე შურისმაძიებლად დიდი წვიმაც მოსულა“²⁵. საბოლოოდ გამარჯვება ოსმალებს დარჩათ. ასეთივე თანმიმდევრობით აქვს აღწერილი ჩილდირის ბრძოლა აბუბექრ ბინ აბდულაჰსაჰ²⁶.

ამის შემდეგ, რაჰიმზადე ყვარყვარესა და მანუჩარის შესახებ გვიამბობს. როგორც იგი გვამცნობს, „მელიქი ყვარყვარე და მელიქი მანუჩარი დამორჩილდნენ და რადგანაც იმედი ჰქონდათ, რომ უზუნაესი კარის წინ მუხლია მოყრის ნებას დართავდნენ, ამიტომ ელჩი გამოავგზავნეს“²⁷. მათ ამის ნება მიიღეს და იმავე დღეს დაესწრნენ ლალა ფაშას მიერ მოწვეულ დივანსა და დიდ აღლუმს, სადაც ყველანი დამსახურებისდა მიხედვით დაასაჩუქრეს. მთავარ-სარდალმა მეომრებს საკუთარი ხელით დაახურა ჯილები, წელზე მოოქვილი ხმლები შემოარტყა და ხალათები უბოძა. ამასთან, ბევრი დააწინაურა და ტყვეებიც იქვე, დივანის წინ დაახოცინა. ყვარყვარემ და მანუჩარმა ოსმალეთის ხაზინის სასარგებლოდ ჯიზიას გადახდაც იკისრეს²⁸. ამით მთავრდება თხზულებაში სამცხის ტერიტორიაზე წარმოებული საომარი მოქმედებების აღწერა.

შემდეგ აღწერილია თბილისის დამორჩილება. ოსმალები თბილისში 986 წლის ჯუმად აღ-ახირის მეოცე-ჩვირთა დღეს (1578 წლის 24 აგვისტოს) შე-

403—405: ც. აბუ ლაჰქე, სამცხე-საათაბაგოს ისტორიიდან (XVI ს. 80-იანი წლები), მრავალთავი, XV, თბ., 1989, გვ. 201; Шараф-Хан ибн Шамсаддин Бид-лӣсӣ, Шараф-Наме, т. I, Перевод, предисловие, примечания, приложения Е. И. Васильевой, М., 1967, с. 516.

²⁴ رحیمی زاده چاوش, გვ. 28.

²⁵ იქვე გვ. 29.

²⁶ ابوبکر بن عبد الله، تاریخ عثمان پاشا, გვ. 16, 17.

²⁷ رحیمی زاده چاوش, გვ. 29, 30.

²⁸ იქვე, გვ. 32; ეს ფაქტი დაახლოებით ასევეა აღწერილი აბუბექრის (გვ. 20, 21), იბრაჰიმ ფეჩევის (გვ. 41), ყარა ჩელები-ზადესა (გ. ალ ას ან ი ა, აბდულ აზიზ ყარა ჩელები-ზადეს ცნობები საქართველოს შესახებ. — საისტორიო კრებული, VI, თბ., 1976, გვ. 103) და სელიანიქის (გ. ფუ თ უ რ ი ძ ე, მუსტაფა სელიანიქის ცნობები საქართველოს შესახებ, თსუ შრომები, ტ. 91, 1960, გვ. 263) თხზულებებში, მხოლოდ ეს ავტორები ყვარყვარეს მისვლის, ელჩის გაგზავნისა და ჯიზიას გადახდის შესახებ არას გვამცნობენ; მანუჩართან ერთად ყვარყვარეს მორჩილება ფიქსირებულია მუნეჯიმ-ბაშის თხზულებაშიც (გვ. 137). იგივე დასტურდება 1579 წლის 9 დეკემბრით დათარიღებულ ჰუქუმშიც, რომელიც ოსმალეთის სულთანმა მურად III-ემ ჩილდირის ბეგლარბეგ მანუჩარს (მუსტაფას) გაუგზავნა, იხ. ც. აბუ ლაჰქე-დასახ. წერილი, გვ. 202.



ეროვნული
წიგნობა

ვიდნენ. ქართლის გამგებელმა დავითმა, დაუთ-ხანად **წიგნობა** ბრძოლა გაუმართა და მხოლოდ შუალამისათვის მიატოვა ციხე, მაგრამ შეტაკებები ამით არ დამთავრებულა. იგი ტყე-ველს აფარებდა თავს და ოსმალოც მის სამყოფელს გაიგებდა თუ არა, მაშინვე იქ გაჩნდებოდა და ბრძოლას უმართავდა, რომელშიც ოსმალო იმარჯვებდა. ქართველთა მხრიდან პარტიზანული ბრძოლის გამართვას დაუთ-ხანის მეთაურობით ადასტურებენ ტ. მინა-დოი და დონ-ხუან სპარსელიც, მხოლოდ იმ სხვაობით, რომ ამ შეტაკებებს ადგილი ჰქონია არა ოსმალთა თბილისში შესვლის შემდეგ, არამედ მანამდე, სამცხიდან თბილისისაკენ მიმავალ გზაზე²⁹. საპირისპიროს გვამცნობენ აბუ-ბექრი, მუსტაფა ალი, სელიანიქი, იბრაჰიმ ფეჩევი და მუნეჯიმ-ბაში³⁰. თბილისში შესვლისას ოსმალთა ლაშქარს არავითარი წინააღმდეგობა არ შეხვედ-რია. ქალაქი ცარიელი დახვდათ, მოსახლეობა გახიზნულიყო. ჩანს, დაუთ-ხანსა და ოსმალებს შორის შეტაკებებს, მართლაც, ჰქონია ადგილი, მაგრამ ოსმა-ლოს რომ თბილისი ცარიელი დახვდა, ეს თავად რაჰიმინზადეს თხზულებიდანაც ირკვევა, იგი წერს: სიმშვიდემოწყურებული, დაფანტული რეაია „ყო-ველდღიურად თავის ადგილზე ბრუნდებოდა. წარჩინებულმა კაცებმა ფაღი-შაჰის უპირატესობა აღიარეს... და მათი უმეტესობა თავის კარ-მიდამოს და-უბრუნდა“³¹. რაჰიმინზადეს ძლიერ მოსწონებია თბილისის ციხე: „თბილისის ციხე ისეთ კარგ ციხედ იქცა, რომ მისი თხრილი და კედელი გარეგნობით არაბეთის ქვეყნის ალეპოს ციხეს ჰგავს და მტკვრად სახელდებული მდინარე კი დიდი დუნაის მსგავსია“³² — წერს იგი. პარასკევ დღეს ფაღიშაჰის სახელზე ხუტბა აღავლინეს³³. თბილისიდან გამგზავრების წინ თბილისის ციხე თოფ-იარაღით მოამარაგეს, მეომრები ჩააყენეს და სანჯაყბეგი დაუნინეს³⁴.

თხზულებაში დაწვრილებითაა აღწერილი კახთა მეფის ალექსანდრე ლე-ვანის ძისა (1574—1605) და ლალა მუსტაფა ფაშას შეხვედრა, რომელიც ქა-ბურის (იორის) წყლის მარცხენა სანაპიროზე შემდგარა. ოსმალეთის არმიის მთავარსარდალმა საგანგებო შეხვედრა მოუწყო მას, საზეიმოდ გამოწყობილი ლაშქარი ორ ნაწილად გაჰყო და ალექსანდრემაც მათ შორის გაიარა. ლალა ფაშასთან შეხვედრისას იგი ცხენიდან ჩამოხტა და ხელი ჩამოართვა. რაჰიმინ-ზადეს თქმით, ამ დროს, ლალა ფაშა ისევ ცხენზე იყო ამხედრებული და ზე-ვიდან დაჰყურებდა კახთა მეფეს. შემდეგ სტუმრის პატივსაცემად, უფრო მე-ტად კი ოსმალეთის ძლიერების საჩვენებლად და ალექსანდრე მეფის დასაშა-ნებლად, ოსმალეთის ლაშქარმა ალღუმში გამართა. მუსტაფა ფაშამ ალექსანდ-რეს სამი შესანიშნავი ხალათი და ერთი მოოჭვილი ჯილა უბოძა. ხალათებით დაასაჩუქრა ასევე ალექსანდრეს თანმხლები 150 პირი და დანარჩენ ქართვე-

29 ე. მ ა მ ი ს თ ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი XV საუკუნის მეორე ნახევარსა და XVI საუკუნეში (ევროპული წყაროების მიხედვით), თბ., 1981, გვ. 179

30 **تاریخ عثمان پاشا** გვ. 22; **نصرتنامه** ვენური ნუსხა; **მუსტაფა სე-ლიანიქი**, გვ. 263; **იბრაჰიმ ფეჩევი**, გვ. 41, 42; **მუნეჯიმ-ბაში**, გვ. 137.

31 **رحیمی زاده چاوش** გვ. 34.

32 იქვე.

33 იქვე.

34 იქვე, გვ. 35.



ლებსაც სხვადასხვა პატივი მიაგო. ამის შემდეგ, ფადიშაჰის საბუღალთროსი წიკითხეს და ბოლოს, „შემოერთების შესახებ მშვიდობის წიგნი და უზენაესი ბარათი გაიცა და შედეგი ამისა იყო სიმშვიდის ჩამოგდება“³⁵.

ესაა ძირითადად ის, რისი ამოკითხვაც შევძელით. ამავე მოვლენების ამსახველ სხვა ქართულ, ოსმალურ, სპარსულ და ევროპულ წყაროებთან რაჰმიზადეს ცნობების შედარებამ გვიჩვენა, რომ მის თხზულებაში საქართველოს შესახებ დაცული ცნობები მოვლენებს სიმართლით ასახავს, ეს კი საშუალებას გვაძლევს, რომ ჰარიმი იბრაჰიმ რაჰმიზადე ჩაუთუი სანდო ავტორად ვივულოთ.

М. А. ИЛУРИДЗЕ

СВЕДЕНИЯ ИБРАГИМА РАХИМИЗАДЕ О ГРУЗИИ

Резюме

Историк XVI века Харими Ибрагим Рахимизаде Чавуш является автором трёх сочинений: 1) Книга побед султана Мурад-хана; 2) Книга завоевания Гянджи; и 3) Книга завоевания Тебриза. Все три сочинения хранятся в Стамбульской библиотеке, ; одна копия „Книги завоевания Гянджи“ находится в библиотеке Топкапского дворца, в Эрванском замке.

Наибольший интерес для нас представляет „Книга побед султана Мурад-хана“. В ней описывается поход Лали-Мустафы-Паши на Грузию в 1578 г., непосредственным участником которого является сам автор. Абубекр рассказывает о походе на крепость Олтиси, принадлежащую атабегу Кваркваре IV, о прибытии послов царя Имеретии Георгия II в местечко „Басмалы“ и принесение ими присяги на верность османам, о прибытии в Артаан послов вдовы атабега Кайхосро II Дедисимеди. В памятнике описано также взятие крепости Иблис/Кажди, Чылдырская битва, усмирение Кваркваре IV и Манучара и выплата последними османам „Джизии“, вступление в Тбилиси войска Лали-Паши и столкновение его с Дауд-ханом, встреча царя Кахетии Александра с Лали-Пашой и т. д.

„Книга побед султана Мурад-хана“ и вышеуказанные сочинения Рахимизаде до сих пор не опубликованы.

წარმოადგინა საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტმა.

³⁵ رحیمی زاده چاوش 33. 37.

5. „მ ა ც ნ ე“, ისტორიის სერია, 1993, № 1.

კახეთის რკინიგზის ზეგავლენა კახეთის ეკონომიკაზე

კახეთის რკინიგზის აშენებას მთელი მხარის ეკონომიკური და კულტურული განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. მისი საშუალებით მოხერხებული სამეურნეო და კულტურული კავშირი დამყარდა ამიერკავკასიისა და იმპერიის სამრეწველო ცენტრებს შორის. ამ ფაქტმა კიდევ უფრო გააძლიერა კახეთის ყოველმხრივი კავშირი რუსეთის ცენტრალურ რაიონებთან და უზრუნველყო მთელი მხარის ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების შედარებით სწრაფი ტემპით განვითარება.

ჯერ კიდევ რკინიგზის აშენებამდე უკვე შესამჩნევი გახდა ალაზნის დაბლობზე წარმოების ზრდის ტენდენცია: 1) კახეთის რკინიგზის მოსალოდნელმა მშენებლობამ მოსახლეობაში გამოიწვია საკუთარი ვენახების ფართობების გაზრდა. (დაახლოებით 10 წლის განმავლობაში 30%-ით); 2) კახეთში დაიწყო თამბაქოს მოყვანა და ბამბეულის პლანტაციების გაშენება. უკანასკნელის წარმოების შემდგომ ზრდას ხელს უშლიდა რკინიგზის ხაზის უქონლობა. 3) იმის გამო, რომ ტყის მასალა თბილისში ყოველწლიურად ძვირდებოდა, დაიწყო მისი სახმელეთო გზით შემოტანა, რაც ძვირი ჯდებოდა.

კახეთი აწარმოებდა ღვინოს, ხილს, ბრინჯს, თამბაქოს, ბამბეულის ქსოვილს და ა. შ. ამ პროდუქტების გასასაღებლად მარტო თბილისის ბაზარი არ იყო საკმარისი. საჭირო გახდა საქონლის გაყიდვა რუსეთში და საზღვარგარეთ, რაც რკინიგზის გაყვანამდე შეუძლებელი იყო.

ალაზნის დაბლობზე აყენებდნენ განთქმულ კახურ ღვინოს. მაგრამ ამ ღვინის მაღალი ხარისხით შენახვა ხდებოდა მხოლოდ ადგილზე, თვით კახეთში. რუსეთში გაყიდული კახური ღვინოები მაგარი იყო და ვერ უწევდა კონკურენციას რუსეთის ბაზრებზე შემოტანილ ევროპულ ღვინოებს. ადგილობრივი მოხმარებისათვის ყურძნის წვეს ტოვებდნენ გარკვეული დროით დაწურვის შემდეგ, რათა ღვინოს აეღო საჭირო რაოდენობის ტანინი. მაგრამ ასეთი წესით გამოყვანილი ღვინოები შეიცავდა მცირე რაოდენობით ტანინს, ამიტომ, მართალია, სასიამოვნო გემო ჰქონდა, მაგრამ გრძელი სახმელეთო გზებით გადატანისას ასეთი ღვინოები მალე ფუჭდებოდა. რაც შეეხება კახეთიდან გასატან ღვინოებს, მას დიდხანს ტოვებდნენ ქვევრებში პირველ გამოყვანამდე, რათა წვეს აეღო დიდი რაოდენობით ტანინი, რის გამოც ღვინო მალე აღარ ფუჭდებოდა და შეიძლებოდა მისი გადატანა შორეულ სახმელეთო გზებზე, დასაშვები იყო აგრეთვე ტემპერატურის შეცვლაც.

კახური ღვინოების განსაზღვრული რაოდენობით გატანა რუსეთსა და ევროპის სახელმწიფოების ბაზრებზე მისი სიმაგრით იყო გამოწვეული.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კახეთის საუფლისწულო მამულებში თავიდანვე დაიწყეს ღვინოების ევროპული წესით დაყენება. ყურძნის მიღება-გა-

დამუშავების და ღვინის დაძველებისათვის წინანდელში აშენდა სარდაფი-ქარხანა. აქ დაწურულ ყურძენს მხოლოდ მცირე ხნით ტოვებდნენ ქვევრებში, სამაგიეროდ, ახალ ღვინოს ინახავდნენ სარდაფებში სამი წლით თანაბარ ტემპერატურაზე. ასეთი წესით დაყენებული ღვინოები, მიუხედავად იმისა, რომ მცირე რაოდენობით შეიცავდა ტანინს, სახმელეთო გზით ადვილად გადასატანი ხდებოდა.

მაგრამ ასეთი საწარმოს მოწყობა შეიძლებოდა მხოლოდ დიდი კაპიტალის საშუალებით, რაც ადგილობრივი მოსახლეობის უმეტეს ნაწილს არ გააჩნდა.

თავისი სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე ჩვეულებრივი რიგითი მევენახე და გლეხი ვერ შეძლებდა ისეთი დიდი სარდაფების აშენებას, რომელიც დაიტევდა 3—4 წლის მოსავალს. აგრეთვე ამ სარდაფების მოწყობას საჭირო ინვენტარითა და მანქანებით, ვერ დაელოდებოდა მთელი 4 წლია განმავლობაში საკუთარი მოსავლისაგან მისაღებ ფულს.

ვენახების უცხოელი მეპატრონეები ყურძენს წვეწვს მაშინვე ასხამდნენ ქვევრებში და მისი დუღილი მიმდინარეობდა ყოველგვარი მორევის გარეშე. პირველი დუღილის დამთავრების შემდეგ, ეს ახალი ღვინო უკვე იყიდებოდა ჩვეულებრივი ფასებით უცხოელ ვაჭრებზე. ღვინის ვაჭრები სწორედ ამ დროს დადიოდნენ სოფლებში, სინჯავდნენ ღვინოებს კასრებიდან და თუ მოეწონებოდათ, ყიდულობდნენ და მაშინვე ბეჭდავდნენ კასრებს, რათა ნაყიდი ღვინო დაეცვათ ფალსიფიკაციისაგან. დაცარიელებული ღვინის კასრები უკან მიჰქონდათ ვერმანის რკინიგზის საშუალებით ყოველგვარი გადასახადების გარეშე. უცხოელებს საკუთარ გამგებლობაში ჰქონდათ რკინიგზის ქსელი, ამიტომ ყოველთვის ამჯობინებდნენ ახალდაყენებულ ღვინოების გატანასა და გაყიდვას და სავსებით გამორიცხავდნენ ღვინის გაფუჭების შესაძლებლობას. კახეთშიც, სანამ რკინიგზა აშენდებოდა, ღვინის მფლობელები ცდილობდნენ საკუთარი ნაწარმი დამმარებისაგან გადაერჩინათ.

ზემოაღნიშნული საზღვარგარეთის მეურნეობის მოკლე დახასიათებიდან კარგად ჩანს, რომ მევენახეობის ქვეყნებში მეურნეობის სწორად და რაციონალურად წარმართვისათვის აუცილებელია სარკინიგზო ხაზები, რომლის გარეშეც ღვინის გასაღება წარმოუდგენელი ფაქტია.

კახეთის რკინიგზის მშენებლობის დამთავრებამ შესაძლებელი გახადა ამ რეგიონში მევენახეობა-მეღვინეობის სწორად წარმართვა. 1915 წლის 1 სექტემბერს, მოძრაობის გახსნის პირველსავე წელს, კახეთიდან რკინიგზით გატანილი იქნა 2 მილიონი ვედრო საუკეთესო ღვინო¹. ასეთი რაოდენობის ღვინის გასაღების ბაზარი, თბილისი უკვე ველარ იქნებოდა, ასეთი ბაზარი იყო რუსეთი და საზღვარგარეთის ქვეყნები. თბილისი კახეთისათვის გახდა ახლოს მდებარე სარკინიგზო სატვირთო სადგური და გასაყიდი საქონლის გადამცემა პუნქტი, სადაც შეიძლებოდა ასეთი რაოდენობის ღვინის მხოლოდ დროებითა გაჩერება.

კახეთის რკინიგზის გახსნის შემდეგ რუსი ვაჭრები ხშირად ჩამოდიოდნენ კახეთში, ყიდულობდნენ ახალდაყენებულ ღვინოს და ყოველგვარი შეფერხების გარეშე აგზავნიდნენ რუსეთსა და ევროპის ბაზრებისაკენ. რკინიგზის გარეშე ისინი ამას ვერ შეძლებდნენ, რადგანაც კახური ღვინის ხარისხი თავისი

¹ სტატისტიკური კრებული, 1909—1921 წწ.; თბ., 1923, გვ. 36.

სიძლიერით არ აკმაყოფილებდა რუსეთის მოთხოვნებს, სადაც ღვინოები შემოდინდა საფრანგეთიდან, იტალიიდან და ა. შ. მეორე მხრივ რკინიგზამ ხელ შეუწყო კახურ ღვინოებს, რათა ტემპერატურის გამოცვლის შემთხვევაში აღდამარებულიყო.

მხოლოდ რკინიგზის გაყვანამ მისცა საშუალება კახეთს, მოემარაგებინა რუსეთი საუკეთესო, ევროპული წესით დაყენებული ღვინოებით, რომლებიც თავისი ხარისხით არ ჩამოუვარდებოდა ისეთ ცნობილ ღვინოს, როგორიც იყო მერლ დე-მასონა და საუკეთესო ბურგუნდიისა და ბორდოს ღვინოები.

კახეთის ბუნებრივი პირობები იძლეოდა იმის საშუალებას, რომ აქ ეწარმოებინათ უმაღლესი ხარისხის შავი ღვინოები. ურკინიგზობა კი იწვევდა დიდი რაოდენობით მხოლოდ თეთრი ღვინოების დაყენების საშუალებას, რადგან თეთრ ღვინოზე ადგილობრივი მოთხოვნილება დიდი იყო. აქედან გამომდინარე, რუსეთს ყოველწლიურად საზღვარგარეთიდან შემოჰქონდა 11,35 მილიონი მანეთის ღვინო (გარდა ლიქიორის და კონიაკისა, რომელშიც იხდიდა 3 მილიონ მანეთს). კახეთის რკინიგზის გაყვანის შემდეგ მარტო რუსეთში ღვინის გატანამ რეგიონს მისცა (1915—1916 წწ.) დაახლოებით 3,2 მილიონი მანეთი².

რკინიგზამ ხელი შეუწყო აგრეთვე ადგილობრივი მოსახლეობის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებასაც. გლუხს გაუჩნდა იმის შესაძლებლობა, უფრო ძვირად გაეყიდა ევროპულ წესზე დაყენებული ღვინო. ყოველივე ამან ხელი შეუწყო კახეთში მეღვინეობის სწრაფად განვითარებას და ის წამგებიანი დარგიდან მომგებიანად გადაიქცა.

შავი ღვინის წარმოების გადიდებამ კვლავ დააინტერესა რუსი ვაჭრები, რომლებიც უკვე საზღვარგარეთ აღარ მიდიოდნენ ღვინოების შესაძენად. დაიწყო ღვინით ვაჭრობის მოწესრიგება, გამოირიცხა ღვინის ფალსიფიცირება, რომელიც ადრე შეიმჩნეოდა. იმის გამო, რომ რუსეთის ბაზრებზე კახური ღვინოების გამოჩენა კონკურენციას გაუწევდა რუსეთის სამხრეთ რაიონებიდან შემოტანილ ღვინოებს, უსაფუძვლო აღმოჩნდა.

კახური ღვინოები კონკურენციას უწევდა მხოლოდ ბურგუნდიისა და ბორდოს ღვინოებს, რომლებთანაც იგი ხარისხით უფრო ახლოს იყო. ასეთმა კონკურენციამ დადებითი შედეგები გამოიღო არა მარტო კახეთის ეკონომიკისათვის, არამედ მთლიანად იმპერიის მეურნეობისათვის. მან გააუმჯობესა შიდა სახელმწიფოებრივი ბალანსი, გარდა ამისა, შექმნა შემოსავლის ახალი წყარო. შემოსავლიდან საწარმოში კაპიტალის დაბანდება თავისუფლად ხდებოდა, მაშინ, როდესაც წამგებიან საწარმოში ასეთი ოპერაციების წარმართვა შეუძლებელი იყო. კახეთის მეურნეობის წამგებიანობა კარგად ჩანს რკინიგზის გაყვანამდე.

ვენახების ფართობების 30%-ით გაზრდამ თავიდანვე გამოიწვია გადახარჯვა წარმოებაში. ღვინის ფასები ეცემოდა, ბევრი გალატაკდა. მაგრამ რკინიგზის აშენებამ ეს პროცესი შეაჩერა.

საერთოდ XX საუკუნის ათიანი წლებიდან, რუსეთის იმპერიაში ხანგრძლივი დებრესიის შემდეგ, სამრეწველო აღმავლობა დაიწყო. გაძლიერდა რკინიგზების მშენებლობა, გაიზარდა პურისა და ღვინის ფასები მსოფლიო ბაზარზე, გაიზარდა სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა პროდუქტთა საქონლი-



ანობა. კაპიტალიზმის საერთო აღმავლობამ განაპირობა სახელმწიფო ბიუჯეტის ზრდა.

სამრეწველო აღმავლობა მიმდინარეობდა მრეწველობის მონოპოლიზაციით ზრდის ვითარებაში, რასაც თან ახლდა კაპიტალის შემდგომი კონცენტრაცია. მიმდინარეობდა აგრეთვე უცხოური კაპიტალის გავლენის გაძლიერება რუსეთის მრეწველობაში.

სამრეწველო აღმავლობის ტემპები შედარებით ნელი, ხოლო სამრეწველო ჩამორჩენა უფრო მეტად ხელშესახები იყო რუსეთის იმპერიის განაპირა კოლონიურ რაიონებში, მათ შორის საქართველოშიც, სადაც ცარიზმა მეტროპოლიის ბურჟუაზიის კარნახით განგებ აფერხებდა მრეწველობის განვითარებას, რომ ეს მხარეები ცენტრალური რუსეთის სამრეწველო დანამატად ექცია და ძირითადად სასოფლო-სამეურნეო აგრარული პროფილის ჩარჩოებში შეეზღუდა.

1910 წლიდან სამრეწველო მოღუენება ამიერკავკასიაში ახალი აღმავლობით შეიცვალა. აღმავლობის წლებში მრეწველობის განვითარება სწრაფი ტემპით წავდა წინ, რაც იმპერიალიზმისათვის დამახასიათებელი ნიშნებით მიმდინარეობდა: წვრილ საწარმოთა ხარჯზე იზრდებოდა მსხვილი ფაბრიკა-ქარხნები, ფართოვდებოდა მუშათა კონტიგენტი.

ეს სამრეწველო აღმავლობა დადებითად მოქმედებდა კახეთის ეკონომიკაზე, მიუხედავად იმისა, რომ იმპერიის ეს რაიონი ძირითადად სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას აწარმოებდა.

1917 წელს თელავის მაზრაში იყო 5039 დესეტინა ვენახი, დაიკრიფა 499822 ფუთი ყურძენი და დაიწურა 418237 ვედრო ღვინო, რომლის დიდი ნაწილი გატანილი იქნა საქართველოს საზღვრებს გარეთ³.

იმავე წელს სიღნაღის მაზრაში ვენახები გაშენებული იყო 4971 დეს. ფართობზე, მოიწიეს 735708 ფუთი მალახარისხოვანი ყურძენი, დაიწურა 611433 ვედრო ღვინო, რომლის დიდი ნაწილიც საზღვარგარეთ გაიყიდა⁴.

რკინიგზის გაყვანამ ხელი შეუწყო მაზრების შიგნით ვაჭრობის განვითარებასაც. თელავის მაზრაში სავაჭროების რიცხვი 82-დან 339-მდე გაიზარდა, ხოლო სიღნაღის მაზრაში 104-დან 372-მდე⁵.

კახეთის რკინიგზის ხაზის გაყვანამ ხელი შეუწყო აგრეთვე ისეთი დარგის განვითარებას, როგორცაა მეხილეობა.

ყოველწლიურად რუსეთს უცხოეთიდან შემოჰქონდა 12 მილიონი მანეთის ხილი, მაგრამ თანდათანობით რუსეთის ბაზრებზე შემოტანილმა ტაშკენტის ხილეულმა აჯობა საზღვარგარეთიდან შემოსულს. ორენბურგ-ტაშკენტის რკინიგზის გყვანის შემდეგ შუა აზიიდან შემოსულმა ხილეულმა მოსკოვისა და პეტერბურგის ბაზრებზე კონკურენცია გაუწია საზღვარგარეთის საქონელს.

კახეთის რკინიგზის გაყვანამ საშუალება მისცა ამ მხარეს, რომ მალეფუჭებადი საქონელი (ხილი) გატანილი ყოფილიყო რუსეთში.

მოძრაობის გახსნის პირველსავე წლებში კახეთიდან და ზაქათალის ოლქიდან გატანილი იქნა 1,5 მილიონი მანეთის ხილეული⁶, ისეთი ხილეული, რომ-

³ სტატისტიკური კრებული 1909—1921 წწ., თბ., 1923; გვ. 37.

⁶ იქვე, გვ. 38.

⁵ გაზ. „ერთობა“, 1917 წ., № 6.

⁶ ჟურნალი „მოსავალი“, 1917 წ., № 7.



მელსაც კონკურენციას ვერ გაუწევდა სხვა ადგილებიდან შემოტანილი ტილო, მაგალითად, ზღვისპირეთის მხარეში მოწეული. რომელიც, მართალია, მოცულობით დიდია, მაგრამ ნესტიანი კლიმატის გამო ნაკლებად ტკბილია.

მებამბეობა იმ პერიოდში თანდათან ერთ-ერთი წამყვანი დარგი ხდებოდა ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებაში. ადგილი, სადაც კლიმატური პირობები იძლეოდა ამ კულტურის გაზარების შესაძლებლობას კასპიისპირეთის მსგავსად ამიერკავკასიაშიც ძირითადად რკინიგზებით სიახლოვეს იყო განლაგებული. ბამბეულის კულტურისათვის გამოსაყვანი მიწები რკინიგზებთან უკვე დაკავებული იყო. ბამბის გამოსაყვანი ფართობის გასაზრდელად საჭირო გახდა მტკვრისა და არაქსის დაბლობებზე დამატებითი მოწყობილობების შემოტანა, რომელიც ძალიან ძვირი დაჯდა.

ალაზნის დაბლობზე ბამბის გამოყვანა პირველად დაიწყო აუთვისებელ მიწებზე, რამაც თავიდანვე დიდებული შედეგი მოგვცა. ეს იმით აიხსნებოდა, რომ ალაზნის დაბლობის გარკვეულ ნაწილში ნალექების წლიური რაოდენობა ნორმალური იყო, ამიტომ აქ შესაძლებელი გახდა კულტურის გამოყვანა.

კახეთში ბამბეულის განვითარება ხდებოდა ჩრდილოეთ ამერიკის სამხრეთ შტატების პრაქტიკული გამოცდილების მაგალითზე — ყოველგვარი გამოყვანის გარეშე.

ამიერკავკასიის საგადასახლებო სამმართველომ დაიწყო ალაზნის დაბლობის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე სახელმწიფო მიწებზე რუსეთიდან გადმოსახლებულთა დასახლება. მათი ძირითადი საქმიანობა იყო ბამბეული კულტურის გამოყვანა როგორც მურის საშუალებით, ასევე პლანტაციებით. გადმოსახლებულებს მოჰყავდათ აგრეთვე პური, რომელსაც საჭიროებდა ადგილობრივე მოსახლეობა (დაახლოებით 500 ტონა წელიწადში).

კახეთის რკინიგზის ხაზის გაყვანამ გამოიწვია ამ მხარეში სრული ეკონომიკური გადატრიალება. მოძრაობის გახსნის შემდეგ გაცხოველებულად დაიწყო საქონლის გაცვლა ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მწარმოებლურ რაიონებთან. თუ რკინიგზის გახსნამდე პურის შემოტანა ალაზნის დაბლობზე ძალიან ძვირი ჯდებოდა სახმელეთო გზებით, მოძრაობის გახსნის შემდეგ შესაძლებელი გახდა ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოეტანათ შედარებით იაფი პურის მოსავალი. ალაზნის დაბლობის მოსახლეობამ ბამბის მოყვანისა და გაყიდვის შემდეგ აქტიურად დაიწყო ჩრდილოეთის პურის შესყიდვა.

რუსეთს ყოველწლიურად შემოჰქონდა 73,8 მილიონი მანეთის ბამბა, ე. ი. საერთო მოთხოვნილების 60%. ეს თანხა, რომელსაც უცხოელებს ყოველწლიურად უხდიდნენ ოქროთი, მძიმედ აწვებოდა იმპერიის ეკონომიკას. მეორე მხრივ რუსეთი ყოველწლიურად თითქმის ჩალის ფასად ყიდდა პურს, კახეთის რკინიგზის გაყვანის შემდეგ იქმნებოდა საქონლის გაცვლის (ბამბა პურზე) შესაძლებლობა იმპერიის შიგნით. იმ დროისათვის ეს წარმოადგენდა ძირითად სახელმწიფო ეკონომიკურ პრობლემას, რომლის გადაწყვეტის შესაძლებლობა იქმნებოდა თანდათანობით. პირველად საჭირო გახდა ძალიან ძვირი საზღვარგარეთული მოწყობილობები, რომლის შეძენაც მხოლოდ ოქროთი შეიძლებოდა. რუსი ეკონომისტები ფიქრობდნენ, რომ რკინიგზაზე მოძრაობის გახსნის შემდეგ ალაზნის დაბლობის მოსახლეობა ძირითადად გადავიდოდა ბამბეულის მოყვანაზე, მაგრამ იმასაც ითვალისწინებდნენ, რომ ადგილობრივ



მოსახლეობას ამ საქმეში გამოცდილება აკლდა. მიუხედავად კულტურაზე გადასვლას ხელს არაფერი უშლიდა, რადგან ამ კულტურის გაზარებისათვის საჭირო მიწის ფართობები უკვე არსებობდა. ეკონომისტები აღნიშნავდნენ, რომ კახეთის რკინიგზის აშენების შემდეგ, როგორც ამიერკავკასიის რკინიგზაზე, აქაც გამოჩნდებოდნენ ვაჭრები ლოძიდან და მოსკოვიდან, რომლებიც რკინიგზის სადგურებთან ახლოს მოაწყობდნენ ბაზების გასასუფთავებელ ქარხნებს, მისცემდნენ ადგილობრივ მოსახლეობას თესლეულს და გახსნიდნენ კრედიტებს მომავალი უხვი მოსავლისათვის.

კახეთში მოყვანილ ბამბას ექნებოდა გასაღების ბაზარი რუსეთის იმპერიის შიდა გუბერნიებში. ეს ადვილად მოხდებოდა, მას შემდეგ, რაც უკვე გაყვანილი კახეთის რკინიგზა შეუერთდებოდა გადასასვლელ რკინიგზას ვლადიკავკაზიდან თბილისზე გავლით.

მაგრამ ზემოაღნიშნული რუსი ეკონომისტების მოსაზრება არ გამართლდა, რადგან კახეთის რკინიგზაზე მოძრაობის გახსნის შემდეგ ვერ მოხერხდა გადასასვლელი რკინიგზის მშენებლობა. ბოლომდე ვერც იმან გაამართლა, რომ ბამბეულის კულტურის ისეთი რაოდენობა მოეყვანათ კახეთში, რომელიც საშუალებას მისცემდა რუსეთის იმპერიას, საერთოდ შეეწყვიტა ამ კულტურის შემოტანა უცხოეთიდან. რკინიგზაზე მოძრაობის გახსნის პირველ წლებში კახეთიდან რუსეთში გაიტანეს დაახლოებით ნახევარი მილიონი მანეთის ბამბა.

კახეთში მოჰყავთ აგრეთვე შემდეგი კულტურები: ბრინჯი, აღმოსავლური ხილის ხე, ზაფრანი, მიწის კაკალი, აბრეშუმი, თამბაქო.

აღმოსავლური ხილის ხე, რომლისგანაც დიდი რაოდენობით იღებდნენ გამოსახდელ ფისს, ხარობდა სიღნაღის მაზრის ტყის მასივებში მდინარე ალაზნის ვადალმა, აგრეთვე მდინარე იორის ქვემო წელში. იგი შემოსავლიანი კულტურა იყო, რა თქმა უნდა, სათანადო ტექნოლოგიური დამუშავების შემდეგ, რაც შესაძლებელი გახდა რკინიგზის გაყვანის შემდეგ. აღმოსავლური ხილის ხე ხარობდა აგრეთვე ნაფარეულში, ყვარელში, ვაჩნაძიანში, წინანდალში და სხვა სოფლებში. მაგრამ ამ კულტურიდან კახეთისათვის შემოსავალი ძალიან მცირე იყო.

ასეთივე მდგომარეობა იყო კახეთში ბრინჯის კულტურის მხრივაც. რუსი ეკონომისტები თვლიდნენ, რომ მდინარე ალაზნის ქვემო წელში იყო საუკეთესო ადგილები ბრინჯის მოსაყვანად. რომლის გატანის შემდეგ შემოვირდებოდა მისი ექსპორტი საზღვარგარეთიდან. რუსეთს ყოველწლიურად საზღვარგარეთიდან შემოჰქონდა 5 მილიონი მანეთის ბრინჯი.

ზაფრანის მოყვანა დაწყებული იყო სოფელ ზემო მაჩხაანში. ეს კულტურა ძირითადად არსებობდა დერბენტსა და ბაქოში, მაგრამ მიუხედავად ამისა, რუსეთს საზღვარგარეთიდან შემოჰქონდა ამ კულტურის განსაზღვრული რაოდენობა.

მიწის კაკალი ანუ მიწის აღმოსავლური ხე, ფართოდ იყო გავრცელებული სამხრეთ ევროპაში და განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ჩრდილოეთ ამერიკაში. კაკლიდან იღებდნენ 40% ზეთს. მოსავალი 1 დესტინაზე შეადგენდა 100—150 ფუტს. ეს კულტურა ისევე მოჰყავდათ, როგორც სიმინდი. მიწის კაკალი წარმატებით ხარობდა ყარაიაზის სახელმწიფო მიწებზე. თბილისში 1 ფუნტის ფასი შეადგენდა 20—25 კაპიკს. ეს კულტურა მომგებიანი იყო, ამი-



ტომ რკინიგზის ხაზის გახსნის შემდეგ მან კახეთში დიდი გავრცელება ჰპოვა. მაგრამ ამ კულტურასაც არ მოუხდენია რაიმე დადებითი ზეგავლენა კახეთის ეკონომიკაზე. მართალია, მის გავრცელებას ხელს უწყობდა კლიმატური პირობები, მაგრამ სათანადო რაოდენობით მისი გახარება ვერ მოხერხდა.

კახეთში თამბაქოს პლანტაციები გადაჭიმული იყო დიდ ფართობზე ზაქათალის ოლქში და განსაკუთრებით სიღნაღის მაზრაში. თამბაქო გაშენებულ იყო (1904 წლის მონაცემებით) დაახლოებით 1400—1500 დესეტიანზე, სიღნაღი იღებდნენ 125.000 ფუტს. მომდევნო წლებში თბილისში რკინიგზით შემოიტანეს 70.000 ფუტი თამბაქო, კახეთიდან გაიტანეს 192.500 ფუთი. მაღალი ხარისხის თამბაქოს წარმოებას კახეთში უკვე ღრმად ჰქონდა ფესვები გადგმული. ენფინჯიანცის მემკვიდრეები ფლობდნენ თამბაქოს უდიდეს პლანტაციებს ლაგოდეხში. თბილისში არსებობდა ენფინჯიანცის თამბაქოს ფაბრიკა, აგრეთვე ერთი ფაბრიკა იყო სიღნაღში. მაგრამ პირველი მაოფლიო ომის გამო თამბაქოს გატანამ საზღვარგარეთ მნიშვნელოვნად დაიკლო. 1914 წ. კახეთში აწარმოეს 107 389 ფუტი დაბალი ხარისხის თამბაქო, 1915 წელს 39250 ფუთი მაღალი ხარისხის, 1916 წელს 126355 ფუთი მაღალი ხარისხის თამბაქო. 1917 წელს თამბაქოს მოსავალი უმნიშვნელო იყო, ხოლო 1918 წელს მოიყვანა 17 233 ფუთი მაღალი ხარისხის თამბაქო⁹.

ლაგოდეხის თამბაქოს პლანტაციების ახლოს, დაახლოებით 4 კილომეტრში მდინარე მაძინ-ჩაიზე იყო ენფინჯიანცის მემკვიდრეების ბაღი, რომელსაც ეკავა 35 დესეტინა ფართობი. ბაღში გამოჰყავდათ საზღვარგარეთიდან შემოტანილი ვაშლის, მსხლის, ქლიავის და ელიზავეტოპოლის ბროწეულის საუკეთესო ჯიშები. აქ გამოჰყავდათ აგრეთვე ოღურმათის ჯიშის ატამი, რომლის 1 ცალი იწონიდა 1 ფუნტს და ინახებოდა ოქტომბერ-ნოემბრამდე¹⁰. ამ ბაღში დაიწყეს აგრეთვე ზეთოვანი ხეების ნერგების გამოყვანა, რომლებსაც იღებდნენ ართვინიდან.

ცნობილია, რომ მეაბრეშუმეობა წარმოადგენდა საქართველოს სოფლის მეურნეობის ფრიად მნიშვნელოვან დარგს. მართალია, მას ჩვენში უძველესად დროიდან მისდევდნენ. მაგრამ მისი წარმოება მე-19 და მე-20 საუკუნეებში არამც თუ ვითარდებოდა, არამედ უკან-უკან მიდიოდა.

მე-20 საუკუნის დასაწყისიდან აღმოსავლეთ საქართველოს სახალხო მეურნეობაში მეაბრეშუმეობა თითქმის არავითარ როლს აღარ თამაშობდა.

უმთავრესი მიზეზი მეაბრეშუმეობის ჩამორჩენისა იმაში მდგომარეობდა, რომ რუსეთის ადინისტრაცია არამც თუ შესაფერისად არ აფასებდა მეურნეობის ამ დარგს, არამედ ხშირად თავისი დაუდევრობისა და უცოდინრობის გამო, აბრკოლებდა კიდევ მის განვითარებას. მაგალითად: აბრეშუმის თესლის საექსპორტოდ დამზადება სავსებით შეწყდა მთვრობის მიერ საექსპორტო ბაჟის დაწესების გამო. თუ 1864 წელს ბათუმიდან გატანილი იყო ამიერკავკასიაში დამზადებული 1.700 ფუთი აბრეშუმის თესლი, მეოცე საუკუნეში თვითონ შემოპქონდათ იგი ოსმალეთიდან, იტალიიდან და საფრანგეთიდან. აბრეშუმი

7 უკრანლი „მოსავალი“, 1917 წ., № 10.

8 სსცია, ფ. 287; ანაწ. 1; საქ. 53; ფურც. 401;

9 „სტატისტიკური კრებული, 1909—1921 წწ. „თბ., 1923; გვ. 39.

10 სსცია, ფ. 287; ფურც. 402.



საქართველოში უმეტესად პარკის სახით იყიდებოდა, ხოლო მსოფლიო ბაზარზე ალური და ხელოსნური წარმოება ძალიან მცირე იყო¹¹.

კახეთში რკინიგზის გაყვანის შემდეგ აბრეშუმის პლანტაციების სიგრძე თანდათან კლებულობდა. 1909—1913 წლებში პლანტაციების სიგრძე იყო 3518 დესეტინა, მოსავალმა შეადგინა 54.960 ფუთი, რაც ერთ დესეტინაზე შეადგენდა 15,6 ფუთს. 1914 წელს მოსავალი შედარებით უხვი იყო, 8200 დესეტინაზე 122.600 ფუთი¹². 1915 წელს 4100 დესეტინა ფართობზე მოიყვანეს 41.000 ფუთი აბრეშუმი, რაც ერთ დესეტინაზე შეადგენდა 10,6 ფუთს. 1916 წელს 1000 დესეტინა ფართობზე მოყვანილი იქნა 19.000 ფუთი აბრეშუმი, ერთ დესეტინაზე 19,0 ფუთი, ხოლო 1917 წელს 200 დესეტინა ფართობზე მოყვანილი იქნა 4800 ფუთი აბრეშუმი, ერთ დესეტინაზე 24,0 ფუთი¹³.

კახეთის რკინიგზაზე მოძრაობის გახსნის პირველ წლებში საზღვარგარეთ გატანილი იქნა 60.000 ფუთი აბრეშუმი რამაც, მართალია, მცირე მასშტაბით, მაგრამ მაინც დადებითად იმოქმედა კახეთის ეკონომიკაზე, რეგიონს მისცა 2.5 მილიონი მანეთის მოგება.

კახეთის ეკონომიკისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ტყის მასალების გამოტანას და მის შემდგომ დამუშავებას.

თიანეთის მაზრაში სახელმწიფო ფლობდა 101.777 დესეტინა ტყის ფართობს, კერძო საკუთრებაში იყო 39.735 დესეტინა ტყე, ე. ი. ამ მაზრაში მთლიანად იყო 141.512 დესეტინა ტყე.

თელავის მაზრაში სახელმწიფო ფლობდა 48.038 დესეტინა ტყეს, ხოლო კერძო მფლობელობაში იყო 73.329 დესეტინა, სულ 121.367 დესეტინა ტყე.

სიღნაღის მაზრაში სახელმწიფო ფლობდა 55.808 დესეტინა ტყეს, რომელშიც არ შედიოდა სადავო ტყის მასივები ჭიათურის მონაკვეთზე. საუკეთესო ტყე იყო აგრეთვე ჭიათურში 41.627 დესეტინა, სადავო მონაკვეთის გარეშე (7627 დესეტინა) — 34.000 დესეტინა. ეს ტყეები მდებარეობდა ლაგოდეხთან ახლოს. საერთოდ სიღნაღის მაზრაში კერძო ტყის მასივები ძალიან ცოტა იყო დარჩენილი, ისინი თითქმის მოჭრილი იყო. გარდა კავკასიონის მთავარ ქედზე მდებარე ტყეებისა¹⁴. საერთო ტყის მასივების რაოდენობა შეადგენს 300.000 დესეტინას, რომლის ნახევარი მდებარეობდა თიანეთის მაზრაში, ხოლო დანარჩენი 9/10 განლაგებული იყო მდინარე ალაზნის მარცხენა სანაპიროზე.

ტყის ჯიშებიდან უმეტესობას შეადგენდა წიფელი, რომელსაც რკინიგზის გაყვანამდე ადგილობრივი მნიშვნელობა ჰქონდა. ის ასრულებდა ძირითადად სამშენებლო მოვალეობას. გომბორის უღელტეხილზე პრიმიტიული წესით წიფელის ხიდან იღებდნენ ხის ნახშირს, რომელსაც 80 ვერსის მანძილზე სახმელეთო გზით ეზიდებოდნენ თბილისში, სადაც ხდებოდა მისი რეალიზაცია.

ხის ნახშირით სარგებლობდა მთელი ამიერკავკასია, რადგან არა მარტო სამშენებლო ტყე, არამედ შეშაც კი არ მოიპოვებოდა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში. 1902 წელს ამიერკავკასიის რკინიგზით თბილისში შეიტანეს 2.833.560 ფუთი ტყის შეშა, 1903 წელს 2.983.442 ფუთი, ხოლო

1 კ. კანდელია კი, საქართველოს ეროვნული ჰერენობა, პარიზი, 1960., გვ. 193—194.
 12 „სტატისტიკური კრებული, 1909—1921 წწ.“, თბ., 1923 წ., გვ. 41;
 13 იქვე.
 14 სტია, გვ. 287; ანაწ. 1; საქ. 53; ფურც. 402,



ქართული
საქმიანობა

1904 წელს 3.568.552 ფუთი¹⁵, უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ლისში 1 საყენი შემოს ფასი 30 მანეთიდან 45 მანეთამდე გაიზარდა. ამ მდგომარეობიდან გამომდინარე, მოსახლეობის უმეტესობა იძულებული იყო, ესარგებლა გომბორიდან შემოტანილი ხის ნახშირით, სადაც ტყეები ბარბაროსულად ნადგურდებოდა.

კახეთის რკინიგზის აშენებამ ძირეული გარდაქმნა გამოიწვია ტყის მეურნეობის საქმიანობაში. ამიერკავკასიის მოსახლეობამ დაიწყო ქვანახშირის გეგმაზომიერად წარმოება. აშენდა მშრალად გადასამუშავებელი ქარხნები, რომელთა მფლობელები თანდათანობით ცვლიდნენ ნახშირის ორმოებში გამოყვანას ფაბრიკული წესით. ხოლო, როგორც საყოველთაოდ იყო ცნობილი, მშრალად გამოყვანისათვის წიფელი ერთ-ერთი საუკეთესო მცენარე იყო.

არც ამიერკავკასიაში და არც სამხრეთ რუსეთში არ იყო არცერთი ტყის გადასამუშავებელი ქარხანა, ამიტომ მშრალად დამუშავებისაგან მიღებული პროდუქტები ძალიან ძვირი ღირდა.

მთელი კახეთის ტერიტორიაზე მოიპოვებოდა კირის უდიდესი მარაგი, რომელიც აუტლებელ იყო ახალაშენებული ქარხნებისათვის. მას ტყის მასალებთან ერთად ამუშავებდნენ, ფხვნილად აქცევდნენ, რომელიც ცემენტის მსგავსად იფუთებოდა და იყრებოდა იაფფასიან პატარა კასრებში. ამ წესით მიღებული ხის წებო შემდეგ ადვილად საღებოდა იაფი შეფუთვის გამო. იმ ქარხნებში სადაც საჭირო ხდებოდა ხის წებო, აღნიშნული ფხვნილი უკვე ადვილად შემუშავდებოდა.

ხის წებო ისეთი პროდუქტი იყო, რომელსაც დიდი მოთხოვნილება ჰქონდა მსოფლიო ბაზარზე. კახეთის რკინიგზის აშენების შემდეგ ხის წებო, რომელიც მზადდებოდა კახეთის წიფელისაგან, იყიდებოდა არა მარტო კავკასიაში და რუსეთში, არამედ სამხრეთ ევროპაში, ეგვიპტესა და თურქეთში.

თელავისა და თიანეთის მაზრებში წიფელი მცირე რაოდენობით მუშავდებოდა. ამიტომ მთელი კავკასია და ზაქათალის ოლქი ვენური ავეჯის ნაწილს ვარაუდიდან იღებდა, ნაწილს კი ავსტრიაიდან. (არ იყო გათვალისწინებული დიდი საბაჟო გადასახადები). ავეჯის შემოტანა ძვირი ჯდებოდა, ამიტომ ამიერკავკასიაში ავეჯის ფაბრიკების აღმოცენება დამოკიდებული იყო კახეთის რკინიგზის გახსნაზე. მაგრამ კახეთის რკინიგზაზე მოძრაობის პირველ წლებში ვერ მოხერხდა აღნიშნული ფაბრიკების გახსნა, რადგან მას ხელი შეუშალა არასტაბილურმა საგარეო და საშინაო ფაქტორებმა, როგორც იყო პირველი მსოფლიო ომი და რევოლუციები იმპერიის შიგნით.

იმ დროისათვის ყველაზე იაფი ჯდებოდა წიფელის პარკეტი, რომელსაც იყენებდნენ მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში და განსაკუთრებით ავსტრია-უნგრეთში.

კახეთის რკინიგზაზე მოძრაობის გახსნის პირველ წლებში კახეთში აწარმოებდნენ 10.000 ფუთი ქსოვილი, რომელიც ძირითადად ვაჭონდათ საზღვარგარეთ. (რუსეთს შემოჰქონდა 11,5 მილ. მანეთის ქსოვილი).

იმვე წლებში აწარმოეს 60.000 ფუთი მატყლი, რომელიც ასევე საზღვარგარეთ იქნა გატანილი. (რუსეთს შემოჰქონდა 22 მილ. მანეთისა ცვილა და თაფლს კახეთში სტატისტიკური მონაცემებით აწარმოებდნენ 3.801 ფუთს,

¹⁵ სსცია, ფ 287; ანაწ. 1; საქ. 53; ფურც. 403.

მაგრამ სინამდვილეში ეს ციფრი უფრო დიდი იყო. (რუსეთის მთავრობის მხრიდან 1875-76 წლებში 5,1 მილ. მანეთის თაფლი და ცვილი)¹⁶.

საუკეთესო საშუალება იქმნებოდა კახეთში სამთო მრეწველობის განვითარებისათვის. კახეთში მოიზოვებოდა: სპილენძი, მაგნიტური რკინა, ქვის ნახშირი, ნავთობი, მარილი სამშენებლო ქვა, ბზოლი, ცარცი; ტყვია; კოლჩედანი და სხვ.

ზემოჩამოთვლილი წიაღისეულიდან ყველაზე დიდ ყურადღებას იმსახრებდა ნავთობი. XIX საუკუნის 70-იან წლებში კახეთში არსებობდა ნავთობის საწარმოები, რომლებიც ნავთით ამარაგებდნენ თბილისსა და სამხრეთ კავკასიის დასავლეთ ნაწილს. ნავთობს იღებდნენ და ამუშავებდნენ პრიმიტიულ მეთოდებით, მაგრამ მაშინ ასეთი მეთოდი იყო მიღებული ბაქოშიც და გროზნოშიც.

მაშინ კახეთში არსებობდა ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა. ასეთი იყო სოფელ ბოჭორმასთან სიმენსის ქარხანა. თბილისიდან ბაქომდე რკინიგზის აშენების შემდეგ, ამ ქარხანას საშუალება მიეცა, თავისი ნაწარმი იაფად მიეტანა თბილისამდე.

კახეთის ნავთობის მარაგის შესახებ საინტერესო ბროშურა „კახეთის ნავთობის საბადოები“ გამოიცა 1906 წელს.

ჯერ კიდევ 1872 წელს ცნობილი გეოლოგი აბიხი წერდა, რომ „წყალგამყოფი უღელტეხილი, რომელიც მდებარეობს მდინარეებს იორსა და ალაზანს შორის თავისი 160 ვერსის სიგრძით მდიდარია ნავთობის უდიდესი მარაგით. აქედან ნავთობის წყარო მოედინება სამხრეთ კავკასიისკენ და მისი სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილისაკენ, სადაც მდებარეობს ქ. ბაქო“.

მკვლევარი მიაჩნებოდა აგრეთვე ნავთობის დიდი მარაგის არსებობაზე სოფელ ზემო ხოდაშენთან, თელავის ახლოს.

1896 წელს ცნობილმა ინგლისელმა ექსპერტმა ტაუნსენტმა დაასაბუთა ზემო ხოდაშენის ნავთობის საუკეთესო თვისებები და ის შეადარა ამერიკულ ნავთობსაბადოებს. მაგრამ მაშინ ინგლისელმა კაპიტალისტებმა უარი თქვეს ამ საბადოს დამუშავებაზე, რადგან არ არსებობდა რკინიგზით მიმოსვლა, ნორმალური საშუალებანი.

1901 წელს აქ მუშაობდა ცნობილი ექსპერტი ლენდერ-ბანკიდან ი. მუკე. მისი ავტორიტეტის წყალობით პეტერბურგელმა კაპიტალისტებმა, როელთა სათავეში იდგნენ გრაფი ა. გეიკინგი და ა. გარტმანი, ზემო ხოდაშენში დაიწყეს ჰაბურღილების გაკეთება და დაბურღვა.

1908 წელს დაწერილ მოხსენებით ბარათში ფინანსების, კავშირგაბმულობის, ვაჭრობის და მრეწველობის სამინისტროების წინაშე ა. გეიკინგი და ა. გარტმანი აღნიშნავდნენ იმ დიდ სიძნელებებს, რომელიც მათ შეხვდათ კახეთში მუშაობის დროს.

ნავთობის მარაგი კახეთში ასე იყო განაწილებული:

- 1) თიანეთსა და ახმეტას შორის 5000 დესეტინა;
- 2) ბოჭორმასა და ზემო ხოდაშენს შორის 4.000 დესეტინა;
- 3) თელავის სამხრეთით;
- 4) გურჯაანისა და სიღნაღის შემოგარენში.

¹⁶ „სტატისტიური კრებული 1909—1921 წწ.“, თბ., 1923; გვ. 44.

კახეთის რკინიგზის გაყვანის შემდეგ ვერც ამ საწარმოს მშენებლობა ფუნქციონირება მოხერხდა. კახეთში ნავთობპროდუქტები კვლავ შემოჰქონდათ ბაქოდან, ამიერკავკასიის რკინიგზის საშუალებით.

ამრიგად, კახეთის რკინიგზაზე მოძრაობის გახსნის პირველი წლებიდანვე კახეთის ეკონომიკამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა, მაგრამ ის ეკონომიკური გადატრიალება, რომელსაც ელოდებოდნენ კახეთის რკინიგზის მესვეურები, პირველ ხანებში ფიქტიური აღმოჩნდა. ეს გამოწვეული იყო პირველი მსოფლიო ომის დაწყებითა და იმპერიის შიგნით მომხდარი ორი რევოლუციით.

Р. ВАЖБЕДАШВИЛИ

ВЛИЯНИЕ КАХЕТИНСКОЙ ЖЕЛЕЗНОЙ ДОРОГИ НА ЭКОНОМИКУ КАХЕТИ

Резюме

Построение Кахетинской железной дороги имело огромное значение для развития экономики и культуры целого края.

С ее помощью устанавливались тесные хозяйственные и культурные связи между промышленными центрами Закавказья и империи.

Еще до построения железной дороги проявилась тенденция роста производства Алазанской долины: 1) предполагаемая постройка железной дороги вызвала расширение частных виноградников (приблизительно за 10 лет 30% — св); 2) в Кахетии начали культивировать табак и создавать бамбуковые плантации; 3) из-за неуклонного роста цен на лесоматериалы в Тбилиси, их начали ввозить сухопутным путем, что обходилось достаточно дорого. Для реализации производимых в Кахетии продуктов в России и за границей нельзя было обойтись без постройки железной дороги. Первый же год открытия железной дороги — из Кахетии было вывезено 2 млн. ведер вина. Только построение железной дороги позволило Кахетии обеспечить Россию изготовленными по европейскому способу винами. В первые же годы после открытия железной дороги было вывезено из Кахетии и Закатальского округа фруктов на 1, 5 млн. рублей. За этот же период из Кахетии в Россию было завезено на 0, 5 млн. рублей хлопка.

Постройка Кахетинской железной дороги в корне изменила лесное хозяйство. Население Закавказья начало планомерно производить уголь.

Имевшиеся в Кахетии полезные ископаемые: медь, магнитное железо, каменный уголь, нефть, соль, строительный камень, хрусталь и другие.

Как видим, постройка железной дороги в экономике Кахетии произвела значительные изменения, однако того экономического переворота, который ожидали строители, не произошло. Это было вызвано Первой мировой войной и двумя революциями.

ლალი მამლარაშვილი

ცის ღვთაებასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები
დასავლეთ საქართველოში XIX საუკუნის II ნახევრის პერიოდულ
პრესაში

(„ივერია“, „დროება“)

ცის ღმერთის არსებობა დადასტურებულია მსოფლიოს მრავალი ხალხის რელიგიაში. სამეგრელოში ცის ღვთაების კონკრეტულ გამოვლენას წარმოადგენს „ჟინი ანთარი“, რომელიც კოლხურ ღვთაებად ივარაუდება¹, კოლხეთში კი ცა, დედამიწასთან ერთად, ანტიკური ეპოქის კოლხებისათვის თაყვანისცემის ობიექტია²; იქ იღებოდა უზენაეს ფიცი ცის (ურანოსი³) და დედამიწას (გეას) სახელით³, ცისა და მიწის მადლს ერთად იფიცავს ვანიც⁴.

სამეგრელოში დამოწმებული „ჟინიშის“ ანუ „ზევითურის“ შესახებ არსებული მასალების შესწავლის შედეგად დადგენილია, რომ ტერმინი „ჟინი“ ფიგურირებს: ღვთაების სახელებში, ავადმყოფობის აღმნიშვნელ სახელებთან და „ჟინის“ მიმართ აღვლენილ ლოცვაში — „ჟინის ხვამა“ (ლოცვა „ზევითურისადმი“) და ტერმინში „ჟინის მახვამერი“ — („ჟინის“ მლოცველი)⁵.

ცის ღმერთის რაობის საკითხი, ფუნქციები და მის მიმართ ჩასატარებელი კულტმსახურების ფორმები შესწავლილია ეთნოგრაფი ნ. აბაკელიას მიერ. წინამდებარე სტატიაში ჩვენ შევეხებით მხოლოდ ზეცისადმი, ზედასადმი აღვლენილი ლოცვის რიტუალს, რომელიც ფიქსირებულია XIX ს-ის ქართული პერიოდული პრესის, კერძოდ, გაზეთების — „ივერიისა“ და „დროების“ კორესპონდენციებში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იგი შეიცავს პარალელურ მასალას აფხაზებისა და საქართველოში მცხოვრები ოსების ეთნოგრაფიული ყოფის ამ კონკრეტული წეს-ჩვეულების შესახებ.

სანამ უშუალოდ მოვლენის განხილვას დავიწყებდეთ, წარმოვადგენთ თვით ამ მასალას: ერთ შემთხვევაში ლოცვა („ჟინის ხვამა“ სრულდებოდა მეხის ჩამოვარდნის შემდეგ, რასაც ემსხვერპლა ძროხა. რიტუალი ტარდებოდა ტყეში, სადაც აღმართავდნენ ოთხ მაღალ სვეტს, მათზე აწყობდნენ ფიცრებს

1 ნ. აბაკელია, ცის თაყვანისცემა დასავლეთ საქართველოში (ღვთაება „ჟინი ანთარი“), „მაცნე“, ისტორიის სერია, 1983, № 2, გვ. 150.

2 Г. Лордкипанидзе, Колхида в VI—II вв. до н. э., Тб., 1978, გვ. 121.

3 აპოლონიოს როდოსელი, არკონავტიკა, თარგმანი და შესავალი წერილი აკგელოვანის რედაქცია, შენიშვნები და საძიებელი აკ. ურუშაძის, თბ., 1975, გვ. 136.

4 იქვე.

5 ნ. აბაკელია, დასახ. ნაშრომი, გვ. 145.



და ზედ ათავსებდნენ მეხით მოკლულ საქონელს. ხალხი გარს უვლიდა და თაყვანს სცემდა ძროხას. იქვე, ისეთივე ოთხსვეტიან ფიცარნაზე აწყობდნენ ორ მოხარულ ცხვარს და ერთ ვაცს. აღნიშნულ პროცესში მონაწილეობდნენ ერთი გვარის მამაკაცები: ამ ჩვეულების აღსრულების დროს ქალების დასწრება იკრძალებოდა. მოკლული ძროხის პატრონი სხვების თანხლებით მიდიოდა სამსხვერპლოსთან (ცხვრები და ვაცი) და ერთ-ერთი მონაწილის მიერ წარმოთქმული ლოცვით ოთხჯერ შემოუვლიდნენ ირგვლივ. ამის შემდეგ მოხარულ ცხვრებს შეექცეოდნენ (როგორც ჩანს, დასავლეთ საქართველოს მკვიდრთა, ისევე როგორც სხვა ხალხთა ცნობიერებაში, ციფრი ოთხი წარმოადგენს სტატიკური მთლიანობის სახეს; იგი ხშირად ფიგურირებს სამყაროს შექმნის შესახებ მითებში, იგია გამომხატველი ქვეყნიერების ოთხი მხრის, ოთხი მთავარი მიმართულების და ა. შ.)⁶.

რიტუალის დასრულებისას ხეებზე გადაკიდებდნენ ცხვრების ტყავებს, რომლებიც ისე უნდა გახრწნილიყო, რომ არაფერი მიკარებოდა. ძროხაც ხელუხლებლად იქვე რჩებოდა. წასვლისას მასთან მიდიოდნენ და კიდევ ერთხელ თაყვანს სცემდნენ. ის დღე, როდესაც ლოცვა სრულდებოდა (კონკრეტულ შემთხვევაში — პარასკევს) „უინისას“ მლოცველს უქმედ უნდა დაედგინა და მკაცრად შეესრულებინა მასთან დაკავშირებული ვალდებულებები⁷.

მეორე შემთხვევაში, როდესაც მეხი მოხვდებოდა აფხაზის სახლს, პირუტყვს, ხეს, — ამას მეხის რისხვად თვლიდნენ, მკითხავის რჩევის შემდეგ უქმედ იცავდნენ ერთ დღეს და ატარებდნენ ლოცვას ტყეში. აქ პირდაპირ მეხს ევედრებოდნენ.

მათი რწმენით, მეხით მოკლული საქონელი ისეთი მძიმეა, რომ ათასი კაციც ვერ დაძრავდა ადგილიდან, მაგრამ, თუ სპეციალურ სიმღერას, ე. წ. „ატლარჩოუფას“⁸ შეასრულებდნენ და ფერხულით ირგვლივ შემოუვლიდნენ, დაუბრკოლებლად ასწევდნენ მაღლა.

ასეთ დროს მწუხარება არ შეიძლებოდა. თუ მეხი ადამიანს იმსხვერპლებდა, არ დაიტირებდნენ, არც დამარხავდნენ; ისიც სიმღერითა და ცეკვით აჰქონდათ ხის წვერზე⁹, ან კუბოში ჩადებულ გვამს ტოვებდნენ ძალიან მაღალ ოთხ ბოძზე დაყრდნობილ კოშკურაზე, შემდეგ ჩამოიღებდნენ და, ჩვეულებისამებრ, დაკრძალავდნენ¹⁰ (ღვთაების მამრული ბუნებიდან გამომდინარე, ხეზე მხოლოდ მამაკაცების გვამებს ტოვებდნენ. ამავე მიზეზით, რიტუალში მონაწილეობა ქალებს ეკრძალებოდათ).

ასეთივე წესების დაცვით სრულდებოდა ლოცვის რიტუალი „ღმერთის მიზეზითა და ბრალით“ გამოწვეული ავადმყოფობის დროს. ასეთ ავადმყოფს აღენიშნებოდა ტემპერატურის ხშირი ცვალებადობა, ხან მომაკვდავს ემსგავსებოდა, ხან უეცრად ძალის მოზღვავებას გრძნობდა, ემართებოდა კრუნჩხვა, თვალები უტრიალდებოდა, ამავე დროს, ავადმყოფი, რომელსაც არასოდეს

✓ ⁶ Т о п о р о в В. Н., Числа.—Мифы народов мира, Энциклопедия, т. II, М., 1982, გვ. 630.

⁷ ბ. გაბისონია, სამურძაყანო, „დროება“, 1875, № 78.

⁸ ამ საგალობლის ტექსტის შესახებ იხ. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. I, თბ., 1979, გვ. 123.

⁹ პ. გიორგიძე, აფხაზეთი და აფხაზნი, „ივერია“, 1888, № 185.

¹⁰ С. З в а н б а, Абхазская мифология..., „Кавказ“, 1855, № 81.



უმღერია, იწყებდა სიმღერასა და ლოცვას. ამასთან იგი ლაპარაკობდა აკოს საკუთარი სახელით, არამედ თითქოს სხვა ვინმე ჩასახლებულიყო მის სხეულში და წამოყენებული მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში ავადმყოფის სულის ამოხდით იმუქრებოდა¹¹.

დაავადების მსგავსი სიმპტომების მქონე ავადმყოფს აღმოსავლეთ საქართველოს მთასა და ბარში „დამიზეზებულს“ უწოდებდნენ¹², სამეგრელოში აქ დაავადების გამომწვევე მიზეზად ქინიშის „ბრალს“ მიიჩნევდნენ. ასეთ ავადმყოფს ბნედიანის ნიშნები ჰქონდა და მის განკურნებას ილორის წმინდა გიორგის ხატს ევედრებოდნენ¹³.

ასეთივე მოვლენა დასტურდება ოსებშიც, რომელიც ვაჩილას (ჭეჭა-ქუხილის ღვთაება; ქრისტიანულ დონეზე წმ. ილია წინასწარმეტყველი)¹⁴ სახელთანაა დაკავშირებული. მეხის ჩამოვარდნის შემდეგ რომელიმე პირი იწყებდა ქადაგებას, მასაც აღნიშნული სიმპტომები ახასიათებდა და ვაჩილას სახელით ითხოვდა მსხვერპლს¹⁵.

აფხაზეთშიც ამ სახის ავადმყოფობის (იგულისხმება ფსიქო-ნერვული დაავადებანი) მიზეზად თვლიდნენ ღვთის განრისხებას. მისი გულის მოსაგებად და რისხვის წყალობით შეცვლის მიზნით ასრულებდნენ ლოცვის რიტუალს სათანადო მსხვერპლშეწირვით.

ამასთან, იმ ოჯახში, სადაც ავადმყოფი იყო, მწუხარება მხიარულებით იცვლებოდა. მომაკვდავის სახლში თავს იყრიდნენ ახალგაზრდები და მხიარულობდნენ. ამ შემთხვევისათვის არსებობდა სიმღერა, რომელიც სხვა დროს არ იმღერებოდა. ამავე დროს ლოცვის შესასრულებლად მიმდინარეობდა მზადება. ლოცვა სრულდებოდა კვირა დღეს. შესაწირავი მიჰქონდათ ტყეში. წმინდა მოხუცი (მლოცველი, სარიტუალო წესის აღმასრულებელი) სათანადო ლოცვის წარმოთქმის შემდეგ კლავდა სამსხვერპლო ცხოველებს — ვერძს ან კრავს — ღმერთის სახელზე, ვაცს ან თიკანს — მიქელგაბრიელის სახელზე.

მიწაში ჩაარჭობდნენ ოთხ ბოძს, ზედ გადებდნენ ორ ხეს, მათზე გარდო-გარდმო გააწყობდნენ ჯოხებს, ზემოდან აყრიდნენ ფოთლებს, აფარებდნენ მიტკალს და აწყობდნენ შესაწირავს. მოხუცი მიმართავდა ღმერთს და მიქელგაბრიელს თხოვნით, რომ ავადმყოფისათვის ებატებინა ცოდვა და განეკურნა, თანაც მათ სახელზე ანთებდა სანთლებს. ლოცვის ცერემონიალის დასასრულს პირუტყვის ტყავებს ხეზე ტოვებდნენ. ამ „ბრალის“ გამო კი ვალად იღებდნენ რომელიმე დღის უქმობას¹⁶.

ზემომოყვანილი ფაქტებიდან ზოგიერთი ნიუანსის განზოგადების შედეგად მივიღებთ შემდეგ სქემას: 1. ლოცვა სრულდებოდა მეხის ჩამოვარდნის შემდეგ, აგრეთვე „ბრალით“ გამოწვეული ავადმყოფობის შემთხვევაში; 2. ავადმყოფობა და მეხით ადამიანის ან პირუტყვის სიკვდილი მიჩნეული იყო

11 ბ. გიორგიძე, დასახ. სტატია „ივერია“, 1888, № 185.

12 თ. ოჩიაური, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, თბ., 1954, გვ. 15—38; ნ. შინდაძე, ქართული ხალხური მედიცინა, თბ., 1981.

✓ 13 ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, გვ. 319.

14 Ч и б и р о в Л. А., Периодическая печать „Кавказа“, газ. „Кавказ“, 1850, № 48, в сб. „Об Осетии и осетинах, т. I, Цхинвали, 1981, გვ. 110; А б а е в В. И., Осетинский язык и фольклор, I. М.—Л., 1949, გვ. 69.

15 Н. Б е р з е н о в, Очерки осетин, „Кавказ“, 1850, № 48.

16 ბ. გიორგიძე, აფხაზეთი და აფხაზნი, № 185.



თვით მეხის ან მეხმსროლელი ღვთაების რისხვად; (ამასთან, ღმერთის რისხვად დებოდათ უქმე დღის დაუცველობის ან ქცევის სხვა რაიმე ნორმის დარღვევის გამო); 3. განსაკუთრებლად და შემომწყრალი ღვთაების გულის მოსაგებად მიმართავდნენ ლოცვას; 4. ლოცვის რიტუალი და სათანადო მსხვერპლშეწირვა ტარდებოდა ტყეში მამაკაცების მონაწილეობით; ქალების დასწრება ამ წესის შესრულების დროს გამოირიცხებოდა; სამსხვერპლო ცხოველები იყო ცხვარი და თხა; 5. საგანგებოდ აღმართულ ოთხ მაღალ სვეტზე დაყრდნობილ „სამსხვერპლოზე“ აწყობდნენ შესაწირს; 6. არც ავადმყოფობას, არც მეხით გამოწვეული ზარალის შემთხვევაში, თუნდაც მეხს ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, მწუხარება არ შეიძლებოდა; ცეკვით და სპეციალურად ამ შემთხვევისათვის განკუთვნილი სიმღერით უნდა შესრულებულიყო მთელი რიტუალი; 7. მსხვერპლად შეწირული ცხოველების ტყავებს ხის წვერზე, რაც შეიძლება მაღლა, კიდებდნენ; 8. ღვთაების პატივსაცემად რომელიმე დღეს უქმობდნენ.

როგორც ჩანს, „ზევითური“ ღვთაებისადმი მიძღვნილი ლოცვა სრულდებოდა რაიმე კონკრეტული მოვლენის (დასახელებულ შემთხვევებში მეხის ჩამოვარდნის ან ავადმყოფობის) შემდეგ; თუმცა ზოგიერთ ცნობასა და ლიტურატურაში¹⁷ მითითებულია ამ ღვთაებისადმი ჩასატარებელი წესის დრო, მაგრამ, აუცილებლობის შემთხვევაში, არ გამოირიცხება მომხდარი ფაქტის შესაბამისად დღის შერჩევა¹⁸.

ამრიგად, მეხის ჩამოვარდნა განრისხებული ღვთაების წყრომად მიაჩნდათ აფხაზეთსა და სამეგრელოში („აითარი“, „ჟინი ანთარი“ შესაბამისად); მსგავსი რწმენა-წარმოდგენები დასტურდება ვაჩილას¹⁹ მიმართ შესრულებულ რიტუალში ოსებშიც²⁰.

ვაჩილას სახელში ისინი გულისხმობდნენ წმინდა ილია წინასწარმეტყველს, რომელსაც მინიჭებული აქვს ასევე ჭექა-ქუხილის განმგებლის ფუნქცია. აქედან გამომდინარე, მათ თხოვნით მიმართავენ გვალვების ან უამინდობის დროს.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა სამეგრელოს ყოფაში დამოწმებული ჩვეულება, რომლის მიხედვით, მეხის თავიდან ასაცილებლად ან „ჟინიშის ბრალით“ შეპყრობილი ადამიანის გამოჯანმრთელების მიზნით, ილორის წმინდა გიორგის ხატში მიჰქონდათ შესაწირავი, რომელთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ამ შემთხვევისათვის საგანგებოდ გამზადებულ რკინის ორკაპიან ბოძალს²¹. ბოძალი, ისარი და მეხი კი ერთ სემანტიკურ ველში შედის²².

წმინდა გიორგისადმი ასეთი თხოვნით მიმართვა, წმინდა ილია წინასწარმეტყველთან ვაჩილას იდენტიფიკაცია, აფხაზეთში ზენა ღმერთისადმი აღვლენილ ლოცვაში მის გვერდით მიქელ-გაბრიელის მოხსენიება, მიაწინებს რწმენის

¹⁷ ი. ვ. ვ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 122; ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 139; И. К и п ш и д з е, Грамматика мингрельского (иверского) языка, СПб, 1914.

¹⁸ გ. კ ო ბ ა ლ ი ა, Из мифической Колхиды, СМОМПК, вып. 32, отд. III, გვ. 99.

¹⁹ ბ. გ ა ბ ი ს ო ნ ი ა, დასახ. სტატია, „დროება“, 1875, № 78; პ. გ ი ო რ გ ი ძ ე; დასახ. სტატია, „ივერია“, 1888, № 185; ნ. ა ბ ა კ ე ლ ი ა, დასახ. ნაშრ. გვ. 145.

²⁰ არსებობს „ვაჩილას“ სახელის რამდენიმე ვარიანტი: ვაცილა, უაცილა, ვასილა და სხვ. ამასთან დაკავშირებით იხ. Ч и б и р о в Л. А., დასახ. ნაშრომი, გვ. 18.

²¹ „Кавказ“, 1850, № 48; В с б. „Об Осетии...“, გვ. 110.

²² ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 319.

²³ ნ. ა ბ ა კ ე ლ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 147.



შინ, გარკვეულ ასპექტში, ღვთაების მხრიდან ეს საქცელი (ხეზე) მისაღებად) მისაღებად; მეტიც, იგი ღვთიურ მადლთან ასოცირდება.

ალბათ, ამ მიზეზით იცვლება გლოვა და მწუხარება ღვთისა და ცეცხლის მიწვევით. ამავე დროს, არც „მეხნაკრავი“ რჩება ღვთაებისაგან „უყურადღებოდ“, იგი სასუფეველში იმკვიდრებს ადგილს.

როგორც ლიტერატურიდან და საგანგებო კორესპონდენციებიდან²⁶ ჩანს, ყველგან, სადაც ფიქსირებულია „ზევითური“ ღვთაებისადმი ჩატარებულ კულტმსახურება, რიტუალის აღსრულების ადგილად მინიშნებულია ტყე. იქვე, რომელიმე ხეზე კიდებდნენ მსხვერპლად შეწირული ცხოველის ტყავს; ხეზე ტოვებდნენ მესით მოკლული ადამიანის გვამსაც, ან კუბოს დგამდნენ ოთხ მადალ ბოძზე გამართულ კოშკურასზე, ან სამსხვერპლო თხზ ტყავს, რომელსაც შერჩენილი ჰქონდა ფეხები და თავი, ოსები ამგვარდნენ წინასწარ ხელოვნურად გამსადებულ ბორცვში ჩარჭობილი გრძელი ჰოკოს წვერზე²⁷.

სამსხვერპლო ცხოველის ტყავის მაღლა, ხეზე დაკიდების წესი საქართველოში (ისევე, როგორც კავკასიის სხვა კუთხეებში) საყოველთაოდ ყოფილა გავრცელებული: ვერ კიდევ ძველ კოლხეთში ხეზე ტყავს დაკიდების ჩვეულება აღწერილია არგონავტების მიხედვით; რაც შეეხება აღსაზრტ წესს ხეზე მიცვალებულის დატოვების შესახებ, მასაც ეძებნება ანალოგი შორეულ კოლხეთის ყოფაში, როგორც აბილონიოს როდოსელი გვამცნობს:

„მაღლა ტყეებზე იყო მიყრდნილი იყო გვამები მიცვალებულთა“.

ვერ გახვდებიან მაღლადაცხელი ხარის მოქმედ ტყეში გვამსა და მერე კიდებენ მაღლა ხეებზე, მუდრო ბაღებში, ქალაქგარეთა“²⁸.

ოსებში კი, ვახუშტის ცნობით, ცხოველის ტყავს, ხორცის ნაწილთან ერთად, ტოვებდნენ ხეებზე²⁹ (ხეზე მიცვალებულთა გვამების დატოვების ჩვეულება გავრცელებული იყო სხვა მრავალი ხალხის ყოფაშიც)³⁰.

„მეხნაკრავის“ ტყეში (ხეზე) დატოვების ფაქტი უნდა მიუთითებდეს იმ პროცესზე, რომლის განხორციელება საჭიროა მიცვალებულის სულის ამქვეყნიურიდან იმქვეყნიურ სამყაროში გადაადგილებისათვის; კერძოდ, ტყეს შეიძლება მიეკუთვნოს ისეთივე დამაბრკოლებელი სარტყლის როლი, როგორცაა ქედი, ზღვა, ჰაერის ან მიწის წიაღი, „საიქიოსა“ და „საქაქიოსათვის“. ადამიანი კი ერთ სარტყლიდან მეორეში გადადის მხოლოდ სხეულისა და სულის გაყრის შემდგომ, მოგზაურობს სული, სხეული კი ადგილზე რჩება³¹.

მაგრამ ზესცნელამდე მისაღწევად არ არის საკმარისი მხოლოდ დამაბრკოლებელი ზღუდის გადალახვა. საჭიროა სხვა საშუალებაც და ასეთად უკვე ჩნდება ხე.

²⁶ К о б а н я, დასახ. ნაშრომი; К и н ш и д з е, დასახ. ნაშრომი; პ. გ ი ო რ გ ი ძ ე, დასახ. სტატია, „იერიო“, 1888, № 185; პ. გ ა ბ ი ს ო ნ ი ა, დასახ. სტატია, „დროება“, 1875, № 78; С. З в а н б а, დასახ. სტატია, „Кавказ“, 1855, № 81.

²⁷ Н. Б е р з е н о в, დასახ. სტატია, „Кавказ“, 1850, № 48.

²⁸ ა ბ ო ლ ო ნ ი ო ს რ ო დ ო ს ე ლ ი, არგონავტთა, გვ. 122.

²⁹ ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, „ქართლის ცხოვრება“, IV, თბ.; თბ., 1973, გვ. 639—639.

³⁰ გ. ნ ი ო რ ა ძ ე, მიცვალებულის ჰაერზე დამარხვა, „ენიმის მოამბე“, ტ. V—VI, თბ.; 1940, გვ. 57—81.

³¹ ი რ. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლოა, თბ., 1986, გვ. 168.



ამ შემთხვევაში ხე (პარალელურად ბოძი³² ან ოთხ ბოძზე დაყრდნობილი „სამსხვერპლო“, რომელზედაც თავსდება გვამი), წარმოადგენს სიმბოლოებსა და საშუალებას კაცთა და ღვთაებათა საუფლოს შორის, მედიუმის ორი სამყარო-სათვის.

ასეთი ხე მსკვლავს სამყაროს სკნელებს, იგია მისი ღერძი³³, რომელიც გადაკვეთს, ზემოაღწერილ შემთხვევებში, შუასკნელს (კაცთა სამყოფელს) და ზესკნელს და რომლის საშუალებით ამალდება „მეხნაკრავის“ სული „ზევა-თური“ ღვთაების სამეფომდე.

იქნება ამიტომაც არ დაიტვირთოდა ასეთი მიცვალებული, რომელიც, ზოგჯერ თი მონაცემებით, „სულეთს“ ზედნიერი იქნებოდა და მის ჭირისუფლებს გლოვის ნაცვლად სიხარული მართებდათ, რამეთუ ღმერთთან მიახლოება და მის ზეციურ საუფლოში დამკვიდრება ღვთის მიზეზად უნდა გააზრებულყო და არა ურვა-მწუხარებად.

Л. В. МАДЗГАРШВИЛИ

ВЕРОВАНИЯ, СВЯЗАННЫЕ С БОЖЕСТВОМ НЕБА В ЗАПАДНОЙ ГРУЗИИ И НАШЕДШИЕ ОТОБРАЖЕНИЕ В ПЕРИОДИЧЕСКОЙ ПЕЧАТИ II пол. XIX в. („ИВЕРИИ“, „ДРОЗБА“)

Резюме

По этнографическим материалам газет „Иверна“ и „Дрозба“ в статье рассмотрен ритуал молитвы верховному божеству в Западной Грузии.

Ритуал исполнялся в конкретном случае, после удара молнии или во время болезни, вызванной гневом божества.

Проводили молитву в сопровождении подобающего жертвоприношения, с одной стороны — с целью угождения разгневанному божеству, а с другой стороны — в знак благодарности.

წარმოადგინა საქართველოს რესპუბლიკის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს სოციალურ ურთიერთობათა ეთნოგრაფიული შესწავლის განყოფილებაში

³² ხისა და ბოძის (დედაბოძის) ურთიერთმიმართებაზე იხ. ირ. სურგულაძე, დასახ. ნაშრომი.

³³ ზ. კიკნაძე, შუამდინარული მითოლოგიის ლექსიკონი, თბ., 1984, გვ. 57; მისივე, არწივი და სამი სკნელი, „მაცნე“, ვენისა და ლიტერატურის სერია, 1973, № 4; გვ. 87.

დოღო ლუხსია

მნების კვირისა და აღდგომის წეს-ჩვეულებები სამეგრელოში

აღდგომას ყველა ჭეშმარიტად მორწმუნე ქრისტიანის შეგნებაში ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უჭირავს, მას მთელი ქრისტიანული სამყარო ზემოთს აღდგომა ბუნების უმშვენიერეს პერიოდში მოდის, გაზაფხულზე, როდესაც ხსნილდება დიდი მარხვა.

სანამ უშუალოდ აღდგომის დღესასწაულზე ვისაუბრებდე, მოგიხსრობთ აღდგომის წინა კვირის, ანუ ვნების კვირის შესახებ და მასთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებზე დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, სამეგრელოში¹. რამდენადაც ეს კვირა მიჩნეულია აღდგომის მიგებების კვირად, რომელიც იწყება ბზობით და მთავრდება აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულით, ამდენად, ფუნქციურად იგი ძალზე დატვირთულია.

აღმოსავლეთ საქართველოში აღდგომის წინა კვირას, როგორც ცნობილია, ბზით აღნიშნავენ, დასავლეთ საქართველოში კი, კერძოდ, სამეგრელოში სხვა მცენარით — აიათი ანუ ბაიათი. ბზის შეცვლა ამ მცენარით, საქართველოს ამ კუთხეში, უნდა აიხსნას იმ მიზეზით, რომ სწორედ ეს მცენარეები ჰყვავიან ამ დროს და, როგორც მთხრობელისაგან შევიტყვეთ, სწორედ ამ მცენარეების მოსვლით ზედებიან სამეგრელოში მოახლოვებულ აღდგომის დღესასწაულს.

როგორც ი. ყიფშიძის ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშია მოცემული, აია ბერძნულ-ლათინური სიტყვაა, და ნიშნავს ყვითელ პრიალა ყვავილებიან და დანაკეთულ-ფოთლებიან მცენარეს, რომელიც, როგორც აღვნიშნე, აპრილში ჰყვავის². ზოგან აიას ეძახიან, ზოგან კი ბაიას. მისი ყვავილი ყვითელია, აქედან გამომდინარე ასეთ გამონათქვამიც აქვთ მეგრელებს „ბაიაცალ ყვითელ რე“ — ბაიასავით ყვითელიაო. მცენარეს როგორც აღვნიშნე, აქვს დანაკეთულფოთლებიანი ყვითელი, პრიალა ყვავილი, რომელშიც, აგრეთვე, მოთავსებულია მარცვლები.

თუ აიას ბევრი მარცვალი აქვს თავის მოყვითალო ყვავილთან ერთად, ხალხის რწმენით, ნიშანია დიდი და უხვი მოსავლისა. კონებად შეკრულ აია-ბაიას აკურთხებდნენ და მხოლოდ შემდეგ შეჭქონდათ სახლში, რომელსაც ინახავენ მანამ, სანამ ყვავილი არ გახმება. მხოლოდ ამის შემდეგ ის შეაქვთ ბოსტანში და მიმოფანტავენ მას. თუ იმ საღამოს იწვიმა კარგის ნიშანია, რასაც იმით ხსნიან, რომ მარცვალი უდანაკარგოდ ჩაეფლო მიწაში და იგი ქარმა არ წაიღოს სხვის ეზოში.

¹ დ. ლეფსია, 1991 წლის მივლინების მასალა სამეგრელოში.

² И. К и п ш и д з е, Грамматика мингрельского (иверского) языка, С.-Петербург, 1914.

აიობაზე მიწას არ აბრუნებენ — ვაშინერსი³. „დიხაშ ქყოლუა ვაშინერსი“ ამბობენ. უქმობენ ქალებიც, ისინი არანაირ ხელსაქმეს არ ასრულებენ, განსაკუთრებით არ აუთობენ, ამას ასე ხსნიან — „ლორონთი დიჭუა“ — ღმერთი იწვისო.

სამეგრელოში ბზის აია-ბაიათი შეცვლა არ უნდა იყოს უჩვეულო, იმდენად რამდენადაც ბზას სხვა მცენარით საქართველოს სხვა კუთხეშიც ცვლიდნენ. მაგ.: მთაში ბზა იმ მცენარეს ერქვა, რაზელიც იმ დროს ჰყვავოდა, ან კიდევ ხევში ტირიფი ცვლიდა⁴.

როგორც ბზობის სწორ კვირას მოდის აღდგომა, ასეთივეა აიობაზეც, მის სწორს აღდგომას დღესასწაულობენ, ამბობენ კიდევაც: „აია რე, ბაია რე, ბაიაშ სწორს თანაფა რე“ (აიაა, ბაიაა, ბაიას სწორს აღდგომაა).

დასავლეთ საქართველოში — სამეგრელოში ვნების კვირას გარდა საყოველთაოდ აღიარებული წმინდა დღეებისა (ოთხშაბათი, ხუთშაბათი, პარასკევი) განსაკუთრებული წეს-ჩვეულებით გამოირჩევა დიდი ორშაბათი, დიდი ხუთშაბათი და წითელი პარასკევი, ხოლო რაც შეეხება შაბათს, ამ დღეს არაფერს არ აკეთებენ და ისვენებენ, რომ დილით მხიარულად შეხვდნენ აღდგომის დღესასწაულს.

ვნების კვირის ორშაბათ დღეს სამეგრელოში იმართებოდა „გაძლიკია“ (გაძლიკი — მაძლარი). ხალხის წარმოდგენით ამ დღეს ოჯახს ესტუმრებოდა „გაძლიკია“, რომელიც მივიდოდა სახლის თაროსთან და შემდეგ დაათვალიერებდა თავის სუფრას. „გაძლიკიას“ სუფრა თუ მოეწონებოდა იტყოდა „ულუთის ქემეჩია“ — ვისაც აქვს იმას კიდევ მივმატოსო. ამ დღეს გამოაცხობდნენ კერაზე დიდ ოთხკუთხა მჭადს „ბადიდ ჭკიდს“ (ბადიდი მჭად-) და მრგვალი ფორმის კვერებს, რომელსაც „ზნახარი“ ერქვა. ამ რიტუალს ოჯახის უფროსი ასრულებდა, რომელიც მივიდოდა კერასთან „ბადიდ-ჭკიდს“ ხელით აბრუნებდა და კვერებს („ზნახარი“) ცეცხლში ჰყრიდა, სანამ ხელი არ დაეწვოდა იტყოდა: „შქვით ტიანობაშ მოზოჯუა — შახია შქვით წანაშა უბადო შორიშა ქიგომირაითია, სოიშა კვერებს კერიაშე ვეკილანთია შქირენა დო ყუმენიშე დამიფართია“ (შვიდი ტიანობის მობრძანებანმდის, შეიდ წელიწადს ყოველი ცუდი შორს გაგვიქარვე; სანამ კვერებს კერიიდან არ გამოვიღებთ, მანამდის დაგვიფარე შიმშილისა და წყურვილისაგან).

ვნების კვირის ხუთშაბათს, რომელსაც დიდ ხუთშაბათს ეძახიან, აწყობენ „შურბუშუმობას“ — (უბრად მყოფი) ან „მოჭარხალაფას“. ამ რიტუალს კი ასრულებს ქალი. ამ დღეს აირჩევენ „მეშურბუმეს“, რომელიც უნდა ყოფილიყო უმანკო ქალი. იგი დილით ადგებოდა თუ არა, განგებ დამუნჯდებოდა და ხმას არავის გასცემდა. მამლის ყვილისას „მეშურბუმე“ ჩუმად ადგებოდა და ოჯახის წევრებს მძინარეებს ფეხზე მატყლის ძაფს შეაბამდა, შემდეგ იგი აიღებდა ქვაბს ან ტაშტს, ჯოხით სცემდა და ამით ყველას გამოაღვიძებდა. ოჯახის წევრები გაიღვიძებდნენ და მიესგოდნენ „მუშურბუმეს“, მაგრამ იგი ხმას მაინც არ ამოიღებდა. „მეშურბუმე“ აიღებდა თოხს და სახლის სხვენზე ავიდოდა. ამის

³ ვაშინერსი — ნიშნავს აკრძალულს, რისი ხსენება და გაცეობა თუ შესრულება არ შეიძლება. ეს სიტყვა ნაწარმოებია „შინუა“-დან, რაც ნიშნავს ხსენებას, აქედან „ვაშინერსი“ ანუ უხსენებელი.

⁴ 6. აბაკელია, ქ. ალავერდაშვილი, ნ. დამბაშიძე, ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდარი, გვ. 85.

შემდეგ აიღებდა საცეცხველს და მას სცემდა კერაზე: „მი ცხენი დო მი ბერგია, მი წყირი დო მი ყუდევა“ — სად სხენი და სად თოხიო, სად რწყილი და სად სახლიო. შემდეგ „მეშურბუმე“ დაუვლიდა ხეხილებს, ხარს, რომ მას ხარაბუხა კვამარხია არ მიეკარებაო. „მეშურბუმეს“ ყველგან ფეხი უნდა შეედგა, რომ მაენე სულეხსა და ქვეწარმავლებს არ გაუჭაქანათ.

როგორც ვხედავთ, „მეშურბუმე“ თავისი მაგიური მოქმედებით წააგავს მეფეხურს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მეფეხური მამაკაცია, ოჯახის უფროსი, რომელიც ახალ წელს მოდის, ხოლო „მეშურბუმე“ დედაკაცია და სააღდგომოდ დიდ ხუთშაბათს მოდის.

ვნების ხუთშაბათს ფშავში დილით დიასახლისს უმძრახად წყალი მოჰქონდა. ამ წყალში ვაშლისა და ტყემლის ხის ნახშირს გახსნიდა, ნაზავს ოჯახის წევრებს მიასხურებდა და იტყოდა: „ჯვარი გეწეროსთ, მთვრალი კაცი შაიკრას და თქვენ ვერ გავნოთო“.

დიდ ხუთშაბათს კახეთში შიოხა იცოდნენ. წყალში უმძრახად წაეიდოდნენ, ლიტრიან ბოთლს სამჯერ დაღვრიდნენ ქვაზე მიცვალეულთათვის, შემდეგ უმძრახად თავს დაიბანდნენ, ამის შემდეგ ხეს, რომელიც ნაყოფს არ ისხამდა, შეაშინებდნენ, ცულს მოუღერებდნენ და ეტყოდნენ: მოისხი თორემ მოგჭირი⁵.

ვნების კვირის ოთხშაბათს მთელ საქართველოში ჭიაკოკონობა იცოდნენ. ადგილობრივი (სამეგრელოს) რწმენა-წარმოდგენის მიხედვით, ამ დღეებში ავი სულეები და კუდიანები დაძრწოდნენ ირგვლივ და ვნებდნენ მოსახლეობას, უწმინდურთა და კუდიანთა ხილვა შესაძლებელი იყო, თუკი მსურველი ხეზე ავიდოდა და იქიდან საცერში გაიხედავდა. ავი სულეებისაგან თავის დასაცავად ყოველი მოსახლის ეზოში დიდ ოთხშაბათს (ზოგი მთხრობლის მიხედვით, ზოგან დიდ ხუთშაბათს). საღამოს კოცონი ინთებოდა და „ჭიაკოკონა“ იმართებოდა. მთარული თქმულების მიხედვით, თუ კუდიანების მთიდან ავი სულეები დაინახავდნენ, რომ რომელიმე ეზოში ცეცხლი არ ენთო, დაეშვებოდნენ მთიდან, შეიჭრებოდნენ ასეთ ეზოში და დაამუხჯებდნენ ან ჭკუიდან შეშლიდნენ ადამიანს. დანთებული ცეცხლის პირას მდგომი ადამიანი წარმოსთქვამდა შემდეგ სიტყვებს: „ღმერთო, შენ მოგვასწარი მრავალ ასეთ დღეს და დავგიცავი ბოროტისაგან. დანთებულ ცეცხლზე ყველა დიდიან-პატარიანად ხტუნაობდა. რათა თავი დაეცვა (ცეცხლის ძალით) უწმინდურებისაგან და კუდიანები აღარ მოლანდებოდა“.

ვნების კვირის შემდეგი გამორჩეული დღე პარასკევია, რომელსაც „წითელ პარასკევს“ ეძახიან. ამ წმინდა დღის სახელი მომდინარეობს იქიდან, რომ სწორედ ამ დღეს ღებავენ კვერცხებს წითლად, ენდროთი ან ხახვის ფოთოლში. კვერცხის რაოდენობას არა აქვს მნიშვნელობა. ოღონდ ის კენტი უნდა იყოს, ვინაიდან, წითელი კვერცხი მიცვალეულთა შესაწირავია და როგორც ყველაფერი, ისიც კენტი უნდა იყოს. კვერცხები საღამოს იღებება და იმ ღამეს დაფარებულში ინახება, რომ არავინ არ შეხედოს მერე დღემდე. „ობიშხას, საბატონშახი ჭითა კვერცხიშ მუყოძირაფა — ვაშინერსი“ (პარასკევს, შაბათამდე

⁵ ნ. აბაკელია, ქ. ალავერ დაშვილი, ნ. ლამბაშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 86.

⁶ ნ. აბაკელია, ვნების კვირა და აღდგომა საქართველოში, „თავისუფალი საქართველო“, 1991, № 19.



წითელი კვერცხის გამოჩენა არ შეიძლება). უფრო მეტიც, შაბათს კვერცხს არ გატეხავდნენ — რჯულის გატეხვას ნიშნავსო. როგორც ვხედავთ ამ რიტუალს ოჯახის უფროსი დედაკაცი ასრულებს, რომელიც შაბათს ამზადებს საკურთხს და საერთოდ, სააღდგომო, საღვთისმშობლის სუფრას აწყობს. სააღდგომო სუფრა კი ძალიან მხიარული უნდა იყოს. აუცილებლად დაკლავდნენ გოჭს, შეწვავდნენ პირში წითელ კვერცხს ჩაუდებდნენ და ასე, გაიტანდნენ სუფრაზე, საერთოდ სამეგრელოში არც ერთი დიდი ღვთისმშობლის არ ჩაივლის გოჭის გაჩემი, იგი საყოველთაოდ მიღებული საკლავია და აუცილებელიც. ხალხური რწმენა-წარმოდგენის მიხედვით, სააღდგომოდ აუცილებლად უნდა დაედინათ სისხლი, სულერთია ინდაური იქნება თუ გოჭი; რამდენადაც ეს ღვთისმშობლის მკვდრეთით აღდგომასთანაა დაკავშირებული, ამდენად ამ ღვთისმშობლის განსაკუთრებული ყურადღება და პატივისცემა გარდაცვლილ მიმართ არის მოპყრობილი. ამ ღვთისმშობლის არ დაიღვეა და ქართველი ქალი ნემსს არ აიღებს ხელში.

ასე ჩაივლის ვნების კვირა და წინასააღდგომო რიტუალები და ხალხი მხიარული განწყობილებით ელოდება აღდგომის ბრწყინვალე დღესს.

აღდგომა დილით, ადრინადად სოფლის ეკლესიის ზარები რეკენ. საერთოდ, ადრე სასაფლაო ეკლესიასთან ახლოს იყო. ხალხი ადრევე, დილაუთენია მიდის ჯერ ეკლესიაში, ხოლო შემდეგ სასაფლაოზე (არა აქვს მნიშვნელობა ახალი გარდაცვლილია თუ ძველი), გადაავიწყობენ საფლაოზე კვეცხს და კენტს თავთან დებენ. სასაფლაოზე ხალხს გააქვს სურსათ-სანოვავე და ღვინო, რომ მიცვალებული მოიხსენიონ. ხალხი შეხვედრისას ერთმანეთს ესალმება: „ქრისტე აღსდგა“. შემდეგ ყველა თავის სახლს უბრუნდება. იწყება მხიარული სუფრა ოჯახის მთელი შემადგენლობით. ამ ღვთისმშობლის უქმობენ. არ შეიძლება არანაირი ხელსაქმე: რეცხვა, ქსოვა, უთობა, არც მამაკაცი საქმიანობს.

აღდგომა ღვთისმშობლის ასრულებენ ლოცვას. რომელსაც „საღმრთო, საოხრობო“ ჰქვია, იგი სახლის სალოცავია. მას აწყობს ოჯახის უფროსი. ამ ღვთისმშობლის უფროსი ქვევრის თავზე დაკლავს ბატყანს ან გოჭს. აცხობენ ყველისა და კვერცხის პურის კვერცხს. ოჯახის უფროსი დილიდანვე მარხულობს. შუადღისას ხონჩაზე დააწყობს ღორის გულ-ღვიძლს, მამლის თავს, კვერცხს, საზედაზე ღვინოს და ოჯახის მამასახლისი მას მარანში, დასდგამს „საღმრთო-საოხრობის“ ქვევრის თავზე იქვე მიიყვანს ოჯახის წევრებს და ყველანი ლოცულობენ: „ღლაში ქაშხა დო შვენიერი, ვიხვამანქი, ჩქიმი, სკუალეფიში, საჯგირთი, სიდოფარი ჭირიშე დო ფათერაკიშე. ღორთი პატონი, თე ღლაში ხეპა გომიტიბინე ჩილამი სკუალამო მონაწია ბრელი ქიმონი, საქონელი გამრავლა, კოჩი გაბედნიერი დო ჩქიმი საოხრობის ქიმორჩინე“ (ღვთისმშობლის კვირა ბედნიერი და მშვენიერი, ვლოცულობ ჩემი შვილების კარგად ყოფნისათვის, შენ დაიცავი ჭირისა და ფათერაკისაგან. ღმერთო, ბატონო, ღვთისმშობლის ლოცვა შენ შემარგე, ცოლ-შვილიანად, მოსავალი ბევრი მოიყვას, კაცი გაბედნიერე და ჩემს სა-მოსახლოზე დამაბერე.

ლოცვის დასასრულს ის ქვევრს თავს მოხდის და დაილოცებოდა. ერთ კვირს და მსხვერპლს. გულ-ღვიძლს იქვე შექამდა, ზოგან კვირის გულსა და ყველს ერთად დაასორსოლავებდა და ამ გუნდებს ზურგსუკან გადაისვრიდა: ღმერთო, მას გააყოლე ჩემი ოჯახის ფათერაკი და ჩემს მიერ მის მოძებნამდე ოჯახს სივე ააშორე. უჩვეულო ის არის, რომ სანამ დიდი მარცხვა და აღ-

დგომა არ ჩაივლიდა, მიცვალებულისათვის არც ორმოცის და არც წლისთვის გადახდა არ შეიძლებოდა, სხვათაშორის, არც ქორწილის, რაც ქრისტიანული წესის დარღვევა იყო.

აღდგომის მეორე დღეს, ორშაბათს, არის შურობა სამეგრელოში — სულის დღე. ამ დღეს, ე. ი. შურობაზე აკრძალულია მხოლოდ კვერცხის ჭამა, დანარჩენი კი ყველაფერი შეიძლება. ჩვეულებრივ, ქრისტიანული წეს-ჩვეულების მიხედვით, აღდგომის მეორე დღეს მსგეფსია, ხალხურში კი აკრძალულია კვერცხის ჭამა, დანარჩენი კი ყველაფერი მიღებულია.

აღდგომის შემდეგ კვირას, მის სწორს კი სამეგრელოში აღნიშნავენ „ჭიჭე თანაფას“ — პატარა აღდგომა, ანუ „ოსურფეშ თანაფა“ — ქალების აღდგომა. „უფალ თანაფა რე, უფალ თანაფა რე, თიშ წორს ჭიჭე თანაფა რე“ (უფლის აღდგომაა, უფლის აღდგომაა, მის სწორს პატარა აღდგომაა). ეს არის ახალ-კვირე და მას მხოლოდ ქალები დღესასწაულობენ, გადიან ეკლესიაში, გადადიან ერთმანეთთან სტუმრად, მხიარულობენ. ამ დღეს ქალები უქმობენ. ნამდვილ აღდგომას — უფლის აღდგომასა და „ჭიჭე თანაფას“ შორის საკუთრებას დადგმა არ შეიძლება; „ჭიჭე თანაფა-ს“ მეორე დღეს ე. ი. ორშაბათს არის მიქამგარიობა, რომელსაც სამეგრელოში ახალი წლის ორშაბათსაც ასრულებენ.

საქართველოში გავრცელებული ტრადიციით მთავარანგელოზი ეწოდება ორ ანგელოზს — მიქეილსა და გაბრიელს. სამეგრელოში წმ. გიორგის შემდეგ ყველაზე დიდ თაყვანს სცემდნენ მთავარანგელოზებს მიქეილსა და გაბრიელს, მიქამ — გარიად ცნობილს. მეგრელებს ჰქონდათ ოხვამური (სალოცავი) „სამიქანგარია“, რომელსაც ღვინით სავსე ჭურჭელს სწირავდნენ, ღვინოს კი დანიშნულ დროს სვამდნენ მიქამგარიოსათვის კლავდნენ გოჭსა და მამალს.

მიქამ-გარიოს ეკლესია მრავალ ადგილასაა სამეგრელოში. ჩემს მიერ 1991 წ. მივლინების მასალაში დაფიქსირებულია მიქამ-გარიოს ეკლესია ხობის რაიონ სოფელ ხეთაში. აქ ხალხი აღდგომის „ჭიჭე თანაფა-ს“ მეორე დღეს, ე. ი. ორშაბათს ატარებენ ლოცვას. ეკლესიაში უამრავი ხალხი იყრის თავს. ამ დღეს მიქამ-გარიოს სწირავდნენ საქონელს და აგრეთვე თუ ვინმეს რაიმე დანაპირები აქვს ღმერთთან ამ დღეს უნდა შეუსრულოს. გარდა იმისა, რომ საქონელს სწირავენ, საქონელს აკურთხებენ კიდევ.

უნდა აღვნიშნოთ, რომ მსგავსი რიტუალი სრულდება ახალი წლის ორშაბათს. ამ დღესაც სამეგრელოში ატარებენ ლოცვას, რომელიც „ოდუღია სამგარიოს“ სახელით იყო ცნობილი. ამ სალოცავს სხვანაირად „დიდ ოხვამურს“ (დიდ სალოცავს) ეძახდნენ. თუ ვინმე ვერ მოასწრებდა ორშაბათს ლოცვას, მაშინ ოთხშაბათს ან პარასკევს ლოცულობდა. სალოცავად მიჩნეული იყო „ოხვამურ ლავანი“ (სალოცავი ქვევრი), რომელიც სპეციალურად იყო ჩადგმული მიქამ-გარიას სახელზე. ლოცულობდნენ ორი კვერთხა და დეველით. ოჯახის უფროსი დაანთებდა სანთელს, თავზე შემოავლებდა ოჯახის წევრებს და დაილოცებოდა: „დიდო ღმერთო, მთავარ მიქამ-გარიო, დაილოცოს შენი სახელი, ოჯახში ჯანმრთელობა მოგვეცი, მოგვეცი ბედნიერი ცხოვრება. დიდ სალოცავზე ოჯახს შესახებებული ძროხა, ე. წ. სალოცავი ძროხა (ოხვამურ



ჩხოლ) ჰყავდა, რომელსაც „პატენია“-ს ეძახდნენ, რომელიც მანამდე ჰყავდაა, სანამ არ დაბერდებოდა⁷.

საინტერესოა ხალხი რატომ ატარებდა მიქამგარიობას — „ჭიჭეთანაფასა“ და ახალი წლის მეორე დღეს. ადგილობრივთა რწმენით ოჯახის წევრთა ჯანმრთელობა, კეთილდღეობა და ნაყოფიერება სწორედ მიქამ-გარიასადმი ლოცვის ჩატარებაზე იყო დამოკიდებული (გარდა ადამიანისა და საქონლის გამრავლებისა) და მას აწყობდნენ (ორ წმინდა დროს) უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს აღდგომის დღეს და ახალი ცხოვრების დაწყების დროს, ახალი წლის ორშაბათს.

ასე წარიმართება ვნების კვირა და სააღდგომო წეს-ჩვეულებები სამეგრელოში, რაც ნაწილია თემისა — ხალხური დღესასწაულები სამეგრელოში.

Д. ЛЕПСАИА

ОБЫЧАИ ВЕРБНОЙ ИЛИ СТРАСТНОЙ НЕДЕЛИ И ПАСХИ В САМЕГРЕЛО

Резюме

Во время поста большая функциональная нагрузка идет на страстную неделю, которая начинается с Вербы и кончается Пасхой.

В Западной Грузии, в частности в Самегрело, Вербу отмечают „как правило, за неделю до Пасхи, только с тем различием, что вербу заменяют другим растением, которое называются „аиа“ или „баиа.“ „Аиа“—латинское слово и обозначает растение, цветущее в апреле, с желтыми цветочками. Два названия одного растения вызвано тем, что его по-разному называют в различных местностях.

В понедельник страстной недели в Самегрело справляют „гадзгикия“, в четверг, который называют „Великим Четвергом“, устраивают „шурубумоба“ или „мочархалахапа“—ритуал, выполняемый женщинами.

А в среду во всей Грузии разжигают костры—устраивают „чиакнконоба“.

Следующий выделенный день—Красная Пятница.

В день Пасхи в Самегрело возводят „молитву, которую называют „сагмерто—саохоро“.

На второй день в Самегрело „шуроба“—поминальный день. В этот день нельзя есть пасхальные яйца.

На следующей неделе, в воскресенье, отмечают „чичетанаца“ „осурефиш таванаца“—маленькую пасху или женскую пасху.

7 ბ. აბაკელია, კრებული: ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები, თბ., 1985.

По понедельникам до сегодняшнего дня выполняется обряд, который проходит в храме двух архангелов—Михаила и Габриела—„охвамури“—„самикангария“.

В этот день исполняют обет, данный богу.

წარმოადგინა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოგრაფიის კათედრამ

პალარი სილოპაპა

ბეთანიის წარწერები

შესავალი

თბილისის სამხრეთ-დასავლეთით 16 კმ-ზე, წყნეთი-მანგლისის გზის ხელ-
მარჯვენაზე, მდინარე ვერის თვალწარმტაც, ღრმა და ვიწრო ხეობაში, ხშირად,
ზურმუხტისფერი ფოთლოვანი ტყით დაფარული მთების გარემოცვაში მდებარეობს
ბეთანიის მონასტერი, რომელიც შორიდან ოქროსფერ ნაგებობად
წარმოუდგება მნახველს¹. ძველი სამონასტრო კომპლექსიდან შემორჩენილია
დღემდე ცენტრალურ გუმბათოვანი ტაძარი ღმრთისმშობლის შობის სახელობისა—
ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი უბრწყინვალესი ძეგლი და მის დასავლეთით,
ტაძრის შესასვლელის ჩრდილოეთით აგებული მცირე დარბაზული ეკლესია წმ. გიორგის სახელობისა.

¹ P. Шмерлинг, В. Долидзе, Т. Барнавели, Окрестности Тбилиси, Тб., 1960, გვ. 83—86; ქსე, 2, გვ. 263.

ბეთანია, როგორც ცნობილია, არის ადგილის სახელწოდება პალესტინაში, სადაც სახარების მიხედვით, ქრისტემ აღადგინა ლაზარე („იყო ბეთანია მახლობელ იერუსალიმისა ერთი ათხუთმეტ ოდენ უტევან“—ი. 11, 18. ლაზარეს შესახებ—ი. 11, 1—44). საქართველოში მსგავსი იერუსალიმურ-პალესტინური ტოპონიმები სხვაგვგვდება: მაგ., ქსნის ხეობაში არის ყანჩაეთის გეთსამანიის ღმრთისმშობლის ეკლესია (ИКОИМАО, IV, 1915, с. 117, 119) და სხვ.

კ. კეკელიძის მოსაზრებით, ბეთანია, რომელიც „მდებარეობს მცხეთის სამხრეთ-დასავლეთით პირდაპირი ხაზით 8—9 ვერსზე“, ე. ი. დაახ. 17 კმ-ზე, იერუსალიმის მიდამოებიდან გადმოტანილი ტოპონომია, ისევე, როგორც მცხეთისა და მის გარშემო არსებული სხვა იერუსალიმური ტოპონიმები (ბეთლემი, თაბორი, ელეონი, გეთსიმანია, ვოლგოთა), რომლებიც ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრების ეპიზოდებთან არის დაკავშირებული (К. Кекелидзе, К вопросу об иерусалимском происхождении грузинской церкви (СПб., 1914), ეტიუდები IV, თბ., 1957, გვ. 362). ვერის ხეობაში ასეთი ძველი ტოპონიმის მიხედვით, აქ ეკლესიის არსებობა უძველესი დროიდან ივარაუდება.

ე. თაყაიშვილს გუბრის ს. აქის ეკლესიაში (ბოლო ხანებში მისი შესანიშნავი ფრესკული მხატვრობა მონოგრაფიულად იქნა შესწავლილი: Лж. Иосебидзе, Роспись Ачи. Памятник грузинской монументальной живописи конца XIII в., Тб., 1989), სხვა სიმკვლეებთან ერთად, აღწერილია აქვს მოთქმული ვერცხლის საწინამძღვრე ჭვარა, რომლის ზურგზე ამოკვეთილ ასომთავრულ წარწერაში აღნიშნულია, რომ „... შეიქმნა ჭვარა ესე ბეთანიის ღმრთისმშობლისა... უფლებასა დედოფლისა თამარისსა“ (ИКОИМАО, II, 1907, с. 78; იქვე ჩაყრულ ტაბულაზე— ჭვარის წარწერიანი ზურგის ფოტო). ე. თაყაიშვილისათვის უეჭველია, რომ წარწერა და ჭვარი XII ს-სა და რომ ტექსტში აღნიშნულია თბილისთან მდებარე ბეთანიის შესახებ. მაშასადამე, ჭვარიც ამ მონასტრის საკუთრება ყოფილა. ეს იქნებოდა ამ მონასტრის სახელწოდების და ტოპონიმ „ბეთანიის“ ამჟამად ცნობილი უძველესი წერილობითი დოკუმენტური დადასტურება, ერთი გარემოება რომ არა: წარწერაში

მთავარი ტაძრის აშენების დროს XII ს-ის მიწურულთ და XIII ს-ის „პირველი ათეულის მეორე ნახევრით“², ან XII—XIII სს. მიჯნით განსაზღვრავენ. მცირე ეკლესია, მისი ერთ-ერთი წარწერის მიხედვით, 1196 წელს არის აშენებული.

მთავარი ტაძრის კედლები დაფარულია მაღალი დონის ფრესკული მხატვრობით. რელიგიურ თემებზე შექმნილ, რამდენიმე რეგისტრად განლაგებულ ფრესკულ კომპოზიციებთან ერთად, აქ წარმოდგენილია ისტორიულ პირთა პორტრეტული გამოსახულებანი — სამხრეთ კედელზე, აღმოსავლეთ მონაკვეთში, მთელი ტანით, პირდაპირ, ეკლესიის მოდელით ხელში გამოსახულია XII ს-ის საქართველოს სამეფოს ერთ-ერთი დიდმოხელე, დემეტრე I-ის (1125—1155) მეფობის დროინდელი ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი, ერისთავთ-ერისთავი სუმბატ I დიდი ორბელი³. ტაძრის ჩრდილოეთ კედელზე, აღმოსავლეთ მონაკვეთში, მხატვრობის ქვემოდან პირველ რეგისტრში წარმოდგენილია XIII ს-ის 10-იანი წლებისათვის ჩამოყალიბებული და ერთგვარად კანონიზირებული იკონოგრაფიული კომპოზიცია, ჩვეუური სამეფო პორტრეტი — გიორგი III-ის (1156—1184), თამარ მეფის (1178—1210) და ლაშა-გიორგისა (1207—1222)⁵.

სახელწოდება დაქარაგმებულია „ბეთსა“ ფორმით, რომელიც შეიძლება გაიხსნას, აგრეთვე, როგორც „ბეთ(ღემი)სა“ (არ არის გამორიცხული სხვა ვარიანტებიც). საკითხს გადაწყვეტდა დაქარაგმებულ სიტყვაში, ნ-არის, ხოლო მეორე შემთხვევაში მ-ანის, ან ლ-ასის არსებობაც, მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი სახეზე არ არის. „ბეთსა“-ს გახსნა „ბეთანიისა“-დ სხვაზე უფრო საფუძვლიანი უნდა იყოს. სპეციალურად ამ ჩვერის შეახებ იხ.: თ. საყვარელიძე, XII საუკუნის ქართული ჰედღური ხელოვნების ისტორიიდან, თბ., 1980, გვ. 25—27, სურ.—ტაბ. 26 (აქ მას აქის ჯვარი ეწოდება).

2 ვ. ზ ა ქ ა რ ა ი ა, XII—XIII სს. ქართული ცენტრალურგუმბათოვანი არქიტექტურა, XI—XVIII სს., 2, XII—XIII სს., თბ., 1981, გვ. 10; მ. ს ი ვ ე, ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1990, გვ. 56.

3 ირ. ც ი ც ი შ ვ ი ლ ი, ქართული არქიტექტურის ისტორია. ლექციების მოკლე კურსი, თბ., 1955, გვ. 65; ვ. ბ ე რ ი ძ ე, ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1974, გვ. 153. ტაძრის აშენების ვახუშტი ბატონიშვილი თამარ მეფეს მიაწერს (ქცა, IV, გვ. 329: 15—16).

4 შ. მ ე ს ხ ი ა, საშინაო პოლიტიკური ვითარება და საზოგადოებრივი წყობა XII საუკუნის საქართველოში, თბ., 1979, გვ. 14—15.

5 Г. А л и б е г а ш в и л и, Четыре портрета царицы Тамары, Тб.: 1957; მ. ი ვ ე, Светский портрет в грузинской средневековой монументальной живописи, Тб., 1979, с. 10—22, таб. 10. როგორც ცნობილია, მსგავსი იკონოგრაფიული სქემა, გარდა ბეთანიის ტაძრისა, წარმოდგენილია ყ ი ნ წ ვ ი ს ი ს და ბ ე რ თ ე ბ ნ ი ს (გიორგი III-ის გამოსახულებით) ეკლესიათა მხატვრობაში. სამივე მათგანზე ლაშა-გიორგი სამეფო ტრანსკლბოთა გამოსახული, რაც, ცხადია, სამივე ფრესკის შესრულების თარიღს და მთლიანად ამ სქემის ჩამოყალიბების ქვედა ზღვარს XIII ს-ის 10-იანი წლებით განსაზღვრავს. საფუძველი ამ სქემის ჩამოყალიბებას, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ გიორგი III-ის სიცოცხლეში ჩაეყარა, როდესაც ვ ა რ ძ ი ს მხატვრობაში პირველად გამოხატეს ერთად ის და თანამოსაყდრე ახალ-კურთხე თამარი XII ს-ის 70-იანი წლების ბოლოს და 80-იანი წლების I ნახევარში. ე. თ. ა. ყ ა ი შ ვ ი ლ ი რაღაც გაუგებრობის გამო, თვლიდა, რომ ბეთანიის ტაძრის კედელზე გამოხატულია დავით ოსლანი, მეფე თამარი და ლაშა-გიორგი (ИКОИМАО, II, 1907, с. 79). ეტყობა, ბეთანია ე. თაყაიშვილს პირადად არ დაუთვალა იერებია. მისი ეს ცნობა, როგორც ჩანს, ემყარება არისტ. ქუთათელაძის მიერ მეფეთა გამოსახულებების განმარტებითი წარწერების მცდარ წაკითხვებს (იხ. ქვემოთ). მართალია, მათი თანხლები წარწერები ვანახლებულია, ზემოდან გადაწერილია XIX ს-ში (ამის კვალი განსაკუთრებით ეტყობა თამარის წარწე-

მთავარ ტაძარში გამოსახულ ისტორიულ პირებს შესაბამისი განმარტებებით ფრესკული წარწერები ახლავს. სუმბატ ორბელის გამოსახულების წარწერა თითქმის გადასულია, მაგრამ გარკვეული ტექნიკური საშუალებების მომხმარებებით შესაძლებელია მისი წაკითხვა⁶. რაც შეეხება ლაპიდარულ წარწერებს — საამშენებლო, კტიტორული, მემორიალურ-მოსახსენებელი ან სხვა შინაარსისა, ისინი მთავარ ტაძარზე არ მოიპოვება. სამაგიეროდ, სამი შესანიშნავი ლაპიდარული წარწერა, საკმაოდ ვრცელი და შინაარსიანი, მათ შორის თარიღის აღნიშვნით, ამოკვეთილია მცირე ეკლესიის, როგორც ჩანს, სამლოცველო-სამარხავის, ანუ კრიბტას სამხრეთ და დასავლეთ კედლებზე.

მცირე ეკლესია (ზომა: 6×7 მ.), რომლის კედლებზეც ეს წარწერებია ამოკვეთილი, როგორც აღინიშნა, დღეს წმ. გიორგის სახელობისაა (სურ. 1,2).

რას), მაგრამ, როგორც ი. ვილგენდორფის მიერ სპეცფოტოგრაფირებით ჩატარებულმა გამოკვლევამ დაადასტურა, გამოსახულებათა წარწერების ტექსტი იმეორებს ძველ, თავდაპირველ ტექსტებს (И. Н. Гильгендорф, Неизвестные портреты царицы Тамары «Советский музей», 4(114), 1990, с. 16—20). ამასთანავე, ძეგლის პირველადმოშენის მხატვარ გრ. ვაგარინის ცნობითაც, რომელიც ფრესკების გადაწერამდე და ძეგლზე პირველი სარესტავრაციო სამუშაოების დაწყებამდე დროს განეკუთვნება, ტაძრის ჩრდ. კედელზე გამოსახულია თამარ მეფე, მისი მამა გიორგი მეფე და მისი შვილი გიორგი-ლაშა (დაწერ. იხ. ქვემოთ).

6 სამეფო გვლფური პორტრეტის თანხლები წარწერები ძალზე დაზიანებულია და ფრავმენტულადაა მოღწეული (Г. А. Либегашвили, Светский портрет, с. 20). სრულად ისინი მოკყავს შ. ამირანაშვილს (შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1961, გვ. 283). წარწერები ასევე სრულადაა წარმოდგენილი ს. შირვაშვილის მიერ 1936 წელს გადაღებულ ასლზე, რომელიც ინახება საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში. ამის მიხედვით ეს წარწერები ასე იკითხება (გამოსახულებათა თანმიმდევრობა ასეთია — მარჯვნიდან მარცხნივ, საკურთხევილიდან დასავლეთისაკენ): 1. დიდი მეფეთ || მეფე გ(იორგი); 2. თამარ მეფეთ || და დედოფ(ალი); 3. გ(იორგი) მეფეთ მეფეთ || ძე თა[შ]არისი.

7 И. Н. Гильгендорф, დასახ. ნაშრომი, გვ. 18. წარწერა პირველად გამოაქვეყნა ლ. მელიქიეთ-ბეგმა: „დიდი სუმბატ მანდატურთუხუცესი“ (იხ. მისი, ლორე-ტაშირის ქართული ეპიგრაფიკა, თსუ შრომები, ტ. 108, გვ. 319). სუმბატის ფრესკას და მის წარწერას იგი, შეცდომით, ტაძრის ჩრდილოეთ კედელზე შესრულებულად მიიჩნევს.

უკანასკნელ წლებში, ტაძრის ფრესკული ფერწერის კომპლექსურ შესწავლასთან დაკავშირებით, წარწერა საგანგებოდ გამოიკვლია ევ. პრივალოვამ. მან სრული სახით გამოაეღინა სუმბატ ორბელის გამოსახულების შვიდსტრიქონიანი, ასომთავრული განმარტებითი წარწერა (სურ. 3): „დიდი სუმბატ მანდატურთუხუცესი და ამირანასალარი“ (Е. Привалова, Новые данные о Бетании. IV Международный симпозиум по грузинскому искусству. Тб., 1983, с. 15). სუმბატის დასახელებას ორივე თანამდებობით პრინციპული მნიშვნელობა აქვს საქართველოს სამეფოს სამოხელეო წყობის ისტორიისა და ქრონოლოგიისათვის. ამის შესახებ იხ. ქვემოთ.

8 ბეთანიის პატარა ეკლესია-სამლოცველოს შესახებ ცალკე, სპეციალური ნაშრომი, სამწუხაროდ, არ გამოქვეყნებულა. იგი დასახელებულია სხვა საკითხისადმი მიძღვნილ მხოლოდ ორიოდე ნაშრომში მასზე ამოკვეთილ თარიღთან (1196 წ.) დაკავშირებით. ამის მიზეზი, როგორც ჩანს, ბეთანიის დიდი ტაძარია, რომელიც აღმოჩენის დროიდან (XIX ს-ის შუა ხანები), თავისი მონუმენტური ფორმებისა და მაღალმხატვრული ღირსებების გამო, ბუნებრივია, იმთავითვე და დღემდე გადაქცეულია სპეციალისტთა შესწავლის მთავარ საგნად. ამავე დროს, ეს პატარა ეკლესია-სამლოცველოც, როგორც XII ს-ის დასასრულის მცირე არქიტექტურული ძეგლის ნიმუში, თუნდაც თავისი მხატვრული გაფორმებით, საკუბით იმსახურებს სპეციალურ შესწავლას. აქვე ვაქვეყნებ ამ ეკლესიის ანაზომებს, რომლებიც გადმომა პარაფ. 3. ზ. ჯ. ჯარაიაძე.



ՀԱՄԵՆՆԻ
ՆՈՅՔՈՐԴՈՒՅՑ

სიხლიანი სახლი



სიხლიანი სახლი



სიხლიანი სახლი



სიხლიანი სახლი



სიხლიანი სახლი



სიხლიანი სახლი





თუ ვის სახელზე იყო იგი თავიდან აგებული უცნობია (წმ. გიორგიმწიგნობარმა იგი აკურთხეს 1898 წელს, როგორც მისი, ასევე დიდი ტაძრის რესტავრაციის დასრულების შემდეგ: „ივერია“, № 98, 1898). ამის შესახებ ცნობა მის კედლებზე ამოკვეთილ წარწერებშიც არ ჩანს — ტექსტების დასაწყისში ზოგადად მიმართვაა ქრისტესადმი და ღმრთისადმი (I წარწერაში — „რომელმან ჯუარსა ზედა იცევ“; II წარწერაში — „ადიდენ ღმერთმან“; III წარწერაში — „ღმერთო მაღალო“).

ორი წარწერა ამოკვეთილია ეკლესიის სამხრეთ კედელზე, უშუალოდ ერთი მეორის ზემოთ ჩასიულ ქვის ფილებზე; ხოლო ერთი — დასავლეთისაზე. ეს წარწერები გამოცემულია მხოლოდ ერთხელ, 140 წლის წინათ (1854 წ.) მ. ბროსეს მიერ — არაზუსტად, არასრულად და რამდენადმე ტექსტების არევითაც (თარიღის აღმნიშვნელი სტრიქონი, რომელიც II წარწერის ტექსტის ნაწილია, ჩართულია I წარწერის ტექსტში). მ. ბროსეს წარწერები გამოუცია იმ დროის ცნობილი ნუმისმატისა და სიძველეთა მკვლევარ-მოყვარულის პოლკოვნიკ ი. ბართოლომეის მიერ მისთვის გადაცემული ასლების მიხედვით. მ. ბროსემ წარწერათა ტექსტები გამოაქვეყნა ასომთავრული შრიფტით და ფრანგული თარგმანით, მხედრული გაშიფრვის გარეშე. ამასთანვე, გამოცემას ტაბულებიც დაურთო, რომლებზედაც წარმოდგენილია ი. ბართოლომეის მიერ მისთვის გადაცემული ასლები⁹.

თავად და ვით ბართათაშვილის მამულში არსებული ეს სამონასტრო კომპლექსი აღმოჩნდა 1851 წელს, მას შემდეგ, რაც მის ახლოს ბარონ ალექსანდრე პავლეს ძე ნიკოლაიმ, რუსეთის იმპერიის ცნობილმა სახელმწიფო მოღვაწემ — სახელმწიფო საბჭოს წევრმა, სენატორმა, ერთ დროს განათლების მინისტრმა, ხოლო მაშინ ჯერ მხოლოდ კავკასიის მეფისნაცვლის სალაშქრო კანცელარიის დირექტორმა (ქსე, 7, 1984, გვ. 430), მიწა შეიძინა. იმავე წლის ზაფხულში პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის აღზრდილ გრიბთან ერთად, მონასტრის ნანგრევები დაათვალიერა და პირველად აღწერა იმ დროს თბილისში მოღვაწე ცნობილმა რუსმა მხატვარმა გრ. ვაგარინმა. მანვე პირველმა გამოაქვეყნა ახალაღმოჩენილი ძეგლის შესახებ წერილი გაზეთში (იხ. Гр. Гагарин, Бетания, „Кавказ“, № 72, 21.IX.1851).

ჩვენი საუკუნის 70-იან წლებში მცირე მასშტაბის, „პროფილაქტიკური ხასიათის“ (ვ. ცინცაძე) სამუშაოები ჩატარდა ბეთანიის მცირე ეკლესიაშიც (ვ. ცინცაძე, ბეთანიის ხუროთმოძღვრული ანსამბლი, კრ. „არქიტექტურა და მშენებლობა“ (თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სამეცნიერო შრომების კრებული), თბ., 1981, გვ. 68).

⁹ M. Brosset, *Lettres de M. Bartholomaei, relatives aux antiquités géorgiennes*, „Mélanges Asiatiques“, t. II, 3^e livr., St.-P., 1854, pp. 295—300, pl. III, № 9, 10. მ. ბროსეს საქართველოში მოგზაურობის დროს — 1847 — 1848 წწ., ბეთანიის მონასტერი ჯერ კიდევ უცნობი იყო (აღმოჩნდა 1851 წ.). ამიტომ, მის „ანგარიშებში“ ბეთანიის და, ცხადია, მისი წარწერების შესახებ არაფერია აღნიშნული, მაშინ როდესაც საქართველოში ჩამოსვლის თითქმის მეორე დღესვე იგი წაიყვანეს თბილისის გარშემო მდებარე ძეგლების დასათვალიერებლად და სხვებს შორის მან ინახულა და აღწერა კოჯრის მონასტერში მდებარე სამი ეკლესიის ნანგრევები (Rapp. I, p. 16—19; „Закавказский Вестник“, 1848, № 29—31; Г. Буачидзе, Мари Броссе. Страницы жизни, Тб., 1983, с. 179—180). მათ შორის ერთ-ერთი იყო კაბეის ტაძარი, რომლის სახელი მას ვერავენ უთხრა და მისთვისაც უცნობი დარჩა (შ. ხანთაძე, მარი ბროსე, თბ., 1966, გვ. 73). მასალები ბეთანიის შესახებ მას გვიან მიაწოდა ი. ბართოლომეიმ ძეგლის აღმოჩენისთანავე,



გავლენა ვერ იქონის ტაძრის მოხატულობაზე (И. Н. Гинзбург, *Живают старинные фрески. „Наука в СССР“*, № 6, 1990, с. 104—109).

გრ. ვაგარინი ამ წერილში ბეთანიის მცირე ეკლესიისა და მისი წარწერების შესახებ არაფერს აღნიშნავს.

1898 წელს, ტაძრისა და მცირე ეკლესიის სარესტავრაციო სამუშაოების დამთავრებასა და მათ კურთხევასთან დაკავშირებით, გაზეთ „ივერიაში“ არისტ. ქუთათელაძემ დაბეჭდა ორი წერილი (№ 28, 227). პირველ წერილში მან გამოაქვეყნა მცირე ეკლესიის II წარწერის ნაწყვეტი მარი ბროსეს მიერ გამოცემული ფრანგული თარგმანის მიხედვით და ყველა მისი შეცდომის განმეორებით, ხოლო მეორე წერილში — მეფეთა გამოსახულებების განმარტებითი წარწერების, როგორც ჩანს მის მიერვე, შეცდომებით წაკითხული ნაწყვეტები.

სწორედ არისტ. ქუთათელაძის მიერ არასწორად წაკითხული ტექსტებიდან გაგრძელდა ცნობა იმის შესახებ, რომ ვითომ ბეთანიის ტაძარში გამოსახული უნდა იყოს თამარ მეფის მეუღლე დავით სოსლანი (მისი აზრით, დავით აწერია მარჯვენა მხართან: „დავით მეფე“). მაშინ როდესაც, სინამდვილეში, აქ გამოსახულია თამარ მეფის მამა მეფეთ-მეფე გიორგი შესაბამისი განმარტებითი წარწერით (იხ. ზემოთ, შენ. 6). ამის შესახებ ზუსტი და უტყუარობა, ძეგლის აღმოჩენისთანავე, ჯერ კიდევ სარესტავრაციო სამუშაოების დაწყებამდე და ფრესკებისა და მათი წარწერების ნაწილობრივ გადაწერამდე, არისტ. ქუთათელაძის წერილის დაბეჭდვამდე თითქმის ნახევარი საუკუნით ადრე, გამოაქვეყნა ძეგლის პირველადმოჩენმა გრ. ვაგარინმა (იხ. ზემოთ).

ამის შემდეგ მცირე ეკლესიის ლაპიდარული წარწერები სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაოდ დიდი ხნით მივიწყებულ იქნა. მხოლოდ 1923 წელს ვენაში გამოცემულ ერთ პატარა წიგნში, რომელიც მიძღვნილია ლორე-ტაშირის მმართველ კვიციან მეფეთა ისტორიისადმი, გამოქვეყნდა ბეთანიის ამ წარწერების სომხური თარგმანი მ. ბროსეს მიერ ფრანგულ ენაზე გამოცემული ტექსტების მიხედვით¹⁰.

ლ. მელიქსეთ-ბეგის ცნობით, ბეთანის წარწერები 1922 წელს, მასთან ერთად ბეთანიაში ყოფნის დროს, გადმოუღია აკაკი შანიძემ¹¹, მაგრამ ისინი მას არ გამოუცაა.

კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, ექ. თაყაიშვილის არქივში, მისი ცნობილი ნაშრომის „სომხით-საორბელის ძეგლების წარწერების“¹² მასალებში დევს ფურცელი, ბეთანიის წარწერების ტექსტებით¹³. ესაა მ. ბროსეს მიერ ასომთავრულით და ფრანგულ ენაზე გამოცემული ტექსტების

¹⁰ *И. Ш. Меликсетян, Кирки Киракчян, Шаварш Петро Ашотович, Архивы*, 1923, кт. 68—69.


¹¹ ლ. მელიქსეთ-ბეგის, ქობერი და მისი სომხური და ქართული წარწერები. „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე“, VII, 1927, გვ. 68, შენ. 1.

¹² ე. თაყაიშვილი, სომხით-საორბელის ძეგლების წარწერები (ნაწილი პირველი), ეურნ. „კავკასიონი“, პარიზი, 1929, № 1—2, იანვარ-თებერვალი, გვ. 85—106; ნაწილი მეორე — თსუ შრომები, ტ. 43, 1951. ორივე ნაწილი გადაიბეჭდა მრავალტომეულის — „დაბრუნება“ I წიგნში, თბ., 1991, გვ. 24—72.

¹³ ხელნაწერთა ინსტიტუტი ე. თაყაიშვილის ფონდი, № 536, 24r; აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის არქივი. აღწერილობა. შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ელ. კელენჯერიძემ, თბ., 1972, გვ. 115, № 984.

მხედრულით გადმოცემა გამოცემის მითითებით და, ფაქტიურად აღმოჩენილია. გენს მ. ბროსესეული გამოცემის განმეორებას. ეს მასალა ე. თაყაიშვილს არ გამოუქვეყნებია.

ბეთანიის წარწერები სამეცნიერო ლიტერატურაში იხსენიება მხოლოდ კანტიკუნტად, ისიც თარიღის აღნიშვნისას. ვერ ასახა ისინი ვერც XII ს-ის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლებისადმი მიძღვნილ წერილებში, ვერც ამ დროის საქართველოს ისტორიის შესახებ არსებულ მრავალრიცხოვან ნაშრომებში და, უფრო მეტი, ვერც XII—XIII სს. მიჯნის ქართული ლაპიდარულა წარწერების შესახებ სპეციალურ მონოგრაფიაში. ცხადია, ამის მიზეზია ამ წარწერების შეუსწავლელობა, მათი გაშიფრული, რამდენადმე სრულყოფილად დადგენილი ტექსტების გამოუყენებლობა.



სურ. 4.


ერთადერთი არსებული გამოცემა მ. ბროსესი, რომელიც არც თავისი დროისათვის იყო მთლად სრულყოფილი, დღეისათვის მოძველებულია. ესეც რომ არ იყოს, ეს გამოცემა აშკარად ძნელად ხელმისაწვდომია. წარწერები კი ახლავს თბილისთან ახლომდებარე ერთ-ერთ პოპულარულ ისტორიულ ძეგლს, რომელიც წლის ყოველ დროს უამრავ მნახველს, როგორც სპეციალისტს, ისე მოყვარულს, როგორც უცხოელს, ისე შინაურს იზიდავდა და იზიდავს.

ბეთანიის წარწერები დიდად მნიშვნელოვანია სამეცნიერო თვალსაზრისითაც—ჩვენ ცოტა მოგვეპოვება XII ს-ის დასასრულის თარიღიანი ლაპიდა-

ბეთანიის წარწერები დიდად მნიშვნელოვანია სამეცნიერო ტექნოლოგიის სითაც — ჩვენ ცოტა მოგვეპოვება XII ს-ის დასასრულის თარიღიანი ლაპიდარული წარწერები. ამასთანავე ამ წარწერებში დასახელებული პირები და თვით ეს წარწერები XII ს-ის საქართველოს ისტორიის მეტად მნიშვნელოვან ფაქტებთან, ერთობ ბოლოქარ პოლიტიკურ მოვლენებთანაა დაკავშირებული. ვფიქრობ, ყოველივე აღნიშნულის გამო, ბეთანიის წარწერების სპეციალური, ცალკე პუბლიკაცია აუცილებელია.

I. პატრონ რუსუდანის მემორიალური წარწერა

სამლოცველოს, რომელზედაც ეს წარწერებია ამოკვეთილი, ერთი შესასვლელი აქვს — სამხრეთიდან, ოდნავ დასავლეთით კედლის ცენტრიდან; შიგნით სიმეტრიულად — აღმოსავლეთით კედლის ცენტრიდან, კედელში გამოყვანილია



სურ. 5.

მალალი ღრმა ნიში მოჩუქურთმებული თავით, კედლის თითქმის მთელ სიმაღლეზე. ეს ნიში მსგავსია დიდი ტაძრების აღმოსვლეთ ფასადებზე და მათ შორის ბეთანიის ტაძარზეც არსებული ნიშებისა.

სამლოცველოში შესასვლელის ზემოთ გადებულია დიდი ზომის ტიმპანის ქვა: 147,5×74×25,5 სმ. თავისი ფერით იგი გამოირჩევა კედლის წყობის სხვა

მოყვითალო ფერის ქვებისაგან და ღია მონაცრისფრო ფერისაა. კედელში ჩასმულია მოყვითალო-მონაცრისფრო ქვის ოთხკუთხა ფილა, ზომით 80×69 სმ. ამ ფილის ზემოთ ჩასმულია შედარებით პატარა ზომის კვადრატული ფილა, ისე რომ სამივე ესენი ერთიმეორის მიმართ სიმეტრიულადაა განლაგებული. სამივე ფილა უჭირავს დიდი ზომის, წნული გეომეტრიული ორნამენტით გამოყვანილ ჯვრის გამოსახულებას, რომელიც სამსაფეხურიან სადგარზე დგას („გოლგოთის ჯვარი“). ჯვრის თავი, მესამე ფილზს ზედაპირის ატკეცვის გამო, თითქმის მთლიანად გადასულია — მხოლოდ კონტურთი გაირჩევა. გარდა ამისა, ტიმპანის ფილას ქვედა კიდეზე, შესასვლელის ჭრალის სიგანას შესაბამისად, დაუყვება განიერი (26 სმ.) წნული გეომეტრიული ორნამენტული არშია (განსხვავებული ჯვრის წნული გეომეტრიული ორნამენტის მოტივისაგან), რომელიც შესასვლელის გარშემო გამოყვანილი ორნამენტული არშიის ნაწილია.

ტიმპანის ქვის და მის ზემოთ ჩასმული ფილის მთელი თავისუფალი ზედაპირი შევსებულია ორი ასომთავრული წარწერის ტექსტით, რომელიც ჯვრის ორივე მხარეს სიმეტრიულადაა განლაგებული (სურ. 4).

I წარწერა. ასომთავრული; 5 სტრიქონი; კიდურწერტილოვანი; ამოკვეთილი ტიმპანის ზემოთ, კედლის წყობაში ჩასმულ დიდი ზომის ქვის ფილაზე; ფილის ზომა: 80×69 სმ. ფილის ზედაპირი შუაზეა გაყოფილი ჯვრის ვერტიკალური მკლავით. წარწერის ტექსტი განლაგებულია ჯვრის მკლავების გადაკვეთის გარშემო — პირველი სტრიქონი განივი მკლავების ზემოთ, მომდევნო ოთხი სტრიქონი მის ქვემოთ. წარწერა შესრულებულია დიდი ზომის, მაღალი და განიერი ასოებით. ასოების სიმაღლე: 6—10 სმ. განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; ქარაგმის ნიშანი: კლაკნლი, სხვადასხვა მიმართულებით ბოლოებმოკაუჭებული (მარცხენა — ზემოთ, მარჯვენა — ქვემოთ) განივი ხაზი. ფილის ზედაპირის ატკეცვის გამო, ტექსტი ადგილ-ადგილ დაზიანებულია და ნაკლებია: პირველი სტრიქონის დასაწყისში; ამავე სტრიქონში ჯვრის ვერტიკალური მკლავის მარჯვნივ; მე-2 სტრიქონის ბოლოს; მე-4 სტრიქონის მარცხენა ნაწილის შუაში; მე-5 სტრიქონის მარცხენა ნაწილის ბოლოს, ჯვრის მკლავთან. ტექსტის მიხედვით ამ ნაკლები ადგილების აღდგენა ადვილია. მ. ბროსესეულ პუბლიკაციაში, ასომთავრულ ტექსტში, ისინი სრულადაა წარმოდგენილი; თუმცა, მის მიერვე გამოცემულ წარწერის ასლზე, გრაფიკულ მონახაზზე წარწერის პირველი სტრიქონის დანაკლისები ასახულია. ამავე დროს, პირველი სტრიქონის სიტყვის **ႠႠႠ** „იციე“ ბოლოს **Ⴀ** ვ-ს ნაცვლად **Ⴀ** ი-ა გადმოხაზული. წარწერის პირველი სტრიქონის ასოთა კვეთის ღარებში ჩარჩენილი საღებავის კვალის მიხედვით, ისე ჩანს, რომ ასოთა კვეთა თავდაპირველად, თითქოს, სინგურიო ყოფილა ამოწითლებული.

თავისი მდებარეობით, შინაარსის შესაბამისად, ბეთანიის მცირე ეკლესიის ეს წარწერა მთავარია სხვა წარწერებს შორის — იგი იმ პირის მოსახსენებელი, მემორიალური წარწერაა, რომლის ინიციატივით და, როგორც ჩანს, სამარხხვადაც ეს ეკლესია აიგო. როგორც ქვემოთ დავინახავთ, მისი აშენების დროს პატრონი რუსულად იცოცხალი ყოფილა.



ორჯერ დასტურდება 1260 წლით დათარიღებულ ერთ ძველ ქართულ ისტორიულ საბუთში — რკონის დაწერილში. აქ, საბუთის ძირითად ტექსტში, ერთგან აღმჩნეულია, რომ შეწირულებანი რკონის ღმრთისმშობლისადმი „სამუნოდ მოგუიყსენება“-ო¹⁵. მეორეგან, საბუთის გამცემი კახა თორელი თავისი ხელრთულობის ბოლოს აღნიშნავს, რომ ეს შეწირულება „ვინ დაამტკიცოა, ღმერთმან იგი დაამტკიცოს სააქაოდ და სამუნოდ“-ო¹⁶.

ამდენად, ბეთანიის I წარწერის ტექსტის ეს ადგილი („აქაცა და სამუნოდცა“) ასე უნდა გავიგოთ — ღმერთს პატრონ რუსუდანისათვის მფარველობას შესთხოვენ, როგორც აქ, ისე საიქიო ცხოვრებაში, ზეცის სასუფეველში. მაშასადამე, წარწერის შესრულების დროისათვის პატრონი რუსუდანა ცოცხალი ყოფილა.

II. ორბელთა სახლის მოსახსენებელი

იგივე პატრონი რუსუდანი იხსენიება მეორე წარწერაშიც, რომელიც პირველის ქვემოთა ამოკვეთილი. სამწუხაროდ, იგი ძალზე დაზიანებულია და ნაკლებადაა მოღწეული, რის გამოც, ტექსტის რამდენადმე სრული სახით აღსადგენად, საჭიროა ყოველი შემორჩენილი, ან სავარაუდოდ აღსადგენი სიტყვის შესახებ შედარებით დაწვრილებით შევჩერდეთ.

II წარწერა. ასომთავრული; კიდურწერტილოვანი; 15 სტრიქონი; ამოკვეთილი ტიშანის ქვის ფილაზე. წარწერის პირველი ეჭვის სტრიქონი ამოკვეთილია მოზრდილი ასოებით (სიმაღლე: 5—9 სმ.). შემდეგში ასოების ზომა თანდათან იკლებს და ტექსტის ბოლო სტრიქონები უკვე სულ პატარა ზომის ასოებითაა შესრულებული (სიმაღლე: 2—3 სმ.); წარწერის ბოლო 6 სტრიქონი, თითოეული 3—4 ასოს მოცულობისა, ამოკვეთილია ტიშანის ორნამენტული არშის ორივე მხარეს. განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; ქარაგმის ნიშანი: ბოლოებმოკაუქებელი, განივი, კიდურწერტილოვანი ხაზი (სურ. 7,8).

ქვის ზედაპირის ატკეცვის, წვიმისაგან გადარეცხვის და სხვადასხვა დაზიანებათა გამო, წარწერის ტექსტი ძალზე ნაკლებია; თანაც, მარცხენა ნა-

¹⁵ ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. I, XI—XIII სს. საბუთები. შეადგანეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1984, გვ. 151:2.


¹⁶ იქვე, გვ. 153:22. ტერმინი „სამუნოდ“ (ემატიკური ა-ს დართვით), ე. ი. საიქიოდ, სიმქვეყნოდ დასტურდება, აგრეთვე, XIII—XIV სს. მიწის ერთ სენურ საბუთში. მასში ნათქვამია, რომ ვინც საბუთში აღნიშნულ პირობას არ დაიცავს, „საუუენოსა ღმრთისაგან გამოსრულ იყოს სამუნოდ“, ე. ი. ღმრთის მფარველობა მოაკლდეს იმ ქვეყანაში (სენათის წერილობითი ძეგლები, ტ. I, თბ., 1986, გვ. 111).

იგივე ტერმინი გვხვდება გვიანი შუა საუუენების ერთ ეპიგრაფიულ ძეგლშიც. კერძოდ, ს. დევის ეკლესიის ჭვარცმის ქედური ხატის ერთ-ერთ კტიტორულ მხედრულ წარწერაში, რომელიც მოთავსებულია ჭვარცმის გამოსახულების ზემოთ (MAK, IV, გვ. 112, 115, სურ. 93; ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში 1919 და 1920 წწ., თბ., 1963, გვ. 14—15, № 13). მისი ტექსტი, როგორც ჩანს, ასე უნდა წაეკითხოთ: ღმერთო, გაუმარჯვე „მიქელს, შიოს, კიდევ — გიორგის და ნიკოლოზს სამუნოდსა ცხოვრებასა სააქაოსა — დღეგრძელობითა, უვნებლობითა; ამინ, უფალო“.



ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ
ԳՐԱԴԱՐԱՆ

Հ. ՄԱՐԿՈՍՅԱՆ







Diagram of a stepped pyramid



წილში, სწორედ იქ, სადაც სტრიქონები იწყება. კერძოდ, ჯვრის მარცხენა მხარეს, სადაც მოთავსებულია ტექსტის I ნახევარი, შემორჩენილია მხოლოდ სტრიქონთა დასაწყისები — პირველ სტრიქონში ოთხი, მეორე-მესამე სტრიქონებში 2—3 ასო; ორნამენტული არშიის მარცხნივ და მარჯვნივ, წარწერის ბოლო სამი სტრიქონი, თითოეულში 3—4 ასოთი, მთლიანად გადასულია. ჯვრის მარჯვენა მხარეს დაზიანებულია: პირველი სტრიქონის დასაწყისი და შუა ადგილი, მეორე სტრიქონის დასაწყისი თითქმის ნახევრამდე; მესამე-მეექვსე სტრიქონების დასაწყისები დაახ. 4—5 ასოს მოცულობისა; მეშვიდე-მეცხრე სტრიქონების მარცხენა ნახევარი, განივად, 3—4 ასოს მოცულობას ტექსტი.

ამას გარდა, როგორც ჩანს, გვიან სამლოცველოს შესასვლელისათვის მიუშენებიათ კარიბჭე; ისე ჩანს, თითქოს, სხვადასხვა დროს ორი კარიბჭე სხვადასხვა სიმაღლეზე. ერთ-ერთი მათგანის სახურავის კეხი ზედ ტიმპანის ფილაზე მოხვედრილა. კარიბჭის სახურავის სამლოცველოს კედლისათვის კარგად მორგების მიზნით, ტიმპანის ფილა გადაუთლიათ, ჯვრის ორივე მხარეს ირიბად ჩაუჭრიათ (სწორედ ამიტომაა რომ წარწერის სტრიქონები განივდა დაზიანებული). ამას, ცხადია, წარწერის ტექსტი კიდევ უფრო მეტად დაუზიანებია.



სურ. 9.

როგორც აღინიშნა, კედელზე გამოსახული ჯვარი სადგარზე დგას. ჯვრის სადგარის წიგნით, საფეხურების კონტურების განმეორებით და მათ შესაბამისად, გამოყვანილია მეორე, ასევე სამსაფეხურა სადგარი. ამ უკანასკნელის ბუდეში ამოკვეთილია თარიღის აღმნიშვნელი სტრიქონი (სურ. 9). იგი შეიძლებოდა და სავსებით ლოგიკურად იქნებოდა მიგვეჩნია წარწერის ბოლო, მე-15 სტრიქონად. მაგრამ, საქმე ის არის, რომ ეს ტექსტი („ქრონიკონი ჯივ“) ამოკვეთილია წარწერის ძირითადი ტექსტის მე-4 სტრიქონის ღონეზე, მის შუაში. ამ თარიღიანი სტრიქონის დასაწყისში დასმულია ასომთავრული ჟ ჟ. პირველი ასო სიტყვისა ჟჟჟჟჟ „ქრონიკონი“. იგი ისეა ამოკვეთილი — რამდენადმე მარცხნივ და გამოყოფით სხვა ასოებთან (თუმცა, მისი მომდევნო ჟ რ-ს ქვედა კაუჭი მასთან შემოხვეულია), რომ, როგორც ჩანს, იგი, საერთოდ მთელი წარწერის დასაწყისი! აღმნიშვნელ ჯვარსაც გადმოსცემს და ტექსტის დასაწყისის ნიშნად შეიძლება მივიჩნიოთ.



ასეთი დანიშნულების ჯვარი ბეთანიის ორი სხვა წარწერის ტექსტისა და ზიანებდად, მთლიანად და თავდაპირველი სახითაა შემონახული, რაიმე ნიშის დასმის გარეშე, პირდაპირ იწყება სიტყვით „ადგილენ“. ჩვეულებრივ, ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში და განსაკუთრებით ბეთანიის წარწერების თანადროულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში, ასეთი რამ არ გვხვდება — როგორც წესი, ტექსტის დასაწყისში ყოველთვის დასმულია ჯვარი ან ქანწილი; ზოგჯერ — რამდენიმე ჯვარიც, როგორც, მაგალითად, იჩქით გურგენისძის XII—XIII სს. მიჯნის წარწერაში ვანის ქვაბებიდან (გ. გ ა ფ რ ი ნ დ ა შ ვ ი ლ ი, ვანის ქვაბთა განძი..., ძმ., 6, 1966, ფოტო — გვ. 8).

ამიტომ, როგორც ჩანს, ეს თარიღიანი სტრიქონი, რომლის თავშიც ჯვარი ზის, II წარწერის ტექსტის დასაწყისად უნდა მივიჩნიოთ. მაშასადამე, ბეთანიის ეს წარწერა იმ მცირერიცხოვან ქართულ წარწერებს განეკუთვნება, რომელთა ტექსტი თარიღის აღნიშვნით იწყებოდა¹⁷.

აშკარაა, რომ წარწერის ავტორმაც და შემსრულებელმაც კარგად იცოდა თარიღის მნიშვნელობა. იგი ამოკვეთილია ფილის ცენტრში, ყველაზე თვალსაჩინო, გამორჩეულ ადგილას. სადგარის, და საერთოდაც მთელი ჯვრის, რელიეფურობა, რომლის ბუდეშიც თარიღია ჩაწერილი, მიღებულია ფილის ზედაპირის დადაბლებით. ამის შედეგად სადგარის რელიეფური კონტური გადმოფარებულია თარიღის სიტყვებზე, რომლებიც ამ რელიეფურ კონტურს კარგად დაუცავს ატმოსფერული ნალექებისაგან.

ამჟამად სახეზეა ამ ვრცელი და, შეიძლება ითქვას, თითქმის სანახევროდ ნაკლები წარწერის შემდეგი ასომთავრული ტექსტი (იხ. გვ. 22).

როგორც აღინიშნა, წარწერის ასომთავრული ტექსტი და ასლი გამოსცა მ. ბროსემაც. მათი შედარება ამჟამადაც არსებულ ტექსტთან გვიჩვენებს, რომ მის შემდეგ წარწერა კიდევ უფრო დაზიანებულია იმ ადგილებში, სადაც ფილის ზედაპირი ატკეცილი იყო — ის, რაც ასლზე ცალკეულ ასოთა კონტურების, ან ნაწყვეტების სახითაა წარმოდგენილი, ამჟამად მთლიანად გადაშლილია. უნდა ითქვას ისიც, რომ ეს ნაწყვეტები წარწერის ტექსტის მ. ბროსესეულ პუბლიკაციაში ასახული არ არის — ისინი ჩრავალწერტილითაა აღნიშნული, თანაც ყოველთვის არ არის წერტილები დასმული შესაბამისი რაოდენობით. ამდენად, მ. ბროსეს მიერ გამოქვეყნებულ ასლზე ცოტათი მეტის წაკითხვა და აღდგენა შეიძლება, ვიდრე მას აქვს გამოცემული და ვიდრე დღესაა სახეზე. ამიტომაც, რომ ნაკლები ადგილების ზომა, მათთა პროპორცია მოღწეულ ტექსტთან შედარებით მ. ბროსეს მიერ გადმოცეულ ასომთავრულ

¹⁷ ქართულ ეპიგრაფიკაში ასეთი სულ რამდენიმე წარწერაა ცნობილი: 1) ა მ ბ ა რ ლ ო ს (ერქუშანთსოფლის) წარწერა 1032 წლისა (Е. Такайшвили, Археологические экскурсии, разыскания и заметки, вып. IV, Тиф., 1913, с. 101); 2) წ ა ლ კ ი ს (ს. დარაქოის) წარწერა 1052 წლისა; 3) ქ ო ბ ე რ ი ს სამი წარწერა — ორი 1276 წლისა და ერთი — 1279 წლისა (წ. შ. შოროგიანი, ლაკათიანის ქრავსკის არქაოლოგიკონსერვ. სერია, 1977, სვ. 172, 174, 177). შედომით (ტექსტის დასაწყისში დაქარავებით აღნიშნული „ქ კირიელისონის“ „ქრონიკანდ“ წაკითხვის გამო), ასეთად მიიჩნევენ ლიხაურის, ჩანგლის და ატენის სიონის (ერთ-ერთ) წარწერებს (ქართული წარწერების კორპუსი, II, თბ., 1980, გვ. 19, შენ. 69; ვ. ს ი ლ ო გ ა ვ ა, სომხეთის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების გამოცემის შესახებ, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 2, 1980, გვ. 152—153).



የኢትዮጵያ
የជាតិ ሰነድ
ና ጥበቃ ሚኒስቴር

10. ተሳታፊነት

- 1. ርዕይ [-----] -----]-ርዕይ ለሌሎች ማሳደግ ይቻላል [-----]
- 2. ዓላማ [-----] -----]-ሰነድ ለሌሎች ማሳደግ ይቻላል [-----]
- 3. ርዕይ [-----] -----]-ሰነድ ለሌሎች ማሳደግ ይቻላል [-----]
- 4. ርዕይ [-----] -----]-ሰነድ ለሌሎች ማሳደግ ይቻላል [-----]
- 5. ማሳደግ [-----] [-----] -----]-ሰነድ ለሌሎች ማሳደግ ይቻላል [-----]
- 6. ሰነድ ለሌሎች ማሳደግ [-----] -----]-ሰነድ ለሌሎች ማሳደግ ይቻላል [-----]
- 7. ሰነድ ለሌሎች ማሳደግ [-----] [-----] -----]-ሰነድ ለሌሎች ማሳደግ ይቻላል [-----]
- 8. ሰነድ ለሌሎች ማሳደግ [-----] [-----] -----]-ሰነድ ለሌሎች ማሳደግ ይቻላል [-----]
- 9. ርዕይ -----]-ሰነድ ለሌሎች ማሳደግ ይቻላል [-----]
- 10. ሰነድ -----]-ሰነድ ለሌሎች ማሳደግ ይቻላል [-----]
- 11. ሰነድ -----]-ሰነድ ለሌሎች ማሳደግ ይቻላል [-----]
- 12. [-----] -----]-ሰነድ ለሌሎች ማሳደግ ይቻላል [-----]
- 13. [-----] -----]-ሰነድ ለሌሎች ማሳደግ ይቻላል [-----]
- 14. [-----] -----]-ሰነድ ለሌሎች ማሳደግ ይቻላል [-----]

ტექსტში ზუსტად არ არის ასახული და ფრანგულ თარგმანშიც ტექსტი რამდენადმე შემოკლებულია. და მაინც 140 წლის წინათ მ. ბროსეს მიერ მოპოვებული და გამოქვეყნებული მასალის მნიშვნელობა მეტად დიდია ბეთანიის წარწერების, განსაკუთრებით II წარწერის, ტექსტების დასადგენად.

აქ წარმოდგენილი და მ. ბროსეს მიერ გამოქვეყნებული ასომთავრული ტექსტები რამდენადმე სხვაობს ერთმანეთში. მნიშვნელოვან და არსებით განსხვავებათა შესახებ ქვემოთ გვექნება მსჯელობა, ხოლო უმნიშვნელო და წვრილმანი კითხვასხვაობების აღნიშვნის ნაცვლად აქვე წარმოვადგენთ მ. ბროსეს მიერ გამოცემული ასომთავრული ტექსტის რეპრინტულ განმეორებას (სურ. 10).. ამის მიხედვით ადვილად შეიძლება მისი შედარება ამჟამადაც არსებულ ტექსტთან.

ასომთავრულ ტექსტთან ერთად მ. ბროსემ გამოაქვეყნა მისი თარგმან ფრანგულ ენაზე, საიდანაც ჩანს, თუ როგორ ჰქონდა მას ტექსტი წარმოდგენილ მხედრული გაშიფრვით. მ. ბროსეს მიერ გამოცემული ფრანგული ტექსტის ქართული თარგმანი ასეთია:

„აღიდე, უფალო,... სული დიდისა მამასახლისისა საბასი; მისი მმართველობის დროს... გადმოსვენებულ იქნა ძელები... მისი ამოღბარისა და ამირსპასალარისა... რომელმაც შეირთო ცოლად რუსუდანი, ასული კვირიკესა სომეხთა მეფისა. ღვთისმშობელო,... მეოხ მეყავ აქა... ასევე მეოხ მეყავ... ჩემი სულისათვის. კარიბჭე, სვეტები... მღვდელნო, რომლებიც ილოცებთ... წმინდა ძმებო და თქვენ ყველამ... რომლებიც ატარებთ... დანო...“.

ბეთანიის II წარწერის ამჟამადაც არსებული ასომთავრული ტექსტის მხედრული ტრანსკრიპცია, დაქარაგმებული ასოებზე მრგვალ ფრჩხილებში, ხოლო იმ ადგილების, რომელთა აღდგენა ეჭვს არ იწვევს, კუთხოვან ფრჩხილებში წარმოდგენით, ასეთია (გვ. 17):

ვფიქრობ, აქ წარმოდგენილი ტექსტი საშუალებას გვაძლევს ასევე უეჭველად აღვადგინოთ წარწერის ზოგიერთი სხვა ნაკლული ადგილი, ხოლო ზოგიერთის შესახებ ვივარაუდოთ.

ამჟამადაც არსებული ტექსტით უეჭველია, რომ წარწერის მე-3 სტრიქონის მეორე ნახევარში დასახელებულია „სომეხთ მეფის კვირიკეს ასული რუსუდანი“, რომელიც არის ცოლი, ამის წინ ნაწყვეტ-ნაწყვეტად მოღწეულა ტექსტის მიხედვით, ამირსპასალარისა. მ. ბროსეს მიერ გამოცემულ გრაფიკულ მონახაზზე (სურ. 11) ამ სტრიქონის პირველ ნახევარში, ჯერის ვერტიკალური მკლავის მარჯვნივ, რომელიც ამჟამად მთლიანად გადასულ-გადაფხეკულია, იკითხება სახელი „ივ(ა)ნ[ე]“, ხოლო ჯერის მკლავის მარცხნივ, მონახაზზე წარმოდგენილ, ხოლო ამჟამად მთლიანად გადაშლილ ასოთა ნაწყვეტებში იკითხება „...ხცისა და შ[ლ]ისა მისა“. მონახაზზე ასოთა ნაწყვეტები, როგორც ჩანს, მათი დაზიანების გამო, აბსოლუტური სიზუსტით გადმოღებული არ უნდა იყოს, მაგრამ ამ ნაწყვეტებში მაინც შეიძლება შემდეგი ამოკითხოთ: „ამირსპ(ა)ს|ალა|რისა და მ(ა)ნდ(ა)ტ(უ)რთ(უ)|ხ(უ)ც(ეს)ისა და შ(ვი)-[ლ]ისა მ(ა)თ(ი)სა|| ივ(ა)ნ(ე)|ს| ცოლ(ა)დ“. ამათგან, „ამირსპასალარისა“ და „ცოლად“ ამჟამადაც სახეზეა და მათი წაკითხვა არავითარ ეჭვს არ იწვევს. მართლაც, საისტორიო წყაროებით ცნობილია, რომ რუსუდანი, ასული ლორეტაშირის მეფის კვირიკესი, იყო ცოლი ივანე ორბელისა, საქართველოს სამეფოს ამირსპასალარისა და მანდატურთუხუცესისა, 1177 წელს გიორგი III-ის წინააღმდეგ მიმართული აჯანყების მეთაურისა.



უფრო წინ, წარწერის მე-5 სტრიქონის ტექსტში ეს ივანე ჯავახიშვილი ლია ვილაცის ძედ — „მ(ა)თ(ი)სა ძისა“, რომელიც ასევე ცნობილია და არა სუმბატ დიდი ორბელი, ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი დემეტრე I-ის დროს. მისი ფრესკული გამოსახულება, როგორც აღინიშნა, წარმოდგენილია ბეთანიის დიდი ტაძრის სამხრეთ კედელზე.

წარწერის პირველი სტრიქონის შუაში, ისევე, როგორც მ. ბროსეს დროს, დღესაც სახეზეა „...ათსა ს(უ)ლი“. ცხადია, რომ პირველთ სიტყვა ჯვრის მარცხნივ იწყებოდა და აქ უნდა წავიკითხოთ „[ც]ათ(ა)სა ს(უ)ლი“. ეს საშუალებას გვაძლევს წარწერის პირველი სტრიქონის ნაკლებ მარცხენა ნაწილში (ასე ყოფილა იგი მ. ბროსეს დროსაც) აღვადგინოთ გავრცელებული ტრაფარეტული ფორმულა „სასუფეველსა შინა ცათასა“, რომლის ერთ-ერთი ვარიანტი დასტურდება ბეთანიის I წარწერის ტექსტშიც (იხ. ზემოთ: „ზეცასა სასუფეველსა შესა“). ამის წინ ადგილი რჩება ორი სიტყვისათვის რომელთაგან პირველი — „ად(ი)დ(ე)ნ“, სახეზეა, ხოლო მეორე, ბუნებრივია, უნდა აღდგეს, როგორც „ღმერთმან“, დაქარაგმებით — „ღ“თნ“, ან „ღ“ნ“.


ამრიგად, წარწერის პირველი სტრიქონის ჯვრის მარცხნივ ამოკვეთილი ტექსტი და ჯვრის მარჯვნივ არსებული ტექსტის პირველი ნახევარი ასე გაიშართება: „ად(ი)დ(ი)ნ [ღ(მერ)თ(მ)ან ს(ა)ს(უ)ფ(ე)ველსა შ(ი)ნა ც(ა)თ(ა)ს(უ)ლი დიდისა“.

„დიდისა“-ს შემდეგ მ. ბროსე კითხულობს ასომთავრულში — „სბა... ლა-სი“, რომელიც ფრანგულ თარგმანში, მის წინ მდებარე სიტყვების გათვალისწინებით, გადმოცემულია როგორც „დიდისა საბა მამასახლისისა“. წაკითხვა „სბა“ და აქედან საკუთარი სახელი „საბა“, მ. ბროსეს წარმოდგენილი აქვს ასომთავრულით დაბეჭდილ ტექსტსა და ფრანგულ თარგმანში. ხოლო მის მიერ გამოცემულ გრაფიკულ მონახაზზე „სბ“-ს შემდეგ ნაცვლად ა-სი გაურკვეველი ასოს ნაწყვეტებია წარმოდგენილი.

იმავე ადგილას ფრაზის დასასრულს დღესაც არსებულ „...ლისი“ მ. ბროსესთან აშკარად შეცდომით არის გახსნილი. საქმე ისაა, რომ ნათესაობით ბრუნვაში დასმული მსაზღვრელი „დიდისა“ მოითხოვს რომ მისი საზღვრული იმავე ბრუნვაში იყოს, მაშინ როდესაც მ. ბროსესთან იგი სახელობითშია — „დიდისა საბა [მამასახ]ლისი“. თუ აქ მართლაც „მამასახლისი“ ეწერა, იგი უნდა ყოფილიყო გადმოცემული, როგორც „[მამასახ]ლისისი“. მეორე მხრივ, მამასახლისის მიმართ ეპითეტი „დიდი“ უჩვეულოა და სხვაგან არც დასტურდება.

მომდევნო სტრიქონების მიხედვით უკვე ვიცით, რომ სადღაც ამ ადგილას უნდა ეწეროს რუსუდანის ქმრის მამის („მათისა შვილისა ივანეს ცოლად“) სახელი „სუმბატ“, რომელიც, ასევე, ატარებდა „დიდის“ წოდებას, როგორც ეს ცნობილია სომხური და ქართული ეპიგრაფიკული ძეგლებით და, მათ შორის, ბეთანიის იმ ფრესკული წარწერით, რომელიც მის გამოსახულებას ახლავს ტაძარში („დიდი სუმბატ მანდატურთუხუცესი“). ამრიგად, „სბ“-ს შემდეგ დაზიანებულ ასოში, როგორც ჩანს, უნდა წავიკითხოთ არა **С а** და ამის მიხედვით სახელი „საბა“, არამედ **Р ტ** და ამის მიხედვით „ს(უ)მ(ბ)ატ“.

მხედველობაშია მისაღები მ. ბროსეს მიერ გამოცემულ გრაფიკულ მონახაზზე წარმოდგენილი „...ლისი“, რომელიც იკითხება „სუმბატ“-ის შემდეგ და რომელიც, როგორც ზემოთ დავინახეთ, მან „მამასახლისად“ წაჭიჭა. დღეს



საქართველოს მეცნიერებათა აკადემია

წარწერაში ამ ადგილას იკითხება მხოლოდ „...სი“. როგორც აღინიშნა, სუმბატი ამირსპასალარი იყო. „...ლისი“ თითქოს ამ „ამირსპასალარის“ სიტყვის ნაწყვეტი უნდა იყოს. ტექსტის ამ ადგილას აკლია დაახ. 5—6 ასო. სიტყვა „ამირსპასალარი“ აქაც ისევე იქნებოდა დაქარაგმებული, როგორც ე. წ. წარწერის მე-2 სტრიქონის ბოლოს და მე-3 სტრიქონის დასაწყისშია სუმბატის შვილის ივანეს ტიტულის გადმოცემისას, მაშინ ტექსტის ეს ნაკლებად ადგილი შეიძლებოდა აღვედგინა, როგორც „[ამ(ირ)სპ(ა)სალარ]ისი“.

ამასთან დაკავშირებით, საჭიროა ყურადღება მიექცეს შემდეგ გარემოებას. „ამირსპასალარისა“ წარწერის მე-2 სტრიქონის ბოლოს და მე-3 სტრიქონის დასაწყისში, მართალია, დაქარაგმებულია, მაგრამ გადმოცემულია სულ ცოტა 11—12 ასოთი — **ႠႡႢႣႤႥႦႧႨႩႰႱႲႳႴႵႶႷႸႹႺႻႼႽႾႿ** „ამრსპსპალარისა“. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს სიტყვა ასევე იქნებოდა დაქარაგმებული წარწერის პირველ სტრიქონშიც, სადაც სიტყვათა დაქარაგმების კიდევ უფრო ნაკლები ტენდენცია იჩენს თავს (მაგ. აქ სრულად წერია: „დიდისა“, „მათსა“, „ზეობასა“ და მხოლოდ თითო ასოთია დაქარაგმებული: „ცათ(ა)სა“, „ს(უ)ლი“). თუნდაც დავუშვათ, რომ იგი პირველ სტრიქონში კიდევ იყო შეკვეცილი 2—3 ასოთი, მაინც აშკარაა, რომ არც 11—12 და არც 8—9 ასო „სბტ“-ისა და „ისი“-ს შორის ფილაზე არ დაეტევა. ამიტომ, სუმბატის აქ დასახელება ამირსპასალარის სახელითი რამდენადმე საეჭვო ჩანს — მისი თანამდებობა აქ აღიშნული იყო 5—6 ასოთი.

სუმბატ ორბელი, ისევე, როგორც მისი ძე ივანე, იყო ერისთავთ-ერისთავი. ეს სიტყვა ივანეს თანამდებობათა აღნიშვნისას წარწერის მე-2 სტრიქონში დაქარაგმებულია და გადმოცემულია 6 ასოთი — **ႧႨႩႰႱႲႳႴႵႶႷႸႹႺႻႼႽႾႿ** „ეეთისა“. თუ დავუშვებთ, რომ მ. ბროსეს მიერ გამოცემულ ასლზე **ႧႨႩႰႱႲႳႴႵႶႷႸႹႺႻႼႽႾႿ** „ლისი“ შეცთომითაა გადმოხატული **ႧႨႩႰႱႲႳႴႵႶႷႸႹႺႻႼႽႾႿ** „ვისი“-ს ნაცვლად, რაც ადვილად შეიძლებოდა დაზიანებულად მოღწეული სიტყვის **Ⴇ** ვ-ს **Ⴇ** ლ-ასთან გრაფიკულა მსგავსების გამო აღრევის შედეგად, მაშინ მივიღებთ, რომ სუმბატ ორბელის წოდება აქ დაქარაგმებული იყო, როგორც „**ႧႨႩႰႱႲႳႴႵႶႷႸႹႺႻႼႽႾႿ**“, სადაც **ႧႨႩ**-ეეო ჩამოიშალა, ხოლო დარჩენილი **ႧႨႩႰႱႲႳႴႵႶႷႸႹႺႻႼႽႾႿ** „ვისი“ ასლის გადმომღებმა გადმოხატა როგორც **ႧႨႩႰႱႲႳႴႵႶႷႸႹႺႻႼႽႾႿ** „ლისი“. ცხადია, „ეეთისი“ წაკითხება, როგორც „ე(რისთავთ)-ე(რისთავთ)ისი“.

არასწორად გადმოღებული ასოები, ან ასოთა ნაწყვეტები მ. ბროსეს მიერ გამოცემულ ასლზე სხვაც გვხვდება, მაშინ, როდესაც ისინი ამჟამადც სრულადაა მოღწეული და მათი წაკითხვა ეჭვს არ იწვევს. მაგალითად, მე-3 სტრიქონის ბოლოდან მეორე სიტყვაში **ႣႤႥႦႧႨႩႰႱႲႳႴႵႶႷႸႹႺႻႼႽႾႿ** „ასლი“ გადმოღებულია, როგორც „**ႣႤႥ** „ასლნ“, ე. ი. **Ⴇ** ი შეცვლილია **Ⴆ** ნ-არით; მე-7 სტრიქონის დასაწყისში **ႧႨႩႰႱႲႳႴႵႶႷႸႹႺႻႼႽႾႿ** „სკთა“ გადმოღებულია, როგორც **ႧႨႩႰႱႲႳႴႵႶႷႸႹႺႻႼႽႾႿ** „სკოა“, ე. ი. **Ⴇ** ი შეცვლილია **Ⴇ** ო-ნით; მამასადამე, აქაც შეცდომა, გრაფიკული მსგავსების გამო, ასოთა აღრევის შედეგია და სხვ. ასევე, ნიშანდობლივია წარწერის მე-4 სტრიქონში **ႧႨႩႰႱႲႳႴႵႶႷႸႹႺႻႼႽႾႿ** „სლბის“ ნაცვლად **ႧႨႩႰႱႲႳႴႵႶႷႸႹႺႻႼႽႾႿ** „სბბის“ გადმოღება, ე. ი. აქ ასოთა თანამიმდევრობაც კია შეცვლილი და ამ სიტყვას დღემდის რომ არ მოეღწია წარწერის ტექსტში, ასლის მიხედვით მისი სწორად გახსნა შეუძლებელი იქნებოდა: საეჭვოა, რომ „სბბის“ როგორც „სალბუნის“ გახსნა ვინმეს მოფიქრებოდა და შემდეგ რამდენადმე უეჭველად დაესაბუთებინა. აქედან ისიც ჩანს, რომ მ. ბროსეს მიერ გამოცემულ ასლის დიდი მნიშვნელობის მიუხე-



დავად, მისი გამოყენება წარწერის ნაკლები ადგილების დიდი სიფრთხილითაა საჭირო.

ამ მონაცემების მაზედვით, სხვა წერილობითი ძეგლებით კარგად ცნობილი ტრაფარეტული ფორმულის („სასუფეველსა შინა ცათასა“) აღდგენა, ტექსტის ნაკლები ადგილის ზომის გათვალისწინებით, წარწერის პირველ სტრიქონი შეიძლება ასე შევავსოთ და აღვადგინოთ:

„ად(ი)დ(ე)ნ ღ(მერ)თ(მ)ან; ს(ა)ს(უ)ფ(ე)ველსა შ(ი)ნა ც(ა)თ(ა)სა, ს(უ)ლო დიდისა ს(უ)მ(ბ)ა[ტ] [ე(რ)ისთავთ)-ე(რ)ისთ(ა)ვი]სი. მათსა ზე||ობასა“...

წარწერის მეორე სტრიქონის მარჯვენა ნახევრის აღდგენა, ამჟამად არსებული ტექსტისა და მ. ბროსეს მიერ გამოცემული გრაფიკული მონახაზის შეჯერების გზით, სიძნელეს არ წარმოადგენს და იგი ასეთია:

„მ(ა)თ(ი)სა ძისა ე(რ)ისთავთ)-[ე(რ)ისთ(ა)ვი]სა და ამ(ი)რსპ(ა)ს||ალ[არ(ი)-სა...]“.

„მათისა ძისა ერისთავთ-ერისთავისა“-ს ნაცვლად, მ. ბროსე ამ ადგილას კითხულობდა „მათსა ამილბარისა“—ასომთავრულ ტექსტში და „მისი ამილბარისა“—ფრანგულ თარგმანში. საისტორიო წყაროებით კარგადაა ცნობილი, რომ ივანე ორბელი, ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი, არავითარი „ამილბარი“ არ ყოფილა. საერთოდაც, XII—XIII სს. საქართველოს სამოხელეო სტრუქტურა არ იცნობს ასეთ თანამდებობას¹⁸. ასეც რომ არ იყოს, იქ სადაც მ. ბროსე „ამილბარს“ კითხულობს მონახაზზე ფაქტობრივად იკითხება „ყარისა“, რაც არასწორად გადმოღებული ასომთავრული ორბელისა „ე“ებისა უნდა იყოს. ეს უკანასკნელი, ცხადია, უნდა წავიკითხოთ, როგორც „ე(რ)ისთავთ)-ე(რ)ისთ(ა)ვისა“.

ამავე მე-2 სტრიქონის მარჯვენა ნაწილში, „მათისა“-ს წინ მ. ბროსე კითხულობდა სიტყვას „ძვლი“ (ფრანგულ თარგმანში — „გადმოსვენებულ იქნა ძვლები“). ფილაზე ეს ადგილი ამჟამად პირწმინდად გადაშლილია. სიტყვა „ძვლი“ იმ ტექსტში, რომელიც უკვე გაირკვა და თითქმის ეჭვს არ იწვევს, არ თავსდება; ამავე დროს, რადგანაც ის მ. ბროსეს მიერ გამოცემულ ასლზე გარკვევით არის წარმოდგენილი. ვითხოვს, რომ მის არსებობას ანგარიში გავწიოს. მართლაც, წარწერის ტექსტის პირველი სამი სტრიქონის ზემოთწარმოდგენილი მონაცემების გათვალისწინებით, სადაც საუბარია ერთი ოჯახის წევრთა შორის ნათესაობრივ ურთიერთობაზე, აქ შეიძლება წავიკითხოთ სიტყვა „სძალი“, რომელიც, ასლის გადმომღების მიერ არასწორად გადმოღებულ იქნა როგორც „ძვლი“. ამ სიტყვის წინ, მე-2 სტრიქონის მარცხენა ნაწილის ბოლოს, მ. ბროსეს მიერ გამოცემული ასლის მიხედვით (ამჟამად ეს ადგილიც მთლიანად გადასულია), თითქოს უნდა წავიკითხოთ „სახლისა“, ხოლო, მის

¹⁸ მ. ბროსე ამასთან დაკავშირებით იმოწმებს „ვეფხისტყაოსანს“, საიდანაც მოჰყავს ცნობილი ადგილი „თუთი ამირბარსა ინდოეთს აქვს ამირსპასალარობა“. ჯერ ერთი, აქედან ისე ჩანს, რომ ამირბარობა ამირსპასალარობაზე მაღალი თანამდებობა ყოფილა, მაშინ, როდესაც XII ს-ის ბოლოს, ე. ი. იმ დროს, რომელსაც ბეთანიის წარწერები განეკუთვნება, უმაღლეს სამოხელეო თანამდებობას, ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესობის შემდეგ, ამირსპასალარობა წარმოადგენდა. მეორეც, ამირბარობას, როგორც აღინიშნა, ქართული სამოხელეო წყობა არ იცნობს და შესაძლებელია, მხატვრულ ნაწარმოებში, ამ შემთხვევაში „ვეფხისტყაოსანში“, ყოველთვის როდია აბსოლუტური სიზუსტით ასახული ყველა რეალია. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ არც მ. ბროსე აიგივებდა დაბეჭდვით ვეფხისტყაოსნის „ამირბარს“ ბეთანიის წარწერაში მის მიერ წაკითხულ „ამილბართან“.

წინ — „მათისა“. მაშინ ტექსტი ამ ადგილას ასე აღდგება და გამართდება: „მათისა სახლისა სძალი, მათისა ძისა ერისთავთ-ერისთავისა სალარისა“.

„ს ძ ა ლ ი“, „ძის ცოლის“ მნიშვნელობით, ე. ი. იმ მნიშვნელობით და ფორმით, როგორც ივარაუდება მისი დადასტურება ბეთანიის ამ წარწერაში, ცნობილია უძველესი წერილობითი ძეგლების მიხედვით: „განევთას (ე. ი. განეშოროს)... სძალი დედამთილისაგან თვისისა“ (ლ. 12,53) — აღნიშნულია ოთხთავის ადიშურ რედაქციაში, ხოლო ჯრუჭ-პარხლურში იმავე ადგილას „სძალი“-ს ნაცვლად „ძის ცოლი“ ზის¹⁹. ასევე, ბიბლიის გელათური ხელნაწერის მიხედვით — „უშუერებაჲ (ე. ი. სიმახინჯე, ან საძაგლობა) სძლისა შენისაჲ არა გამოაცხადო, რამეთუ ცოლი არს ძისა შენისაჲ“ (ლევიტ. 18,15)²⁰.

„რძალი“ „ს ძ ა ლ ი ს“ გვიანდელი ფორმაა და „ძის ცოლის“ მნიშვნელობითვე მას განმარტავს სულხან-საბა ორბელიანი. მის დროსვე „სძალი“ უკვე სხვადასხვა მნიშვნელობით განიმარტებოდა: „ს ძ ლ ა დ ვ ე ითქმის მასლისაგან ძმის ცოლი; ს ძ ა ლ ი არს ქორწილოსანი ქალი; ს ძ ლ ა დ ქრისტესა ითქმის უბიწოწი სულნი ქალწულთანი; ს ძ ლ ა დ იწოდების ეკლესია „ქება ქებათა“ შინა“²¹.

წარწერის ტექსტში სიტყვა „სძალი“-ს აღდგენისათვის, თითქოს წინააღმდეგობას ჰქმნის ის, რომ მ. ბროსეს მიერ გამოცემულ ასლზე აღსადგენი სიტყვის თავში წერია **ძიუ ძვ**, და არა **სძ სძ**, ე. ი. აღდგენისას ადგილი აქვს სიტყვაში ასოთა გადაადგილებას, რაც, თითქოს, ძნელი დასაშვებია. მაგრამ, ზუსტად ანალოგიურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე ამ წარწერის ტექსტში მეორე ადგილას, მე-4 სტრიქონში, სადაც დღესაც გარკვევით და უშუალოდ იკითხება **სზჴუს** ე. ი. **ს(ა)ლბ(უ)ნის**“, ხოლო მ. ბროსეს მიერ გამოცემულ ასლზე გადმოღებულია **ზსჴუს** (ამის შესახებ იხ. ზემოთ), ე. ი. აქაც ასლის **გადმომღების** მიერ სიტყვის თავში გადაადგილებულია ასოები — **სზ სლ**-ს ნაცვლად გადმოღებულია **ზს ჴს** (აქ კიდევ სხვა შეცდომაცაა — გრაფიკული მსგავსების გამო ასომთავრული **ზ ლ** შეცვლილია **ზ ჴ**-ანით).

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მ. ბროსეს მიერ გამოცემულ ასლზე წარწერის ტექსტში განხილულ ადგილას **ძიუჯიუ** „ძვალის“ უეჭველად არც იკითხება — იქ უფრო **ძიუჯიუ** „ძიაზი“ წერია, „ძვალს“ მ. ბროსე კითხულობდა, როგორც ეს ჩანს მის მიერ ასომთავრულით დაბეჭდილი ტექსტის და მისი ფრანგული თარგმანის მიხედვით (იხ. ზემოთ). თუ ჯვრის მარცხნივ ამოკვეთილ პირველსავე ასოს **ს ს** ამ აღსადგენ სიტყვას მივაკუთვნებთ, ხოლო ამას ხელს არაფერი უშლის, მაშინ, მ. ბროსეს მიერ გამოცემული ასლის მიხედვით, აქ უფრო **სძიუჯიუ** „სძიაზი“ იკითხება, რაც, ცხადია, გრაფიკული მსგავსების გამო ასლის გადმომღების მიერ ასომთავრულ ასოთა აღრვევის გათვალისწინებით, მეტ საფუძველს გვაძლევს ამ ადგილას **სძიუჯიუ** „სძალი“ წავიკითხოთ.

¹⁹ ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით (897, 936 და 973 წწ.), გამოსცა აკაკი შანიძემ, თბ., 1945, გვ. 242; ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1973, გვ. 407.

²⁰ წიგნი ძუელისა აღთქუმისანი, ნაკვ. 2, თბ., 1990, გვ. 84; შდრ. ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, გვ. 407.

²¹ ს. ს. ორბელიანი, სიტყვის კონა, ს. იორდანიშვილის რედაქციით, თბ., 1949, გვ. 330.



ერთი სიტყვით, მ. ბროსეს მიერ წაკითხული და გამოცემული ნაცვლად, მის მიერვე გამოცემული წარწერის ასლის მხატვრული კონტექსტის, წარწერის საერთო აზრის, მისი შინაარსის გათვალისწინებით, სიტყვა „სძალი“-ს აღდგენა სწორი უნდა იყოს²².

წარწერის ტექსტში პატრონ რუსუდანის მიერ მისი ორბელთა სახლის სძლობის აღნიშვნას ერთგვარად ეხმიანება სტეფანოს ორბელიანის (XIII ს.) მიერ საგანგებოდ აღნიშნული („ესეცა გულისხმა-ყავ“, „ესე უწყოდეთ“) ცნობა იმის შესახებ, რომ ორბელები „დამძახლებულ იყვნენ ქართველთა მეფისა და სომეხთა მეფისა კვირიკესათა, რომელ იყვნენ ბაგრატიონნი“ (B რედაქციით: „ესენი მძახლობითა ეყვოდნენ სომეხთ მეფეს კვირიკიანა, რომელ არიან ბაგრატიონნი“): სტეფანოს ორბელიანის „ისტორია ორბელიანთა“, გვ. 39—40.

ამ სამი საგვარეულოს მძახლობით დამაკავშირებელი სწორედ პატრონ რუსუდანი იყო — ერთი მხრივ, ასული ლორე-ტაშირის სომეხ ბაგრატიონ მეფის კვირიკისი, მეორე მხრივ, მეუღლე დიდი სუმბატ ორბელის ძის ივანე ამირსპასალარისა და მანდატურთუხუცესისა და მესამე მხრივ, სიდედრი ქართველ ბაგრატიონთა სამეფო სახლის წევრის და ტახტის მემკვიდრის დემნა უფლისწულისა. ამის შემდეგ ორბელთა სახლი კიდევ ერთხელ დაემძახლა ქართველ ბაგრატიონთა სამეფო სახლს, როდესაც დემეტრე II-ის (1271—1289) ვაჟს მანუელს ცოლად შერთეს საქართველოს სამეფოს ამირსპასალარისა და მანდატურთუხუცესის ტარსაიჭ ორბელისა და მინა ხათუნის ასული (იხ. თანდართული ორბელთა სახლის გენეალოგიური ტაბულა).

როგორც ჩანს, ამ სახლების „დამძახლება-სძლობა“, ერთი მხრივ, ერთობ გახმაურებული და ცნობილი (ისტორიკოსი სტეფანოს ორბელიანი ამის შესახებ საგანგებოდ მიაპყრობს მკითხველის ყურადღებას თავის ნაწარმოებში) და, მეორე მხრივ, თავმოსაწონებელი ფაქტი იყო კვირიკიანთა და ორბელებსათვის. ამიტომ უფროა სავარაუდებელი, რომ პატრონმა რუსუდანმა ამის შესახებ აღნიშნა თავის მემორიალურ წარწერაში („ღირს ვიქმენ მათისა სახლისა სძალი... ცოლად“). ამასთანავე, წარწერის ტექსტში სიტყვა „სძალის“ აღდგენის ერთ-ერთ არგუმენტად ესეც შეიძლება გამოდგეს.

მივიღეთ, რომ მთლიანად აღდგა წარწერის პირველი სტრიქონი („ადიდენ ღმერთმან სასუფეველსა შინა ცათასა სული დიდისა სუმბატ ერისთავთ-ერისთავისი მათსა ზეობასა“), მე-2 სტრიქონის პირველი ნახევრის მეორე ნაწილი და ამავე სტრიქონის მეორე ნახევარი („მათისა სახლისა სძალი, მათისა ძისა ერისთავთ-ერისთავისა და ამირსპასალარისა“), მთლიანად მე-3 სტრიქონი

²² გამოთქმა „სახლისა რძალი“ დასტურდება XVI ს-ის შუა ხანების (1561—1564) ერთ ეპიგრაფიკულ ძეგლშიც — ვალის ტაძრის (სამცხეში) მეორედ აღმშენებელი, ბაგრატ მეფის ასული და ქაიხოსრო ათაბაგის მეუღლე დედისი მელი, ყუარყუარე ათაბაგის დედა აღნიშნავს, რომ „ათაბაგ-ამირსპასალარის სახლის რძალმან, დედისიმედმან, მეორედ აღვაშენე წმიდაი ესე ეკლესია“-ო (მრავალთავი, X, 1983, გვ. 281). ეპიგრაფიკული მასალა მიხედვით ცნობილია კიდევ ერთი „ორბელიანთ სახლის სძალი“, ბარძიმ მდივან-ბეგის ასული და მზექაბუჯ ორბელიანის „მეცხედრე“ თამარი, რომლის ეპიტაფია 1735 წლისა დაეცა დმანისის სიონში (ვ. ჯაფარიძე, ნაქალაქარ დმანისის ქართული წარწერება, კრ. „ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები“, IV, 1982, გვ. 54, ტაბ. XI, 21). ამდენად, „სახლისა სძალი“ უჩვეულო ფორმად და უსაფუძვლო აღდგენად არ უნდა მივიჩნიოთ ბეთანის წარწერაშიც.

(„და მანდატურთუხუცესისა და მათისა შვილისა ივანეს ცოლად სომეხთ მეფისა კკრიკეს ასული რუსუდან“).

ამ სტრიქონების მიხედვით ცხადია, რომ წარწერის ტექსტში თხრობა მიმდინარეობს პირველ პირში, პატრონ რუსუდანის მიერ. პირველ სამ სტრიქონში აღუდგენელი დარჩა მე-2 სტრიქონის დასაწყისში „ობასა“-ს შემდეგ დაახ. ორი სიტყვის ადგილი. ამ სიტყვებში აღიშნული უნდა ყოფილიყო პატრონ რუსუდანის მიერ შესრულებული მოქმედება, წინადადების წევრი შემასმენელი, რომელიც შეკრავდა აზრობრივად წარწერის მეორე წინადადებას. სამწუხაროდ ეს ადგილი ამჟამად მთლიანად გადასულია, ასევე ყოფილა იგი მ. ბროსეს დროსაც, რადგანაც მის მიერ გამოცემულ გრაფიკულ მონახაზზე აქ მხოლოდ ლაკუნის აღმნიშვნელი ნიშნებია დასმული. ამიტომ, ამ ადგილის აღდგენა ამჟამად მხოლოდ ვარაუდით შეგვიძლია. ვფიქრობ, სხვა სიტყვებზე მეტად აქ შეიძლება აღვადგინოთ „ღირს ვიქმენ“, რადგანაც ამას, ან ამის მსგავს კონსტრუქციას, მოითხოვს მთლიანად წინადადების კონტექსტი, საერთო აზრი, რომელშიც საუბარია რუსუდანის ორბელთა სახლის სძლობასა და ივანეს ცოლობაზე²³.

ამ მონაცემების მიხედვით, წარწერის პირველი სამი სტრიქონი და მათში გადმოცემული ტექსტის ორი წინადადება, ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ:

„ად(ი)დ(ე)ნ [ღ(მერ)თ(მა)ნ, ს(ა)ს(უ)ფ(ე)ველსა შ(ი)ნა ც]ათ(ა)სა, ს(უ)ლი დიდისა ს(უ)მ(ა)ტ [ე(რ)სთავთ)-ე(რ)ს)თ(ა)ვი]სი. მათსა ზე||ობასა [ღ(ი)რს ვ(ი)ქმ(ე)ნ მ(ა)თ(ი)სა ს(ა)ხლისა სძალი], მ(ა)თ(ი)სა ძ(ი)სა ე(რ)ისთავთ)-[ე(რ)ის)თ(ა)ვი]სა და ამ(ი)რსპ(ა)ს||ალ[არ(ი)სა და მ(ა)ნდატ(უ)რთ(უ)ხ(უ)ც(ე)ს(ი)სა და მ(ა)თისა შვ(ი)ლისა] ივ(ა)ნ(ე)[ს] ცოლ(ა)დ, ს(ო)მ(ე)ხთ მ(ე)ფ(ი)სა კ(ვრიკ)ეს ას(უ)ლი რ(უ)ს(უ)და)ნ“||.

წარწერის მომდევნო ნაწილის მოღწეული ფრაგმენტების მიხედვით ცხადია, რომ ტექსტი აქ ზოგადი ფორმულებისა და ტრადიციული, თუმცა, უმეტესწილად ორიგინალური, გამოთქმებისაგან შედგებოდა — არსებითი და ძირითადი უკვე აღნიშნულია წარწერის პირველ სამ სტრიქონში, მის ორ დაწყებით წინადადებაში.

მე-4 სტრიქონიდან იწყება ახალი წინადადება მიმართვის ტექსტით: „დ(ე)დ(ა)ლ(მ)რ(ი)ს(ა)ო“. ასეთი წაკითხვის საშუალებას იძლევა მ. ბროსეს მიერ გამოცემულ გრაფიკულ მონახაზზე წარმოდგენილი ტექსტი — ადგილზე ამჟამად იკითხება მხოლოდ „ՃՄԸԸ“ „დდა[ო]“. თუმცა, ბუნებრივია, იგულისხმება „დდაო ღმრთისაო“-დ უნდა აღგვედგინა.

ამის შემდეგ მე-4 სტრიქონში პირწმინდად გადასულია მისი მარცხენა ნაწილი მთლიანად და მარჯვენა ნაწილის დასაწყისში 3—4 ასო. ამ სტრიქონის შემორჩენილ მარჯვენა ნაწილში ამჟამადაც უუპველად იკითხება და მ. ბროსეს

²³ გამოთქმა „ღირს ვიქმენ“ ბევრგან გვხვდება ქართულ წერილობით ძეგლებში, განსაკუთრებით წარწერებში და, შეიძლება ითქვას, იგი ჩვეულებრივი, გავრცელებული ფორმაა. მაგრამ ჩვენი სკიოთხისათვის იქნებ განსაკუთრებით საინტერესო იყოს იმის აღნიშვნა, რომ სწორედ ასეთი გამოთქმით ახასიათებს თავის ღვაწლს პატრონ რუსუდანის მამამთილი სუმბატ ორბელი 1154 წლის ერთ ქართულ წარწერაში პნევანქის მონასტრის მთავარი ტაძრის გუმბათის ყელზე (ლ. მელიქსე თ-ბ გვი, ლორე-ტაშირის ქართული ეპიგრაფიკა, გვ. 318; პ. მურადიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 140): „ღირს ვიქმენ ..., მეორედ განახლებად და შემკობად დიდებულისა საყდრისა ამისა“...

„შე მო გ ხ უ ე წ ე ბ“-ის ძირია „ხუეწა“, რომლისგანაც ნაწარმოები შემდეგი სიტყვები, გამოთქმები და ტერმინებია დაფიქსირებული ილ. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“: აღმოხუეწა (აღმოხუეწინი), გამოხუეწა, დახუეწა, მოხუეწა, შემოხუეწა²⁷.

თითოეულ მათგანს საკმაოდ განსხვავებული მნიშვნელობა აქვს. მათ შორის, ცხადია, ამჯერად ჩვენთვის ყველაზე საინტერესოა „შემოხუეწა“, რომელიც ილ. აბულაძის განმარტებით, „თავის შემოფარებას“ ნიშნავს²⁸.

მაშასადამე, მე-4 სტრიქონის ბოლოს და მე-5 სტრიქონის დასაწყისში ახალი წინადადება ასე იკითხება: „აწცა შ(ე)ნდა|ვე შ(ე)მოგხ(უე)წ(ე)ბ“. ამის შემდეგ ტექსტში მოზრდილი ლაკუნაა, სადაც გადასულია მე-5 სტრიქონის მარცხენა ნაწილის მეორე ნახევარი, დაახ. 10—12 ასო და მარჯვენა ნაწილის დასაწყისში 3—4 ასო. შემდეგ, როგორც მ. ბროსეს მხურ გამოცემულ გრაფიკულ მონახაზზე, ისე ამჟამადაც ადგილზე, უეჭველად იკითხება **ხ:იზტშ-ღჟი** **ჟ:ჰ:იღჟ-ღიჟი** „...ლი და მ(ე)ოხი ხ(ა)რ, ეგრ(ე)თვე“.

ბუნებრივია, რომ „მეოხი ხარ“-ის წინ შემორჩენილი „ლი“ სიტყვა „მფარველი“-ს დასასრულად უნდა მივიჩნიოთ; ფრაზის ბოლოს არსებული „ეგრეთვე“ მოითხოვს, რომ წინადადებაში ამ „მფარველის“ წინ აღნიშნული იყოს „ვითარცა“. მაგრამ, იქ სადაც „მფარველის“ აღდგენა ივარაუდება, ამ სიტყვის წინ, მე-5 სტრიქონის მარცხენა ნაწილის ბოლოს, ორწერტილის დასმით, წარმოდგენილია ახალი სიტყვის დასასრული; იგი მ. ბროსეს მიერ გამოცემული გრაფიკული მონახაზის მიხედვით „თა“-ს ფრაგმენტია და არა „ცა“-ს; მაშასადამე, არ შეიძლება იყოს სიტყვა „ვითარცა“-ს ბოლო. როგორც ჩანს, ტექსტში ამ ადგილას ეწერა **ქ-ზც-ც** ყლთა, ე. ი. „ყ(ო)ვ(ე)ლთა“; ხოლო ამ სიტყვის აღდგენით მთლიანად წინადადების ეს ნაწილი ასე გაიმართება: „ყ(ო)ვ(ე)ლთა მფ(არ)ვ(ე)ლი და მ(ე)ოხი ხ(ა)რ“. ამასთანავე, „ვითარცა“-სათვის, რომელსაც მოითხოვს წინადადების ბოლოს ამჟამადაც უეჭველად არსებული „ეგრეთვე“, ადგილი რჩება მხოლოდ „შემოგხუეწებ“ და „ყოველთა“ სიტყვებს შორის.

მართლაც, აქ ამ სიტყვის („ვითარცა“) ჩასმის შემდეგ მთელი წინადადება, მ. ბროსეს მიერ გამოცემულ გრაფიკულ მონახაზზე წარმოდგენილი ცალკეული ასოებისა და სიტყვების ნაწყვეტების და ნაწილობრივ (განსაკუთრებ-

²⁷ ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, გვ. 504.

²⁸ იქვე, გვ. 481. ილ. აბულაძეს საილუსტრაციოდ მოჰყავს ციტატა „ქართლის ცხოვრებადანი“, რომელშიც აღნიშნულია: „შემოხუეწუნეს... ორნივე მეფენი ქართლისანი მცხეთას“ (ეს ნათქვამია ქართლის მეფეების აზოჩკის (თუ არზეკის) და არმაზელის (თუ ამზაერის) სუბატ ბიერტიანისაგან დამარცხებაზე და მათ მიერ მცხეთისათვის თავის შეფარებაზე; ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი. ქართული ტექსტი და ძველი სომხური თარგმანი გამოკლეულია და ლექსიკონით გამოსცა ილია აბულაძემ, თბ., 1953, გვ. 49:15—18). ს. ყაუხჩი იშვილის განმარტებითაც „შემოხუეწული“ თავშეფარებულია; კერძოდ, ამას ნიშნავს „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისის“ ავტორის ნათქვამი ალექსი კომნენოსის მიმართ, რომ იგი „იყო მაშინ თუთ წინაშე თამარ მეფისა შემოხუეწული“ (ქცა, II, გვ. 142: 23; 615). ასევე საყურადღებოა, რომ ს. ს. ორბელიანის განმარტებით „შემოხუეწა“ ნიშნავს „შემოვედრებას“ და, მაშასადამე, „შემოგხუეწებ“ და „შემოგვედრებ“ ტოლფარდი გამოთქმებია. ამდენად, თუ მ. ბროსეს მიერ გამოცემული ასლის მიხედვით წარწერის ტექსტში ამ ადგილას მიანცდამინც „შემოგხუეწებ“-ს არ აღვადგენდით, თვორითლად „შემოგვედრებ“-ის აღდგენაც სავსებით სწორი, ლოგიკური და გამართლებული იქნებოდა.

ბით სტრიქონის მარჯვენა ნაწილის ბოლოს) დღესაც არსებული ტექსტის აზრობრივი მონაცემების გათვალისწინებით, სავსებით ბუნებრივად შემდეგნაირად აღდგება:

„აწცა, შ(ე)ნდა | ვე შ(ე)მოგზ(უე)წ(ე)ბ, ვ(ითარ)ცა ყ(ოვე)ლთა || მფ(არვე)ლო და მ(ე)ოხი ხ(არ), ეგრ(ე)თვე...“.

როგორც ზემოთ ვნახეთ, „შემოხუეწა“ თავის შემოფარებას ნიშნავს და ამის მიხედვით „შემოგზუეწებ“ ნიშნავს „თავს შემოგაფარებ“. მართლაც, ამ გამოთქმის ასეთ გააზრებას და სიტყვა „შემოგზუეწებ“-ის აღდგენის სისწორებს მხარს უჭერს ფრაზის მეორე ნახევარი, მისი დასასრული — „ვითარცა ყოველთა მფარველი ხარ“, ე. ი. პატრონი რუსუდანი ღმრთისმშობელს მიმართავს, რომ თავს შემოგაფარებ („შემოგზუეწებ“), რამეთუ ყოველთა მფარველი ხარო. სხვათა შორის, ამ ფრაზის ძირითადი სიტყვები და მათ შორის „მფარველი“ აღდგენილია (ეს უკანასკნელი ამჟამადაც შემორჩენილი ...„ხე ...ლი“-ს მიხედვით). ამდენად, ეს ორივე აღდგენა ამაგრებს და მხარს უჭერს ერთმანეთს.

ამის შემდეგ, როგორც ეს კონტექსტით მოსალოდნელიც იყო, მ. ბროსეს მიერ გამოცემულ გრაფიკულ მონახაზზეც და ამჟამადაც ფილაზე, მე-6 სტრიქონის დასაწყისში გარკვევით და უეჭველად იკითხება „მეცა მეოხ“, რაც მოითხოვს ბუნებრივ გაგრძელებას „მექმენ“, რომელიც უნდა აღდგეს „მეოხ“-ის შემდეგ პირწმინდად გადაშლილ ადგილას. მე-6 სტრიქონის მარჯვენა ნაწილის ბოლოს იკითხება „...სა, რ(ათ)ა ივსნ(ა)ს ს(უ)ლი ჩ(ე)მი“ და ამის გაგრძელებად მე-7 სტრიქონის დასაწყისში — „ს(აუ)კ(უნოთ)თა ს(ა)ტ(ა)ნჯ(ე)ლთაგ(ა)ნი“.

მე-6 სტრიქონში „...სა“-ს წინ, სიტყვამდე „მექმენ“, აღსადგენია ამჟამად გადაშლილი, მ. ბროსეს მიერ გამოცემულ გრაფიკულ მონახაზზეც ლაკუნებით აღნიშნული ტექსტი, რომლის ბოლოს აქ იკითხება მ. ს. ო. ო. „მსა შნს“, მაგრამ, კონტექსტის მიხედვით, აქ არ შეიძლება „მ(ა)სა შ(ი)ნს“ ეწეროს და როგორც ჩანს, იგი არასწორად გადმოღებული შემდეგი კომპლექსია: ძ. ს. ო. ო. „მსა შნსა“ ე. ი. „მ(ე)სა შ(ე)ნსა“ ან, ამას ცხად-პყოფს ისიც რომ ტექსტში არ ადგურას ღმრთისმშობელს შესთხოვენ მეოხებას ვინმეს წინაშე. ეს ვინმე შეიძლება იყოს მხოლოდ მისი ძე.

ამას მოსდევს მე-6 სტრიქონის მარჯვენა ნაწილის დასაწყისში მ. ბროსეს მიერ გამოცემულ გრაფიკულ მონახაზზე წარმოდგენილი, მაგრამ, ამჟამად მთლიანად დასული „და“ (დარჩენილია მხოლოდ კვალი პირველი ასო — ზ-ს მუცლის ქვედა მარცხენა ნაწილისა), შემდეგ ოთხი ასოს ადგილი, რომლის დასასრულია „სა“ და ბოლოს უკვე ზემოთაც აღნიშნული „რათა“. „და“-ს შემდეგ „სა“-ს წინ და მძის გათვალისწინებით, როგორც ჩანს, უნდა აღდგეს ი. ს. ო. ო. „ლ(მრთ)ისა ჩ(უენ)ისა“, რაც კანონზომიერი გამოთქმა ქრისტეს მიმართ. ჩვეულებრივ, წერილობით ძეგლებში ამას მოსდევს „ი(ეს)ე ქ(რისტე)სა“. ე. ი. „ღმრთისა ჩუენისა იესუ ქრისტესა“, მაგრამ ბოლო ორი სიტყვებისათვის აქ ფილაზე ადგილი არ რჩება. ი. ს. ო. ო. „ლ(მრთ)ისა“-ში ი ღ-ს უეჭველად აღდგენის საშუალებას იძლევა ვერტიკალური მარცხენა ხაზი ო. ს. ო. „და“-ს შემდეგ, რომელიც მ. ბროსეს მიერ გამოცემულ გრაფიკულ მონახაზზეა წარმოდგენილი.

ამრიგად, მთლიანად მე-6 სტრიქონი და მე-7 სტრიქონის მარცხენა ნაწილის პირველი ნახევარი შეიძლება ასე აღდგეს და გაიმართოს:



„ეგრ(ე)თვე | მეცა მეოხ მ(ე)ქმ(ე)ნ წ(ინა)შე ძ(ი)სა შ(ე)ნისა || და ლ(მრო)ი-
სა ჩ(უენ)ისა], რ(ათ)ა იცხნ(ა)ს ს(უ)ლი ჩ(ე)მი | ს(აუ)კ(უნო)თა ს(ა)ტ(ა)ნ-
ჯ[ვ(ე)ლთაგ(ა)ნ“].

მე-7 სტრიქონში, მარცხენა ნაწილის ბოლოს, „და“-ს წინ, ორწერტილით გამოყოფილია სიტყვა, რომელსაც ეკავა ადგილი ამ „და“-სა და „სატანჯველ-
თა“-ს შორის. როგორც ტექსტის მიხედვით მომდევნო, ამჟამად უეჭველად შემორჩენილი ნაწილიდან ჩანს, აქ იწყებოდა ახალი წინადადება — „და ქ(რის-
ტეს) მცნ(ებ)ათა აღმასრ(უ)ლებ(ე)ლნო“, ხოლო მე-8 სტრიქონის დასაწყისში ამის გაგრძელებად — „მლ(ე)ლნო“. მაგრამ, მანამდე დაუზბურუნდეთ „და“-ს და „სატანჯველთა“-ს შორის არსებულ ლაკუნას. მის შესახებ დანამდვილებით მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ ამ გადასული სიტყვის ბოლო ასო იყო ნ. თვით სიტყვა, მისთვის განკუთვნილი, მაგრამ ამჟამად გადაშლილი ადგილის ზო-
მის მიხედვით, 5—6 დაქარაგმებული ასოთი იქნებოდა ვადმოცემული. ეს ასოე-
ბი არც მ. ბროსეს მიერ გამოცემულ გრაფიკულ მონახაზზეა და არც დღეს ჩანს. აზრობრივად აქ შეიძლება ო. ნ. ს. გ(ა)ნ(ა)ც(ე)ლ(თ)ა(გ)ან“ ვივარაუდოთ და მაშინ წარწერის ეს ადგილი ასე გაიმართება:

„რ(ათ)ა იცხნას ს(უ)ლი ჩ(ე)მი | ს(აუ)კ(უნო)თა ს(ა)ტანჯ[ვ(ე)ლთა და გ(ა)ნ-
ს(ა)ც(ე)ლ(თ)ა(გ)ან“.

წარწერის მე-7 სტრიქონის ბოლოს, და მე-8 სტრიქონის დასაწყისში, როგორც ზემოთ აღინიშნა, იკითხება შემდეგი ტექსტი: „და ქ(რისტეს) მცნ(ებ)-
ბ(ა)თა აღმასრ(უ)ლებ(ე)ლნო | მლ(ე)ლნო“, რომლის შემდეგ, მე-8 სტრიქონის მარცხენა ნაწილში, ერთი სიტყვის ლაკუნაა, ხოლო მის გაგრძელებაზე, მ. ბროსეს მიერ გამოცემული გრაფიკული მონახაზის მიხედვით, იკითხება „ძმანო წ(მიდა)ნო“. ეს ადგილი თითქმის ასევეა მოღწეული ამჟამადაც — გადაშლილია მხოლოდ ასოები ძმ „ძმ“. ვფიქრობ, სავსებით კანონზომიერი იქნება „მლდელნო“ და „ძმანო“-ს შორის დარჩენილ ადგილას, ამ ადგილას ზომის შესაბამისად (5—6 ასო), აღდგეს ო. ნ. ს. გ(ა)ნ(ა)ც(ე)ლ(თ)ა(გ)ან“ და ს(უ)ლ(ი)ე)რნო“. მაშასადამე, მთლიანად მე-8 სტრიქონის მარცხენა ნაწილი ასე გაიმართება: „მლ(ე)ლნო და ს(უ)ლ(ი)ე)რნო ძმ(ა)ნო წ(მიდა)ნო“.

მე-8 სტრიქონის მარჯვენა ნაწილის დასაწყისში მ. ბროსეს მიერ გამოცემულ გრაფიკულ მონახაზზეც და ამჟამადაც იკითხება ო. ნ. ს. გ(ა)ნ(ა)ც(ე)ლ(თ)ა(გ)ან“ და ყ(ოველ)ნო“. მას მოსდევს ამჟამად გადაშლილი ადგილი, ხოლო სტრიქონის ბოლოს სიტყვა ო. ნ. ს. გ(ა)ნ(ა)ც(ე)ლ(თ)ა(გ)ან“ „მმვ“ლნო“, ე. ი. „მ(ო)მ(ა)ვ(ა)ლნო“, რომელიც ასევე იკითხება მ. ბროსეს მიერ გამოცემულ ასომთავრულ ტექსტში (ფრანგულ თარგმანში არ არის ასახული), გრაფიკულ მონახაზზე და გარკვე-
ვით და უეჭველად იკითხება ფილაზე ამჟამადაც.

თუ რა ეწერა „ყოველნო“-ს და „მომავალნო“-ს შორის, სავარაუდოა რჩება, რადგან ამჟამადაც ეს ადგილი მთლიანად გადასულია. და მ. ბროსეს მიერ გამოცემულ გრაფიკულ მონახაზზეც მხოლოდ ასოთა ცალკეული ნაწი-
ყვეტებია სასწივე, რომელთა მიხედვით ნაკლები სიტყვის უეჭველი აღდგენა არ ხერხდება. ფაქტია ის, რომ „მომავალნო“-ს წინ დასმულია ორწერტილი და მისი წინა სიტყვა მთავრდებოდა მარცვალზე ნ. „ნო“ (ეს ასეა ამჟამად და ასეა მ. ბროსეს მიერ გამოცემულ გრაფიკულ მონახაზზეც).

„ყოველნო“-ს შემდეგ მ. ბროსეს მიერ გამოცემულ გრაფიკულ მონახაზზე წარმოდგენილია ორწერტილი, შემდეგ „სმ“, კვლავ ორწერტილი, შემდეგ

გაურკვეველი ასო (თითქოს — Գ „ყ“). მის მომდევნოდ შესაძლოა ს „ს“, შემდეგ ლაქუნაა და ბოლოს — ზემოაღნიშნული „ნო“. მთელი ეს ადგილი, როგორც აღინიშნა, ამჟამად გადასულია. ვფიქრობ, ამ ადგილას ტექსტში ლაქუნა ასევე უნდა დარჩეს, რადგანაც გადასული სიტყვის უეჭველი აღდგენა არც ამ მონაცემებით და არც აზრობრივად, კონტექსტის მიხედვით, არ ხერხდება.

მაშასადამე, მთლიანად წარწერის მე-8 სტრიქონში შეიძლება წავიკითხოთ:

„მდ(ე)ლნო და ს(უ)ლ(ი)ერნო ძმა(ა)ნო წ(მი)დანო, და ყ(ოველ)ნი
 სმ[—————]ნი მ(ო)მ(ა)ც(ა)ლნო“²⁹.

ამ რვა სტრიქონით მთავრდება წარწერის ტექსტის ის ნაწილი, რომელიც ტიმპანის ფილაზე ჯვრის ვერტიკალური მკლავისა და სადგარის ვარშემოა ამოკვეთილი. როგორც აღინიშნა, ამის შემდეგ ტექსტი გრძელდება ტიმპანის ფილის გვერდებზე, ორნამენტული არშიის ორივე მხარეს, 3—4 ასოიან 6—6 სტრიქონად. პირველი სამი სტრიქონი შემორჩენილია ორივე მხარეს, ხოლო მომდევნო სამი სტრიქონის ასოები მთლიანად გადასულია.

მ. ბროსეს მიერ გამოცემულ გრაფიკულ მონახაზზე ორნამენტული არშიის მარცხენა მხარეს, ამათ გარდა, კიდევ წარმოდგენილია იმ დროსაც შემორჩენილი ორი სტრიქონი, ე. ი. სულ აქ მხარეს 5 სტრიქონი, ხოლო ორნამენტული არშიის მარჯვენა მხარეს იქაც სამი სტრიქონია. მ. ბროსეს მიერ გამოცემულ გრაფიკულ მონახაზზე წარმოდგენილი ასოები და მის მიერვე გამოცემული ასომთავრულ ტექსტი ემთხვევა ამჟამადაც ფილაზე არსებულ ასოებს. მიუხედავად ამისა, ფილაზე წარმოდგენილი ტექსტის დასასრული და ორნამენტული არშიის ორივე მხარეს წარმოდგენილი ტექსტი არ ებმის ერთმანეთს.

ორნამენტული არშიის მარცხენა მხარეს, სადაც ტექსტი უშუალოდ უნდა გრძელდებოდეს³⁰, იკითხება **ՃՇՆԻՍԻՄՈՒՄ** „და აღმრიდნო“. ამის შემდეგ მ. ბროსეს მიერ გამოცემულ გრაფიკულ მონახაზზე დამატებით იკითხება ორწერტილი და მის მომდევნოდ ორ სტრიქონში ასოები **ԼԷ—|ԿԷ—** „გი—რე—“. როგორც ვხედავთ, ორივე სიტყვა გაუგებარია. რაც შეეხება ორნამენტული არშიის მარჯვენა მხარეს, შემორჩენილი ასოების მიხედვით, მ. ბროსეს მიერ გამო-

²⁹ საინტერესოა, რომ წარწერის ტექსტის ამ ნაწილს ეხმიანება და რამდენადმე მიაიშვავს ფორმულებისა და ლექსიკური მასალის მიხედვით ერთი ადგილი ავგ ათაბაგის მწირველის პეტრეს XIII ს-ის შუა ხანების წარწერისა ახტალიდან: „... ქრისტეს მოყუარენო და მზავსნო მდღენო წმიდანო და ყოველივე ძანანო...“ (Е. С. Такашвили, Грузинские надписи Ахталы, СМОМПК, XXIX, Тиф., 1921, с. 142—144; *Պ. Ի. Ի տ ր ս Կ լ ա ն*, დასახ. ნაშრომი, გვ. 219—220).

³⁰ შეიძლება დავუშვათ, რომ ბეთანიის ამ წარწერაშიც, როგორც ეს არაერთხელ გვხვდება ქართულ ეპიგრაფიკაში, წარწერის ტექსტი გრძელდებოდა მარჯვნივ და შემდეგ მთავრდებოდა მარცხენა მხარეს (იხ. კუმურდოს, მცხეთის სევეტიცხოვლის გალავნის კარიბჭის, ოქრობაგეთის ეკლესიის, კოშის, შაჰნაზარის წარწერები: „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 2, 1980, გვ. 166, შენ. 71). მაგრამ როგორც ქვემოთ დავინახავთ, ბეთანიის ამ წარწერაში ეს ასე არ იყო — აქ ტექსტი ნამდვილად მარცხენა მხარეს გრძელდებოდა კავშირ „და“-ით, რადგან მარჯვენა მხარეს ძირითადი ტექსტის დასასრულისაგან აზრობრივად სრულებით განცალკევებული სიტყვებია ამოკვეთილი.

ცემულ გრაფიკულ მონახაზზე ამ ადგილას წარმოდგენილი ასოების მოშველიებით, შეიძლება წავიკითხოთ სჰქ|პსჰ|სჰსჰს „სმრ|დსდ|მსსჰ“, რომელიც, ალბათ, ასე უნდა გაიხსნას: „ს(ა)მ(ა)რ(ა)დ(ი)ს(ო)დ მ(ო)ს(ა)კს(ე)[ნ(ე)ბლად]“, ან „მ(ო)ს(ა)კს(ე)[ნ(ე)ბ(ე)ლთა]“.

ასეა, რომ წარწერის ტექსტის დასასრული, სიტყვებიდან „და ქრისტეს მცნებისა აღმასრულებელნო“, წარმოადგენს ერთ წინადადებას, რომელიც საჭიროებს ძირითად წვევრს — შემასმენელს. ამ სიტყვით გადმოცემული იყო ია მოქმედება, რის აღსანიშნავადაც შედგა საერთოდ წარწერის ტექსტი. ცხადია, ამ წვევრის აღდგენით თვითონ წინადადებაც შეიკვრება და აზრიც დასრულდება. მართლაც, მთელი ამ დასკვნითი წინადადების კონტექსტი ბუნებრივად მოითხოვს შემასმენელს „მოგუჯსენეთ“. ამ სავარაუდო სიტყვისათვის ადგილო რჩება ორნამენტული არზის მარცხენა ნაწილის ბოლოს, ამქამად გადაშლილი ასოების ადგილას და, მაშასადამე, მარჯვენა ნაწილის პირველი სიტყვის „სამარადისოდ“-ის წინ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, წარწერის ტექსტის დასკვნითი ნაწილი, როგორც ჩანს, შემდეგ სახით უნდა წარმოვიდგინოთ:

„და ყ(ოველ)ნო სმ [—————]ნო მ(ო)მ(ა)კ(ა)დნო, | და აღ|მრი|დნო(?) | [გი—|რე—(?) | მ(ო)გ(უი)კს(ე)ნ(ე)თ] || ს(ა)მ(ა)რ(ა)|დ(ი)ს(ო)დ | მ(ო)ს(ა)კს(ე)|[ნ(ე)ბ(ე)ლ|თა თქ(უე)|ნთა]“.

მაშასადამე, ბეთანიის II წარწერის ტექსტი სრული სახით ასეთია (ვინაიდან წარწერის ტექსტი ტექნიკური ნიშნებით ძალზე გადაიტვირთა. აქ ის წარმოდგენილია ამ ნიშნების გარეშე — კუთხოვან კავებში ჩასმულია მხოლოდ ამქამად გადაშლილი ადგილები. მით უმეტეს, რომ მთელი ტექსტის ცალკეული მონაკვეთები, ტექნიკური ნიშნების სრული რეპერტუარის გამოყენებით, მოყვანილია ზემოთ, ცალკეული ადგილების აღდგენასა და გამართვასთან დაკავშირებულ მსჯელობებში):

ქრონიკონი კვი.

ადიდენ [ღმერთმან, სასუფეველსა შინა ც]ათასა, სული დიდისა სუმბა[ტ ერისთავთ-ერისთავი]სი. მათსა ზეობასა [ღირს ვიქმენ, მათისა სახლისა სძალი], მათისა ძისა, ერისთავთ-ე[რისთავი]სა და ამირსპასალა[არისა და მანდატურთუხუცესისა, და მათისა შვილისა ივანეს] ცოლად, სომეხთ მეფისა კვირიკეს ასული რუსულან. დედა[ო ღმრთისაო, სულთა მათთა შეუნდე და ექმენ მ]ათ საღბუნის დამდები.


აწცა, შენდავე შ[ემოგზუეწებ, ვითარცა ყოველთა მფრვე]ლი და მეოხი ხარ, ეგრეთვე მეცა მეოხ [მექმენ წინაშე ძისა შენისა და ღმრთისა ჩუენი]სა. რათა იქსნას სული ჩემი საუკუნოთა სატანჯ[ველთა და განსაცდელთაგა]ნ.

და ქრისტეს მც[ნებათა აღ]მასრულებელნო მღვდელნო, [და სულიერნო ძმ]ანო წმიდანო, და ყოველნო სმ[—————]ნო მომავალნო, და აღმრიდნო(?) [გი-რე(?), მოგუიკსენეთ] სამარადისოდ მოსაკსე[ნებელთა თქუენთა].

III. ეჯბ წურილაისძის წარწერა

განხილული ორი წარწერის გარდა, როგორც აღინიშნა, ეკლესიის დასავლეთ კედელში ჩასმულ ერთ-ერთ ფილაზე ამოკვეთილია კიდევ ერთი მემორიალური წარწერა, პატრონ რუსუდანის კარის ერთ-ერთა მოხელის — ეჯბის, ვინმე წურილაისძისა.


III წარწერა. ასომთავრული; 8 სტრიქონი; ამოკვეთილი ბაცი ფერის ნაცრისფერ ქვის ფილაზე, რომელიც ჩასმულია სამლოცველო-სამარხავის დასავლეთ კედელში, სარკმლის ქვედა მარჯვენა კუთხის დასწვრივ, ქვების ქვემოდან მე-5 რიგში. ფილა უშუალოდ მიდგმულია სარკმლის ლილეოვან ჩარჩოზე. იგი თავისი ფერით შვეთრად გამოიყოფა კედლის მოყვითალო ფერის სხვა ფილები-საგან. წარწერიანი ფილის ზომა: 57×49 სმ. მისი მარჯვენა და ქვედა კიდეები შემოცრეცილია. ამის გამო წარწერის სტრიქონთა დასასრულები ნაწილობრივ დაზიანებულია 2—3 ასოს ფარგლებში. დაზიანებულია და ნაკლული, აგრეთვე, წარწერის ბოლო სტრიქონის ასოების ქვედა ნაწილები. ტექსტი ამ დაზიანებათა შედეგად უმნიშვნელოდ ნაკლულია, მაგრამ ასოების აღდგენა აზრის მიხედვით ადვილად ხერხდება. ასოების სიმაღლე: 3,5—6—8 სმ. განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; ქარაგმის ნიშანი: სხვადასხვა მიმართო-ლებით ბოლოებმოკაუჭებული განივი ხაზი (სურ. 12).



წარწერაში ასოები ამოკვეთილია ბოლოებწაწვეტებით, მაგრამ არა კედურწაისრულობით. ტექსტში გვხვდება ასოთა შეწიალება და ასოების ხვეულად გადმოცემა, ხოლო ერთ ადგილას, მე-8 სტრიქონის დასაწყისში — ასაკტის შერწყმა, ერთი გრაფიკული ნიშნით გადმოცემა, ანუ ლიგატურა: სიტყვაში „რამ|ეთუ“ ასოები თ და ო. შეწიალების შემთხვევებია: ჳ ჩასმა ო-ში (Oჳ უ-ს გადმოცემისას), Ⴀ ა-ს და Ⴁ ი-ს ჩასმა Ⴀ დ-ში და სხვ. პალეოგრაფიული ნიშნებიდან აღსანიშნავია: უყელო Ⴀ დ ძირსდაშვებული განივი ხაზის ბოლოებით და მსხლის ფორმის ტანიო; შ მ (ყოველთვის) და ხ ზ განივი ხაზის მაღლა აწეული თავით; ასევე, შ მ შემკვრელი მარჯუჟის თავის მაღლა აწევით; Ⴀ ა გადმოცემულია ტანს მოცილებული მორკალური განივი ხაზით; Ⴀ თ — 3/4 ნახევარწრით, წაგრძელებით და პატარა კუჭით.

იგივე ნიშნები ახასიათებს ბეთანიის I და II წარწერებსაც, ასე, რომ სამივე წარწერა ერთი ხელოსნის შესრულებულია. ამასთან დაკავშირებით ნიშანდობლივია, რომ ლიგატურა, რომელიც საერთოდ ნაკლებად გავრცელებულია ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში, დასტურდება ბეთანიის II და III წარწერებში. III წარწერაში ლიგატურის შესახებ ზემოთ იყო აღნიშნული, ხოლო II წარწერაში იგი დასტურდება სიტყვაში სღჳჳღ Ⴀ „სომხთ“ (მე-3 სტრქ.), ე. ი. „სომ(ე)ხთ“, სადაც შერწყმულია შ მ და ჳ ხ.

III წარწერის ტექსტი ასეთია³¹:



სურ. 13.

³¹ წარწერის მაღალი ხარისხის ფოტო გამოქვეყნებულია, აგრეთვე, წიგნში: Art an architecture in Medieval Georgia, Milan-Louvain-la-Neuve-Tbilisi, 1980, სურ. 20.



ხაზზე და ასომთავრულ ტექსტში აქ იკითხება **ჩ^აჩ^აჩ^ა** ორივე მხრივად წარწერების წერტილებში ჩასმით და თავზე ქარაგმის ნიშნით. ვფიქრობ, ამავე წერტილებშია რომ აქ უნდა წავიკითხოთ „ჩ(ე)მ“.

ამის შემდეგ ფილის კიდე ჩამოშლილია. თუ რა ეწერა „ჩემ“-ის გაგრძელებაზე ამის აღსადგენად უნდა მივმართოთ მ. ბროსეს მიერ გამოცემულ გრაფიკულ მონახაზს და მე-4 სტრიქონის; დასაწყისში ამოკვეთილ ასოებს **აბ** ორ, რომლებიც მომდევნო სიტყვისაგან ორწერტილითაა გამოყოფილი; მაშასადამე, ამ ორი ასოთა დამთავრებული სიტყვის დასაწყისი მე-3 სტრიქონის ბოლოს იყო.

მე-3 სტრიქონის ბოლოს მ. ბროსეს მიერ გამოცემულ გრაფიკულ მონახაზზე და ასომთავრულით დაბეჭდილ ტექსტში წარმოდგენილია **აბ**. მ. ბროსე ამასთან დაკავშირებით შენიშნავს, რომ მე არ მესმის არც ამ ორი ასოს მნიშვნელობა და არც ორი პირველი სიტყვისა მომდევნო სტრიქონში. ტექსტის ფრანგულ თარგმანში იგი ამ ადგილს მრავალწერტილით გადმოსცემს. ამ სიტყვის სწორად წაკითხვა-აღდგენისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მე-4 სტრიქონში **აბ** ორ-ის შემდეგ ამოკვეთილ **ს^აჩ^აჩ^ა** „ს^ახეთსა“ სწორად გააზრებას. ეს სიტყვა ამჟამადაც მთლიანად და დაუზიანებლადაა მოღწეული და წაკითხება როგორც „ს(ა)ხეთ(ა)სა“ (მ. ბროსეს მიერ გამოცემულ მონახაზზე და ასომთავრულ ტექსტში არასწორადაა გადმოღებული **ს^აჩ^აჩ^ა** „ს^ახეთსა“). ამ მონაცემების მიხედვით, ვფიქრობ „ჩ(ე)მ [—] ორ ს(ა)ხეთ(ა)სა“ უნდა აღდგეს როგორც „ჩ(ე)მ [ჭ] ორ ს(ა)ხეთ(ა)სა“.

გამოთქმა „ჯორის სახე“, ან „პირუტყუთ სახე“, რაც უალრესი თავმდაობის და დამცირების აღმნიშვნელია, სხვაგანაც გვხვდება XI—XII სს. ქართულ წერილობით ძეგლებში (ეფრემ მცირე, გიორგი მცირე, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთაის“ ავტორი). მას ქვემოთ კიდევ დავუბრუნდება, ხოლო აქ ამჟამად უნდა დავასკვნათ, რომ მე-3 სტრიქონის ბოლოს **აბ**, რომელიც, როგორც ჩანს, აქაც ისევე ფართოდ, გაშლილად და სტილოზებულად ეწერა, როგორც მე-2 სტრიქონშია სიტყვა **აბ** „ეჯიბი“-ს გადმოცემისას, მ. ბროსეს მიერ გამოცემული გრაფიკული მონახაზის გადმოძღვების მიერ შეცდომით იქნა ორ ასოდ — **აბ** გადმოხატული. მაშასადამე, მე-2 სტრიქონის ბოლოს ეწერა არა :**ჩ^აჩ^აჩ^ა**: ე. ი. **ჩ^აჩ^აჩ^ა**, არამედ :**ჩ^აჩ^აჩ^ა** ანუ **ჩ^აჩ^აჩ^ა** და მთლიანად წარწერის ამ ადგილას იკითხებოდა „ჩ(ე)მ [ჭ] ორ ს(ა)ხეთ(ა)სა“.

წარწერის მომდევნო სტრიქონები საგანგებო განმარტება-შენიშვნებს არ საჭიროებს, რადგან ისინი უეჭველად იკითხება დღესაც და სრულ თანხმობაშია მ. ბროსეს მიერ გამოცემულ გრაფიკულ მონახაზთან და ასომთავრულ ტექსტთან. განსხვავებებია მხოლოდ ბოლო მე-8 სტრიქონის ცალკეული ადგილების წაკითხვაში.

მე-8 სტრიქონის დასაწყისში მ. ბროსე კითხულობს ასოებს **აბ** ლთ. მის მიერ გამოცემულ გრაფიკულ მონახაზზე აქ იკითხება ასომთავრული **აბ** მ-ს ზედა ნახევარი მის თავზე დასმული ქარაგმის ნიშნით, შემდეგ **აბ** და ორწერტილი, რომლითაც იგი გამოყოფილია მომდევნო სიტყვისაგან. სინამდვილეში, ამჟამად აქ იკითხება **აბ** ე, მის შემდეგ **აბ** და **აბ**, რომლებიც ლიგატურის სახითაა გადმოცემული. მათ მოსდევს მომდევნო სიტყვისაგან გამოყოფი ორწერტილი. **აბ** „ეთა“-ს წინ კიდევ რჩება ერთი ასოს ადგილი, რომელიც ფილაზე მთლიანად ჩამოშლილია. ჩამოშლილი ყოფილა იგი მ. ბრო-



სეს მიერ წარწერის გამოცემის დროსაც. მის აღდგენაში გვშველდა ქვემოთაღნიშნული ქონის ბოლოს, მ. ბროსეს მიერ გამოცემულ გრაფიკულ მონაწილეობის მთავრულ ტექსტში წარმოდგენილი ორბედი, რომლისგანაც ამჟამად მხოლოდ ვერტიკალური ბუნი და მარჯუთის მცირე ნაწილია დარჩენილი, მაგრამ რომლის წაკითხვა როგორც ორბედი-სი უეჭველია. ეს ასოც მე-7 სტრიქონში წინა სიტყვისაგან („შეგივრდები“) განკვეთილობის ორწერტილითაა გამოყოფილი. მაშასადამე, მე-7 სტრიქონის ბოლოს და მე-8 სტრიქონის დასაწყისში წერია ორბედი-სი. ი. „რ(ა)||—]ეთუ“. ბუნებრივია, რომ მე-7 სტრიქონის დასაწყისში ორბედი-სი წინ ნაკლები ასო უნდა აღდგეს როგორც ორბედი და მთელი სიტყვა წაკითხება, როგორც „რ(ა)||მ]ეთუ“.

მე-8 სტრიქონის ბოლო, ფილის ჩამოშლის გამო, ნაკლებია. ასევე ყოფილა იგი მ. ბროსეს მიერ წარწერის გამოცემის დროსაც, როგორც ეს ჩანს მის მიერ გამოცემული გრაფიკული მოხაზაზიდან. წარწერის ამ ადგილს ასომთავრულ ტექსტში მ. ბროსე აღადგენს ასე: ორბედი-სი. ი. „ც(ო)დვ[ილი]“. მაგრამ, მხოლოდ ასეთი აღდგენით წარწერის ბოლო წინადადება შემასმენელის გარეშე რჩება („მათ მიერ შეგივრდები, რამეთუ სულითა ფრიად ცოდვილი“). ამიტომ, სტრიქონის ბოლოს კიდევ უნდა აღვადგინოთ ზმნა — ორბედი-სი „ვ(არ)“ და ტექსტის ეს ადგილი ასე გაიმართება: „ამ(ა)თ მი(ე)რ შეგივრდ(ე)ბი, ორბედი-სი(უ)ლითა ფ(რი)ად ც(ო)დვ(ი)ლ ვ(არ)“.

წარწერის ბოლო წინადადებაში მთავარი წევრი შემასმენელი გადმოცემულია სიტყვით „შეგივრდები“. მისი საწყისი ფორმაა „შევრდომა“, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელობაა „დავარდნა“. ეს კარგად ჩანს სახარების ერთიდაიმავე ადგილის ორი სხვადასხვა რედაქციით: „შეუვრდა ფერჯთა თანა მისთა“ (ჯრუჟ-პარხლური) და „დავარდა ფერჯთა თანა მისთა“ (ადიშური)³³. მაშასადამე, „ამათ მიერ შეგივრდები, რამეთუ სულითა ფრიად ცოდვილ ვარ“ ასე უნდა გავიგოთ — ამათ (პატრონ რუსუდანის) გამო (მათ სანაცვლოდ, მათ შვიგერ, უაღრესი თავმდაბლობის ნიშნად) მე დავვარდები თქვენს წინაშე (თავიანისცემად, ღმერთო დიდო, მაღალო) რადგან სულით ფრიად ცოდვილი ვარ.

* * *

ბეთანიის წარწერებში იხსენიებიან: ს უ მ ბ ა ტ ო რ ბ ე ლ ი, მ ხ ს ი ე ვ ა ნ ე ო რ ბ ე ლ ი, ამ უკანასკნელის მეუღლე პ ა ტ რ ო ნ ი რ უ ს უ დ ა ნ — ლ ო რ ე -ტ ა შ ი რ ის ს ო მ ხ უ რ ი სამეფოს მეფის კვირიკეს ასული და ვინმე ეციბი წ უ რ ი ლ ა მ ს ძ ე, რომელიც სხვა წყაროებით ჩვენთვის უცნობია. სამაგიეროდ, წარწერებში დასახელებული პირველი სამო პირი კარგად არის ცნობილი მათ შესახებ არსებულ შედარებით მრავალრიცხოვან ქართულ და სომხურ საისტორიო წყაროებით, როგორც ნარატიული, ისე ეპიგრაფიკული ძეგლებით.

1. ს უ მ ბ ა ტ ო რ ბ ე ლ ი ს შესახებ არსებული ძირითადი მასალები თავმოყრილია და განხილული პროფ. შ. მე ს ხ ი ა ს მიერ XII ს-ის საქართველოს საშინაო პოლიტიკური ვითარებისა და სამოხელეო წყობის შესწავლასთან და-

³³ ი. 11, 32; ილ. ა ბ უ ლ ა ძ ე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, გვ. 474; აქვე მოყვანილია „შევრდომის“ წერილობით ძეგლებში დადასტურების სხვა მავალითები.

კავშირებით³⁴. სხვებს შორის, აქ განხილულია საკითხი ბეთანიის ბლის ტაძრის სამხრეთ კედელზე გამოსახული სუმბატ მანდატურთუხუცესის იდენტიფიკაციის შესახებ.

შ. მესხიამ სავსებით დამაჯერებლად დაასაბუთა, რომ ბეთანიის ფრესკაზე გამოსახულია დემეტრე I-ის დროინდელი სუმბატ I დიდი, საქართველოს სამეფოს ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი, ოგივე ქართული წყაროებია „სუმბატ სუმონ-ქმნილი“, რომელიც 1155 წლის სამეფო კარის ვადატრიალების შედეგად, დავით დემეტრეს ძის ხელსუფლების დროს, გადაყენებულ იქნა თანამდებობებიდან და მეფე დემეტრე I-ის მსგავსად ბერად აღკვეცეს³⁵. ამის შემდეგ მისი თანამდებობები მცირე ხნით გადაეცა, როგორც ჩანს, ვადატრიალების ერთ-ერთ აქტიურ მონაწილეს თირქაშ აბულეთისძეს³⁶. ხოლო დავითის ექვსთვიანი მეფობის დასრულების, მისი გარდაცვალების, დემეტრე I-ის სამეფო კარზე დაბრუნების და გიორგი III-ის მეფედ კურთხევის შემდეგ აღნიშნული თანამდებობები კვლავ დაიბრუნეს ორბელებმა. მართალია, სუქბატის ისინი უკვე აღარ მიუღია. მაგრამ მისი შვილი ივანე XII ს-ის 60-იან წლებიდან ფლობს როგორც ამირსპასალარობას, ისე მანდატურთუხუცესობას.

აქამდე ცნობილი იყო, რომ სუმბატი იხსენიება ორ ქართულ და ერთ სომხურ (სანაინის) წარწერაში. ამჟამად მათ დაემატება ბეთანიის მცირე ეკლესიის ლაბიდარული წარწერაც. ამ წარწერებიდან საკუთრივ სუმბატს ეკუთვნის ერთი — ჰ ნ ე ვ ა ნ ქ ი ს მ ო ნ ა ს ტ რ ი ს მთავარი ტაძრის ვრცელი ქართული სამშენებლო წარწერა, რომელიც, შესრულებულია ასომთავრულ დამწერლობით, ამოკვეთილია ტაძრის გუმბათის ყელზე, დაუყვება მას გარშემო სახურავის ქვემოთ. ჰნევანქის ანუ ძელი ჭეშმარიტის მონასტერი, რომელიც ერთ დროს ქართული სარწმუნოების ქალკედონიანთა კერა იყო, მდებარეობს სომხეთში, მდინარე ძორაგეტის ანუ ბერდუჯისწყლის ხეობაში, თანამედროვე თუმანიანიდან სტეფანავანისაკენ მიმავალ გზაზე³⁷. არსებობს მისი ქართული წარწერების ორი გამოცემა — ლ. მელიქსეთ-ბეგისა³⁸ და პ. მურა-

34 შ. მესხია, დასახ. ნაშრომი, გვ. 13—17, 21.

35 სამეფო ტახტისათვის მიმდინარე ამ ბრძოლების შესახებ იხ: ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, თხზ. ტ. II, თბ., 1983, გვ. 226—227; რ. მეტრეველი, შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში (XII საუკუნე), თბ., 1973, გვ. 113—114.

36 ს. კაკაბაძე, შოთა რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი, თბ., 1966, გვ. 305, 306.

37 Г. Н. Чубинашвили, Разыскания по армянской архитектуре, Тб., 1967, с. 71—79, таб. 79—95. ლ. მელიქსეთ-ბეგს გ. ჩუბინაშვილისათვის არასწორად განუმარტავს, რომ ჰნევანქის ტაძრის წარწერა ეკუთვნის სუმბატ მხარგრძელს, ივანე მანდატურთუხუცესისა და ამირსპასალარის ძეს (ასეთი პირი ისტორიაში უცნობია და აოც არსებობდა) და ისიც მას მხარგრძელების განახლებულად მიიჩნევს (იქვე, გვ. 73). სინამდვილეში, როგორც ვიცი, ტაძარი „შეორედ განახლებულია“ სუმბატ ორბელის მიერ. მხარგრძელი მართლაც იხსენიება ტაძრისათვის სამხრეთით მიშენებული ეკლესიის ჩრდილოეთ შესასვლელის ტიმპანზე ამოკვეთილ ქართულ ასომთავრულ წარწერაში (ლ. მელიქსეთ-ბეგი, ლორე-ტაშირის ქართული ეპიგრაფიკა, გვ. 319), მაგრამ გუმბათის ყელის წარწერასთან და მასში მოხსენიებულ სუმბატ ორბელთან მას კავშირი არა აქვს. უნდა აღინიშნოს, რომ თვითონ ლ. მელიქსეთ-ბეგს წარწერების მისეულ გამოცემაში (იხ. მისი დასახ. ნაშრომი) ეს მონაცემები სწორად აქვს წარმოდგენილი.

38 ლ. მელიქსეთ-ბეგი, ლორე-ტაშირის ქართული ეპიგრაფიკა, გვ. 317—319.

9. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1993, № 1



საქართველოს
მეცნიერებათა
აкадеმიის
საბჭოთაო
საქართველო

დიანისა³⁹. ცხადია, სხვებს შორის, მათ გამოაქვეყნეს სუმბატ წერაც.

სუმბატ ორბელის წარწერის ტექსტი დაზიანებულად და რამდენადმე ნაკლულადაა მოღწეული. როგორც ლ. მელიქსეთ-ბეგის, ისე პ. მურადიანის გამოცემა პრინციპულად სხვაობს ერთმანეთში. ლ. მელიქსეთ-ბეგის მიხედვით წარწერას უზის თარიღი 1156 წელი⁴⁰, ხოლო პ. მურადიანის მიხედვით — 1154 წელი⁴¹. პირველ შემთხვევაში მივიღებთ რომ სუმბატს ჰნევენქის მონასტრის მთავარი ეკლესია მეორედ განუახლებია მისი ხელისუფლებიდან ჩამოშორებისა და ბერად შეყენების შემდეგ, რაც ძნელი სავარაუდოა, ხოლო მეორე შემთხვევაში — ჯერ კიდევ საქართველოს სამეფოს ამირსპასალარად და მანდატურთუხუცესად ყოფნისას.

არანაკლებ პრინციპული მნიშვნელობისაა თვით სუმბატის და მისი მამის დიდი ივანე ორბელის წარწერაში დასახელებული თანამდებობა, თუ თანამდებობები, რადგან ეს საკითხი დაკავშირებულია ქართულ სამეფო კარზე ამირსპასალარობის და სხვა უმაღლესი თანამდებობების შემოღების ქრონოლოგიასთან. სამწუხაროდ, ჰნევენქის წარწერა სწორედ იმ ადგილასაა ნაკლული, სადაც სუმბატის და მისი მამის თანამდებობები იყო აღნიშნული. როგორც ლ. მელიქსეთ-ბეგის, ისე პ. მურადიანის გამოცემით ისე გამოდის, რომ სუმბატი წარწერის ტექსტში დასახელებული იყო ყოველგვარი თანამდებობის გარეშე, რაც ძნელი წარმოსადგენია, მით უმეტეს, თუ წარწერის თარიღად 1154 წელს მივიღებთ — ამ დროს ხომ სუმბატი ამირსპასალარიც იყო და მანდატურთუხუცესიც.

ასევე დიდია სხვაობა ამ ორ გამოცემას შორის წარწერის ტექსტში სუმბატის მამის ივანე ორბელის თანამდებობათა აღდგენა-გადმოცემისას. ლ. მელიქსეთ-ბეგის გამოცემით იგი იხსენიება მანდატურთუხუცესადაც და ამირსპასალარადაც, ხოლო მურადიანის მიხედვით — მხოლოდ ამირსპასალარად.

ამ გამოცემებს შორის განსხვავებებია, აგრეთვე, ტექსტის სხვა ადგილების წაკითხვაშიც. გაუმართავიც კია ტექსტის ცალკეული ადგილები, როგორც ერთ, ისე მეორე გამოცემაში. მაგალითად, ლ. მელიქსეთ-ბეგთან ერთგან იკითხება „შემდგომითი შემდგომთა“, ხოლო პ. მურადიანთან — „მოწყალე ქმენ მონასთვს“; ასევე, ამ უქნასკნელთან ერთობ ხელოვნურია აღდგენილი კონსტრუქცია — „სუმბატ [ძე ივანე დიდი]სა და ამირსპასალარისა“ და სხვ. მაგრამ, უფრო სამწუხაროა ის, რომ ტექსტის ადგილზე შემოწმების შესაძლებლობას ამქამად მოკლებულნი ვართ, ჯერ ერთი, იმიტომ რომ წარწერა ძნელად მისადგომია (მისი სრულყოფილად შესწავლისათვის საჭიროა ტაძრის

³⁹ *მ. შარაქიანი*, დასახ. ნაშრომი, გვ. 137—146.

⁴⁰ როგორც ჩანს, კორექტურული შეცდომაა, რომ ლ. მელიქსეთ-ბეგს დაბეჭდილი აქვს „ქრონიკონი იყო ტოფ [=1156]“, რომელიც შ. მესხიამ, სავსებით სწორად, შესწორა, როგორც ტოვ, რადგან „მხოლოდ ამ შემთხვევაში მივიღებდით 1156 წ.“ (შ. მესხია, დასახ. ნაშრომი, გვ. 13, შენ. 3).

⁴¹ გ. ჩუბინაშვილი შენიშნავს, რომ თ. ბარნაველს შეუესია წარწერის ტექსტის ზოგიერთი ლაქუნა და მათ შორის ახლებურად, ლ. მელიქსეთ-ბეგისაგან განსხვავებულად, წაუკითხავს თარიღი — „ქრონიკონი იყო ტოდ“, ე. ი. 374, ანუ 1154 წელი (Г. Н. Чубинашвили, Разыскания, გვ. 73, შენ. 2), რასაც ადასტურებს ამ წარწერის პ. მურადიანისეული პუბლიკაცია (იხ. მისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 141).

გუმბათის ყელზე ხარაჩოების გამართვა) და მეორეც, სომხეთში შექმნილი პოლიტიკური ვითარების გამო. ამიტომ, ჰნევეანქის ამ მეტად მნიშვნელოვანა წარწერას სრულყოფილი შესწავლა სამომავლო ამოცანად რჩება. მართალია, პ. მურადიანმა წარწერის ფოტოებიც გამოაქვეყნა, მაგრამ ისინი მხოლოდ საერთო შთაბეჭდილებას ჰქმნიან — ჩანს, რომ წარწერა ქართულია, ცალკეულ ასოების მიხედვით XII ს-ისაა; ტექსტიც ამ ფოტოებზე ყველგან არ ებმის ერთმანეთს.

რადგანაც სუმბატს უმაღლესი თანამდებობები ეკავა 1155 წლამდე, ხოლო ბეთანიის ფრესკის წარწერაში იგი ამ თანამდებობითაა დასახელებული, პროფ. შ. მესხიას მოსაზრებით, ბეთანიის ფრესკა 1128—1156 წწ. თარიღდება⁴². ხოლო საკითხის ასე დასმა მჭიდროდ არის დაკავშირებული ბეთანიის დიდი ტაძრის თავდაპირველი მოხატულობის და თვით ტაძრის აშენების თარიღთან. ცხადია, რომ XII ს-ის ბოლოს, ან XIII ს-ის დასაწყისში, 1177 წლის აჯანყების დროს სიკვდილით დასჯილ ივანე ორბელის მამას სუმბატს, მონასტრის სამეფო საკუთრებად გადაქცევის შემდეგ, ტაძრის კედელზე არავინ გამოსახავდა. ფაქტია, რომ ტაძრის აგების ზედა თარიღად მიჩნეულ უნდა იქნეს არა სამეფო პორტრეტების ჯგუფური გამოსახვა მის ჩრდილოეთ კედელზე, რომელიც მხოლოდ 1207 წლის შემდეგ შეიძლება შესრულებულიყო, არამედ მანდატურთუხუცეს სუმბატ I დიდის გამოსახვა მისი კუთვნილი საგვარეულო მონასტრის მთავარი ტაძრის სამხრეთ კედელზე, რომელიც 1155 წლამდეა შესრულებული. მაშასადამე, ტაძრის აგების ზედა თარიღი XII ს-ის შუა ხანებამდე, 1155 წლამდე დროით მაინც უნდა განისაზღვროს. ეს კი, როგორც ვხედავთ, სულ ცოტა ნახევარი საუკუნით სხვაობს სპეციალურ ლიტერატურაში დამკვიდრებულ თარიღთან. ამ სამწუხარო გაუგებრობის მიზეზია ის, რომ თავის დროზე ტაძრის კედელზე გამოსახული სუმბატი არასწორად იქნა იდენტიფიცირებული — იგი მიიჩნეეს 1177 წელს დასჯილ ივანე ორბელის შვილ სუმბატად, რომელიც, ჯერ ერთი, მამასთან ერთად იქნა დასჯილი და მეორეც, მანდატურთუხუცესი არასოდეს არ ყოფილა — ეს თანამდებობა სიკვდილამდე მამამისს ეკავა⁴³. სინამდვილეში, როგორც ეს შ. მესხიამ ექვმიუტანლად დაამტკიცა და ზემოთაც აღინიშნა, ტაძრის კედელზე გამოსახული სუმბატ მანდატურთუხუცესი და ამირსპასალარი არის ივანეს მამა და არა შვილი.

სუმბატი, ისევე როგორც მამამისი დიდი ივანე ორბელი და თვით პაპამისი — ლიპარიტ აფხაზი — ორბელთა ძლიერი ფეოდალური სახლის საფუძვლის დამდები, ორბელთა სახლის გასომხებული ისტორიკოსის სტეფანოს ორ-

42 შ. მესხია, დასახ. ნაშრომი, გვ. 21. პროფ. შ. მესხიასთვის, ისე როგორც მაშინ საერთოდ, ცნობილი იყო ბეთანიის წარწერის ლ. მელიქსეთ-ბეგისეული პუბლიკაცია, რომელშიც სუმბატ ორბელი მხოლოდ მანდატურთუხუცესად იწოდება. მიუხედავად ამისა, შ. მესხია დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ სუმბატს, ისევე როგორც მის შვილს ივანეს, უნდა ჰქონოდა, როგორც მანდატურთუხუცესის, ისე ამირსპასალარის სახელო და რომ ეს თანამდებობები შემოღებულ იქნა ჯერ კიდევ დავით აღმაშენებლის დროს (დასახ. ნაშრომი, გვ. 16—17). ეს მოსაზრება სავსებით დადასტურდა ბეთანიის წარწერის უკანასკნელ წლებში ჩატარებული შესწავლით: აღმოჩნდა, რომ სუმბატი ორივე სახელოთა წარწერის ტექსტში დასახელებული (E. П р и в а л о в а, დასახ. ნაშრომი, გვ. 15).

43 შ. მესხია, დასახ. ნაშრომი, გვ. 16.

ბელიანის ცნობით, დაკრძალულია ბეთანიის საგვარეულო მონასტერში⁴⁴. შ. მესხიას მოსაზრებით, სუმბატი, ალბათ, უკანასკნელი ორბელი იყო, რომელიც აქ დაიმარხა. თუმცა, ამ მონასტრის მცირე ეკლესიის განხილული წარწერების მიხედვით უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ ფეოდალური სახლის კიდევ ერთი წარმომადგენელი მანდილოსანი, მათი სახლის სძალი, პატრონი რუსუდანი 1196 წლის შემდეგაც დამარხულა ამ მონასტერში.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ბეთანიის ფრესკაზე სუმბატ ორბელი გამოსახულია სასულიერო პირის ტანსაცმელში. ზოლი განმარტებდა წარწერაში იგი დასახელებულია უმაღლესი საერო თანამდებობებით: „დიდი სუმბატ მანდატურთუხუცესი და ამირსპასალარი“. როგორც უკანასკნელი წლების გამოკვლევებით გაირკვა, სუმბატის გამოსახულება გადაწერილია. კერძოდ, თავდაპირველი ფერწერის გადაკეთების, გადაწერის კვალთვანათლივ შეიმჩნევა ქუდის, მხრების და ტანსაცმლის სხვადასხვა ადგილებში. როგორც ჩანს, შემონახვების შემდეგ, თავდაპირველად საერო ტანსაცმელში გამოსახულ სუმბატის ჩაცმულობა შეცვალეს, ის ბერ-მონაზვნის ჩოხით გამოსახეს, მაგრამ განმარტებითი წარწერა ჰველი დატოვეს. ცხადია, ამას ადგილი ექნებოდა 1155 წლის შემდეგ (E. Привалова, დასახ. ნაშრომი, გვ. 14—15), მაგრამ სუმბატის სიცოცხლეშივე და მისი სურვილით. სტეფანოს ორბელიანის ცნობით, სუმბატი გარდაიცვალა მოხუცებული („სუმბატ მოხუცებული დღითა მოკვდა და დაეფლა მამათა თჳსთა თანა“, ე. ი. ბეთანიას — „სტეფანოს ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთა“, გვ. 44), ზოგიერთი მონაცემით 1161 წელს (C. Toumanoff, გვ. 357). მაშასადამე, ფრესკის გადაწერა 1155—1161 წწ. შორის მოხდებოდა.

ბეთანიის ფრესკაზე სუმბატთან ერთად, მის უკან, ვედრების პოზაში, ნახევრადმიბრუნებით საკურთხევლისაკენ გამოსახულია მამაკაცი მაღალი რანგის საერო პირის ტანსაცმელში (სამკლავე, თავსაბურავის შუბლზე ინსიგნიური ნიშანი). ამ გამოსახულების განმარტებითი წარწერა მოთავსებული იქნებოდა მის უკან, გამოსახულების მარჯვნივ, როგორც ეს სუმბატის შემთხვევაშია. მაგრამ, ტექსტი ამჟამად მთლიანად გადასულია და ჯერ-ჯერობით რაიმეს წაკითხვა ვერ მოხერხდა.

აქ გამოსახული პირის ვინაობის შესახებ სხვადასხვა მოსაზრებებია გამოთქმული.

ჯერ კიდევ 1898 წ. არისტ. ქუთათელაძემ მიიჩნია, რომ აქ გამოსახული ორივე მამაკაცი სასულიერო პირია („ივერია“, № 98, 227, 1898), მაგრამ ეს მხოლოდ ნაწილობრივია სწორი — სასულიერო პირად აქ მხოლოდ ერთი, სუმბატ ორბელია წარმოდგენილი.

შ. ამირანაშვილის ვარაუდით, სუმბატთან ერთად აქ შეიძლება გამოსახული იყოს მისი ძე ლიპარიტი. მაგრამ, შ. ამირანაშვილს საერთოდ სწორად არა აქვს იდენტიფიცირებული ბეთანიის ფრესკაზე გამოსახული სუმბატი — იგი მას მიიჩნევს 1177 წლის შეთქმულება-აჯანყების მონაწილედ, თანამდებობიდან გადაყენებულად, ამის შედეგად შემონახვებულად და თამარის დროინდელ მოღვაწედ (შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია,

⁴⁴ სტეფანოს ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთა“-ს ძველი ქართული თარგმანები. ქართულ-სომხური ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და საძიებლები დაურთო ვ. ცაგარეიშვილმა, თბ., 1978, გვ. 37; შ. მესხია, დასახ. ნაშრომი, გვ. 15.

თბ., 1961, გვ. 282), ე. ი. ორი სხვადასხვა თაობის პირის — სუმბატის (მანდატურთუხუცესისა და ამირსპასალარის) და სუმბატ ივანე II-ის ძის (1177 წელს სიკვდილით დასჯილის და არც რაიმე სახელოს მქონებლის) შესახებ არსებული ცნობები ერთი პირის გარშემო აქვს დაჯგუფებული. ეს გენეალოგიური აღრევები, როგორც აღინიშნა, სპეციალურ ლიტერატურაში უკვე გასწორებულია (შ. მესხია, დასახ. ნაშრომი, გვ. 13—21). ამდენად, ბეთანიის ფრესკაზე სუმბატთან ერთად ლიპარიტის გამოსახულების შესახებ ვარაუდს საფუძველი არ გააჩნია.

გ. ალიბეგაშვილის მიხედვით, ბეთანიის ტაძრის ჩრდილოეთ კედელზე გამოსახულია „ტიტოროთა რიგი“ (იგი მათ პერსონიფიკაციას არ იძლევა — Г. Алибегашвили, Светский портрет, გვ. 34; მანვე პირველმა გამოაქვეყნა ორივე გამოსახულების ფოტო — იქვე, ტაბ. 12), ხოლო თ. ვირსალაძის მიხედვით — სუმბატ დიდისა და მისი შვილის პორტრეტები („Ars Georganica“, 10, 1991, გვ. 11; თუ რომელი შვილის, ამის შესახებ იგი არ აღნიშნავს).

ბეთანიის ფრესკაზე გამოსახულ სუმბატ I-ს სამი შვილი ჰყავდა: ივანე, ლიპარიტი და ქავთარი. ამთგან, როგორც ცნობილია და ზემოთაც არაერთხელ აღინიშნა, მამის სახელოები გადაეცა მის უფროს შვილს ივანეს, გამოჩენილ მხედართმთავარს, რომელმაც დიდი როლი შეასრულა XII ს-ის 60-იან წლებში საქართველოს სამეფოს სამხრეთი საზღვრების გამაგრების, აქ წარმოქმნილ მუსლიმანურ პოლიტიკურ დაჯგუფებათა შემოტევების მოგერიების, ანისის, დვინის და საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში შემოსულ სხვა სომხური სამფლობელოების დაცვის საქმეში. როგორც ვიცით, იგივე შეიქმნა 1177 წლის სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული აჯანყებულ-შეთქმულების მეთაური და გადაპყვე კიდევ მას. მისმა მომდევნო ძმამ ლიპარიტმა აჯანყების დამარცხების შემდეგ ირანში გადახვეწით უშველა თავს და იგი გახდა ორბელთა გვარის გამგრძელებელი, ხოლო მესამე ძმა ქავთარი 1177 წელს სიკვდილით დასაჯეს.

უნდა ვივარაუდოთ, რომ სუმბატთან ერთად ბეთანიის ფრესკაზე გამოსახულია მისი უფროსი შვილი ივანე მანდატურთუხუცესი და ამირსპასალარი, რადგან, უფროს-უმცროსობის რიგის მიხედვით, სხვა შვილებზე მეტად ეკუთვნოდა და, გარდა ამისა, როგორც ვიცით, მან მხოლოდ კიდევ მამის შემდეგ მისი სახელოები. მისი გამოსახვა მაღალი რანგის საერო პირის ნიშნებით ქრონოლოგიურად შეიძლება დაუკავშიროთ მისი მამის გამოსახულების გადაკეთებას ბერის ტანსაცმელში და დავათარილოთ 1155—1161 წლებით. როგორც ჩანს, 1177 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ, სტეფანოს ორბელიანის გადაჭარბებული ცნობის საწინააღმდეგოდ (ამის შესახებ იხ. ქვემოთ), ივანეს გამოსახულება არც ჩამოუშლიათ და არც დაუზიანებიათ. დამარცხებული მოწინააღმდეგის მიმართ ამგვარი შურისძიება მაშინ მიღებული არც იყო. პირიქით, აჯანყების დამარცხებიდან 19 წლის შემდეგ, ივანეს მეუღლე პატრონი რუსუდანი 1196 წლის წარწერაში მას კვლავ ძველი პატივითა და სახელოებით მოიხსენიებს (იხ. ქვემოთ). ამდენად, ივანეს გამოსახულება მისი მამის სუმბატის გვერდით ხელუხლებელი დაუტოვებიათ და მან ჩვეის დრომდე მოაღწია. რაც შეეხება მისი გამოსახულების განმარტებით წარწერა, ეტყობა, იგი დაზიანდა და გადაიშალა სიძველის გამო (საერთოდ, მხატვრობამ ტაძრის ამ მხარეს დაზიანებულად მოაღწია) და არა ხელოვნურ ზემოქმედებათა შედეგად.



2. ივანე ორბელი, მეუღლე ბეთანიის წარწერების, პატრონ, რუსუ-დანისა, II წარწერის მიხედვით, და ისედაც ცნობილია, რომ იყო ქრისტიან-ერისთავი, საქართველოს სამეფოს ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი, ძე სუმბატ ორბელისა. თავიდან იგი გიორგი III-სთან დიდად დაახლოებული პირი ჩანს და საისტორიო წყაროთა ცნობით, აქტიურად მონაწილეობდა გიორგის უფროსი ძმის დავითის დამხობაში და გიორგის გამეფებაში. ალბათ, ამ დამსახურებათა გამო, როდესაც 1161 წლის მაისში გიორგი III-ემ „კელთ იგლო ქალაქი (ანისი) ნებისაებრ თვისისა და არა დამბრუნებელმან და შემტყობელმან დაიმჭირა სადგომად, ტახტისა მისისა შესანახავად და გასამაგრებლად“, იგი დაუტოვა სამართავად ივანე ორბელს, რომელიც ამ დროს უკვე ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი იყო და მას თანაშემწედ მიუჩინა სარგას მხარგრძელი⁴⁵. მართალია, ამჯერად ქართველებმა ანისი დიდი ხნით ვერ შეინარჩუნეს, მაგრამ ბრძოლები მის შემოსეართებლად მაჰმადიანი მფლობელების წინააღმდეგ შემდეგშიც დიდ ხანს მეტ-ნაკლები წარმატებებით გრძელდებოდა, სანამ 1199 წელს, საკმაოდ დიდი ხნით, თითქმის საბოლოოდ არ იქნა შემოერთებული⁴⁶.

ივანე ორბელი დაუნათესავდა ორ სამეფო ოჯახს — ერთი მხრივ, ლორე-ტაშირის კვირიკიან მეფეთა სახლს, როდესაც ცოლად შეირთო კვირიკე III-ის ერთ-ერთი ასული, ბეთანიის წარწერების რუსუდანი, და, მეორე მხრივ, საქართველოს სამეფო სახლს, როდესაც თავისი ქალიშვილი, რომლის სახელი, სამწუხაროდ, წყაროებს არ შემოუნახავთ, ცოლად შერთო დავით V-ის ძეს, მისთვის მეფის მიერ ანდერძით აღსაზრდელად მიბარებულ დემნა უფლისწულს.

ეს აქტი ივანე ორბელს, როგორც ჩანს, შორს ჰქონდა გამიზნული, რადგან დემნა უფლისწული სამეფო სახლის უფროსი შტოს წარმომადგენელი იყო და სამეფო ტახტი სამართლით მას ეკუთვნოდა.

XII ს-ის 60—70-იან წლებსა საქართველოში დროდადრო იფეთქებდა ხოლმე ბრძოლები ცენტრალურ სამეფო ხელისუფლებასა და ადგილობრივ მმართველ დიდებულებს შორის. ამ უკანასკნელებს არ აკმაყოფილებდა მეფის მხოლოდ მოხელეობა და პოლიტიკური ხელისუფლებას მოპოვებისა და დამოუკიდებლობისაკენ მიისწრაფვოდნენ. განსაკუთრებით მწვავე და გამუდმებულ ფორმებს იღებდა ეს ბრძოლები სომხური სამფლობელოების და მათ შორის ანისის გარშემო⁴⁷.

1177 წელს ამ ბრძოლებმა და დაპირისპირებულობამ კულმინაციას მიაღწია. როდესაც დიდებულთა დიდმა ჯგუფმა ივანე ორბელის მეთაურობით, დემნა უფლისწულის, როგორც სამეფო ტახტის კანონიერი მემკვიდრის გამეფების და ამით, თითქოს დავით V-ის მიერ მათთვის დატოვებული ანდერძის აღსრულების საბაბით, სინამდვილეში კი ძლიერი გიორგი III-ის გზიდან ჩამოშორებისა და სამეფო ტახტზე მათთვის სასურველი, ახალგაზრდა და ადვი-

⁴⁵ ქცა, II, გვ. 6:1—14.

⁴⁶ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979, გვ. 274.

⁴⁷ მ. ლორქიფანიძე, საქართველოს საგარეო და შინაპოლიტიკური ვითარება XII ს. მეორე მეოთხედიდან 80-იანი წლების დასაწყისამდე: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, საქართველო XI—XV საუკუნეებში, თბ., 1979, გვ. 280—294.

ლად სამართავი კანდიდატის დასმის მიზნით, აჯანყება მოაწყვეს სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ⁴⁸.

ეს აჯანყება განწირული აღმოჩნდა და გიორგი III-ემ მისი მთავარი მონაწილეები, და, განსაკუთრებით, მეთაურები მკაცრად დასაჯა. დემნა უფლისწული დააბრმავეს და დაასაჭურისეს, რასაც ოგი გადაჰყვა; ივანე ორბელი დააბრმავეს; სიკვდილით დასაჯეს მისი უმცროსი ძმა ქავთარი და მისი შვილი სუმბატი. გადარჩა ივანეს უფროსი ძმა ლიპარიტი, რომელიც ირანში იყო წასული აჯანყებულებისათვის მაჰმადიან მფლობელთა ჯარის მოსაშველიებლად, მაგრამ აჯანყების დამარცხების შეტყობინებისთანავე უკანვე გაბრუნდა ირანში და ორბელთა გვარის ერთ-ერთი გამგრძელებელი შეიქმნა.

ცხადია, დამარცხებულ, დასჯილ და დაბრმავებულ ივანე ორბელს ჩამოერთვა მისი თანამდებობები და გიორგი III-ემ იგი გადასცა ნაყივჩალარ ყუბას არს, როგორც ჩანს, საქართველოში ყავჩალთა ჯარის უფროსს, რომელმაც დიდად უერთგულა მეფეს აჯანყებულთა წინააღმდეგ ბრძოლებში, განსაკუთრებით პირველ დღეებში.

ზოგიერთი ცნობით, ივანე ორბელი გარდაიცვალა შედარებით გვიან, 1183 წელს⁴⁹.

3. პატრონი რუსუდანი, მთავარი მოქმედი პირი ბეთანიის წარწერებშია, ერთ-ერთი კოლორიტული ფიგურაა საქართველოსა და სომხეთის ისტორიაში. ლორე-ტაშირის ბაგრატუნთა სამეფო სახლის ჩამომავალი, საქართველოს სამეფოს ამირსპასალარისა და მანდატურთუხუცესის მეუღლე, იგი აღმოჩნდა იმდროინდელი საქართველოსა და სომხეთის, და შეიძლება ითქვას მთელი კავკასიის, სამი უძლიერესი საგვარეულოს დამაკავშირებელი რგოლი. ამ საგვარეულოებთან რუსუდანის ნათესაური დამოკიდებულება შემდეგი გე-


⁴⁸ აჯანყების მიმდინარეობის შესახებ: რ. მეტრეველი, დასახ. ნაშრომი, გვ. 126—134; მისივე, მეფე თამარი, თბ., 1991, გვ. 63—87.

⁴⁹ C. Toumanoff, Manuel de généalogie et de chronologie pour l'histoire de la Caucasic chrétienne (Arménie-Géorgie-Albanie). Roma, [1976], p. 357.

ს. მაკალათია ივანე ორბელის შვილად მიიჩნევს „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ მოხსენიებულ მეჩინიბეთუხუცეს ქავთარ ივანეს ძეს (ქცა, II, გვ. 19:20). იგი მასთან აიგივებს XII ს-ის სეტის ვერცხლის სურის მიძღვნილი წარწერის ავტორს ქავთარ ამირას და, რადგანაც გიორგი III-ემ ქავთარი 1177 წელს სიკვდილით დასაჯა, სურის პირთმევას (და მასასადამე მის შექმნას) ათარიღებს 1173—1175 წწ. (ს. მაკალათია, სეტის მეთორმეტე საუკუნის ვერცხლის სურა, „ტფილისის უნივერ. მოაზბე“, IX, 1929, გვ. 89—94. მისი მიხედვით იმავეს იმეორებს კ. მაჩაბელი, ოლონდ სურას რატომდაც, XII—XIII სს. მიჯნით ათარიღებს: „საბჭოთა ხელოვნება“, 10, 1977; К. М. М а ч а б е л и, О грузинской светской чеканке. сб. „Средневековое искусство. Русь. Грузия“, М., 1978, с. 251—258). საისტორიო წყაროების მიხედვით ივანე ორბელს შვილი ქავთარი არ ჰყავდა. ეს სახელი ერქვა მის უმცროს ძმას (ლიპარიტის მომდევნოს), რომელსაც საქართველოს მეფის კარზე რაიმე სახელს არ ჰქონია. იგი და მისი ძე ინა, ანუ იგივე ზენონ შეეწირნენ 1177 წლის აჯანყებას. ივანეს ჰყავდა ვაჟი — სუმბატი, რომელიც 1177 წელს სიკვდილით დასაჯა და ერთი ასული (მისი სახელი ჩვენთვის უცნობია), დემნა უფლისწულის ცოლი. რაც შეეხება მეჩინიბეთუხუცეს ქავთარ ივანეს ძეს, რომელიც, მართალია, ივანე ორბელის თანამედროვე მოღვაწე ჩანს (მასთან ერთად მონაწილეობს 1177 წლის აჯანყებაში), მაგრამ, იგი სხვა ფეოდალური სახლის, კერძოდ, აბულეთისძეთა წარმომადგენელი უნდა იყოს.



ნეალოგიური სქემით გამოისახება (აღნიშნულია მხოლოდ ძირითადი, უძმაკ-რესი პირები⁵⁰):



რუსუდანი იხსენიება რამდენიმე სომხურ წარწერასა (ქობერის, სანაინია, ჰალბატის) და ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებში, როგორც მრავალი ეკლესიამონასტრის ამშენებელ-განმამახლებელი, ზოგჯერ თავის დასთან მარიამთან ერთად. ერთი მათგანია ქობერის მონასტრის მცირე ეკლესიის სომხური წარწერა 1171 წლისა, რომელიც მის დას მარიამს ეკუთვნის⁵¹.

რუსუდანის შესახებ წყაროებში არსებულ ცნობებს თავი მოუყარა ლ. მოვსესიანმა⁵². ამ ცნობებს შორის განსაკუთრებით საინტერესოა ერთი სომხური ხელნაწერის 1172—1173 წწ. ანდერძ-მინაწერი, რომელიც ჰალბატს არქიეპისკოპოსის ბარსელის შესახებ გაკეთებულ ჩანაწერს მისდევს, რომელსაც დიდად მფარველობდა თურმე რუსუდანი. ანდერძში აღნიშნულია, რომ სადაც კი აღწევდა რუსუდანის ქმრის დიდი სპასალარის ივანეს ხელისუფლება — ანისში, ანისის გავარში თუ დვინის გავარში, ყველგან რუსუდანი ცდილობდა, რათა თავისი წინაპრების მიერ აშენებული ეკლესიები მიერთო და განებრწყინებინა⁵³.

ლ. მოვსესიანის ცნობით, რუსუდანს აუშენებია მონასტერი ალგეთის ხეობაში, რომელსაც ამჟამად „კანანჩ ვანქს“ უწოდებენო. მას მოჰყავს ამ მონასტრის ქართული წარწერა ი. ბართოლომეისა და მ. ბროსესეული გამოცემის შიხედვით. სინამდვილეში, ეს არის გუდარეხის მონასტრის მთავარი ტაძრის წარწერა რუსუდან დედოფლისა (მისი დაზუსტებული ტექსტი გამოსცა ე. თაყაიშვილმა⁵⁴). გარკვეულია, რომ თვით გუდარეხსაც, „არსებითად საფუძველ-

⁵⁰ ორბელთა და კვიციანთა გენეალოგიისათვის იხ.: С. Тошароф, დასახ. ნაშრომი, გვ. 113, 357.

⁵¹ ლ. მელიქსეთ-ბეგი, ქობერი და მისი სომხური და ქართული წარწერები, „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე“, VII, 1927, გვ. 64 (აქ წარწერა, როგორც ჩანს, შეცდომით, დათარიღებულია 1153 წლით); *ქ. შ. მ. ი. კ. ა. ნ.*, დასახ. ნაშრომი, გვ. 169; *ზ. ს. ხ. ი. რ. ლ. ა. ძ.*, გამოკვლევა ქობერის ტაძრის მოხატულობის შესახებ, თსუ შრომები, ტ. 243, 1983, გვ. 185—186.

⁵² *ქ. შ. მ. ი. კ. ა. ნ.*, დასახ. ნაშრომი, გვ. 66—69.

⁵³ იქვე, გვ. 66.

⁵⁴ Е. Такайшвили, Грузинские памятники окрестностей Белого-Ключа, ИКОИМАО, вып. I, 1904, с. 26—39; *ბ. ასათიანი, ი. კ. ი. ნ. ა. ძ.*, ალგეთი, თბ., 1985, გვ. 53.



ლი ჩაუყარა დედოფალმა რუსუდანმა (1222—1245)⁵⁵. ამდენად რუსუდანმა არაფერი აქვს საერთო ბეთანიის წარწერების პატრონ რუსუდანთან.

მიუხედავად სტეფანოს ორბელიანის (XIII ს.) მტკიცებისა, რომ გიორგი III-ემ 1177 წლის შეთქმულება-აჯანყების მონაწილეთა „ყოველნი მამა-ყრმანი, ყოველი ნათესავი და დედანიცა და მეუღლენიცა მისცა ასახოცად და ამოსაგდებდა“⁵⁶, აწკარაა, რომ პატრონი რუსუდანი, მეუღლე ამ აჯანყების მთავარი ორგანიზატორის და ხელმძღვანელისა, გადარჩენილა რეპრესიებს და აჯანყებიდან 19 წლის შემდეგ თავისი მეუღლის საგვარეულო მონასტერში სამარხავ ეკლესიას იშენებს. ეტყობა, რუსუდანი არა თუ არ შეეწირა ამ შეთქმულებას დამარცხებას, არამედ არც შემონაზვნებულა, რადგან ბეთანიის სამივე წარწერაში იგი „პატრონად“ იხსენიება. როგორც ჩანს, სწორედ მისი გარდაცვალების შემდეგ იქნა ბეთანია საბოლოოდ სამეფო მონასტრად მითვლილი და მას კედელზე სამეფო ჯგუფური პორტრეტიც სწორედ ამის შემდეგ და ამის ნიშნად გამოსახეს.

ასევე გადაჭარბებული ჩანს სტეფანოს ორბელიანის მტკიცება, რომ გიორგი III-ემ „აღმოიღო სახლისაგან ქართლისა სახელნი მათნი (ორბელთა) და ბრძანა აღმოხოცად სახსენებელი ნათესავისა ორბელიანთასა ცხოვრებასაგან მათისა და ეკლესიათაგან დასცა აღწერად წიგნისა განდგომილებისა“⁵⁷. ჯერ ერთი, ფაქტია, რომ ბეთანიის ტაძრის კედლიდან არ ჩამოუშლიათ აჯანყების ხელმძღვანელის მამის სუმბატ ორბელის ფრესკული გამოსახულება; მეორეც, შეთქმულებიდან 19 წლის შემდეგ ბეთანიის მცირე ეკლესიის კედელზე ათავსებენ ვრცელ წარწერას, რომელშიც ძველი პატივითაა მოხსენიებული, როგორც აჯანყების ხელმძღვანელი ივანე ორბელი, ისე მისი ახლობლები. თუმცა, ისიც მისაღებია მხედველობაში, რომ როდესაც ბეთანიის მცირე ეკლესიაზე ეს წარწერები შესრულდა (1196 წ.) ორბელები უკვე ნაწილობრივ რეაბილიტირებულნი ძევნენ, „სამოქალაქო-პოლიტიკურ უფლებებში აღადგინეს“⁵⁸ — თამარ მეფემ სამეფო კარზე მიიღო ივანე ორბელის ერთ-ერთი ძმისწული, ივანე ლბარბიჭიძე და „მისცეს მას მამულთაგან თვსთა მხოლოდ ორბეთი“⁵⁹. არ არის გამორიცხული, რომ პატრონ რუსუდანის მიერ ორბელთა ძველ საგვარეულო მონასტერში მცირე სამწირველო ეკლესიის, თავისი სამარხავის აშენება და მასზე სათანადო წარწერების შესრულება თამარის დროს ორბელთა „სამოქალაქო-პოლიტიკურ უფლებებში“ ნაწილობრივ აღდგენის შედეგიც იყოს.

მოკლედ, ფაქტია, რომ სტეფანოს ორბელიანის მტკიცების საწინააღმდეგოდ, 1177 წლის აჯანყების შემდეგ ორბელთა სრულ ამოწყვეტას და საქართველოდან მთლიანად და საბოლოოდ განდევნას ადგილი მაინც არ ჰქონია⁶⁰.

55 გუდარგის პირველი და მეორე (1938 და 1939 წწ.) არქეოლოგიური კამპანიის ანგარიში. შეადგინეს ლ. მუსხელიშვილმა, შ. ხიდაშელმა და ვ. ჯაფარიძემ. ლ. მუსხელიშვილის რედაქციით, თბ., 1954, გვ. VI, 5.

56 სტეფანოს ორბელიანის „ისტორია ორბელიანთა“, გვ. 51 (B რედაქცია).

57 იქვე, გვ. 51 (A რედაქცია).

58 ნ. ბერძენიშვილი, ეპიზოდი ფეოდალურ საგვარეულოთა სამამულო ბრძოლიდან XIII ს-ის საქართველოში, იხ. მისი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. III, თბ., 1966, გვ. 78.

59 სტეფანოს ორბელიანის „ისტორია ორბელიანთა“, გვ. 53; რ. მეტრეველი, შინაკლასობრივი ბრძოლა, გვ. 131, შენ. 1.

60 ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 75, 78.

4. ეჯიბ წურილაისძის შესახებ, როგორც ზემოთაღნიშნული წიგნის ავტორი და ამ წარწერისა სხვა ცნობები არ გავაჩნია. უფრო მეტი, თვით გვარი წურილაისძეც სხვაგან არსად არ დადასტურდა. ცხადია, რომ „ეჯიბი“ წურილაისძის თანამდებობაა. ეჯიბობა მაღალი რანგის კარის მოხელეობა იყო. ამ ტერმინის სემანტიკა ერთობ გამჭვირვალეა და კარგა ხანია ცნობილია, რომ იგი „არაბულ“ „ჰაჯიბ“-ს უდრის. ეს სიტყვა არაბულად მეკარეს, მეკარეთუხუცესს, ცერემონიამასტერს ჰნიშნავდა და ჩვეულებრივ არაბულშიც და სპარსულშიც მარტივად „ჰაჯიბ“-ად იხმარებოდა⁶¹.

ეჯიბები ჰყავდათ, როგორც სამეფო, ისე დიდებულთა კარზე, როგორც მამაკაცებს, ისე მანდილოსნებს. ს. ს. ორბელიანის განმარტებით, „ეჯიბი მეფის მაგიერ მოლაპარაკეა“⁶²; იგი მეფის მეკარე ჯარისკაცად ითვლებოდა⁶³. ივ. ჯავახიშვილის მძხედვით — ეჯიბი მეფისადმი მთხოვნელთა სურვილის მომხსენებელია⁶⁴.

ვეფხისტყაოსანში, მაგალითად, სწორედ ეჯიბის პირობით მოახსენებს ავთანდილ სპასპეტი თავის სათხოვარს როსტევან მეფეს: „დარბაზს ეჯიბი შეგზავნა, მართ მისგან შენარონია“⁶⁵. ვრცლად განმარტავს ეჯიბს, ამასთან დაკავშირებით, თეიმურაზ ბაგრატიონი, რომელიც მის ორ მნიშვნელობას ადგენს: „ეჯიბი — ძეშლად საქართველის მეფეთ მომხსენებელთაგანი მოხელე იყო, რომელიცა წინაშე მდგომელი მეფისა იქმნებოდა და რაჟცა ვის მოსახსენებელი აქვნდა, მას ეტყოდეს და წიგნით გამოუცხადებდეს და იგიცა მეფესა აუწყებდა და მოახსენებდა“. მეორე მნიშვნელობა ეჯიბისა შემდეგია: „ქორწილებში ეჯიბი სხვას მაყრებზედ უპირველესი არის“⁶⁶.

ეჯიბსა და ეჯიბობას ისტორიულ ჰრილში განიხილავს და მისი კონკრეტული ფუნქციების შესახებ დამატებით შემდეგს აღნიშნავს ი. სურგულაძე: მისი აზრით, ეჯიბობა არსებობდა დავით აღმაშენებლის მეფობამდე, ეჯიბი იყო სასახლის წესრიგის დაცვის მონაწილე, ეჯიბები ამირეჯიბებს ემორჩილებოდნენ, ხოლო ამირეჯიბი მანდატურთუხუცესის მოადგილე იყო. ეს უკანასკნელი, მის სხვა ფუნქციებთან ერთად, პურობისა და დარბაზობის დროს წესრიგის მთავარი დამცველია⁶⁷.

როგორც აღინიშნა, ეჯიბები ჰყავდათ, როგორც მეფეთა, ისე დიდებულთა კარზე⁶⁸. საისტორიო წყაროებს შემოუნახავს ცნობები რამდენიმე ასეთი ეჯი-

61 ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, თბ. ტ. VI, თბ., 1982, გვ. 300.

62 ს. ს. ორბელიანი, სიტყვის კონა, გვ. 114.

63 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. III, თბ., 1953, სვ. 1533.

64 ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, თბ., ტ. VI, გვ. 300; ქართული სამართლის ძეგლები. 1. კელმწიფის კარის გარიგება. 2. დასტურლამალი. ტექსტები გამოსაკვლამად მოამზადა, გამოკვლევები, ლექსიკონები და საძიებლები დაურთო ი. სურგულაძემ, თბ., 1970, გვ. 176.

65 შოთა რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, თბ., „მეცნიერება“, 1988; სტრ. 142:1.

66 თეიმურაზ ბაგრატიონი, განმარტება ჰოემა ვეფხისტყაოსნისა, გაიოხიმიედაშვილის რედაქციით, გამოკვლევითა და საძიებლით, თბ., 1960, გვ. 30—31, 279.

67 ი. სურგულაძე, სახელმწიფოსა და სამართლის საკითხები „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით, თბ., 1977, გვ. 157—158.

68 ქსე, ტ. 4, გვ. 260.



ბის შესახებ. მაგ., „ისტორიანი და აზმანი შარავენდედთანის“ ავტორის ცნობებით, 1190/91 წლებში გიორგი რუსის გამოსვლის დროს აჯანყებულებთან სამდვილი ამბის გასაგებად თამარ მეფე „ოდესმე თვედორე პატრიაქსა და ანტონი ქუთათელსა... და სხუათა ეპისკოპოსთა გზავნიდის, ოდესმე შინაურსა ეჯიბსა და მესტუმრესა“⁶⁹. მაშასადამე, მეფის ეს „შინაური ეჯიბი“, რომელიც ასეთი მაღალი რანგის პირების გვერდით, მათი თანაბარი დავალების და სამსახურის გამწვევად არის დასახელებული, სამეფო კარზე დიდად დაფასებული პირი ყოფილა.

დიდებულთა კარზე რომ ეჯიბი ჰყავდათ ამის მაგალითია დავით ეჯიბი, ივანე ახალციხელის ძე, რომელიც იყო ეჯიბი ავაგ ათაბაგისა. ცნობილია, თუ როგორ უერთგულა მან თავის პატრონს და მზად იყო თავიც კი დაედო გასაწირად მის სანაცვლოდ⁷⁰.

მაღალი რანგის მადნილოსანთა ეჯიბებიდან ჩვენთვის ცნობილია მონღოლთა კარის დიდი საჰიბლივანის ცოლის, ავაგ ათაბაგის ასულის ხუაშაგის ეჯიბი, ასევე ცნობილი სადუნ მანკაბერდელი⁷¹, რომლისთვისაც ეს თანამდებობა იყო მისი კარიერის პირველი საფეხური. ბეთანიის III წარწერის ეჯიბი წუროლაისძეც, როგორც ვხედავთ, ასევე მაღალი რანგის მადნილოსნის — პატრონ რუსუდანის ეჯიბი ყოფილა, რომელიც წარწერის ტექსტში, უაღრესი თავმდაბლობის ნიშნად აღნიშნავს, რომ ჩემმა პატრონმა „უპატიოსნეს-მყა ჩემ ჯორ სახეთასაო“.

ეს ეჯიბი წუროლაისძე თავისი თავის ასე მოხსენიებითაც არანაკლებ საინტერესოა. ცნობილია, რომ „ჯორის სახედ“ ახასიათებს „ისტორიანი და აზმანი შარავენდედთანის“ ავტორი ყუთლუ-არსლანს, თამარის მეფობის დროინდელ ერთ-ერთ მეჭურჭლეთუხუცესს და XII ს-ის 80-იან წლებში სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლის ხელმძღვანელს. „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერებში ის ადგილი სადაც ყუთლუ-არსლანის ასეთი („ჯორის სახე“) დახასიათებაა მოცემული დამახინჯებულია და მკვლევართა და გამომცემელთა შორის სხვადასხვა კონიექტურის საგნადაა გადაქცეული⁷².

როგორც ჩანს, „ჯორის სახის“ ფარდი გამოთქმაა „პირუტყუთ სახე“, რომლითაც ახასიათებენ თავის თავს XI ს-ის გამოჩენილი მწერლები ეფრემ მცირე და გიორგი მცირე — ავტორი გიორგი მთაწმიდლის ცხოვრებისა. კერძოდ, ცნობილი ქართული მეტაფრასული კრებულის S-384-ის ერთ-ერთ თხზულების — „ცხოვრება იოვანე ოქროპირისა“ — სადმი დართულ ანდერძ-მინაწერში ეფრემ მცირე აღნიშნავს: „ითარგმნა ესე... სურვილითა გაბრიელ-სტეფანეს ხუცისა ჭულეველისადათა, რომელმან უმეტეს ზომისა აიძულა პი-

69 ქცა, ტ. II, გვ. 50:1,14; ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, თბ., 1965, გვ. 261; მისივე, ქართული სამართლის ისტორია, თხზ. ტ. VI, გვ. 299.

70 ქცა, II, გვ. 197:6—198:14.

71 ქცა, II, გვ. 257:19; 269:19—21.

72 იხ. ტექსტის ამ ადგილის ივ. ჯავახიშვილისეული, კ. კეკელიძისეული და ს. ყაუხჩიშვილისეული წაითხვებები: ქცა, II, გვ. 30. ვერ შევლის აქ ტექსტის გამართვას „მცხეთური ქართლის ცხოვრების“ ნუსხურით ნაწერი ხელნაწერი 1697 წლისა, რომელიც „ქართლის ცხოვრების“ აკადემიური გამოცემის შემდეგ აღმოჩნდა (ა. კლიშიაშვილი, „ქართლის ცხოვრების“ ერთი ასალი ნუსხა 1697 წლისა, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XXIV, № 3, 1960, გვ. 371—376), რადგან იგი აქ სიტყვა-სიტყვით მისდევს მანამდეც ცნობილ მარიამ დედოფლისეული ხელნაწერის ტექსტს.



რუტყუთსახე ესე გონებაჲ ჩემი ყოვლად მცირისა ჩვევისა რაჲსამე თარგმანთაჲსა ეფრემისი და კადნიერ-ყო სხუათაჲე თანა ამისდაცა თარგმნად და კადრებად⁷³.

გიორგი მცირე, ავტორი გიორგი მთაწმიდლის ცხოვრებისა, თავისი ნაწარმოების დასრულების შემდეგ, ამ თხზულების დამკვეთს გიორგი შეყენებულს წერს, რომ „აღწერე სიტყვასა თქუენისათჳს, რომლითა მაძულეთ და მიბრძანეთ სახედ პირუტყუთა უგუჳნურსა ამას და ფრიად სულელსა“-ო⁷⁴. საინტერესოა, რომ ცოტა ქვემოთ თავის გონებას გიორგი მცირე ახასიათებს, როგორც „თიკანთ მსგავსისა ამის გონებისა ჩემისაგან მოპარსული“-ო⁷⁵.

შეურაცხყოფელ და სალანძღავ ეპითეტადაა გამოთქმა „პირუტყუ-სახე“ გამოყენებული „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ჰელიშურ რედაქციაში. აქ მოთხრობილია, რომ როდესაც დადგა წმ. ნინო წობენს, „მოუწოდეს მთიელთა ყოველთა, ჰართალელ-ფხოელთა, წალკასნელთა“. წმ. ნინომ „განირთხა გელოერისა მიმართ და უქადაგა სარწმუნოებაჲ ძისა ღმრთისაჲ, ხოლო მათ პირუტყუ-სახეთა, ვითარცა ესმა ქადაგებაჲ, უცხოოდ განუყარნეს თავნი, და პირნი გარე-მიიქცივნეს და იღრჳენდეს კბილთა მათთა წმიდისა ნინოასთჳს“. როგორც ცნობილია, საქმე იმით დამთავრდა, რომ „ნინო უბრძანა ერისთავს, რაჲთა წარმართოს მცირედ მახული მათ ზედა. და ვითარცა შებმა უყვეს, შიშით მისცნეს თავნი მათნი ნათლის-ღებასა; და დაღწენეს კერპნი მათნი“⁷⁶.

ამრიგად, ეს გამოთქმა ერთ-ერთი უძველესი მხატვრული სახეა, რომელსაც იყენებს ასევე უძველესი ქართული საისტორიო ნაწარმოების — „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ავტორი.

ერთი სიტყვით, „პირუტყუთ სახედ“ წერილობით ძეგლებში თავიანთ თავს მოიხსენიებენ ეფრემ მცირე და გიორგი მცირე, ხოლო „ჯორის სახედ“ ეჯიბი წურთლისძე. სამივე შემთხვევაში ეს გამოთქმა უაღრესი მოკრძალები-სა და თავმდაბლობის აღმნიშვნელია. ხოლო მეორე შემთხვევაში, როდესაც „ჯორის სახედ“ მოხსენიებულია ყუთლუ-არსლანი, აქ ეს გამოთქმა მისი შეურაცხყოფის და დამდაბლების მიზნითაა გამოყენებული, ისევე, როგორც მისი მეორე დახასიათება — „ბიჳთა გონებისა მზაკუარება“⁷⁷.

73 S-384, გვ. 121—122; თ. ჟორდანიია, ქრონიკები, I, ტფ., 1896, გვ. 221; ხელნაწერთა აღწერილობა, S კოლექცია, ტ. I, თბ., 1960, გვ. 462—469; ძველი მეტაფრასული კრებულები (სექტემბრის საკითხავები), ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, კომენტარები და საძიებლები დაურთო ნ. გ. ოგუაძემ, თბ., 1986, გვ. 307, 514; W. Djobadze, Materials for the study of Georgian monasteries in the Western, environs of Antioch on the Orontes, CSCO, vol. 372, subsidia, t. 48, Louvain, 1976, p. 23.

74 ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელთნაწერი აღაბებით, თბ., 1901, გვ. 349 (ათონის კრებულო); გიორგი მცირე, ცხოვრება გიორგი მთაწმიდლისაჲ, „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ჰეგლები“, ტ. II, თბ., 1966, გვ. 206:4; ძველი ქართული მოთხრობა. V—XII საუკუნეები, თბ., 1979, გვ. 446.

75 ათონის კრებულო, გვ. 351; ძქალძ, II, გვ. 206.

76 მოქცევაჲ ქართლისაჲ, ძქალძ, I, გვ. 88:39—89:11. შდრ. ანალოგური მონათხრობი ლეონტი მროველთან, „პირუტყუთა სახეთა მათ კაცთა“-ს ჩართვით (ქცა, I, 125:15—20), საიდანაც აშკარაა, რომ ლეონტის წყაროა ამ შემთხვევაში „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს სწორედ ჰელიშური რედაქცია.

77 ქცა, II, გვ. 30:20.

მიჩნეულია (პირველად ი. ჯავახიშვილის⁷⁸ და შემდეგ სხვების⁷⁹ მიერ) იმის შესახებ, რომ იგი არის ფაშატი ცხენისა და ულაცი ვირის ნაჯვარი⁸⁰) ჯერ მეფის სამსახურში დგომის, მისი ერთგულების (იგი ხომ მეჭურჭლეთუხუცესი იყო) და შემდეგ მისგან განდგომის, მისდამი ორგულუბის, ღალატის გამო. თუ რაში გამოიხატებოდა ეჭვი წურილაისძის მიერ თავისი თავისადმი თვითდამცირებით ნათქვამი „ჯორის სახეობა“, ანუ „ორბუნებობა“ ამჟამად ძნელი დასადგენია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ ოთხ პოლიტიკურ ვითარებას, რომელიც ორბელთა ფეოდალურ სახლში და, ალბათ, ამ სახლის კარზე მყოფ მოხელეებს შორის შეიქმნა 1177 წლის აჯანყებასთან დაკავშირებით, არ არის გამორიცხული, რომ წურილაისძეც რაღაც პოლიტიკურ ინტრიგებში გარეუღიყოს — ამ ამბებთან დაკავშირებით, თითქოს „ჯორის სახეობა“, „ორბუნებობა“ გამოემყდენებინოს.

ხოლო ყუთლუ-არსლანის „ბიჭთა გონებისა მზაკუარება“ შეიძლება გვიგონო, როგორც „ნამცეცა გონების ბოროტება“, „მცირე გონების გამოჩენა“ — „ბიჭი“, „ნაბიჭი“ და „ნაბიჭვეი“ ძველ ქართულში ხომ ნამცეცებს⁸¹, კერძოდ, ტაბლიდან გადმოცვენულ პურის ნამცეცებს⁸², ე. ი. პატარას, უმნიშვნელოს აღნიშნავს. მემატანის სიტყვების ამგვარი გაგებით იხსნება ის არგუმენტი, რომლის მიხედვით, მკვლევართა ერთი ნაწილი (ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ს. კაკაბაძე, შ. მესხია და სხვ.), მეორე ნაწილის (მ. ჯანაშვილი, ნ. ბერძენიშვილი, პ. ინგოროყვა, გ. სოსელია) საწინააღმდეგოდ⁸³, ყუთლუ-არსლანს დაბალი სოციალური წარმოშობისად მიიჩნევს, როგორც, თითქოს, ნაბიჭვარს, არაკანონიერ ნაშობს.

ამ მოსაზრების ხელშემშლელ გარემოებად შეიძლება ის ჩაითვალოს, რომ „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ ავტორი „ბიჭად“ (ე. ი. ნამცეცად) მოიხსენიებს არა ყუთლუ-არსლანის გონებას, არამედ „ბიჭთა გონებისა მზაკუარებას“ უწოდებს მთლიანად მის მოქმედებას. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ ხელნაწერებში არსებულ ვითარებას — თხზულებას ამ ადგილის წაკითხვებს და შესაძლო ვარიანტების გამოვლენას, ჯერ კიდევ სჭირდება საგანგებო შესწავლა, რაც, ცხადია, სამომავლო საქმედ უნდა დარჩეს და ამის ადგილი აქ არ არის.

თუ დავუბრუნდებით პატრონ რუსუდანის ეჭვის წურილაისძეს, რომლის სახელი წარწერის ტექსტში აღნიშნული არ არის (შეიძლება ასევე მოკრძალებისა და თავმდაბლობის გამო), იგი პატრონ რუსუდანის გაზრდილი ყოფილა. ეჭობობა, რომელიც თავისი ფუნქციით ერთგვარ დაახლოებასაც გულსხმობა, მას დიდ პატივად მიაჩნია თავისთვის და, როგორც ჩანს, სწორედ ამიტომ აღნიშნავს თავისი გამზრდელის შესახებ „უპატიოსნეს-მყო ჩემ ჯორ სახეთასა“ — ი.

78 ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, თხ. ტ. VII, თბ., 1984, გვ. 129.

79 ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქცა, ტ. II, გვ. 30:19,20.

80 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ერთტომეული), თბ., 1986, გვ. 588.

81 ი. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, თბ., 1986, გვ. 63, 419; ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, გვ. 32, 316.

82 შდრ.: „ძალნიცა ტაბლასა ქუეშე ჰამედ ბიჭისაგან შეილთასა“ — მრ. 7,28; „ძალნიცა ჰამედ ნაბიჭსა, გარდამოცვენებულსა ტაბლისაგან უფალთა მათთასა“ — მრ. 15,27; „გული ეტყოდა განძებად ნაბიჭვისაგან, გარდამოცვენებულისა ტაბლისაგან მის მდიდრისა“ — ლკ. 16, 21 და სხვ.

83 ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ტ. III, გვ. 303.



ერთი მხრივ, იგი მართლაც დაახლოებული რომ იყო პატრონ რუსულთან და, მეორე მხრივ, რაღაც წვლილი მიუძღვის იმ პატარა ეკლესიის აგებაში, ამის მაჩვენებელია მისი სახელით ცალკე წარწერის მოთავსება ეკლესიის კედელზე.

ყურადღებას იქცევს ბეთანიის მცირე ეკლესიის სამივე წარწერის ამალღებული, ერთგვარი სახეიმო სტილი. განსაკუთრებით ეს ითქმის პატრონ რუსულანისა და ეკიბ წურილაისძის წარწერების შესახებ. ეს უკანასკნელიც პატრონ რუსულანის განმადიდებელ ატორისტულ ტექსტს შეიცავს — „უზეშთაეს და უმაღლეს ასუფევეთ წინაშე თქუნესა“. მიმართავს წურილაისძე ღმერთს თავისებური, გამორჩეული მიმართვით — „ღმერთო მაღალო, დიდო“.

ერთგვარ ლოცვად ისმის და ასევე მაღალი სტილის კარგი ნიმუშია პატრონ რუსულანის შედგენილი (თუ ეს ასე არ არის, ყოველ შემთხვევაში, მისი პირით მომთხრობი) ორბელთა სახლის მოსახსენებელი წარწერის ერთი ადგილი: „აწცა, შენდავე შემოგხუეწებ; ვითარცა ყოველთა მფარველი და მეორა ხარ, ეგრეთვე მეცა მეოხ მექმენ წინაშე ძისა შენისა და ღმრთისა ჩუენისა, რათა იცხნას სული ჩემი საუკუნოთა სატანჯველთა და განსაცდელთაგან“ — მიმართავს პატრონი რუსულანი ღმრთისმშობელს და ამ თხოვნაშიც, მის ერთგვარ იმპერატიულ კილოში, მოჩანს მტკიცე ხასიათის, ძლიერი ნებისყოფის, მრავალ ჭირ-ვარამის გადამტანი ღირსებით აღსავსე მანდილოსანი, ჭეშმარიტი შვილი თავისი დროისა და თავისი სახლობისა.

როგორც ვხედავთ, ბეთანიის წარწერები XII ს-ის საქართველოს, როგორც პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი, ისე კულტურულ-ინტელექტუალური ცხოვრების მრავალ საინტერესო და მნიშვნელოვან საკითხს უკავშირდება*.

* * *

ვინაიდან ბეთანის მონასტერი, რომლის წარწერებსაც ეს სტატია ეძღვნება, ორბელთა საგვარეულო სამარხავი იყო (თუმცა, სუმბატ I-ის მომდევნო ორბელები ნორავეანქსა და ტათევი იმარხებოდნენ), ამასთანავე, ორბელთა ფეოდალური სახლის სხვადასხვა თაობის წევრთა შესახებ მსჯელობას და მათ ნათესაობრივი ურთიერთმიმართების დამოწმებას ხშირად აქვს ადგილი ამ სტატიაში, ამავე დროს, არ არსებობს ქართულ ენაზე, ან ქართველთა მკითხველისათვის შედარებით ადვილად ხელმისაწვდომი გენეალოგიური ტაბულა ორბელთა საგვარეულოსი (ც. თუმანოვის გენეალოგია, გარდა იმისა, რომ ხშირად დაზუსტებას — შევსებას, ან შესწორებას საჭიროებს, კონცეპტუალურადაც მცდარია; კერძოდ, ბლავაშთა და ორბელთა ფეოდალური სახლები მასთან, რატომღაც, ერთ საგვარეულოდ არის წარმოდგენილი), აქ გამართულ მსჯელობათა მეტი თვალსაჩინოებისათვის, საჭიროა აქვე დაერთოს დამატება ორბელთა ფეოდალური სახლის გენეალოგიური ტაბულა. იგი შედგენილია XIII ს-ის სომეხი ისტორიკოსის, ამ სახლისავე წარმომადგენლის და მისი მემკვიდრის, სტეფანოს ორბელიანის თხზულებაში ორბელთა პირველი ცხრა თაობის შესახებ არსებული, როგორც ნათესაობრივი, ისე ქრონოლოგიური ცნობების საფუძველზე:

* მაღლობას მოვახსენებ ქ-ნ ეკაპრივლოვას, რომლის წინადადებით და ხელშეწყობით ბეთანიის წარწერები ადგილზე შევისწავლე 1981 წლის 18—21 სექტემბერს. წარწერების ფოტოსურათები გადაიღო და დაამზადა ბ-მა იგორ გილგენდორფმა, გარდა ეკიბ წურილაისძის წარწერისა და სამლოცველოს საერთო ხედისა, რომელთა ფოტოები ჩემი გადაღებულია. წარწერების პალეოგრაფიული ასლები დაამზადა ხელნაწერთა ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელმა მამუკა ახალაშვილმა.



В. И. СИЛОГАВА

БЕТАНИЙСКИЕ НАДПИСИ

(Р е з ю м е)

В окрестностях Тбилиси, в 16 км. к юго-западу от города, в живописном ущельи р. Вере, находится монастырь Бетаниа. От древних монастырских построек сохранились главный храм во имя Рождества Богородицы—один из замечательных памятников древнегрузинской архитектуры и построенная к западу от него маленькая церковь-часовня во имя св. Георгия. Время возведения главного храма специалистами определяется концом XII в. или рубежом XII—XIII вв., а маленькая церковь, по имеющейся на ней надписи, в 1196 году уже была построена.

Стены главного храма покрыты великолепной древней росписью, в которой, наряду с фресковыми композициями на религиозные сюжеты в нескольких регистрах, имеются и портретные изображения исторических лиц—на южной стене представлен один из высокопоставленных грузинских вельмож XII века Сумбат Орбели (1128—1161)—эристав-эриставов, амирспасалар и мандатуртухуцес эпохи царствования сына Давида Строителя Димитрия I (1125—1155), а на северной стене представлена сложившаяся окончательно к 10-ым годам XIII века оригинальная, имеющая аналогии в росписях и других церквей (Вардзиа, Кинцвиси и Бертубани), как-бы канонизированная иконографическая композиция—групповой портрет царствующих особ: Георгия III (1156—1184), царицы Тамар (1178—1210) и Георгия-Лаши (1207—1222).

Все эти фресковые изображения снабжены соответствующими пояснительными надписями, а вот лапидарные надписи—строительного, ктитовского, мемориально-поминального или другого содержания, на стенах главного храма не имеются. Зато три лапидарные надписи, довольно обширные и содержательные, сохранились на южной и западной стенах малой церкви. Они были изданы лишь один раз, довольно давно, в 1854 году, акад. Мари Броссе и, к сожалению, неточно, неполно и, исходя из этого, с неправомерными толкованиями. Не говоря о труднодоступности к настоящему времени этого издания, оно сильно устарело и новая, современная публикация бетанийских надписей представляется необходимой.

I надпись, вырезанная на южной стене церкви, такова:

„† Христос Боже, распявшийся ради нас, будь покровителем патронессе Русудан здесь и там—в небесном царствии твоём“.

Обширный текст II надписи, вырезанный на той же южной стене церкви, пониже первой, пострадал больше двух остальных, до нас дошел с



большими лакунами. Восстановив недостающие части, с определенных параллельных материалов, текст II надписи представляется следующим образом:

„В хроникон 416.

Да возвеличит [Бог в царствии небе|сном душу великого С[ум]ба-
[та] [эристава-эристав]ов. В ихнее празление [удостоилась невестка дома
ихнего] стать женой сына ихнего Иване эристава-[эристав]ов, амирспа-
сала[ра и мандатуртухуцеса], я, Русудан—дочь армянского царя Кви-
рике. Матерь Божья, помилуй их душой и [будь им] утешительницею.

А нынче, прошу тебя же, так как являешься покровительницею и
заступницею каждому, [будь] заступницей и мне [перед] Сыном твоим,
Б[огом нашим], чтобы спас он душу мою от вечных муч[ений и испыт-
аний].

И вы, священники, испол[няющие заповеди] Христа, и святые братья
во дни, и все вы грядущие... [помяните нас] присно в поми[начиях ва-
ших]“.

III надпись вырезанная на одной из вставленных в западной сте-
не церкви плит, такова:

„† Боже всевышний, великий, подобно тому, как воспитанника све-
го—лашакоподобного эджиба Цурилайдзе, удостоила превеликой чести
патронесса Русудан, также возвеличите и превознесите её перед Вами.
О них же преклоняюсь, ибо сам являюсь весьма грешным душою“.

Во всех трех надписях главным лицом выступает патронесса
Русудан, жена эристава эриставов Иване Орбели—амирспасалара и
мандатуртухуцеса времён Георгия III (1155—1184). Русудан была одной
из выдающихся личностей своего времени—помимо того, что, по сообще-
нию письменных источников, она много строила и воздвигала пострадав-
шие церкви и монастыри как в Грузии, так и в Армении, широко поль-
зуясь влиянием и положением своего мужа, сама оказалась связующим
звеном трех самых влиятельных родов не только Грузии и Армении, но,
и, можно сказать, всего Кавказа своего времени—дочь Лоре-Таширского
царствующего дома армянских Квирикяноз и невестка всемогущего грузин-
ского (правда, с конца XII века арменизовавшего) феодального дома
Орбелов, она стала и родственницей грузинского царского дома Багратио-
нов—её дочь была замужем за принцем Демна, сыном царя Давида V,
наследника царского престола.

Но и Демна, и супруг Русудан Иване Орбели жестоко заплатились за
восстание против царской власти в 1177 году—Иване Орбели был осле-
плен, а его брат, сын и племянник были казнены; Демна был ослеплен
и околплен, вследствие чего погиб. Видимо, репрессии, проведённые Ге-
оргием III против заговорщиков, миновали лично патронессу Русудан—
она много лет спустя, в 1196 году, в родовой усыпальнице Орбелов, в мо-
настыре Бетаниа, рядом со своей свекровью и его предками, построила
себе малую церковь-усыпальницу, снабдив ее, как видим, обширными над-

большими лакунами. Восстановив недостающие части, с определенных параллельных материалов, текст II надписи представляется следующим образом:

„В хроникон 416.

Да возвеличит [Бог в царствии небе]сном душу великого С[ум]ба[та] [эристава-эристав]ов. В ихне празление [уд]стоила невестка дома ихнего] стать женой сына ихнего Иване эристава-[эристав]ов, амирспасалара и мандатуртухуцеса], я, Русудан—дочь армянского царя Квирике. Матерь Божья, помилуй их душой и [будь им] утешительницею.

А нынче, прошу тебя же, так как являешься покровительницею и заступницею каждому, [будь] заступницей и мне [перед] Сыном твоим, Б[ог]ом нашим], чтобы спас он душу мою от вечных му[ч]ений и испытаний].

И вы, священники, испол[няющие заповеди] Христа, и святые братья во дше, и все вы грядущие... [помяните нас] присно в пом[инаниях ваших]“.

III надпись вырезанная на одной из вставленных в западной стене церкви плит, такова:

„† Боже всевышний, великий, подобно тому, как воспитанника всего—лишакоподобного эджиба Цурилайсдзе, удостоила превеликой чести патронесса Русудан, также возвеличите и превознесите её перед Вами. О них же преклоняюсь, ибо сам являюсь весьма грешным душою“.

Во всех трех надписях главным лицом выступает патронесса Русудан, жена эристава эриставов Иване Орбели—амирспасалара и мандатуртухуцеса времён Георгия III (1155—1184). Русудан была одной из выдающихся личностей своего времени—помимо того, что, по сообщению письменных источников, она много строила и воз[в]озд[в]игала пострадавшие церкви и монастыри как в Грузии, так и в Армении, широко пользуясь влиянием и положением своего мужа, сама оказалась связующим звеном трех самых влиятельных родов не только Грузии и Армении, но, и, можно сказать, всего Кавказа своего времени—дочь Лоре-Таширского царствующего дома армянских Квирикяноз и невестка всеильного грузинского (правда, с конца XII века арменизировавшего) феодального дома Орбелов, она стала и родственницей грузинского царского дома Багратионов—её дочь была замужем за принцем Демна, сыном царя Давида V, наследника царского престола.

Но и Демна, и супруг Русудан Иване Орбели жестоко заплатились за восстание против царской власти в 1177 году—Иване Орбели был ослеплен, а его брат, сын и племянник были казнены; Демна был ослеплен и околпел, вследствие чего погиб. Видимо, репрессии, проведённые Георгием III против заговорщиков, миновали лично патронессу Русудан—она много лет спустя, в 1196 году, в родовой усыпальнице Орбелов, в монастыре Бетаниа, рядом со своей свекровью и его предками, построила себе малую церковь-усыпальницу, снабдив ее, как видим, обширными над-

VALERI SILOGAVA

THE INSCRIPTIONS OF BETANIA

Summary

The monastery of Betania is situated in the vicinity of Tbilisi, within 16 km. south-west of the city, in the picture-sque ravine of the river Vere. Of the old monastic structures extant are the principal church in the name of the Birth of the Mother of God—one of the brilliant monuments of old Georgian architecture—and a small chapel in the name of St. George, annexed to it to the west. According to specialist opinion, the principal church was erected at the end of the 12th- or at the turn of the 12th and 13th cent., while the chapel had already been built by 1196, as evidenced by an inscription on it.

The walls of the principal church are covered with magnificent paintings. Along with fresco compositions on religious subjects in several registers, there are portrait representations of historical personages. The southern wall features the portrait of Sumbat Orbeli (1128-1161), a high-ranking 12th-cent. Georgian noble (eristavi-of-eristavis, amirspasalar and mandaturtukhutsesi) of the period of the reign of Demetre I (1125-1155), son of David the Builder. Represented on the northern wall is a group portrait of the reigning monarchs: Giorgi III (1156-1184), Queen Tamar (1184-1210), and Giorgi-Lasha (1207-1222). This original iconographic composition—canonized as it were—which took final shape in the first decade of the 13th cent. has analogies in the murals of other churches too (Vardzia, Qintsvisi, and Bertubani).

All these mural images are furnished with relevant explanatory inscriptions. There are no constructional, donor's, commemorative or other inscriptions on the walls of the principal church. However, three [fairly extensive and interesting inscriptions have survived on the southern and western walls of the chapel. These inscriptions have been published only once, in 1854, by Acad. M. Brosset. Unfortunately that publication reproduced the inscriptions imprecisely and incompletely, resulting in erroneous interpretations. Apart from the inaccessibility of the 1854 publication, it is much outdated, making an up-to-date publication of the Betania inscriptions imperative.

Inscription I, carved on the southern wall of the chapel, is as follows:

„Thou, Christ the Lord, who was crucified on a cross on our behalf, be a protector of Rusudan the patroness, both here and there—in your Heavenly Kingdom“.

The extensive text of inscription II, carved on the same southern wall of the chapel, below the first, has suffered more damage than the other two,



coming down to us with many lacunae. Following a reconstruction of the missing parts and reference to definite parallel materials, the text of inscription II assumes this form:

„In Chronicon 416.

Let God exalt in the Heavenly Kingdom the soul of the great Sumbat, eristavi of eristavis. In their rule the bride of their house had the honour of becoming the wife of their son Ivane, eristavi of eristavis, amirspasalar and mandaturtikhutsesi. I, Rusudan, daughter of the Armenian king Koirike. Mother of God, be graceful to their souls and be their comforter.

And now I beg thee, since you are protectress and intercessor for everyone, be an intercessor for me too before your son, our God, so that He save my soul from eternal torments and trials.

And you, priests carrying out the commandments of Christ, and holy brethren in soul, and all future... mention us together in your remembrances“.

The following is inscription III, carved on one of the slabs in the western wall:

„God, the Most High and great, in the same way as the patroness Rusudan did great honour to the hinny-like chamberlain Tsurilaisdze, so I glorify and extol her before You. I am bending my knee on their behalf, for myself am very sinful in my soul“.

The patroness Rusudan emerges as the principal personage in the three inscriptions cited. She was the wife of Ivane Orbeli, the eristavi of eristavis and amirspasalar and mandaturtikhutsesi of the times of Giorgi III (1155-1184). Rusudan was an outstanding personality of her epoch. According to the written sources, she engaged in extensive construction and renovation of damaged churches and monasteries both in Georgia and in Armenia. Furthermore, taking advantage of the influence and standing of her husband, she linked, through family relations, the three most influential houses not only of Georgia and Armenia but, it may be said, of the entire Caucasus of her time. Being the daughter of the Lore-Tashir reigning house of the Armenian Kvirikids and daughter-in-law of the all-powerful Georgian feudal house of the Orbelis (to be sure, Armenized from the end of the 12th cent.), she became related to the Georgian royal house of the Bagrationis: her daughter was wedded to Prince Demna, son of King David V and heir to the throne.

However, both Demna and Ivane Orbeli's spouse Rusudan had to pay a heavy price for their rebellion against the royal power in 1177. Ivane Orbeli was blinded, while his brother, son and nephew were put to death. Demna was blinded and castrated, dying as a result. Giorgi III's reprisals against the conspirators appear to have bypassed the person of the patroness Rusudan, for many years later (in 1196) she built for herself a chapel-cum-burial-vault alongside that of her mother-in-law and her ancestors in the family vault of the Orbelis in the monastery of Betania. She furnished the chapel with extensive inscriptions in Old Georgian asomtavruli, daring to mention her disgraced spouse and his father, the great Sumbat Orbeli.

The assertion of the 13th cent. Armenian historian Stepanoz Orbeliani (incidentally, an offspring of the Georgian Orbelis) on the complete and final extermination and expulsion from Georgia of the Orbelis, both male and female, as a result of the reprisals carried out by Giorgi III after the crushing of the 1177 rebellion obviously lacks ground. In Queen Tamar's reign (1178-1210) towards the end of the 12th cent., the Orbelis were partially rehabilitated in their "civic and political rights" (N. Eerdzenishvili). One of Orbeli's nephews, Ivane, the son of his brother Liparit, was allowed back to Georgia, with the restoration to him of one of his family domains, viz. Orbeti.

The construction by the patroness Rusudan, of a chapel-vault in the family monastery of the Orbelis in Betania and supplying it with relevant inscriptions seem to have been a sequel to this rehabilitation.

The inscriptions of Betania and the persons referred to in them are related to the turbulent and widely-known political developments in 12th cent. Georgia. This renders them valuable for the elucidation of questions of the political, state, cultural, and intellectual life of Georgia of the period under discussion.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ს. კანაშვიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა

ნატყუარია თუ არა 1594 წ. სიმონ I-ის გაცემული წყალობის წიგნი?

დავა სიმონ მეფის 1594 წლის წყალობის წიგნის გამო 1976 წლიდან მოდის, როდესაც ჟურნალ „მაცნეში“ ბატონმა დ. გოგოლაძემ გამოაქვეყნა წერილი: „სიმონ მეფის 1594 წლის წყალობის წიგნი“¹. რადგან მას შემდეგ დიდმა დრომ გაიარა მკითხველს შევახსენებ, რომ ამ წერილში ავტორმა დედნად აღიარა კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული სოფ. ლისის წყალობის წიგნი (Hd 1810), ხოლო საქართველოს ცენტრარქივში არსებული მისი პირი ნაყალბევად ჩათვალა². ამავე დროს ავტორმა სცადა დაესაბუთებინა, რომ სოფ. ლისი 1594 წ. სიმონ მეფემ გიორგი სააკაძეს კი არ უწყალობა, როგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურაშია მიღებული, არამედ სხვა პიროვნებას. მისი ვარაუდით საბუთის მიმღები შეიძლებოდა ყოფილიყო ტო-ხვაძე, სა-ხვაძე, სო-ხვაძე და ა. შ. „მაგრამ უფრო თითქოს გვარის პირველი ორი ასო „ტო“ (ტო-ხვაძე) ჩანს... ამ გვარად, საბუთის დედნის დაკვირვებით წაკითხვის შედეგად მკვლევარმა შეიძლება ივარაუდოს, რომ წიგნი გაცემულია გიორგი [ტო]ხვაძისადმი“ — ასკენიდა ავტორი³.

ასე კითხულობდა და ფიქრობდა დ. გოგოლაძე ვიდრე გაეცნობოდა Hd 2435 საბუთს — გიორგი X-ის მიერ უსახელო ბოხვაძისათვის სოფ. ლისის წყალობის წიგნი. ამის შემდეგ ისე, რომ არ მოუწლია წერილში მოტანილი მოსაზრება [ტო]ხვაძის შესახებ, Hd 2435 საბუთის მონაცემების მიხედვით იქვე, ერთი გვერდის შემდეგ წერდა: „გაირკვა, რომ მეფის მიერ 1594 წელს სოფელ ლისის წყალობის წიგნი უფრო მრცემული უნდა იყოს გიორგი ბოხვაძისათვის, რომ სომონისა და გიორგის მიერ გაცემული საბუთების შედარების შედეგად, სიმონ მეფის 1594 წლის საბუთში უფრო სავარაუდო გიორგი [ბო]ხვაძეა...“⁴ ამრიგად, ავტორისათვის სულერთი იყო ვინ იქნებოდა საბუთის მიმღები: ტო-ხვაძე, ბო-ხვაძე, სა-ხვაძე, სო-ხვაძე თუ კიდევ სხვა... მთავარი იყო მტკიცება, რომ არ ყოფილიყო „საკაძე“. „საკითხისათვის ამას (ბო-ხვაძე თუ ტო-ხვაძე) აქ არსებითი

1 „მაცნე“, ისტორიის სერია, 1976, № 4. (ქვემოთ მივუთითებთ: დ. გოგოლაძე, 1975).

2 იქვე, გვ. 161.

3 ხაზასმა აქაც და ქვემოთ ყველგან ჩვენია (დ. შ.)

4 დ. გოგოლაძე, 1976, გვ. 163.

5 იქვე, გვ. 165. Hd 2435 საბუთში საბუთის მიმღების სახელი არ წერია, მაგრამ ეს დ. გოგოლაძისათვის დაბრკოლება არ აღმოჩნდა და ყოველგვარი დასაბუთების გარეშე სრულიად მოულოდნელად უსახელო ბოხვაძე „გიორგი ბოხვაძე“ იქცა.

მნიშვნელობა არა აქვს. რაც მთავარია აშკარად გაირკვა, რომ სიმონ მეფის 1594 წლის ლისის წყალობის წიგნი არ არის მიცემული გიორგი სააკაძისათვის, და, რომ აღნიშნულ საბუთში „სააკაძე“ არ წერია“⁶.

1978 წ. № 4 ე. „მაცნეში“ გამოქვეყნებულ საპასუხო წერილი „ისევ სიმონ მეფის 1594 წლის საბუთის შესახებ“⁷, სადაც დავსაბუთეთ, რომ 1. დ. გოგოლაძის მიერ დედნებად მიჩნეული Hd 1810 და Hd 2435 საბუთები ორივე ნატყუარია; 2. Hd 1810 საბუთის შედგენისას გამოყენებული იყო არსებული დოკუმენტის დედანი (ან დედანში ასახული სინამდვილე), საიდანაც ირკვეოდა, რომ ლისი გიორგი სააკაძისათვის ნაბოძები იყო სიმონ I-ის მიერ; 3. სააკაძეთარხნიშვილებში Hd 1810 საბუთი მიღებული იყო, როგორც დედანი, ამიტომაც რუსეთის მმართველობამ იგი 1821 წ. უყოყმანოდ გაატარა რეგისტრაციაში. 4. ს. კაკაბაძის მიერ გამოქვეყნებული საქართველოს ცენტრალურ არქივში დაცული 1594 წ. საბუთის პირი გადაღებულია სწორედ Hd 1810 საბუთიდან. 5. Hd 2435 საბუთი ნატყუარია მთლიანად. იქ უსახელოდ მოხსენიებული ბოხვაძე არაა რეალური პიროვნება; 6. Hd 2435 საბუთი ნატყუარად მიიჩნეეს იმთავითვე, როგორც კი სიძველეთსაცავში მოხვდა ჩვენი საუკუნის 30-იან წწ., 7. Hd 1810 და Hd 2435 საბუთების გაყალბება მომხდარა XVIII ს. 50-იან წწ. უმემკვიდრეოდ (-უძეოდ) გარდაცვლილი ზაზა თარხნიშვილის დაქვრივებული მეუღლის (ჯალაბ) დარეჯანის მიერ; 8. საბუთების გაყალბება მომხდარა სამამულო დავასთან დაკავშირებით.

ეს მოსაზრებები დ. გოგოლაძემ რატომღაც პირად შეუტრაცყოფად მიიჩნია და ნაცვლად იმისა, რომ დასაბუთებული პასუხები მოეცა, 1984 წ. გამოქვეყნებულ საპასუხო წერილში: „კიდევ ერთხელ სიმონ მეფის 1594 წლის წყალობის წიგნის შესახებ და ქართული დიპლომატიკის ზოგიერთი საკითხი“ საკმაოდ არაკორექტულად მცდელობა იქითკენ წარიმართა, რომ მკითხველი დაერწმუნებინა დ. მეგრელაძის უცოდინარობა — უვიცობა — ულოგიკობა — უსუსურობაში, რამაც დ. გოგოლაძის წერილს აკადემიური ტონი და მეცნიერული ობიექტურობა დაუკარგა.

1984 წ. გამოქვეყნებული წერილი⁸ დ. გოგოლაძეს რვა ძირითად პუნქტად დაუყვია. ამ პუნქტების ქვეშ ქვეპუნქტები და ქვეპუნქტებს დაქვემდებარებული პუნქტები შეუტანია. საერთოდ 40-ზე მეტი პუნქტი გამოუტანია, სადაც ჩემი გამოქვეყნებული არც ერთი დასკვნა, არც ერთი მსჯელობა, არც ერთი არგუმენტი მიღებული არაა. მიუხედავად იმისა, რომ არც ერთ შემთხვევაში ჩემი არგუმენტების საპირისპიროდ კონკრეტული, დამაჯერებელი ფაქტები მოყვანილი არაა დ. გოგოლაძის გამოტანილ ყველა საკითხზე პასუხის გაცემა ძალიან შორს წაგვიყვანდა, რამდენადაც იქ ხშირად საყოველთაოდ ცნობილ, ან უკვე პასუხგაცემულ საკითხებზე გაჭიანურებული მსჯელობებია. ყველაფერზე პასუხის გაცემა ერთხელ უკვე ნათქვამის და გამოქვეყნებულის გამეორება იქნებოდა... ამიტომ ამ წერილში ორ ძირითად საკითხზე გავამახვილებ ყურადღებას: 1. ნამდვილად ყალბია თუ არა Hd 1810 და Hd 2435 დოკუმენტი.

6 დ. გოგოლაძე, 1976; გვ. 165.

7 ქვემოთ მივუთითებთ მოკლედ: დ. მეგრელაძე, 1978.

8 „მაცნე“, 1984, № 1. (ქვემოთ მივუთითებთ მოკლედ: დ. გოგოლაძე, 1984).



რიზონტალური შტრიხი (ასო „ს“- სტრიქონის ხაზზე მდებარე რომლებიც არ ქმნიან თავისი მოხაზულობით რაიმე წერით ნიშანს. ამავე საბუთის მეშვიდე სტრიქონზე სიტყვა „ამ“-სა და გვარს შორის ინტერვალის შესწავლით გვარის წინ მოსჩანს ჰორიზონტალური წყვეტილი შტრიხები, რომლებიც თავიანთი მოხაზულობით არ ქმნიან რაიმე წერით ნიშნებს“ (ხაზგასმა ჩემია დ. მ.).

საბუთების სიყალბის ერთ-ერთ არგუმენტად ჩემს გამოკვლევაში 1978 წ. Hd 1810 და Hd 2435 საბუთებზე დასმული მეფეთა ხელრთვები მივიჩნიე. Hd 1810 საბუთზე დასმული სიმონ მეფის მიმსგავსებულ ხელრთვა შევეუდარე სიმონ მეფისავე ნამდვილი, ოღონდ Hd 1810 საბუთზე დასმული ყალბი ხელრთვის მსგავსი ხელრთვები, რომლებიც სრულდებოდა ხელის აულებლად (პარაფი — ფრანგ. Paraphel). გაირკვა, რომ ყალბისმქნელი ამასვერ ახერხებდა. ჩემი ეს დაკვირვება დ. გოგოლაძემ დაცინვის საგნად გაიხადა და რაღაც ახირებული, არაფრისმთქმელი „პარაფის უწყვეტობისა და ფორმის კანონის „აღმოჩენა“ მომაწერა. ამ საკითხზე საკმოდ ვრცელი, ზედმეტად გადატვირთული არამეცნიერული მსჯელობა გამართა და საქმე ისე წარმოადგინა, თითქოს მე სადმე ვამბობდე, რომ საერთოდ მეფის ხელრთვა არ შეიძლება შესრულდეს ხელალებით და არც ხაზებმა შეიძლება გადაკვეთონ ერთმანეთი.

მსგავსი არაფერი მითქვამს!

წერილში მე ვამბობდი, რომ Hd 1810 საბუთზე გაკეთებული სიმონ მეფის პარაფი განსხვავდება მისივე სხვა მსგავსი პარაფებისაგან, რომ იგი წყდება და მისი წერა გრძელდება ახალი წერტილიდან. აქვე ფრჩხილებში ვანუშარტავ კიდევ რა არის პარაფი: „ხელის ერთი მოსმით გაკეთებული ხელრთვა“ (1978, გვ. 148), ე. ი. ხელაულებლად გაკეთებული ხელმოწერა¹². ასეთ შემთხვევებში, ხაზები კი გადაკვეთდნენ ხოლმე ერთმანეთს, მაგრამ ხელმოწერის დროს ხაზი არ უნდა გაწყდეს.

ჩემი ეს ვარაუდიც, რომ Hd 1810 საბუთზე მეფის ხელმოწერა არ ემსგავსებოდა სიმონ მეფის სხვა ხელმოწერებს სპეციალისტმა ექსპერტმა დაადასტურა. თავის დასკვნაში იგი წერს: „ხელმოწერის ვიზუალური დათვალიერებით და მიკროსკოპ-„МБС—9“ შესწავლით, ხელმოწერის შესრულებისას აღინიშნება, თანაბარი მოძრაობა, შეჩერებები, ხელრთვის შესრულებისას რამდენიმე მოძრაობა¹³.

ჩამოთვლილი ნიშნები მიუთითებენ იმაზე, რომ ხელმოწერა შესრულებულია შენიღბულ ტემპში...

გამოსაკვლევ ხელმოწერაში ხელრთვა შესრულებულია ორი მოძრაობით, ვერტიკალურ ხაზზე აღინიშნება მარყუჟის დამამთავრებელი წერტილი და საწყისი წერტილი (4) ვაგრძელება ხელრთვის. ნიშნუშებში ხელრთვა შესრულებულია ერთი მოძრაობით.

აღნიშნული განსხვავებანი ხელის ნიშნების მიხედვით საკმარისია კატეგორიული უარყოფითი დასკვნებისათვის იმის შესახებ, რომ გამოკვლევასზე წარმოდგენილი ქართლის მეფის სიმონის ხელისმოწე-

¹² პარაფი აღნიშნავს ინიციალებსაც, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში ეს სრულიად გამორიცხულია!

¹³ ეს ის მოძრაობებია, რასაც მე „აკანკალებული ხელით“ დაწერილი ვუწოდებ და დ. გოგოლაძემ დიდად გაიკვირვა (დ. გოგოლაძე 1984, გვ. 148).



რა შესრულებული Hd 1810 დოკუმენტზე და ნიმუშად წარმოდგენილი სიმონ მეფის ხელისმოწერები შესრულებულია სხვადასხვა პირის მიერ“ (ხაზგასმა ჩემია დ. მ.).

ამრიგად, ჩემი კიდევ ერთი ვარაუდი Hd 1810 საბუთის ნატყუარობის დასაბუთებლად — სიმონ მეფის ხელმოწერის სიყალბე გრაფიკულმა ექსპერტიზამაც დაადასტურა.

ექსპერტიზამ ასევე ყალბად ცნო გიორგი მეფის ხელმოწერა Hd 2435 საბუთზე. ექსპერტი სპეციალისტის დასკვნით: Hd 2435 საბუთზე გიორგი X-ის „ხელმოწერის ვიზუალური დათვალიერებითა და მიკროსკოპ „МСС-9“ შესწავლით აღინიშნება უსაფუძვლო შეჩერებები, ორმაგი შტრიხები. ჩამოთვლილი ნიშნები მიუთითებენ იმას, რომ ხელმოწერა შესრულებულია შენელებული ტემპით... გამოსაკვლევი ხელმოწერა ქართლის მეფის გიორგი X-ის სახელით Hd 2435 საბუთზე და ნიმუშად წარმოდგენილი მეფის გიორგი X-ის ხელმოწერები (1600—1605) შესრულებულია სხვადასხვა პირის მიერ.

ზოგიერთი თანადამთხვევები, რომლებიც არსებობს გამოსაკვლევ ხელმოწერასა და ნიმუშებს შორის (საერთო აგებულება) ვერ მოახდენენ გავლენას კატეგორიულ უარყოფით დასკვნაზე, ვინაიდან ისინი გამოწვეული უნდა იყოს მიმსგავსებით¹⁴.

ამრიგად, დ. გოგოლაძის მტკიცება, რომ „1605 წელს ბოხეაძისადმი გაცემულ საბუთზე ყალბისმქნელის შესრულებული ხელრთვა კი არ არის, არამედ გიორგი X-ის ხელრთვაა“¹⁵ გრაფიკულმა ექსპერტიზამ არ დაამტკიცა.

სპეციალისტ-ექსპერტის მარტო ეს მონაცემებიც სავსებით საკმარისია, რომ საკვლევი დოკუმენტები ნატყუარად ვაღიაროთ და შეიძლებოდა მეცნიერული კამათიც აქ შეწყვეტილიყო, მაგრამ რადგან დ. გოგოლაძეს მიზნად დაუსახავს „ქართული დიპლომატიის ზოგიერთი საკითხის“ გადაჭრა, იძულებული ვხდებით მის მიერ წამოჭრილი საკითხების შესახებ გავაგრძელოთ კამათი.

მკითხველი დამეთანხმება, რომ ძნელია კამათი მეცნიერებთან, რომელმაც სტამბურად დაბეჭდილი, გამოქვეყნებული ტექსტიდან სწორად ვერ გადაიწერა „ავვისტო“ და იგი რატომღაც „ოქტომბრად“ აქცია.

ჩემს წერილში ვწერდი „გიორგი სააკაძემ ლისი წყალობად მიიღო 1594 წლის 10 ავვისტოს“¹⁶, ამის საფუძველს იძლევა თვით დოკუმენტის თარიღი: „ქკს სპბ მარიაშობისთვის ათს“¹⁷. დ. გოგოლაძესთან კი ავვისტო — ოქტომბრად იქცა. დ. გოგოლაძე წერს: დ. მეგრელაძე აცხადებს არსებობდა

14 იმის ნიმუშად, რომ ხელრთვა „გიორგი“ არ შეიძლება შესრულდეს ხელაუღებლად დ. გოგოლაძეს მოაქვს ფ. 1448 № 5266 დოკუმენტი. საქმე ისაა, რომ აქ მეხუთე ასო გ-ს მუცელში ჩასმული ასო ი-ნი სახელის გიორგის შემდეგ დეკორატიული დეტალის ვორც სიტყვაში შემავალ ასოს, მაშინ მეფის სახელი უნდა წაგვეკითხა როგორც „გიორგი“. რადგანაც ერთი ი-ნი მეხუთე ასოს გ-ს შემდეგ ხელრთვაში ისედაც ზის (დ. მ.).

15 დ. გოგოლაძე, 1984, გვ. 157.

16 დ. მეგრელაძე, 1978, გვ. 158.

17 დ. გოგოლაძე, 1984, გვ. 151.

1594 წ. სიმონ მეფის გაცემული ნამდვილი საბუთი და წარმოდგენილი თიხის
 1594 წლის 10 ოქტომბრის თარიღით¹⁸. შეიძლება გვეჩქრა, რომ აქ კალმის
 ლაფსუსია და ამისთვის ყურადღება არ მიგვექცია, რომ იგივე არ მეორდება-
 დეს: „არავითარი პირდაპირი ან არაპირდაპირი რაიმე საბუთი თითქოს სიმონ
 მეფეს გიორგი სააკაძისათვის ეწყალობებინოს ლისი, თანაც 1594 წელს 10
 ოქტომბერს არ არსებობს“. აქედან დასკვნა: როდესაც ერთი და იგივე შეცდომა
 მეორდება ეს უკვე ლაფსუსი აღარაა!

დ. გოგოლაძე ბრალს მდებს, რომ „რეცენზენტს“ (ე. ი. დ. მეგრელიძე)
 „აშკარა წინააღმდეგობა ახასიათებს, როცა მას სჭირდება ყალბის მქმნელი წიგ-
 ნიერია, ხოლო როცა არ აწყობს — სრულიად უწიგნურია“⁹ — და უმსახურ-
 ებელი ბრალდება! საქმე ისაა, რომ წერილში Hd 1810 საბუთის ანალიზი
 წარმოდგენილი მაქვს „ეტაპობრივად“ იმის საილუსტრაციოდ თუ როგორ მა-
 ვიდი მიღებულ დასკვნამდე (1878, გვ. გვ. 146—149), რაც პუნქტობრივად ასე
 ყალიბდება:

1. როდესაც საბუთში კითხულობთ „... ასრე რომე თემი დაარსბლა ბაგ-
 რატიან გზანილა იმის წიგნები ქონდა და სხვა მრავალი ხემაწიფბის...“ და
 ა. შ. მკითხველი დამეთანხმება, მართლაც, პირველი შთაბეჭდილება იქმნება,
 რომ „საბუთი მეტად უწიგნურადაა და წერილი“ და აქვე აღ-
 ნიშნული მაქვს, რომ 102 სიტყვიან საბუთში დაშვებულია 45-ზე მეტი შეც-
 დომა (1978, გვ. 146); 2. შემდეგი დაკვირვების შედეგად ვწერ „Hd 1810 დო-
 კუმენტის დამწერი ერთი შეხედვით ნაკლებ წიგნი-
 ერი პირი ჩანს“. იქვე სტოლიოში კი ვწერ: „თუ ასეთი
 ილუზიის შექმნას იგი ხელოვნურად არ ცდილობს, რას
 შესახება ქვემოთ გვექნება ლაპარაკი“ (გვ. 147); 3. ჩემი წერილის 147—148
 გვ. გვ. მოტანილი მაქვს საბუთში დაშვებული დამწერის შვიდი სხვადასხვა
 ხასიათის შეცდომა, რომელსაც ემატება მეფის ხელრთვა. ამის შემდეგ მე ვსვამ
 კითხვას: „ხო მარ უნდა იყოს Hd 1810 საბუთი დედნიდან უწიგ-
 ნური კაცის მიერ გადმოღებული პირი?“ და იქვე ვპასუხობ:
 „ვფიქრობთ, რომ არა!“; 4. ამის შემდეგ დასმული მაქვს კითხვა „უწიგ-
 ნურია თუ არასინამდვილეში Hd 1810 საბუთის დამწერი?“ —
 ვფიქრობთ, რომ არა!“ (გვ. 149). შემდეგ კი მოტანილი მაქვს სათანადო
 მაგალითები, საიდანაც ჩანს, რომ საბუთის დამწერს შეუძლია საე-
 სებით გამართულად წერა; 5. ბოლოს კალიგრაფიის შემოწმებამ და
 გვარწმუნა, რომ „დამწერი არც ისე უწიგნურია, როგორი შთაბეჭდილებაც
 იქმნება საბუთის პირველად გაცნობისას და მას გარკვეული სკოლა აქვს
 გავლილი“ (გვ. 149). ამის შემდეგ, ვფიქრობთ, მკითხველისათვის ნათელია,
 რომ „რეცენზენტი“ არავითარ წინააღმდეგობაში არ ჩავარდნილა... და არც
 დ. გოგოლაძე შეიყვანდა მკითხველს შეცდომაში თუ თანმიმდევრულად, შესა-
 ბამისად ისარგებლებდა წარმოდგენილი დაკვირვებებით.

დ. გოგოლაძე იმასაც კი მომაწერს თითქოს მე ვაცხადებდე, რომ Hd 2435
 საბუთი „იმავე გამყალბებელმა შეადგინა, რომელმაც შეადგინა სიმონ I-ის
 1594 წლის საბუთი“ (1984, გვ. 157). მას კი ასეთი ბრალდების საფუძველი არა
 აქვს. მე მხოლოდ ვარაუდი გამოვთქვი, რომ „შესაძლოა ეს ორი საბუთი ერთი

¹⁸ დ. გოგოლაძე, 1984, გვ. 151.

¹⁹ იქვე, გვ. 154.



ხელითაც იყოს დაწერილი, მაგრამ დაბეჭდილებით ამ ფიქტურული ექსპერტიზის გარეშე ძნელდება“ (1978, გვ. 160-161-ე პოლით)²⁰. განა ეს იგივეა რასაც დ. გოგოლაძე მომაწერს? მაგრამ მას ეს „ბრალდება“ ჩემს გასამტყუნებლად სჭირდება, რათა შემდეგ დამწამოს თითქოს მე ვამბობდე, რომ ამ „წიგნიერმა“ ყალბისმქნელმა (Hd 1810 გამყალბებელმა!) არ იცის ქორონიონის დაწერა (Hd 2435 საბუთზეო)! სამწუხაროდ, დ. გოგოლაძის წერილში მრავლადაა კამათის ასეთი ნიმუშები, რის ჩამოთვლაც ძალიან შორს წაგვიყვანდა...

განსაკუთრებით უნდა შევჩერდე Hd 2435 საბუთთან დაკავშირებულ რამდენიმე საკითხზე.

1. მეფის ხელრთვის სიყალბე ჩემთვის და, ალბათ, მკითხველისთვისაც უკვე უმეპვილია და აღარ გავიმეორებ (დ. მეგრელაძე, 1978. გრაფიკული ექსპერტიზა, აქვე); 2. 1978 წ. მე ვწერდი, რომ Hd 2435 საბუთში მხოლოდ გვართ, სახელის გარეშე დასახელებული ბოხვადე არ შეიძლება იყოს რეალური პიროვნება. დ. გოგოლაძემ საკმაოდ ვრცელი პასუხით სცადა დაესაბუთებინა, რომ წყალობის წიგნში შესაძლო იყო ადრესატი მხოლოდ გვართ მოეხსენებინათ და ამის მაგალითად სხვა რომ ვერაფერი იპოვა, ისევ სადავო ბოხვადეს მიმართა²¹. და კიდევ შემომიტია მარტო გვართ კი არა ადრესატები მარტო სახელითაც გვხვდებიანო. განა ვამბობ სადმე, რომ მხოლოდ სახელით არ იხსენიებიან ისტორიულ საბუთებში პირები? — განჩინების, გაყრის წიგნებში, წილის ბარათებში, კერძო ხსიათის მიმართებებში მხოლოდ და მხოლოდ სახელებია ფიქსირებული.

ასევე ვერ უპირისპირდება ჩემს მოსაზრებას, რომ „მხოლოდ გვართ“ მოხსენიება წყალობა-ბოძების წიგნებში საეჭვოა მეთქი, დ. გოგოლაძის მოტანილი მაგალითები, სადაც იხსენიებიან ეზონ ჩუხჩერახი პიპო, სალთხუცესი ზურაბი, მოურავი სოლომონ და სხვა. ამ მაგალითებში ყველგან იხსენიება თანამდებობა და სახელი და არა მხოლოდ გვარი. უფრო მეტიც, დ. გოგოლაძე ბრალს მდებს, თითქოს ჩემი მოსაზრება და მოთხოვნა იყოს, რომ „მამულის თუ სხვა სახის წყალობის დოკუმენტის შედგენისას უთუოდ ჩაეწერათ არა მარტო ადრესატის გვარი და სახელი, არამედ მისი ძმები, ბიძაშვილები, შვილები, შვილიშვილები და არარსებული მომავალი შთამომავლობა“²². მაგალითებისათვის შორს არ წავალ, დ. გოგოლაძის მიერ მოტანილი საბუთებიდანვე მოვიტან ნიმუშებს. მაგ., იოანე (ქსძ, III, გვ. 532) წყალობას ღებულობს თავის ძმასთან, შვილებთან და სახლის „მომავალთა“ ე. ი. ჯერ არარსებულ, მომავალ შთამომავლებთან ერთდ. სავსებით სწორია დ. გოგოლაძე როცა წერს, რომ ურდოელი შერქმეული სახელი იყო, მაგრამ რატომ არ მიაქცია მან ყურადღება იმას, რომ ალექსანდრე მეფემ წყალობა უბოძა კარის მუშრიბ ურდოელს, მის შვილს სუმბატს და აგრეთვე მის „შვილთა და მომავალთა“ (ქსძ, III, გვ. 124). მამულის წყალობა — ბოძების დოკუმენტებში „მომავლის“ მოხსენიება აუცილებელი იყო, რამდენადაც საქმე სამეცკვიდრეო ქონებას ეხებოდა, მგრამ თუ წყალობა სამეცკვიდრეო არ იყო,

²⁰ გრაფიკულმა ექსპერტიზამ კი ეს ორი საბუთი ორი სხვადასხვა ხელით დაწერილად ცნო.

²¹ დ. გოგოლაძე, 1984, გვ. 160.

²² იქვე, გვ. 161.

და ეხებოდა სახელოს, ჯამაგირს და ა. შ. ასეთ შემთხვევებში იწერებოდა. ამიტომაც დ. გოგოლაძის მოტანილი სოლომონი, რომელსაც ბერძენაულის მოუწრაობა უბოძეს, მხოლოდ სახელით მოხსენიებული. მაგალითების გამრავლება კიდევ შეიძლებოდა...

საუკუნეთა მანძილზე ქართული ისტორიული დოკუმენტების შედგენის ჩამოყალიბებული წესი არსებობდა და ყოველი სახის დოკუმენტი გარკვეული ნიმუშის გარკვეული ტრაფარეტის მიხედვით დგებოდა²³. აქედან მომდინარეობდა ერთი ეპოქის, ერთი სახეობის დოკუმენტების მსგავსებაც, რაც დიპლომატიკაში მომუშავე პირისათვის არც თუ ისე ძნელი შესაცნობია! მაგრამ როცა საგრძნობლადაა დარღვეული ამა თუ იმ ეპოქის საბუთის შედგენის წესი, XX საუკუნის ისტორიკოსმა ამის მიზეზი უნდა ეძებოს...

იმისათვის რომ ბოხვაძე რეალურ პიროვნებად აქციოს დ. გოგოლაძეს საკმაოდ ვრცელი მსჯელობა აქვს გაშლილი და შესაძლებლად თვლის, რომ ბოხვაძეები ის „გურიელნი აზნაურნი“ არიან, რომლებიც ბაგრატ IV-ის (1027—1072) ლაშქარში მსახურობდნენ, მეფეს ქართლში გადმოჰყვენენ და მისი აზრით შემდგომში წყალობად ლისი მიიღეს²⁴. მატინე ქართლისაჲში მოთხრობილი ამბავი XI ს-ის შუახანებს ეხება და წყაროდან აშკარად ჩანს, რომ „გურიელნი აზნაურნი“ მეფეს ქართლში კი არ გადმოჰყვენენ, არამედ დარჩნენ ხუფათს, სადაც ბრძოლა გამართეს ლომსიანებთან ერთად. ხუფათი კი „აფხაზეთის ზღვს პირას“ — დასავლეთ საქართველოში მდებარეობდა²⁵.

იმისათვის რომ ლისის წყალობა ბოხვაძისათვის დამაჯერებელი იყოს დ. გოგოლაძე აცხადებს, რომ „ლისი სამეფო სოფელი იყო“²⁶. შემდეგ კი მსჯელობს სოფ. ლისის ბოხვაძის ხელიდან სააკაძის ხელში გადასვლის შესახებ და ა. შ.

ამიტომ კარგი იყო დ. გოგოლაძეს განემარტა მის მიერ ასე ვრცლად აღწერილი ბოხვაძეების ლისში დამკვიდრების ამბავი პირდაპირ ცნობას ემყარება თუ არაპირდაპირს? ნეტავ მეორე მაგალითს თუ მოიტანდა დ. გოგოლაძე საქართველოს ისტორიიდან იმისას, რომ ხუთი-ექვსი საუკუნე ერთ დამაჯერებელს ერთი და იგივე სოფელი შერჩენოდეს და თანაც ისეთი ქარტახლების დროს, რაც საქართველოს ამ საუკუნეებში გადახდა? ანდა რა ასეთი გურულები იყვნენ ეს ბოხვაძეები, რომ ქართლში დამკვიდრების ხუთნახევარა საუკუნის განმავლობაში არა და არ მოხდა მათი გაქართვება და ისევ და ისევ გურულებად რჩებოდნენ?

მსჯელობს რა ბოხვაძეთა გურიიდან მოსვლის შესახებ, დ. გოგოლაძე სვამს კითხვას: „რა უფლება გვაქვს არ ვენდოთ დოკუმენტს, მაშინ როდესაც ნარატიულ წყაროებსა და ზეპირგადმოცემებს ვენდობით“.

აქ კი თავი იჩინა დ. გოგოლაძის დამოკიდებულებამ წყაროებისადმი. განა წყაროს, რა ხასიათისაც არ უნდა იყოს იგი, მკვლევარი ბრმად უნდა ენდოს? განა შეიძლება ყალბი დოკუმენტის ყალბი ცნობა ჭეშმარიტად ვალიაროთ და ამაზე მსჯელობა ავაგოთ?

23 ივ. ჯავახიშვილი, ქართულ სიგელთა-მოცდნეობა ანუ დიპლომატიკა, ტფ., 1926, გვ. 82—119.

24 დ. გოგოლაძე, 1984, გვ. 167.

25 მატინე ქართლისაჲ, ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955; გვ. 299; 304; 333; 338.

26 დ. გოგოლაძე, 1984, გვ. 168.



რაც შეეხება Hd 2435 საბუთში ჩართულ წინადადებას „ცხოვრებაში“²⁷ ეწერა, რომე გურიიდან მოსულხართო“, ეს ბაგრატ IV-ის დროს გურულ აზნაურთა შორეულ დროს მოსვლის უტყუარი ცნობა კი არ არის, არამედ ყალბისმქმნელის გარკვეული „ფანდი“, რომ „ცხოვრებაში“, მართლაც, არსებულ ცნობას გიორგი სააკაძისათვის ლისის წყალობის შესახებ „ბატონის“ მიერ, ტოლფასოვანივე ცნობა დაუპირისპიროს ბოხვაძის შესახებ. ამიტომ მოაქვს ყალბისმქმნელს ლეგენდა ბოხვაძეთა დიდგვაროვნებისა და მათი გურიიდან მოსვლის შესახებ. XVI საუკუნეში ბოხვაძეები მართლაც არიან გურიაში²⁷. მაგრამ ამ შემთხვევაში ლეგენდა უთუოდ გარკვეული მიზანდასახულობით იქმნება.

დაამკვიდრა რა XI ს-დან ბოხვაძეები დ. გოგოლაძემ ლისში, მან მათი აღსასრულის შესახებაც გამოთქვა ვარაუდები. თურმე ისინი ამოვარდნენ „ან ბუნებრივი სიკვდილით“ ან დაიღუპნენ ტაშისკარის, მარტყოფის ან მარაბდის ბრძოლებში²⁸.

დ. გოგოლაძე გვედავება მდივანთა თუ მწიგნობართა რიგის შესახებაც. ამ საკითხთან დაკავშირებით მან საკმაოდ ვრცლად იმსჯელა. და კვლევის საკითხსაც დიდად დაშორდა. ავტორს ამდენი დროის და ენერჯის ხარჯვა არ დასჭირდებოდა, სპეციალურ ლიტერატურაში რომ ჩაეხედა, სადაც გარკვევით წერია, რომ ნასრი თუმანიშვილი კარის მწიგნობარია 1593—1624 წლებში²⁹. მაგრამ რა მოვუხერხოთ მოწმეებად მოხმობილ სუმბატს, მანუჩარ თუმანიშვილს და ქიშვარს, როლებიც ან საერთოდ არ არსებობდნენ (—სუმბატ და ქიშვარ) ან არ თავსდებიან ქრონოლოგიურ ჩარჩოებში? დ. გოგოლაძემ ეს საკითხი მარტივად გადაჭრა: „1558—1600 წლებში უამრავი სუმბატი და ქიშვარი იქნებოდა! მაგრამ რამდენი ისტორიული პირი თუ ჩვეულებრივი ფეოდალი გაქრა და არ აისახა საბუთებში!.. ათასობით საბუთი განადგურდა და არ შემორჩა“³⁰. ფაქტების ახსნა საბუთების დაკარგვა-განადგურებით პასუხის თავიდან ასაცილებლად ყველაზე ადვილი გზაა...

Hd 2435 საბუთის ნატყუარობის ერთ-ერთ არგუმენტად საბუთის ბოლოში დასმული ქორონიკონი „საუბ“ მივიჩნევ და მივუთითე კიდეც, რომ ამ ქორონიკონმა თავის დროზე საქართველოს მუხეუმის ხელნაწერთა განყოფილების ცნობილი სპეციალისტებიც დააეჭვა³¹. დ. გოგოლაძემ არაფერს ამას ყურადღება არ მიაქცია და მისმა მტკიცებამ ამ ნაწილში ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, როდესაც ქორონიკონის განსაზღვრის თავისი საკუთარი წესი შემოგვთავაზა: ასეულს ემატება ერთეული, შემდეგ ათეული და კვლავ ერთეული. „ქორონიკონი საუბ კი არ უნდა ამოვიკითხოთ, არამედ საუბ, ანდა სუბ... ჩვენ ორივე ვარიანტი გავითვალისწინეთ და ბოლოს საუბ ვარჩიეთ (ხაზგასმა ჩემია— დ. მ.); $200+1+90+2=293$. ეს კი უდრის 1605 წელს (1312+292)“—წერს დ. გოგოლაძე³². მაინც რატომ „არჩია“ მან დამახინჯებული საუბ ქორონიკონი, წე-

27 პირთა ანოტირებული ლექსიკონი, I, თბ., 1991, გვ. 559—560.

28 დ. გოგოლაძე, 1984, გვ. 163, 168.

29 ა. ბაქრაძე, თუმანიშვილთა საგვარეულოს გენეალოგიის დადგენის ცდა, „მაცნე“, ისტორიის სერია, 1983, № 4.

30 დ. გოგოლაძე, 1984, გვ. 159.

31 დ. მეგრელიაძე, 1978, გვ. 154.

32 დ. გოგოლაძე, 1984, გვ. 155.



სიერად აგებულ სუბ ქორონიკონს თუ კი საქმე არჩევაზე იყო? — იმით, რომ 1976 წ. გამოქვეყნებულ წერილში იგი ყოველგვარი ჩვენების გარეშე აღხადებდა, რომ Hd 2435 საბუთი 1605 წელსაა შედგენილი³³. მან ისიც კი არ გაითვალისწინა, რომ როგორც წესი ა მეტიან სიტყვებში, ხმოვანი ა-ნი არ გამოითქმის, იგი სიტყვის შინაარსს არ ცვლის და ქორონიკონში ასეულის შემდეგ ერთეულის აღმნიშველი ასო ა-ნი თუ ეს დამწერის ლაფსუსი იქნებოდა, ქორონიკონის დაანგარიშებაზე ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენდა. მიუხედავად ამისა, მან თავისი შემოთავაზებული თარიღის 1605 წლის დასაჯერებლად ქორონიკონის დაანგარიშების ზემოდმოტანილი „მეთოდი“ გამოიყენა...

ცდილობს რა დ. გოგოლაძე დაამტკიცოს Hd 2435 ქორონიკონის სიმაართლე, ვრცლად საუბრობს საერთოდ „ქორონიკონების დაწერის დარღვევის შემთხვევებზე“³⁴ და სათანადო მაგალითებიც მოჰყავს.

ზოგჯერ ქორონიკონებში, მართლაც, მეტად უხეში დარღვევები გვხვდება, როგორც ეს დ. გოგოლაძის მოტანილი მაგალითებიდანაც ჩანს არის შემთხვევები, როდესაც ქორონიკონი არა თუ ოთხი, ხუთი ასოთია დაწერილი და ა. შ. რაც კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ შეიძლებოდა ამა თუ იმ პირს კარგი წერა-კითხვა სცოდნოდა, მაგრამ არ სცოდნოდა ქორონიკონის, „დაბადებიან-გან“ წელთაღრიცხვის, ინდიქტიონის და სხვა გამოთვლა. და არა ისე როგორც დ. გოგოლაძე ფიქრობს: რომ ქორონიკონის დაანგარიშება და ასოთა რიცხვითი მნიშვნელობა „იმ დროის ყველა წიგნიერი კაცისათვის მარტივი ამბავი იყო“ (1984, გვ. 154). თუ ასე იყო რათაა ამდენი შეცდომები ქორონიკონებში? რატომ დასჭირდა დ. გოგოლაძეს სპეციალურად, „ზედმეტი ასოს მქონე (დიფერენცირებული) არათანმიმდევრულად დაწერილი და ძნელად ამოსაცნობი ქორონიკონების“ ტაბულის ჩართვა თავის წერილში? თუ რატომ გვხვდება შეცდომები ქორონიკონებით თუ სხვა ხერხებით შესრულებულ წელთაღრიცხვებში, კონკრეტულ შემთხვევაში კონკრეტული ახსნაც ეძებნება. ამიტომაც იყო, რომ ნატყუარი საბუთების შესწავლის დროს ივ. ჯავახიშვილი ყურადღებას ქორონიკონის შემოწმებაზედაც ამახვილებდა³⁵.

იმის საბუთად, რომ Hd 1810 დოკუმენტი ნაყალბევი იყო, ჩემს წერილში მოტანილი მქონდა ტექსტობრივი შინაარსის შვიდი შეცდომა. ჩემი ერთ-ერთი შენიშვნა, რომ „სიტყვებში გამოტოვებულია ხმოვანი ასოები“ და „იხმარება სიტყვების უაზრო კავშირი“, დ. გოგოლაძემ „ქარაგმის წერის“ წესით ახსნა. ასევე ქარაგმებით ხსნის დ. გოგოლაძე სიტყვებს შორის გამოტოვებულ კავშირებს. და ბოლოს ქარაგმებითვე ხსნის სიტყვების უაზრო კავშირს. „მრავალ ძველ საბუთშია გაუგებარი წინადადება, მკვლევარის მოვალეობა კი ის არის, ქარაგმებიანი გაუგებარი წინადადება აღადგინოს“³⁶. (ხაზგასმა ჩემია დ. შ.). სამწუხაროდ, არც ერთი ნიმუში, არც ერთი მაგალითი იმისა, რომ „საამისო დოკუმენტი უამრავია“, რომ „მრავალ ძველ საბუთშია გაუგებარი წინადადება“, დ. გოგოლაძეს მოტანილი არა აქვს. ქარაგმა ასონაკლულ სიტყვაზე ზემოდან დასმული ნიშანია (საბა, დ. ჩუბინაშვილი, ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი...) დაქარაგმე-

33 დ. გოგოლაძე, 1976, გვ. 164.
 34 დ. გოგოლაძე, 1984, გვ. 156.
 35 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 14.
 36 დ. გოგოლაძე, 1984, გვ. 147.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბისათვის ქართულში გარკვეული, მკაცრად დადგენილი წესები, როგორც წესი „შესამოკლებლად ყველასათვის ცნობილ და ხშირად ხმარებულ სიტყვებს არჩევდნენ და ამ ახალ სიტყვებსაც ძველთაგანვე დადგენილი წესების მიხედვით ამოკლებდნენ“³⁸. ამდენად, ქარაგმის გახსნა იმაზე კი არ არის დამოკიდებული, თუ რომელი კონიექტურა მიაჩნია ამა თუ იმ პირს „უფრო მართებულად“, როგორც ამას დ. გოგოლაძე ფიქრობს³⁹, არამედ იმაზე თუ რომელი ცნობილი სიტყვაა დაქარაგმებული და როდესაც ესა თუ ის ასონაკლული სიტყვა დაქარაგმების წესს არ ემორჩილება იგი აუცილებლად შეცდომაა (ზოგჯერ ლაფსუსი) და სხვა არაფერი.

ერთადერთი შემთხვევა ქართულ ხელნაწერთა მდიდარი ნიმუშებიდან, სადაც მართლაც დაქარაგმებულია მთელი წინადადებები, ესაა ცნობილი ჭილ-ეტრატის იაღგარი. მაგრამ აქაც სპეციფიკურ გარემოებებთან გვექვს საქმე: ეს ხელნაწერი საგალობელთა კრებულია, საგალობლები კი ჩვეულებრივ ზეპირად იცოდნენ ხალხმ.

მამულის წყალობის წიგნში კი, რომელიც ამა თუ იმ პირს სამემკვიდრეოდ ეძლეოდა, არ შეიძლებოდა ვინმეს წინასწარ ზეპირად ცოდნოდა წყალობის პირობები. ამიტომ წყალობის ყოველი პირობა გამცემ-მიმღებს შორის მკაფიოდ და გარკვეულად უნდა ყოფილიყო ჩამოყალიბებული. ამრიგად, Hd 1810 დოკუმენტში დაშვებული ერთი რიგის შეცდომები: ხმოვანთა თუ კავშარების გამოტოვება, ან სიტყვათა უაზრო კავშარები დაქარაგმების არავითარ წესებს არ ემორჩილება.

ჩემ შემნიშვნაზე, რომ ზოგჯერ Hd 1810 საბუთში ტექსტის „დაძველების“ მიზნით სიტყვებს აკლია ბოლოკიდური ასოები ან გვხვდება ზედმეტი ასოები ან უაზრო წინადადებები დ. გოგოლაძემ მარტივად უბასუხა: „საბუთებში ხშირად წერდნენ ასე: ეს დამოკიდებულია იმაზე თუ ვის როგორი სტილი (sic დ. შ.) და ხელწერა (sic დ. შ.) ჰქონდა“. ან „ზედმეტი ასოები სიტყვებში უამრავ სხვა საბუთებშიაც არის“. მისი აზრით მწერალს: „ღიახ, უფრო აჯობებდა თანამედროვე ქართულით დაეწერა: „ჩვენ ეს (!) წყალობა გიყავით“— და მომწერა თითქოს: „დ. მეგრელაძეს სურს თანამედროვე ქართული ენის ლიტერატურულ-გრამატიკული ნორმებით დააწერიოს საბუთები XV—XVI საუკუნეების მდივნებს, მაგრამ ასე არ წერდნენ, თანაც ყველა მდივან-მწიგნობარი ერთნაირად განსწავლული არ იყო და ყველას თავისი სტილი და ხელწერა ჰქონდა. გაუმართავი წინადადებების მქონე საბუთები ფეოდალურ ხანაში უამრავია“⁴¹. იქნებ დ. გოგოლაძეს განემარტა რომელი საუკუნის „ლიტერა-

37 ივ. ჯავახიშვილი, ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, 1926, I გამოც., 1949, II გამოც.; ქართული წერის ნიმუშები; პალეოგრაფიული ალბომი, შეადგანა ი. ლ. აბულაძემ, 1949, I გამოც.; 1973, II გამოც.; გ. მიქაძე, ქართული ხელნაწერების შესწავლა და აღწერა, თბ., 1957; ც. ჭანკიევი, დაქარაგმების წესები ძველ ქართულ ხელნაწერებში (V—X სს), პალეოგრაფიული ძიებანი, I, 1965; მისივე, დაქარაგმება V—X ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში, პალეოგრაფიული ძიებანი, II, 1969; ჭილ-ეტრატის იაღგარი, გამოსცეს და გამოკვლევა დაურთეს ა. შანიძემ, ა. შარტიროსოვმა და ა. ჯიშნაშვილმა, ა. შანიძის რედაქციით, თბ., 1977.

38 ც. ჭანკიევი, დაქარაგმების წესები ძველ ქართულ ხელნაწერებში (V—X სს), გვ. 57.

39 დ. გოგოლაძე, 1976, გვ. 165.

40 ც. ჭანკიევი, დასახ. ნაშრომი, გვ. 90; ჭილ-ეტრატის იაღგარი, 1977, გვ. 220.

41 დ. გოგოლაძე, 1984, გვ. 198.



ტურულ-გრამატიკული ნორმებითაა“ დაწერილი Hd 1810 დოკუმენტის უწიგნური წინადადებები?

ბოლოს მინდა ვკითხო დ. გოგოლაძეს ჩვენამდე მოღწეული ათი ათასობით საბუთიდან, როგორი საბუთები ჭარბობს „გაუმართავი წინადადებების“ მქონე თუ გამართული? „გაუმართავი წინადადებებით“ დაწერილ რამდენ საბუთს დაგვისახელებდა დ. გოგოლაძე?

ფეოდალური ხანის საბუთებში შეცდომები, რა თქმა უნდა, გვხვდება, მაგრამ ძირითადად ისეთ შემთხვევებში, როდესაც საბუთის შემადგენელი კერძო პირია, რომელმაც წერა-კითხვა კი იცის, მაგრამ ვერ ფლობს ქართული საბუთების შედგენის ხელოვნებას.

მეფის კარიდან გამოსული წყალობის წიგნები კი, როგორც წესი გამართული ქართული ენით, შემუშავებული ტრაფარეტებით იწერებოდა, რასაც მშვენიერად კითხულობენ და იგებენ არა მარტო XX საუკუნის მეცნიერი ისტორიკოსები, არამედ არა სპეციალისტი მკითხველებიც. ხოლო როდესაც გადახვევებს ვხვდებით, აქ საჭიროა მეცნიერული ალლო — რა მიზეზითაა დარღვეული საბუთის შედგენის ესა თუ ის ნორმა.

ჩემი მიზანიც ეს გახლდათ — გამერკვია რატომ არ ჰგავს Hd 1810 საბუთი სიმონ მეფის კარიდან გამოსულ წყალობის სხვა წიგნებს.

იმის ერთ-ერთ არგუმენტად, რომ 1594 წელს სიმონ მეფეს ლისი გიორგი სააკაძისათვის არ უბოძებია, დ. გოგოლაძემ იოსებ თბილელის ცნობა მოიშველია, რომლის მიხედვითაც გიორგი სააკაძე 1585 წ. დაბადებული გამოდის. დ. გოგოლაძის ვარაუდით 1594 წ. გიორგი სააკაძე მცირეწლოვანი იყო და ამიტომ წყალობასაც ვერ მიიღებდა.

გიორგი სააკაძის დაბადების თარიღს არაერთხელ შეეხო პროფ. გივი ჯამბურია. მისი საბოლოო ვარაუდით გიორგი სააკაძე დაბადებული უნდა იყოს XVI ს-ის 70-იანი წლების დასაწყისში, არა უგვიანეს 1575—76 წლებისა⁴².

1966 წ. გ. ჯამბურიამ გამოაქვეყნა სპეციალური სტატია „გიორგი სააკაძის დაბადების თარიღისათვის“. ამ წერილში მან გაიმეორა თავის მონოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრება, რომ „გიორგი სააკაძე დაიბადა XVI ს-ის 70-იანი წლების შუა ხანებში (ან პირველ ნახევარში), არა უგვიანეს 1575—76 წლებისა“⁴³. ამ დასკვნისათვის ავტორის არგუმენტებია: 1. პიეტრო დელა ვალეს ცნობა; 2. 1620 წლის სასამართლოს წიგნი, 3. ფარსადან გორგიჯანიძის ცნობა; 4. მუსტაფა ნაიმას ცნობა; 5. გ. ჯამბურიას აზრით ანგარიშგასაწვეია 1627 თუ 1628 წ. კასტელის მიერ შესრულებული გ. სააკაძის პორტრეტი, სადაც გამოსახულია 55—60 წლის მამაკაცი.

ქართულ ენციკლოპედიაშიც სტატიაში „გიორგი სააკაძე“ გ. სააკაძის დაბადების თარიღად XVI ს-ის 70-იანი წლებია მინიშნებული.

გ. ჯამბურიას არგუმენტებს დ. გოგოლაძემ ანგარიში არ გაუწია. 1984 წ. გამოქვეყნებულ წერილში აუარა რა გვერდი გ. ჯამბურიას ძირითად არგუმენტებს, მან განაცხადა: „არავითარი სხვა რაიმე პირდაპირი ან არაპირდაპირი ცნობა გიორგი სააკაძის დაბადებისა და ასაკის შესახებ ჩვენ არა გვაქვს (გარდა

42 გ. ჯამბურია, გიორგი სააკაძე, თბ., 1964, გვ. 34—36.

43 გ. ჯამბურია, გიორგი სააკაძის დაბადების თარიღისათვის, კრებ. კვკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966, გვ. 287.



იოსებ თბილელის ცნობისა — დ. მ.), ხოლო დიდი ცთუნებების შემდეგ და ც სუსტი არაპირდაპირი მინიშნებით (გიორგის „ქალების“ ასაკის ვარაუდი, „სპეტაკი წვერი“, „სურათი“ და სხვა) სიმონ მეფის დროს, 1594 წელს, გიორგი სააკაძის გამოყვანა მოწიფულად და სიმონ მეფის თანამებრძოლად, არაფრით არ დასტურდება⁴⁴. სამწუხაროდ, დ. გოგოლაძემ გ. ჯამბურის ზემოთმოტანილი ძირითადი არგუმენტები მიჩქმალა და წინ არაპირდაპირი მინიშნებები, არაეფექტური საბუთიანობა წამოსწია, რითაც საქმეში ჩაუხედავი მკითხველი შეიძლება მართლაც დაეჭვდეს. ვფიქრობ, რომ ასეთი ხერხი მეცნიერული კამათისათვის მისაღები არ არის. თუ დ. გოგოლაძე დავგარწმუნებდა, რომ გ. ჯამბურის მოტანილი არგუმენტები სწორი არაა, ჩვენც მაშინ მეტი რა გზა გვექნებოდა დ. გოგოლაძეს დაუფერებდით. ისე კი რა გამოვიდა? ო. ჯამბურის არგუმენტების მოშლა დ. გოგოლაძემ ვერ შეძლო (არც უცდია). მისი ლიტონი განცხადება კი არაა დამაჯერებელი. ამიტომ მოსაზრება, რომ გ. სააკაძე დაბადებული უნდა იყოს XVI ს-ის 70-იან წლებში კვლავ ძალაში რჩება.

თუ 1976 წ. გამოქვეყნებულ წერილში დ. გოგოლაძე ფიქრობდა, რომ ლისი ბოხვაძის წინაპარს უბოძა ერთ-ერთმა ბაგრატ მეფემ, ხოლო შემდგომში იგი „სყიდვით“ ან „ბოძებით“ მოექცა გიორგი სააკაძის მფლობელობაში, 1984 წ. უკვე აცხადებს, რომ ლისი გიორგი სააკაძეს თეიმურაზ I-მა უბოძა და არა სიმონ მეფემ. იგი ცდილობს უარყოს ჩემი მოსაზრება, სადაც ვამტიციებ, რომ ბეჭდი ეგნატაშვილის ცნობაში ლისი სააკაძისა იყო როგორც „ბატონის წყალობა“, „ბატონში“ კი იგულისხმება სიმონ მეფე. დ. გოგოლაძე ცდილობს დაამტიციოს, რომ ეს „ბატონი“ თეიმურაზ I იყო. იგი წერს: „ბერი ეგნატაშვილი კახეთის მეფე თეიმურაზ I-ს ერთი გამონაკლისის გარდა, ყველგან (ხაზგასმა ჩემია — დ. მ.) „კახთ ბატონს“ უწოდებს და არა „კახეთის მეფეს“⁴⁵.

ბერი ეგნატაშვილი თეიმურაზ I-ს სხვადასხვაგვარად მოიხსენიებს, როგორც „კახთ ბატონ თეიმურაზს“ 5-ჯერ, როგორც „ბატონ თეიმურაზს“ 98-ჯერ, როგორც „თეიმურაზს“ 23-ჯერ, როგორც „თეიმურაზ ძე კახის ბატონის“ ერთხელ და როგორც „მეფე თეიმურაზს“ ერთხელ. ისე რომ დ. გოგოლაძის განცხადება ერთი გამონაკლისის გარდა ბერი ეგნატაშვილი თეიმურაზს „კახთ ბატონს“ უწოდებსო, არაა მართალი. მართალი არც ისაა თითქოს ბერი ეგნატაშვილი „როდესაც ქართლის ხელმწიფეებს ახსენებს ყველგან და ყოველთვის „მეფედ“ მოიხსენიებს და არა „ბატონად“⁴⁶.

ზმირად ბერი ეგნატაშვილი „ბატონში“ სწორედ ქართლის მეფეს გულისხმობს და არა კახეთისას: 1. „იყო სვიმონ მეფე ციხესა შინა ტფილისისასა... მოუდგა ზურაბ ერისთავი და გააბატონა...“ 2. შაჰმა როსტომ სააკაძეს „წარმოატანა თანა ბატონად ქართლისა ხოსრო-მირზა, ძე დაუდ-ხანისა...“ შემდგომში როსტომ მეფე. 3. „მოუვიდა ყეენისაგან რაყამი და ბატონობა ქართლისა შაჰნავაზს... და გაბატონდა შაჰნავაზ“ 4. „რაყამს უკუმოიქცა“

44 დ. გოგოლაძე, 1984, გვ. 158.
 45 დ. გოგოლაძე, 1984, გვ. 169.
 46 იქვე.



ერეკლესიის
წიგნების
სამართლებრივი
სამსახური

შაჰაბაზ, ვერცავენ დასვა ქართლს ბატონი და ვერცა კახეთსა“. ნათესავთა და კახეთი შაჰაბაზ და მოვიდა ქართლად და დასვა მუნ ქართლში ბატონად მისი-წული მეფის სვიმონისა ბავრატ“ და ა. შ. ე. ი. ბერი ეგნატაშვილი თავის თხზულებაში ქართლის მეფის აღსანიშნავად არა ერთგზის ხმარობს სიტყვაა „ბატონი“.

ალბათ დ. გოგოლაძეც კი დამეთანხმება, რომ ვახტანგ VI-მ ნამდვილად ჩვენზე უკეთესად იცოდა შეიძლებოდა თუ არა ქართლის მეფისათვის „ბატონი“ ეწოდებინათ და მის მიერვე შედგენილ სამართლის წიგნში და „დასტურ-ლამალში“ არაერთგზის ქართლის „მეფის“ შესატყვისად სწორედ „ბატონია“ ნახმარია.

ასევე „ბატონად“, ან „ქართველ ბატონებად“ იხსენიებიან ქართლის მეფეები სხვადასხვა ისტორიულ დოკუმენტებშიაც. ისე რომ, ქართლის მეფის „ბატონად“ მოხსენიება სრულიადაც არაა უცხო არც ბერი ეგნატაშვილისა და არც სხვა ქართული წყაროებისათვის. ამრიგად, დ. გოგოლაძის არგუმენტი, რომ „ბატონი“ მხოლოდ კახეთის მეფეა, მოიხსნა.

იმის დასამტკიცებლად, რომ მწყალობელი „ბატონი“ თეიმურაზია, დ. გოგოლაძე მიმართავს კონტექსტს ბერი ეგნატაშვილის თხზულებიდანაც. საქმე შემდეგშია: ჩვენთვის საინტერესო ტექსტში, „ახალი ქართლის ცხოვრების“ გამოცემაში მთლად ზუსტად არ არის გამიჯნული წინადადებები, რაც შესაძლოა ხელნაწერიდანაც მომდინარეობდეს. ტექსტის მიხედვით მარაბდის ომის მიწურულს ომში მყოფმა ათაბაგმა თავის გამზრდელ ერეკელ ამირგუნა-ხანს ხმალი დაჰკრა. ამირგუნა-ხანმა შესძახა: რისთვის მომკალიო. ამის მსმენელმა ათაბაგმა ხანი გაუშვა. როდესაც ყიზილბაშებმა ეს დაინახეს გამობრუნდნენ „თვთ ყორჩიბაშიც გამობრუნდა და მოვიდა პირველსავე მას ნაომარსა“. ამის მომდევნო წინადადება „ხოლო ბატონი თეიმურაზ და ქართველნი შეიქცნეს თჳს-თჳსად“, როგორც ივ. ჯავახიშვილის, ასევე სიმ. ყაუხჩიშვილის გამოცემაში ახალი აბზაციდან იწყება. ვფიქრობ, გამომცემელთა მიერ აქ დაშვებულია უზუსტობა, რადგან თხრობა შინაარსობრივად ებმის წინა მონათხრობს, სადაც ჩამოთვლილია რა მოხდა: ათაბაგმა ამირგუნა-ხანი გაუშვა, ყიზილბაშე-ნი და ყორჩიბაში გამობრუნდნენ, „ხოლო ბატონი თეიმურაზ და ქართველნი შეიქცნეს თჳს-თჳსად“ ე. ი. ომში მყოფი თეიმურაზი და ქართველები თავ-თავისთვის თავ-თავის ადგილებში, თავ-თავის სახლებში წავიდნენ. ამით მთავრდება თხრობა მარაბდის ომის შესახებ. ამის მომდევნო წინადადება: „და რა მოვიდა მოურავი ნოსტევს...“ და ა. შ. უკვე, „თჳს-თჳსად“ ე. ი. თავ-თავის-თვის წასული ერთი ქართველთაგანის — გიორგი სააკაძის ამბავს ეხება.

ვფიქრობ, რომ აბზაციდან უნდა დაიწყოს წინადადება: „და რა მივიდა მოურავი ნოსტევს...“, რამდენადაც ბერი ეგნატაშვილის თხზულებაში ხშირადაა შემთხვევები ახალი ამბის თხრობის დაწყებისა „და“-თი (ისევე როგორც „ხოლოთი“). ამრიგად გადაადგილებული ეს ტექსტი ლოგიკურად იმართება და ამის შემდეგ მოთხრობილია, რომ „თჳსად შექცეული“ სააკაძე საკუთარ მამულს ნოსტევს დგას. „თათრებმა — ყიზილბაშებმა ლისი დაარბიეს. მოურავი 60 კაცით გაემართა ლისისაკენ „რლისი ამისი იყო ბატონის წყალობა“.

როგორც ზემოთ დავინახეთ „ბატონად“ ქართლის მეფეც იწოდებოდა. ბერი ეგნატაშვილი თხზულებაში კი თეიმურაზ I „თეიმურაზად“, „ბატონ თეიმურაზად“, „კახ ბატონ თეიმურაზად“ „მეფე თეიმურაზად“ ან „თეიმურაზ ქე



ქართული
ენების ინსტიტუტი

კახის ბატონისად“ იწოდება. ქართლელებისათვის ქართლის მეფის წინააღმდეგ
თუ ზედსართავი სახელის გარეშეც „ბატონი“ იყო. ამიტომ წყაროსათვის სავ-
სებით გარკვეულია, რომ „ბატონი“ აქ ქართლის მეფეა და არა „კახ ბატონი“
ან „ბატონი თეიმურაზი“ — კახეთის მეფე. მე ვთვლი რომ ესაა წყაროს პირ-
დაპირი მინიშნება მომხდარი ფაქტის შესახებ, რასაც კიდევ უფრო ამაგრებს
სიმონ მეფის წყალობის წიგნი.

თუმცა დ. გოგოლაძე ამტკიცებს, რომ ლისი გ. სააკაძეს თეიმურაზმა
უწყალობაო, მაგრამ მაინც ორჭოფობს: „სხვა საკითხია, რამდენად
ზუსტია აქ ბერი ეგნატაშვილი, ე. ი. ლისი გიორგი სააკა-
ძეს მართლა თეიმურაზ I-მა უწყალობა თუ არა. მაგრამ
თუ კი ბერი ეგნატაშვილის სხვა ცნობებს ვღებულობთ
და ვენდობით, რატომ არ უნდა მივიღოთ მისი ზე-
მოთაღნიშნული პირდაპირი ცნობა, რომ ლისი გიორგი
საკაძეს თეიმურაზ I-მა უწყალობაო, მით უმეტეს როდესაც
სხვა რაიმე პირდაპირი ან არაპირდაპირი ცნობა
მასზე ჩვენ არა გვაქვს“⁴⁷ (ხაზგასმა ჩემია დ. გ.).

რას მივცეთ უპირატესობა ამ ამონაწერიდან? — იმას, რომ ბერი ეგნატა-
შვილის ცნობა სავსეა, თუ ესაა „პირდაპირი ცნობა“?

დავუშვათ, რომ სიმონ მეფის ბოხვაძეებისათვის მიცემული წყალობის
წიგნი, მართლაც, გააყალბეს სააკაძეებმა და ლისი გაითავისთავეს. თუ ლისი
თეიმურაზ I-ის ნაწყალობევი იყო გ. სააკაძისათვის, რა აზრი ექნებოდა ასეთ
ფალსიფიკაციას? რაში გამოადგებოდათ მათ თეიმურაზის წყალობის წიგნის მა-
გივრად სიმონის წყალობის წიგნი?

რომ Hd 1810 საბუთი გაყალბებულია, ამას დ. გოგოლაძეც აღიარებს:
„ვის და როდის უნდა გაეყალბებია იგი?“ „საბუთი გაეყალბებია
ათ სააკაძე-თარხნიშვილებს“; „საკაძეებს მაშინვე შეეძლოთ გაეყალბე-
ბიათ საბუთი“; „შესაძლოა საბუთის გაყალბება მოეხდინათ გიორგი სა-
აკაძის დაღუპვისა და... შემდეგაც“; „შესაძლოა ამ დროს გაეყალბებიათ
იგი“⁴⁸ და ა. შ. (ხაზგასმა ჩემია დ. გ.). თუ რა პირობებში და რა დროს შეეძ-
ლოთ სააკაძე-თარხნიშვილებს ამ საბუთის გაყალბება დ. გოგოლაძე
გვთავაზობს ვარიანტებს: ა) ბეთალმანი ლისის ძალით დაუფლების შემთხვე-
ვაში. ბ) გ. სააკაძის დაღუპვისა და მისი შვილის იორამის თურქეთიდან დაბ-
რუნების შემდეგ, თუ იორამს არ გააჩნდა თეიმურაზ I-ის საბუთი, ხოლო მან
ხელთ ჰქონდა სიმონ I-ის ლისის წყალობის განახლების წიგნი გიორგი ბოხვა-
ძეზე და როსტომ მეფისადმი წარდგენის წინ შესაძლოა მან საბუთში გვარის
გადაკეთების ცდა მოახდინა. გ) 1821 წ. თარხნიშვილებს არ გააჩნდათ ლისის
წყალობის წიგნი, „სამაგიეროდ მათ ჰქონდათ სიმონ მეფის ბოხვაძისათვის და,
შესაძლოა ამ დროს გაეყალბებინოს იგი“⁴⁹.

დ. გოგოლაძე, რომელიც ასე დაბეჯითებით მოითხოვს სხვისაგან ამა თუ
იმ საკითხზე პირდაპირ თუ არაპირდაპირ საბუთებს, საინტერესოა რით ხელმ-
ძვანელობს, როდესაც საბუთის გაყალბების ვარიანტებს გვთავაზობს? ძალიან
საეჭვოა ვითომ ბოხვაძეთა წყალობის წიგნის სააკაძეთა ხელში მოხვედრის ვა-

47 დ. გოგოლაძე, 1984, გვ. 169.

48 დ. გოგოლაძე, 1984, გვ. 170.

49 იქვე, გვ. 170.



რიანტებიც, რომლებსაც დ. გოგოლაძე გვეთავაზობს, რომ თითქოს ლი პატრონი“ ბოხვაძე ამ საბუთს „ახალ პატრონს“ — სააკაძეებს გადასცემდა. ლისის ყიდვის თუ ბოძების შემთხვევაში, ხოლო ლისის ბეითალმანად დარჩენის შემთხვევაში ოჯახში დარჩენილი წევრი გადასცემდა ამ საბუთს სააკაძეებს.

ასევე საეჭვოა როსტომისათვის იორამის მიერ საგვარეულო საბუთების წარდგენის დროს ამ საბუთის გაყალბების ვარიანტი. თუ ლისი სააკაძეებს თეიმურაზმა მისცა, როსტომ მეფე განა ერთმანეთისაგან ვერ გაარჩევდა სიმონსა და თეიმურაზს? ლისის ბოძება სააკაძეებისათვის როსტომის დროს შორეული წარსულის ამბავი ხომ არ იყო?

მე ვთვლი, რომ 1. როსტომის დროს ჯერ კიდევ იქნებოდნენ მახსოვრები 1594 წელს სააკაძისათვის ლისის წყალობისა; 2. რადგან 1321 წ. თარხნიშვილებმა რუსეთის მმართველობას Hd 1810 საბუთი წარუდგინეს, (ახალი, ლისი სიმონ მეფის წყალობა იყო და ამიტომაც არ მოერიდნენ მის გამოჩენას); 3. თუ ლისი სააკაძისათვის თეიმურაზ მეფის ნაწყალობევი იყო, თარხნიშვილები 1821 წ. წარადგენდნენ თეიმურაზის წიგნს — ნამდვილს, ან ნატყუარს; 4. რადგან გაყალბებულ Hd 1810 საბუთზე სიმონის ასევე ყალბი ხელრთვა, უშეცდომოდ შეიძლება ითქვას, რომ ლისი გიორგი სააკაძისათვის მიცემული იყო სიმონ მეფის მიერ. ესაა თუ მცა ნატყუარი საბუთის მაგარამ მაინც ნამდვილ ფაქტზე აგებული უტყუარი, პირდაპირი ცნობა.

დ. გოგოლაძემ არ გაიზიარა ჩემი ის მოსაზრებაც, რომ საბუთების გაყალბება დაკავშირებულია ზაზა თარხნიშვილის ჯალბ დარეჯანთან (რომელსაც დ. გოგოლაძე რატომღაც დაეინებით „დარეჯან თარხნიშვილს“ უწოდებს). დ. გოგოლაძემ Hd 1810 საბუთის გაყალბების თავისი ვარიანტები შემოგვთავაზა — ბოხვაძეთა საბუთის გაყალბებისა სააკაძეების მიერ. ლისი რომ XVII ს-ის 50-იანი წლებიდან სააკაძეებისა ამაში დ. გოგოლაძე გვეთანხმება.

იმისათვის, რომ ყალბისმქნელად „ზაზას ჯალბი დარეჯანი“ მივიჩნიოთ ჩვენ რამდენიმე პირდაპირი საბუთი გვაქვს. 1. ზაზა თარხნიშვილი გიორგი სააკაძის პირდაპირი ჩამომავალია: I „გიორგი დიდი მოურავი“ — II იორამ — III ავთანდილ — IV ბაადურ — V ზაზა. ზაზას ჰყოლია შვილი ბაადურ, რომელიც ადრე გარდაიცვალა⁵⁰. ამიტომ საბუთებში ზაზა „ამოწყვეტილად“ იხსენიება. მას არ დარჩენია მემკვიდრე ვაჟი; 2. ლისი „ამოწყვეტილი“ ზაზასი ყოფილა; 3. ზაზას მეუღლეა დარეჯანი. მისი მამის გვარი ცნობილი არაა; 4. ზაზა გარდაიცვალა 1751 წ.; 5. 1751—1753 წწ. საბუთების მიხედვით „ამოწყვეტილი“ ზაზას ჯალბი დარეჯანი ცდილობს თავისი ქმრის კუთვნილი მამულების შენარჩუნებას. ამ მამულებს შორის არის ლისიც, რომელიც ამ დროისათვის უმემკვიდრეო — ბეითალმანი მამულია. 6. ლისი, „ამოწყვეტილი“ ზაზას მამული, თარხნიშვილებს შორის ექვს წილად გაყოფილა⁵¹, რამდენადაც ზაზას ქალიშვილი მემკვიდრედ არ ითვლებოდა.

შემოთხამოთვლილი დოკუმენტების ცნობები პირდაპირი საბუთებია იმისათვის, რომ ყალბისმქნელი ზაზას ჯალბი დარეჯანია, რომელიც თავის ობო-

50 რ. ფირცხალაიშვილი, იოსებ თბილელი და მისი „დიდმოურავიანი“, თბ., 1978, გვ. 173—174, და გენეალოგური ტაბულა.
51 დ. მეგრეაძე, 1978, გვ. გვ. 162, 163; 164.

ლი ქალის მაიასათვის (რომელიც შემდგომში იულონ ბატონიშვილის სიდედრი გახდა!) ცდილობს მამულების შენარჩუნებას.

ბ-ნ დ. გოგოლაძის მსჯელობა უზომო გულუბრყვილობამდე მიდის, როდესაც აცხადებს, რომ საბუთების ფალსიფიკაციის შემთხვევაში „პირდაპირი საბუთი ცხადია, იქნებოდა დოკუმენტური ან სხვა ხასიათის ცნობა იმის შესახებ, რომ დარეჯან თარხნიშვილმა სიმონ და გიორგი მეფეების 1594 და 1605 წლების ყალბი საბუთები შეადგინა“⁵². განა საბუთების გაყალბების, ამ კრიმინალური მოქმედების შესახებ რაიმე პირდაპირი ცნობა თუ არა გვაქვს ისე ვერ უნდა გავარჩოთ ყალბი — ნამდვილისაგან?

უარყოფს რა ჩემს მოსაზრებას ზაზას ჯალაბის დარეჯანის საქმიანობის შესახებ დ. გოგოლაძე წერს: „მკვლევარს არც კი დაუხვამს კითხვა რაში გამოადგებოდა 1752 წელს დარეჯან თარხნიშვილს სიმონ და გიორგი მეფეების 1594 და 1605 წლების ლისის წყალობის მიმღებად ვილაც ბოხვაძე და ამოუკითხავი ადრესატი გამოეყვანა? ვინ რას მისცემდა მას ვილაც ბოხვაძეზე და უცნობ ადრესატზე გაცემულ ყალბი საბუთების შედგენით?“⁵³.

აქ კი ეჭვი მეპარება, რომ დ. გოგოლაძემ ბოლომდე წაიკითხა 1978 წ. გამოქვეყნებული ჩემი წერილი. ვიმეორებ: „შესაძლებელია ყალბისმქნელის მიზანია ლისი მამულების ოჯახების გაყოფის დროს საერთო საგვარეულო ქონების ჯამში არ შევიდეს და გამოითიშოს საერთო ქონებიდან. ასეთ შემთხვევაში მას შეეძლო ლისის „პატრონი“ ბოხვაძე თავის წინაპრად გამოეცხადებინა დედის ან ცოლის ხაზით (— ნამზითვი ხელშეუხებელი ქონება! დ. მ.) და ლისზე უფლების განმტკიცება უკვე ამ გზით ეცადა“⁵⁴.

ვფიქრობ, ესლა მაინც ირწმუნებს დ. გოგოლაძე „რაში გამოადგებოდა“ ყალბისმქნელს ბოხვაძის ხსენება. საფიქრებელია, თარხნიშვილებში ვილაცას ცოლად ჰყავდა ან ბოხვაძის ქალი, ან ბოხვაძის ქალის ქალიშვილი. შესაძლოა სწორედ ზაზას „ჯალაბი“ დარეჯანი თუ თითონ არ იყო ბოხვაძის ქალი, ბოხვაძის ქალის არც თუ შორეული შთამომავალი ყოფილიყო. ეს რა თქმა უნდა, მოსაზრებაა (და არა „ფანტაზია“) დაფუძნებული ზემოდმოტანილ რეალურად არსებულ საბუთებზე და მეცნიერულ ლოგიკაზე.

ბოლოს ერთ საკითხსაც გვინდა შევეხოთ. დ. გოგოლაძე საქმეს ისე წარმოადგენს, თითქმის თვით ფაქტი — იცნობდა თუ არა აკად. ნ. ბერძენიშვილი Hd 1810 საბუთს (სიმონ I-ის 1594 წ. საბუთს ბოხვაძეზე გაცემულს)⁵⁵, — ცნობილი არაა⁵⁶. ჯერ ერთი საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების საინვენტარო დავთარში საბუთების მთელი წყება Hd 1809 საბუთის ჩათვლით გატარებულია ნ. ბერძენიშვილის ხელით და წარმოდგენილია მეცნიერი, რომელიც ბევრს ფიქრობდა და მუშაობდა გიორგი სააკაძის პრობლემაზე მომდევნო Hd 1810 საბუთს (როდესაც ეს საბუთი მუზეუმში შევიდა მაშინ ნ. ბერძენიშვილი იქ მუშაობდა), უყურადღებოდ დატოვებდა. გარდა ამისა, ამ საბუთიდან გადაღებული პირი ხომ გამოცემული აქვს ს. კაკაბაძეს და

52 დ. გოგოლაძე, 1984, გვ. 164.

53 დ. გოგოლაძე, 1984, გვ. 165.

54 დ. მეგრელაძე, 1978, გვ. 161.

55 და არა თეიმურაზ I-ის გაცემულს (დ. მ.).

56 დ. გოგოლაძე, 1984, გვ. 164.



ნათუ დ. გოგოლაძე ფიქრობს, რომ ნ. ბერძენიშვილი გამოქვეყნებულ საბუ-
თებს არ კითხულობდა? ანდა უნდა გავიმეორო უკვე ერთხელ ნათქვამი, რო-
დესაც ნ. ბერძენიშვილმა ასპირანტთა სამეცნიერო კრებულისათვის ჩემი წე-
რილი „გიორგი სააკაძის საკითხისათვის“ დასაბეჭდად წარადგინა, სადაც და-
მოწმებული მაქვს ამ საბუთის ს. კაკაბაძისეული გამოცემა, როგორ ფიქრობს
დ. გოგოლაძე, ნ. ბერძენიშვილი მას ვერ შეამჩნევდა? ანდა ნ. ბერძენიშვილს
— გ. ჯამბურისა წიგნის „გიორგი სააკაძე“ რედაქტორს გამორჩებოდა ავტორს
მიერ მოტანილი ეს საბუთი გ. სააკაძის დაბადების თარიღთან დაკავშირებით?
ეს ყველაფერი დ. გოგოლაძემ შესანიშნავად იცის, მაგრამ იმისათვის, რომ
საბუთის შესახებ თავისი მოსაზრება „შეამაგროს“ და მკითხველი შეცდომაში
შეიყვანოს, აკად. ნ. ბერძენიშვილსაც კი სწამებს საბუთების უცოდინა-
რობას.

ამით ვამთავრებ ჩემ წერილს. თუ დ. გოგოლაძის მიერ წამოჭრილი ორ-
მოცამდე საკითხიდან ზოგერთი წვრილმანი, და არა არსებითი, აქ უპასუხოდ
დავტოვე, მხოლოდ იმიტომ, რომ გაძეორებებს მოვერიდე, დროც დავზოვე,
ქალღმერთი და რაც მთავარია მკითხველი.

P. S. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის მიერ 1991 წ. გამო-
ქვეყნებულ პირთა ანოტირებული ლექსიკონისათვის დართულ წინასიტყვაო-
ბაში, სადაც ლაპარაკია ნატყუარი საბუთების შესახებ, დამოწმებულია 1978 წ.
გამოქვეყნებული ჩემი წერილი. იხ. პირთა ანოტირებული ლექსიკონი, I, თბ.,
1991, გვ. 5.

სიკარბ სალუქვაპი

პასუხი უსაფუძვლო კრიტიკის გამო

1988 წელს გამოქვეყნდა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის, ბატონ პავლე ფირფილაშვილს სტატია¹. ამ სტატიას შესაძლოა არც კი გამოვხმაურდებოდით, რომ ბატონ პ. ფირფილაშვილს 1991 წელს იმავე ჟურნალში კვლავ არ დაესტამბა უსაფუძვლო კრიტიკითა და ინსინუაციებთ აღსავეს სტატია ჩვენს მიმართ².

წინამდებარე სტატიაში შევეცდებით ეთიკის დაცვითა და ზედმიწევნით მეცნიერული სიზუსტით ვუპასუხოთ ბატონი პავლეს მიერ ორ ნაშრომში თავმოყრილ უამრავ ლაფსუსს. ვფიქრობთ, ჩვენს ოპონენტს დიდი სიფრთხილე უნდა გამოეჩინა იმ საკითხებზე მსჯელობისას, რომლებიც მისი, როგორც ქირურგი-ტრავმატოლოგის სპეციალობა არ იყო.

აღსანიშნავია, რომ სანამ ჩვენ ხელი არ მოგვიდებოდა საქართველოს წამალთმცოდნეობის ისტორიის საკითხების კვლევა-ძიებას, მანამდე ამ დარგში ერთი თაბახი მოცულობის ბროშურაც კი არ იყო გამოქვეყნებული. ალბათ, ამ მიზეზით უნდა აიხსნას ის არაკომპეტენტურობა და გაუგებრობანი რაც ამ სფეროში სუფევდა. წამალთმცოდნეობის ისტორიის საკითხების კვლევისას, ბუნებრივია, გავეცანი, პ. ფირფილაშვილის შრომებს³, და რაც კი მისაღებად მივიჩნიე, მოვახდენე ყველაფრის ციტირება ნაშრომში და მავუთითე კიდევ გამოქვეყნებულ ლიტერატურაზე სქოლიოში.

ვარძიის თახჩებიანი ნაგებობა რომ აფთიაქის ტიპის დაწესებულება იყო, ამაზე მეცნიერული ნაშრომი (ბატონ პავლეს 6 წლით ადრე) 1952 წელს გამოაქვეყნა აწ განსვენებულმა ბატონმა ზურაბ შენგელიამ, რაზედაც ჩვენს მიუვუთითეთ ჩვენს მონოგრაფიაში⁴.

ამ ბოლო დროს პ. ფირფილაშვილი უთითებს თავის „ადრეგამოცემულ ნაშრომს“⁴, და აღნიშნავს: „... 1949 წელს... ჯერ სამედიცინო ინსტიტუტში, ხოლო შემდეგ სახელმწიფო უნივერსიტეტში საქალაქო კონფერენციაზე წაკითხულ მოხსენებაში საჯაროდ ვთქვით, რომ ხალხის გადმოცემით, ვარძიის სამონასტრო ანსამბლში V სართულზე არსებული №—70

1 პ. ფირფილაშვილი, მაღალაქეთა ნასახლარზე შემორჩენილი მრავალთახიანი ნაგებობის საკითხისათვის „შაცხე“, ისტორიის სერია, თბ. № 4, თბ., გვ. 112—129.

2 პ. ფირფილაშვილი, ისევე ვარძიის მრავალთახიანი გამოქვაბულის დანიშნულების შესახებ, „შაცხე“, ისტორიის სერია, თბ., 1991, № 4, გვ. გვ. 123—142.

3 წამალთმცოდნეობა ძველ საქართველოში და მისი შემდგომი განვითარების გზები (უძველესი დროიდან XX საუკუნემდე), თბ., „ხელოვნება“, 1987, გვ. 122.

4 ნარკვევები დასტაქრობის განვითარების ისტორიიდან საქართველოში, თსუ, 1949, გვ.



„მრავალთახიანი გამოქვამული იყო აფთიაქი“!⁵ თანაც, ბატონი პავლე საყვედურობს ქართული ენციკლოპედიის რედაქციას, რომ იგი ვარძიაში აფთიაქის უპირველეს აღმომჩენად არ აღიარეს! ეს მითითება ბატონ პავლეს დასჭირდა იმიტომ, რომ სინამდვილეში ვარძიაში აფთიაქის არსებობის შესახებ მეცნიერული მტკიცების პრიორიტეტი ეკუთვნის არა მას, არამედ ბატონ ზურაბ შენგელიას. საინტერესოა, მან 1958 წელს აკადემიის „მოამბის“ № 3-ში გამოქვეყნებულ ნაშრომში⁶, რატომ ერთი სიტყვით მაინც არ მიუთითა ზ. შენგელიას მიერ გამოქვეყნებულ მონოგრაფიაზე, მითუმეტეს თუ ამ საკითხში პრიორიტეტი მასვე (ბატონ ა. ფირფილაშვილს) ეკუთვნოდა?

ბატონ პავლეს მტკიცება, რომ სინამდვილეს არ შეესაბამება ეს იქედანაც ჩანს, რომ ვარძიის ინვენტარიზაცია ჩატარდა 1952 წელს, ბატონ გივი გაფრინდაშვილის მიერ, და წამლის სასახლე აფთიაქსაც მაშინ მიეცა №—70, რაც ბატონ პავლეს წინასწარ (1949 წელს) სამი წლით ადრე ინვენტარიზაციამდე ვერ ეცოდინებოდა!

და მეორეც: სად „ნარკვევები დასტაქრობის განვითარების ისტორიიდან საქართველოში“? და სად „ნარკვევები სააფთიაქო საქმის ისტორიიდან“?! თანაც ბატონი პ. ფირფილაშვილი ამ ნაშრომის ბოლოს უთითებს 1956—57 წლებში გამოქვეყნებულ თავისივე ნაშრომებს! მხოლოდ 1988 წელს გაახსენა და 1949 წელს ვარძიაში აფთიაქის არსებობის შესახებ მეცნიერული ნაშრომი რომ ჰქონდა გამოქვეყნებული?

ჯერ კიდევ 1979 წელს ჩვენ ვიუწყებოდით, რომ „ვარძიის მშენებლობა 1204 წელს თამარის მეფობის დროს დასრულდა. კლდეში გახორკვითილ არქიტექტურულ ანსამბლში შედის წამლების შესანახი სამოთახიანი სახლი—აფთიაქი, რომლის შესახებაც პირველი მეცნიერული ცნობები საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მოამბეში“ (ტ. XXVI, № 3-ში) გამოაქვეყნა 1958 წელს მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა, ბატონმა პავლე ფირფილაშვილმა“!⁷ სამწუხაროდ, ეს ასე არ ყოფილა და, ზურაბ შენგელიას წინაშე თავს დამნაშავედ ვგაჩნობ.

არსად მითქვამს, რომ ვარძიაში აფთიაქის აღმოჩენის პრიორიტეტი, თითქოს, მე მეკუთვნოდეს! პირიქით, ჩემი 4 წინამორბედი მკვლევრის კონცეფციას ვიზიარებ და ვადასტურებ მათ უპირატესობას. შემდეგ კი შევავაროვე მასალა და 1979—1981 წლებში ორჯერ გამოვეცი ბროშურა სათაურით: „ვარძია—წამლის სასახლე“, სადაც, როგორც ტექსტში, ასევე სქოლიოში 3-ჯერ ვუთითებ პ. ფირფილაშვილის შრომებს. მიუხედავად ამისა, ბატონი პავლე წერს: „პროფიზორმა ს. სალუქვაძემ ერთ-ერთმა ჩვენმა „მიმდევარმა“ (როგორც მას ჩვენი ოპონენტები უწოდებენ) ჩვენი სამი სტატია გააერთიანა და ქართულ-რუსულად ერთ წიგნად გამოსცა, როგორც საკუთარი ნაშრომი...“⁸.

5 იხ. „მაცნე“ ისტორიის სერია, №—4, 1991, გვ. 135

6 ვარძიის თახჩებიანი გამოქვამულის დანიშნულების შესახებ.

7 ს. სალუქვაძე, წამლების სახლი, გაზ. „სამშობლო“, 1979, II; № 3 (464).

8 პ. ფირფილაშვილი, ისევ ვარძიის მრავალთახიანი გამოქვამულის შესახებ, „მაცნე“, ისტორიის სერია, 1991, № 4, გვ. 134.

საკითხის ნათელსაყოფად გადავფურცლოთ 1979 წელს გამოცემულმა „ხელოვნებაში ჩემს მიერ გამოცემული ბროშურა „ვარძია—წამლის სასახლე“ და ვნახოთ რას ვწერთ ჩვენ აქ მე-9-ე გვერდზე: „პ. ფირფილაშვილის ცნობით, დასავლეთ კედელზე 44 თაროა“ და ამავე გვერდზე შესაბამის სქოლიოში მითითებულია მისი შრომის სათაური, ხოლო ამავე ბროშურის მე-14-ე და მე-15-ე გვერდებზე ვწერდით შემდეგს: „ვარძიის ციხე-ქალაქის კომპლექსში წამლის სახლის არსებობისა და მდიდარი საფთიქო „ნომენკლატურის“, როგორც აფთიაქის ფუნქციონირების დიდი მნიშვნელობის ისტორიულ ფაქტს, ერთხმად აღიარებენ: პროფესორი მ. შენგელია და მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი პ. ფირფილაშვილი!“ ყოველივე ამას თუ ჰქვია უპირველესი პუბლიკაციებს იგნორირება, ან მითვისება, დაე, ესეც განსაჯოს ობიექტურმა მკითხველმა! თუმცა აქვე უნდა მოგახსენოთ, რომ გამოყენებული მაქვს სხვადასხვა სპეციალისტის: ტალინელი მკვლევრის ხეინო გუსტავსონის და ლვოველი იური კოვალის შრომები, რომელთაც საერთოდ არ იცნობს ბატონი პავლე ფირფილაშვილი! ასევე შესაბამის სქოლიოში მითითებებით ვისარგებლე: მ. საგინაშვილის, მ. ჩხატარაიშვილის, ნ. უგრელიძის, მ. შენგელიას, ა. ურუშაძის და სხვა ავტორთა შრომებით, რომლებიც თავის შრომებში საერთოდ არ გამოუყენებია ბატონ პ. ფირფილაშვილს. ასევე ქართულ და რუსულ ენაზე დასტამბულ 4 თაბახიან წიგნში გამოვაქვეყნე 32 სურათი, მათ შორის ზოგიერთი მათგანი პირველად! ამრიგად, პ. ფირფილაშვილის სამი ნაშრომის გაერთიანების გზით ჩემს მიერ მათი მითვისება ვერაფრით ვერ დასტურდება. მე თუ რაიმე მივითვისე და ეს თუ ასეა, დაენიშნოთ იურიდიული ექსპერტიზა და რაიმე მამხილებელი ბრალდებისას მზად ვარ პასუხი ვავო! წინააღმდეგ შემთხვევაში პ. ფირფილაშვილმა აგოს პასუხი ცილისწამებისათვის! იქვე პ. ფირფილაშვილი მიუთითებს სქოლიოში რომ ს. სალუქვაძის მამხილებელი რეცენზია უკვე გამოქვეყნდა და ამის შესახებ „ვეფიქრობ, სიტყვის გაგრძელება აღარ ღირსო!“ (იხ. სქოლიო №—53 ამავე ჟურნალში — „მაცნე“, №—4, გვ. 134-ე). იგულასხმება მ. შენგელიას, ბ. ჭუმბურიძისა და პ. ფირფილაშვილის სტატია⁹.

რამდენად ობიექტურია პ. ფირფილაშვილი, როდესაც იხსენიებს ჩემს წინააღმდეგ დაბეჭდილ ამ ცილისმწამებლურ რეცენზიას და არაფერს ამბობს ჩემს პასუხზე¹⁰.

საუბარი იმის შესახებ თუ რამ განაპირობა ჩემს წინააღმდეგ აღნიშნული ცილისმწამებლური სტატიის გამოქვეყნება აქ შორს წაგვიყვანდა, მაგრამ ის კი აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ პავლე ფირფილაშვილი 1958 წელს არ უთითებს მასზე 6 წლით ადრე გამოქვეყნებულ ზ. შენგელიას მონოგრაფიას, სადაც ვკითხულობთ: „ქართული სამედიცინო ძეგლების მეტად მდიდარი შინაარსი და მათში ხმარებული სამედიცინო და სამკურნალწამლო საშუალებათა ტერმინები ცხადყოფს, რომ ძველ საქართველოში წამალმომცოდნეობა და წამლის მომზადების ტექნიკა მაღალ დონეზე უნდა ყოფილიყო. ამას ამტკიცებს ვარძიის ციხე-ქალაქი (XII საუკუნე), სადაც აღმოჩენილია კლდეში გამოკვეთილი

⁹ მეტი სიზუსტისა და კეთილსინდისიერებისათვის მეცნიერებაში, „საბჭოთა მედიცინა“, № 2, 1981, გვ. 64—67.

¹⁰ ს. სალუქვაძე, პასუხი რეცენზიის ავტორებს, ჟურნალ „საბჭოთა მედიცინა“, 1981; №—3, გვ. 165—168.

აფთიაქისათვის განკუთვნილი სადგომი, მრავალი უჯრით, წამლების შესახებად“¹¹.

ამის შესახებ მას მივუთითე ჯერ კიდევ 1981 წელს ჟურ. „საბჭოთა მედიცინის“ № 3-ში გამოქვეყნებულ სტატიაში „პასუხი რეცენზიის ავტორებს“ და ნაცვლად იმისა, რომ მას აეხსნა ამ უხერხული ფაქტის მიზეზი, პირიქით ასეთი რამ განაცხადა: „მე, 1949 წელს საჯაროდ ვთქვე ვარძიაში აფთიაქი რომ იყო“. ამჟამად ისიც გავარკვეით, რომ ჯერ კიდევ 1947 წელს ბატონი გიორგი ტყეშელაშვილი გამოთქვამს ვარაუდს, ვარძიაში აფთიაქის არსებობის შესახებ:

„По пути к залу совещания этажом выше виднеется загадочная пещера с большим количеством маленьких ниш (свыше 200)—ниши одинакового размера идут рядами от пола до потолка пещеры одна над другой. Насчет этой таинственной пещеры имеется ряд догадок: аптека, архив, казнохранилище и т. д.“¹²

ვარძიაში აფთიაქის არსებობის შესახებ თვალსაზრისს ბატონი ტყეშელაშვილი კვლავ იმეორებს 1951 წელს გამოცემულ ამავე მონოგრაფიაში¹³.

ამ მეორე გამოცემაში ავტორმა დაახუსტა ნიშების (თახნების) რაოდენობა: 1947 წელს თუ 200-ზე მეტს ითვლიდა, 1951 წელს იგი 232-ს უთითებს. 1978 წლის ივნისში ჩვენ აღვრიცხეთ 221 თახჩა, ხოლო ბატონი პავლე ფირფილაშვილი კი 192-ს ასახელებს, რაც წარმოდგენილად მიგვაჩნია.

ამრიგად, ბატონ პავლეზე ადრე, (1947 წ.) გ. ტყეშელაშვილს გამოუთქვამს მოსაზრება ვარძიაში აფთიაქის არსებობის შესაძლებლობის შესახებ.

რამდენად ობიექტური და კომპეტენტურია პ. ფირფილაშვილის მიერ ჩემი კრიტიკა, ამის საჩვენებლად მოვიტან მხოლოდ ერთ ციტატას იმ რეცენზიიდან, რომელიც მან მ. შენგელასა და ბ. ჭუმბურიძესთან ერთად „საბჭოთა მედიცინაში“ გამოაქვეყნა. კერძოდ, რეცენზიაში ვკითხულობთ: „ავტორმა (ე. ი. პროვოზორმა ს. სალუქვაძემ) „უსწორო კარაბადინი“ — ფარმაკოპეად — მედიკოსთა სახელმწიფო საკანონმდებლო წიგნად გამოაცხადა, მაშინ როცა ის მხოლოდ სამკურნალო წიგნია, სადაც მოცემულია, როგორც თერაპია, ქირურგია, ნევროპათოლოგია, ისე, რასაკვირველია, ფარმაკოლოგიაც და არა ფარმაკოპეა, როგორც ავტორი „გვარწმუნებს“¹⁴. ფაქტია, რომ კარაბადინი უცხო სიტყვაა. ქართველი ლექსიკოგრაფი, სულხან-საბა ორბელიანი მას ასე განმარტავს: „კარაბადინი სამკურნალო წიგნია“¹⁵.

1950 წელს გამოიცა „სამკურნალო წიგნი — კარაბადინის“ მეორე ნაწილი (ხელნაწერი Q ფონდის №—877). პუბლიკაციას ახლავს ცნობილი ენათმეცნიერის, პროფ. ილია აბულაძის მიერ შედგენილი განმარტებითი ლექსიკონი. ამ წიგნის სათაურშივეა ჩადებული „სამკურნალო წიგნის“ და „კარაბადინის“ იდენტურობა, მაგრამ პუბლიკაციისათვის დართულ ლექსიკონში 478-ე გვერდ-

¹¹ ზ. შენგელია, საქართველოს სამკურნალო მცენარეები, თბ., 1952, გვ. 6.

¹² Г. И. Ткешелашвили, Вардзия (туристическо-краеведческий очерк), Тб., 1947, გვ. 45.

¹³ Г. И. Ткешелашвили, Вардзия (туристическо-краеведческий очерк), Тб., 1951, გვ. 118-119.

¹⁴ მ. შენგელია, ბ. ჭუმბურიძე, პ. ფირფილაშვილი, მეტი სიზუსტისა და კეთილსინდისიერებისათვის შეცნობებაში, „საბჭოთა მედიცინა“, №—2, 1982, გვ. 64—67.

¹⁵ ს-ს. ორბელიანი, სიტყვის კონა.



ზე სიტყვა-სიტყვით ასეთი განმარტებაცაა მოცემული: „სამკურნალო წიგნია (საბა). წამლეულობის წიგნი — ფარმაკოპეა („კარაბადინი — ფარმაკოპეა“ გახლავთო, ბატონო პავლე! ს. ს.) — ფარმაცევტული პრეპარატების დამზადების საშუალებათა აღწერა“. ჩემი თუ არ გჯერათ სულხან-საბა ორბელიანს და პროფ. ილია აბულაძეს ხომ უნდა დავუჯეროთ! ამჟამად ეს ვიკმაროთ „სამკურნალო წიგნის“ და „კარაბადინის“ იგივეობის შესახებ. მე, როგორც წამალთმცოდნემ, შემძლია მოვიშველიო არაბულ-რუსული და სრული არაბულ-სპარსულ-რუსული განმარტებითი ლექსიკონებიც. 1910 წელს ქ. ტაშკენტში გამოვიდა ი. დ. იაგელოს მიერ შედგენილი სრული არაბულ-სპარსულ-რუსული განმარტებითი ლექსიკონი, რომლის 1174-ე გვერდზე შავით თეთრზე შემდეგი განმარტებაა: „კარაბადინი — წამლის შემადგენლობა, ანტიდოტი — ფარმაკოპეა, წამლის მომზადების ხელოვნება არის“-ო! 1970 წელს მოსკოვში გამოიცა ი. ა. რუბინიჩის „ირანულ-რუსული განმარტებითი ლექსიკონი“, რომლის 261-ე გვერდზე ვკითხულობთ: „კარაბადინი ფარმაკოპეა“ არისო, ხოლო 1977 წელს მოსკოვში ი. ტ. ბარანოვის მიერ გამოიცა: „არაბულ-რუსული ლექსიკონი“ — რომლის 629-ე გვერდზე სემიტოლოგიაში კომპეტენტური ლექსიკოგრაფი წერს: „კარაბადინი — ფარმაკოპეა არისო და მოიცავს ფარმაკოლოგიასაც-ო“. ამის შემდეგ კიდევ ერთხელ გავისხენოთ (მხოლოდ სიმკვეთრისათვის), საქართველოს მედიცინის ისტორიის კვლევის ფუძემდებლის, ექიმლადო კოტეტიშვილის კონცეფცია, გამოთქმული „წიგნი საქიმო“-ს პუბლიკაციისადმი დართულ შენიშვნებში: „ქართული კარაბადინების შესწავლამ ცხადყო, რომ კარაბადინი თავისი პირველი მნიშვნელობით საქიმო წიგნი კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ სააფთიაქო წიგნი, რომელიც შეიცავდა წამლეულის დამზადების წესებს, როგორც დღეს ფარმაკოპეა“¹⁶.

ძალუხებურად, გვინდა თუ არ გვინდა, ბატონი პავლე ფირფილაშვილი იმსახურებს 1988 წელს ჟურნალ „მაცნეს“ № 4-ში გამოქვეყნებულ სტატიანაც პასუხის გაცემას. სახელდობრ, 112-ე გვერდზე წერილში „მალაქეთა ნასახლარზე შემორჩენილი მრავალთახჩებიანი ნაგებობის დანიშნულების საკითხისათვის“ პირველსავე 3 სტრიქონში ასეთი თვალსაზრისია მოცემული: „1981 წელს, ვარძიის და უფლისციხის მრავალთახჩებიანი გამოქვაბულების მიბაძვით, ზოგიერთმა ავტორმა (ეს „ზოგიერთი ავტორი“ მე გახლავართ! — ს. ს.) ზემოწინარეხის მალაქეთა ნასახლარზე შემორჩენილი მრავალთახჩებიანი ნაგებობა მიიჩნია აფთიაქის შენობად“ ე. ი. არც მეტი არც ნაკლები, მალაქებობა, სახელდობრ სოლომონ მალაქაძის კოშკიდან 70—80 მეტრის დაშორებით მთის ძირას მდებარე ქვაფიქალით ნაშენებ თახჩებიან გამოქვაბულს, 500-მდე თახჩით, ჩვენ აფთიაქის ტიპის დაწესებულებად მივიჩნევთ! გვაქვს თუ არა რაიმე წერილობითი საფუძველი ასეთი განცხადებისათვის? მივყვით მოვლენათა მსვლელობებს და ყოველივე ნათლად წარმონდგება: კლდეში ნაკვეთი ძველი ქალაქის — უფლისციხის თახჩებიან ნაგებობის

¹⁶ წიგნი საქიმო, 1936, თბ., გვ. 33.



ეროვნული
წიგნალაშენი

განსაზღვრისას, ცნობილი მეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფ. დავით ხახუტაიშვილი აქ კარის ბიბლიოთეკათან შედარებით აფთიაქის არსებობის ფაქტს ანიჭებს უპირატესობას. მართალია, არქეოლოგიური გათხრების შედეგად არც აფთიაქის დამადასტურებელი რაიმე ნივთი და არც ბიბლიოთეკის დამახასიათებელი რაიმე ფაქტობრივი მასალა არ გამოუვლენიათ, მაგრამ სავარაუდო — ინტუიციური მოსაზრებით ბატონი დ. ხახუტაიშვილი აქ აფთიაქის არსებობის შესაძლებლობას იზიარებს! XII საუკუნის კლდეში ნაკვეთ ქალაქ ვარძიაში თახჩებიანი ნაგებობა, რომ აფთიაქის ტიპის დაწესებულება იყო, ამის შესახებ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პირველ მეცნიერულ მოსაზრებას 1947 წელს აქვეყნებს ბატონი გიორგი ტყემელაშვილი, 1952 წელს — ბატონი ზურაბ შენგელია, 1958 წელს — ბატონი პავლე ფირფილაშვილი, 1970 წელს — ბატონი მიხეილ შენგელია. 1979 წელს ჩემი წინამორბედი მკვლევარების მოსაზრება სავსებით გავიზიარე და 2—3 წლის განმავლობაში ზაფხულობით ინტენსიურად ვიკვლევდი ვარძიაში არსებულ თახჩებიან ოთახებს. როგორც პროფესიონალმა წამალმცოდნემ მოვახდინე თახჩების ზუსტი რაოდენობრივი აღრიცხვა, №—70-ე ოთახის ზუსტი გაზომვა, ასევე მეზობელი №—69-ე, №—68-ე ოთახების შეძლებისდაგვარად გაზომვა და გაირკვა, რომ ჩემი წინამორბედი მკვლევარების ანაზომები, სამწუხაროდ, ზუსტი არ აღმოჩნდა, ვინაიდან, როგორც ჩანს, ისინი ფიზიკურად აფთიაქად მიჩნეულ თახჩებიან ოთახში ნაყოფი არ ყოფილან! ამიტომ მათ მიერ მითითებული თახჩების რაოდენობა სინამდვილეს არ შეესაბამება!

ზემოთქმულთან კავშირში დგება საკითხი — გვაქვს თუ არა რაიმე წერილობითი საბუთი, რომ უფლისციხეში და ვარძიაში არსებული თახჩებიანი ნაგებობის ანალოგიური, მაღალანთ კარში მდებარე 500 თახჩებიანი ოთახი წამლის სასახლედ — აფთიაქად მივიჩნიოთ?

წინააღმდეგ არსებული მოსაზრებისა ვამტკიცებ, რომ ვარძიაში თახჩებიანი ოთახი არავითარ შემთხვევაში სამტრედე არ შეიძლება ყოფილიყო, ვინაიდან 1283 წელს, სანამ ვარძია მიწისძვრის შედეგად დაინგროდა, №—70-ე ოთახი გარეთა ფასადიდან სულ ცოტა 20—25 მეტრით იყო ალბათ დაშორებული და სიბნელეში ამ მანძილის დაფარვას ღამურები თუ შეძლებდნენ! ამიტომ გამორიცხული ჩანს ვარძიაში მტრედების მოსაშენებელი თახჩების არსებობა. ზოგიერთი მკვლევარი მიუთითებს, რომ ეს თახჩებიანი ნაგებობები თითქოს გვამის კრემაციის შედეგად მიღებული ფერფლის ურნების დასადგმელი „კოლუმბარიუმის“ დანიშნულებას ასრულებდა! ესეც გამორიცხულია, იმიტომ, რომ შუა საუკუნეებში საქართველოში არ ყოფილა გვამის კრემაცია და აქედან გამომდინარე, ჩვენი წინაპრები რატომ ააგებდნენ კრემაციის შედეგად მიღებული ფერფლის შესანახად თახჩებიან ნაგებობას — კოლუმბარიუმებს? მაღალანთ კარში მიწის ზევით სამი მწკრივი თახჩებიანი ნაგებობა აღმოვაჩინე ჯერ კიდევ 1979 წელს! აკადემიკოს შოთა ძიძიგურს მივმართე, რომ ძეგლზე მუშაობის ნებართვის იურიდიული საბუთი — ღია ფურცელი გაცემულიყო ბაადურ მჭედლიშვილის სახელზე. ასეც მოხდა. ღია ფურცელი გაიცა და არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოვაჩინეთ მიწაში ჩაფლული 500-მდე თახჩა. მათ პავლე ფირფილაშვილი „საყინულეს“ ფუნქციას ანიჭებს და არა აფთიაქისას! ასეც, რომ იყოს, დაბალი ტემპერატურის შენარჩუნება ჯანმრთელობის შენარჩუნებას ემსახურებოდა, მაგრამ სინამდვილეში საკითხის არსი სულ სხვაგვარად გამოიყურებოდა. კვლევის შედეგად სულ უფრო ძლიერდება სავარა-



უღო მოსაზრება, რომ უფლისციხეში, ვარძიაში და მალალანთკარში არსებულ თახჩებიათა ნაგებობა წამლის სასახლის — აფთიაქის დანიშნულებას ასრულებდა და შუა საუკუნეების საქართველოში. ისმის კითხვა თუ რა არგუმენტი გვაქვს იმის დასამტკიცებლად, რომ მალალანთკარში ჩვენს მიერ აღმოჩენილი თახჩებიათა ნაგებობა სწორედ რომ წამლის სასახლე იყო? კეთილი, მოგახსენებთ: დიდი ზაზა ფანასკერტელის „სამკურნალო წიგნი — კარაბადინის“ 177-ე (r) და 219-ე (v) გვერდებზე იხსენიება მახარებელი. ცნობილი კომპეტენტური სპეციალისტების პროფესორების კოტე გრიგოლიას და ილია აბულაძის გამოკვლევების მიხედვით ეს ისტორიული პიროვნება მალალაძეების საგვარეულოს წარმომადგენელი კალიგრაფი მახარებელ მალალაძეა და მას ზაზას კარაბდინში მჩხრეკელ-გადამწერის ფუნქცია ჰქონდა მინიჭებული! ასეც, რომ იყოს, მახარებელ მალალაძე კარაბადინის მექანიკური გადამწერიც, რომ ყოფილიყო, დიდი ზაზა ფანასკერტელი 500 წლის წინათ არაკომპეტენტურ პირს კარაბადინის გადამწერას არ დაავალებდა! მით უმეტეს ჩვენ ხელთ არა გვაქვს დოკუმენტური საბუთი, რომ „მკურნალმა“ და „ბრძენთმთავარმა“ ზაზამ ჯერ დაწერა კარაბადინი და შემდეგ გადასცა იგი გადასაწერად მახარებელ მალალაძეს! თანაც ბატონების კოტე გრიგოლიას, ილია აბულაძის და მიხეილ შენგელიას თვალსაზრისი, რომ მახარებელ მალალაძე კარაბადინის გადამწერია, ვერ ემყარებოდა პალეოგრაფიულ ესპერტიზას, ანუ მათ ხელთ არ ჰქონდათ მახარებელ მალალაძის ხელით დაწერილი სხვა დედანი, რომ კარაბადინის ფურცლებთან მოეხდინათ შედარება. ჩვენდა საბედნიეროდ, ასეთი საბუთი — „ფანიაშვილების გუჯარი“ საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში დედნების №—1448 ფონდში აღმოვაჩინეთ და კვლევა-ძიებაში შემოვიტანეთ: ეს გახლავთ №—63 საბუთი (დედანი). ნუ მიწყენენ ამას ჩემი ოპონენტები. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ქ. თბილისის სამეცნიერო-კვლევითი ექსპერტიზის ლაბორატორიაში ჩვენ მიერ საკითხის დასმის შემდეგ ექსპერტიზით დამტკიცდა, რომ კარაბადინის 1368 გვერდიდან 1008 გვერდი „ფანიაშვილის გუჯარის“ ხელის იდენტურია — ხოლო კარაბადინის 360 გვერდი სხვა კალიგრაფის ხელით არის დაწერილი! ასეთი რთული ვითარება არსებობს კარაბადინის ავტორობის საკითხის გადაწყვეტისას! „ფანიაშვილების გუჯარი“ 1491 წელს გაცემულია მეფეთ-მეფე კონსტანტინე II ბაგრატიონის მიერ ქართლის ფეოდალ ფანიაშვილის სახელზე და თავიდან ბოლომდე მახარებელ ოქროპირის ძე მალალაძის ხელით არის დაწერილი. ამავე ხელით დაწერილი აღმოჩნდა კარაბადინის 1008 გვერდი! იქნებ დიდი ზაზას კარანახით დაწერა კარაბადინის 1008 გვერდი მახარებელ ოქროპირის ძე მალალაძემ? ეს თუ ასეა და აქ სათუო არაფერია, ერთი ფაქტი სრულიად გამორიცხული ჩანს: „ბრძენთმთავარი“ ზაზა შემთხვევით პირს კარაბადინის არც გადამწერას დაავალებდა და, ბუნებრივია, არც უკარანახებდა! მაშასადამე, სასულიერო პირი: ქადაგი, მღვდელი, ჯუარის-მტვირთველი მახარებელ მალალაძე კომპეტენტური პირი იყო, რომელიც ახრებდა კარაბადინის შედგენაში გვერდში ამოდგომოდა „პატრონს“, დიდ ზაზა ფანასკერტელს! მხედველობაშია მისაღები ის, რომ ქართული პალეოგრაფიის ისტორიაში არც ერთი ხელნაწერის ავტორს ჯერჯერობით საკუთარი თავისადმი „პატრონის“ ზედწოდებით არ მიუძღარავს, ხოლო ხელნაწერში Q №—877 დიდი „მკურნალი“ და „ბრძენთმთავარი“ ზაზა ორჯერ მოიხსენიება „პატრონის“ ეპითეთით! მათ შორის ერთი ანდერძი სინგურით მახარებელ მალალაძის ხელით არის დაწერილი. ამით იმის თქმა მინდა, რომ კარაბადინის შედგენის, ან



გადაწერის თანამონაწილეა მახარებელ ოქროპირის ძე მალალაძეს. მისი მნიშვნელობის ფაქტი როდია. საერთოდ კი ძველი ქართული კარაბადინების ტექსტის 70%-ზე მეტი ეხება წამალთფორმების მომზადების ტექნოლოგიის აღწერას, დოზების მითითებას და მკურნალობის ხანგრძლივობის განსაზღვრას! მასში „კაცთა ყველა ჭირის სამკურნალოდ, თავის თმიდან, ვიდრე ფეხის ფრჩხილებამდე“ 25-მდე წამლის მომზადების წესები — რეკომენდაციებია მოცემული. როგორც ითქვა, „კარაბადინი“ არაბული სიტყვაა. ქართულად მას „სამკურნალო წიგნი“ ჰქვია, ხოლო ბერძნულად — „ფარმაკოპეა“. ე. ი. ამ ცნებათა იდენტურობა მეცნიერული აქსიომაა. ფაქტია, რომ მალალაძეთა საგვარეულოს წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო წამლების მომზადების წესების — კარაბადინის შედგენაში. არქეოლოგიური გათხრებით აღმოვაჩინეთ მალალანთ კარში ისეთივე თახჩები, როგორც ვარძიასა და უფლისციხეშია. განა მალალაძეების ყოფილ სამფლობელოში, კავთურას ხეობაში თახჩებიანი ნაგებობის აღმოჩენის ფაქტი არ აძლიერებს იმ მოსაზრებას, რომ ამ საგვარეულოს წარმომადგენელსაც (მახარებელ მალალაძეს) მონაწილეობა მიუღია კარაბადინის შედგენაში და რომ აფთიაქი და კარაბადინი ერთსა და იმავე საგვარეულოს, მალალაძეებს უკავშირდება? გამოდის, რომ მათ სამფლობელო ტერიტორიაზე თახჩებიანი ნაგებობა — წამლის სასახლე აფთიაქი მოქმედებდა. სად გავქეცევით ამ ფაქტს? ისტორიული წერილობითი წყაროებით ისიც დადგენილია, რომ აქვე თვალადის ტბაში აშენებდნენ სამედიცინო წურბლებს! სერგი მაკალათიას გამოკვლევული ეთნოგრაფიული მასალებით „დედა ღვთისას“ ეკლესიაში რძენაკლები დედები ასრულებდნენ მსხვერპლშეწირვას და „ძუძუს ხატის“ წინაშე ლოცვა-ვედრების რიტუალს, რძის მომატების მიზნით. აქვე კავთურას ხეობაში „წალკოტი“ ყოფილა გაშენებული, რაც ქართული დოკუმენტებით არის დადასტურებული, მახარებლის კოში კი ულტრაიისფერი, ინფრაწითელი და რენტგენოსკოპული სხივებით წარმოჩნდა. „ნიშნით აღბეჭდილ“ ღვთისმშობელთან მამა აბრამის ვედრების ფრესკული კომპოზიცია და ბრამის თვალის ახელვის მიზნით 7 ცხვრის შეწირვის უნიკალური ფრესკა, ოდიოვანვე მედიცინის ემბლემის, დაკლავილი გველის გამოსახულების ფონზე!

„სამკურნალო წიგნი — კარაბადინში“ რომელიც XV საუკუნის II ნახევარში შედგენილი ხელნაწერია, დიდ ზაზა ფანასკერტელთან ერთად, ანდერძ-მინაწერებში ორჯერ მოიხსენიება მახარებელი (მახარებელ ოქროპირისძე მალალაძე).

ახლახან საქართველოს ხელოვნების მუზეუმში აღმოჩენილ იქნა და სამეცნიერო ბრუნვაში ჩვენ მიერ შემოტანილია მალალაძეების გვარის დროშა, რომელიც წმინდა გიორგის კულტთან არის დაკავშირებული. ლიტერატურული წერილობითი წყაროების მონაცემებით და ხელოვნებათმცოდნეების აზრით, წმინდა გიორგი იყო: „ტყვეთა განმანთავისუფლებელი და გლახაკთა ხელისამპყრობელი, სნეულთა მკურნალი და მეფეთა უძლეველი წინამძღოლი“. XV საუკუნის პოეტი სვიმონ შოთაძე წერდა: „კვლავ ვახსენებდეთ სახელსა წმინდისა გიორგისასა, ვინ ქმნა ურდოცხვი კურნება ქალაქსა ლასიისასაო“. ასე რომ, წმინდა გიორგის კულტი, რომელიც „სნეულთა მკურნალი“ იყო 1616 წლიდან დაკავშირებული ყოფილა მალალაძეების გვართან. ხელოვნების ამ იშვიათ ნიმუშზე — ოქროს წყალში ამოვლებული ვერცხლის ფირფიტაზე, წმინდა გიორგის ტრადიციული სახეა გამოსახული (მო-

ჭედილი), მხედრული წარწერით: „ქრისტე, წმიდაო გიორგი კავთისავე შეიწყალე ნიკოლოზ მალალაძე, ამინ. ქორონიკონი ტ. დ.“ ე. ი. 1616 წელი! ასევე, არაერთი არგუმენტით დადასტურდა, რომ კავთურას ხეობაში — მალალანთ კარში დაახლოებით 600 წლის წინათ საეკლესიო მედიცინის კერა მოქმედებდა.

უფრო საბუთიანად რომ ყოფილიყო ჩვენი ეს კონცეფციები წარმოჩენილი, შესაბამის სქოლიოებში მითითებით, ეს საკითხები ჩვენ შევიტანეთ ზემოთ ხსენებულ ჩვენს მონოგრაფიაში, ქვესათაურით: „ახალგამოვლენილი ძველი ქართული საეკლესიო მედიცინის კერა“, ამიტომ უფრო ვრცლად აქ, ამ საკითხზე, ტექნიკური მიზეზების გამო ჩვენ საუბარს აღარ გავაგრძელებთ.

მიუხედავად იმისა, რომ მალალაძეების სამოღვაწეო სარბიელზე გამოჩენათეოდ უორდანიას „ქორონიკების“ II ტომის მიხედვით 1377—1391 წლებადან ჩანს, პ. ფირფილაშვილი მაინც XV ს-ეს მიიჩნევს მალალაძეთა სამოღვაწეო სარბიელზე გამოჩენის თარიღად! ამ „კრიტიკული წერილის“ 123-ე გვერდზე, ბატონი პ. ფირფილაშვილი წერს, „ყინული გურიაში სოფლის ავადმყოფთა სამკურნალოდ ყოფილა გამოყენებული“. აქედან ფრიად „ლოგიკურია“ ბატონი პ. ფირფილაშვილს დასკვნა, რომ კავთურას ხეობაში თახჩებთან თათხი „საყინულე“ — „საცივი“ ყოფილა. იგი კერძოდ აღნიშნავს: „ჩვენი მკურნალები ყინულს თითქმის ისეთივე მნიშვნელობას ანიჭებდნენ, როგორც წამალს“¹⁷ ამ ფრაზით უფრო ძლიერდება ჩვენი კონცეფცია — თუ მალალანთ კარში თახჩებთან ნაგებობაში ყინულს ინახავდნენ, დაბალი ტემპერატურის ხელოვნურად შექმნა წამლის მოსამზადებელი კომპონენტების შენახვას შეუწყობდა ხელს! ძველად, როცა მაცივრის ტიპის დანადგარები არ არსებობდა, ჩვენი წინაპრები გრილ ადგილებში აგებდნენ წამლის შესანახად სათავსებს. დიახ, აფთიაქში ტემპერატურული რეჟიმის დაცვა იყო საჭირო. ასე, რომ ყველაზე სარწმუნოა, რომ მალალანთ კარში ეს თახჩებიანი ნაგებობა გახლდათ წამლის სასახლე, აფთიაქის ტიპის დაწესებულება. ჩვენ აქ ავტომატურად გავეციოთ პასუხი 1991 წელს ჟურნალ „მაცნეს“ (№ 4-ში) 135 გვერდზე ჩვენს წიგნზე დაბეჭდილ უსაფუძვლო შეკითხვას — „რა მონაცემების საფუძველზე მიიჩნევენ წინარების უჯრებიან ნაგებობას XII—XIII ს. ძეგლად“?... ე. ი. აფთიაქად? ეს თარიღი შეიძლება სადავო იყოს, მაგრამ მალალაძეების წინამორბედი ფეოდალი ივანიძეები რომ სამოღვაწეო სარბიელზე ჩნდებიან XII—XIII საუკუნეების მიჯნაზე, უდავოა თ. უორდანიას „ქორონიკების“ II ტომის მიხედვით და სავარაუდო კონცეფციის აკრძალვა მეცნიერებაში წარმოუდგენელია. აქვე უნდა აღვნიშნოთ ახალი არქეოლოგიური აღმოჩენის შესახებ. მცხეთის რაიონის სოფ. ნიჩბისში მდებარეობს გვიანი შუა საუკუნეების ძეგლი — „ზაზას ციხე“. რომლის რესტავრაცია უნდა ეკუთვნოდეს XVII—ს-ის II ნახევრის გამოჩენილ ფეოდალს, ზაზა პაპუნას ძე ფანასკერტელ-ციციშვილს. ამ ნაგებობის კედელში ათიოდე წლის წინათ ჩვენ შევნიშნეთ ვარძიაში არსებული თახჩებიანი ნაგებობის — აფთიაქის ანალოგიური ნიშების სამი მწკრივი. შუა საუკუნეებს ენციკლოპედისტის, „მკურნალისა“ და „ბრძენთმთავრის“ ზაზა ფანასკერტელის „კარაბადინი“ ჩვენამდეა მოღწეული. პალეოგრაფიული ექსპერტიზით ისიც გა-

17 პ. ფირფილაშვილი, დასახ. ნაშრომი, „მაცნე“, ისტორიის სერია, № 4; გვ. 124.



ირკვა, რომ მახარებელ მაღალადე არ ყოფილა უბრალო გადამწევი მისა, სავრადოა, რომ დიდ ზაზას არაერთი აფთიაქი ექნებოდა! სამწუხაროდ, მისი ნაშთები არც ყინწვისის ეკლესიის მიდამოებში და არც ძამას ხეობაში ვერ იქნა აღმოჩენილი. რაც შეეხება სოფ. ნიჩბისში, „ზაზას ციხეში“, არსებულ თახჩების რაობის გარკვევას, მისი არქეოლოგიური შესწავლა საშური საქმეა, რაც არაერთხელ აღვნიშნეთ. ამასთან დაკავშირებით 1992 წლის აგვისტოში სასიამოვნო ცნობა მივიღეთ. სოფ. ნიჩბისის მკვიდრი ხუროთმოძღვარი ელდარ ციციშვილი და ადგილობრივი ენთუზიასტი ისტორიკოსი ოთარ მაისურაძე შეუდგნენ ვალავნის კედლის არქეოლოგიურ გაწმენდას — კედლიდან ნაყარი მიწის გატანას. ახლად აღმოჩენილ ნაგებობაში სახეზეა თახჩების 6 რიგი და თითოეულ რიგში ერთი მეორესთან მიყოლებით 10 თახჩაა განლაგებული. აქვეა იზოლირებული რვა კვადრატული მეტრის ოთახი, რომელიც გასასვლელი კარით საერთო დერეფნით უკავშირდება რამდენიმე ოთახის ნაშთს. არქეოლოგიური გაწმენდის შედეგად ნაპოვანია მოჭიქული კერამიკული და ფაიფურის ჭურჭლების ნაშხვრევეები, სხვადასხვა ზომის ფერადი მინის ჭურჭელი. რაც მთავარია, სახეზეა ძლიერ დაზიანებული სააფთიაქო ხის შპატელა¹⁸ — ციცივი, რომელიც ალბათ გამოიყენებოდა საცხის, სალბუნის — მალამოს კონსტენციის წამლის ქოთნიდან ამოსაღებად და ჭრილობაზე წასასველად! კერამიკულ-მოჭიქულს და ნეიტრალური რეაქციის მქონე ფერად მინის ჭურჭელს, და საერთოდ, აქ აღმოჩენილ არქეოლოგიურ ნივთებს უნდა გაუკეთდეს გეოლოგიურ-სპექტროსკოპული და ქაღალდზე ქრომატოგრაფიული მეთოდებით ქიმიური ანალიზები, წამლის ფორმებში შემავალი სააფთიაქო კომპონენტების აღმოჩენის მიზნით. ანაღზის შედეგები კი, წარმოდენას შეგვიქმნის სამკურნალწამლა ნივთიერებების შესახებ შუა საუკუნეებში. ამ ეტაპზე ერთი ფაქტი უდავოა, აქ თახჩებიანი ნაგებობის არსებობს აძლიერებს წერილობითი საბუთი ზაზას და მახარებლის „სამკურნალ წიგნი — კარაბადინი“, ანუ წამლების მომზადების წესების სარეკომენდაციო კრებული (ხელნაწერი Q ფონდი, №—877).

„სამკურნალ წიგნი — კარაბადინი“, იგივე ფარმაკოპეა და წამლის სასახლე — აფთიაქი ურთიერთკავშირში აღმოჩნდა ფანასკეტელ-ციციშვილების საგვარეულოსთან. ეს დიდი მნიშვნელობის ფაქტია. როგორც ჩანს, დიდი ზაზას „კარაბადინი“ XV საუკუნის II ნახევარში შედგენილი ძეგლი XVII საუკუნის II ნახევარამდე იმყოფებოდა მისივე შთამომავლის, ზაზა პაპუნას ძე ფანასკეტელ-ციციშვილის გამგებლობაში. ცნობილია, რომ მუხრანის ბაგრატიონებმა, ერთი მონაცემით 1674 წ., მეორე მონაცემით 1676 წ., მოკლეს ეს დიდი ფეოდალი ზაზა და მეფის ვახტანგ V (შაჰნავაზის) იასაულებმა წაართვეს მისი წინაპრის მკურნალ ზაზას „კარაბადინი“ და „ვეფხისტყაოსნის“ უნიკალური ხელნაწერი (Q ფონდი №—1082). სხვანაირად წარმოდგენელია, როგორ უნდა აღმოჩენილიყო ზაზას „კარაბადინი“ მეფე ვახტანგ VI-ის ხელში? ზაზას „კარაბადინის“ 1008 გვერდის დაწერა, ან, როგორც ამბობენ, მისი გადაწერა ზაზას თანმედროვეს, მახარებელ ოქროპირის ძე მაღალაძეს უკავშირდება. აქსიომა გახლავთ ის ფაქტი, რომ ზაზა ფანასკეტელი არაკომპე-

18 შპატელა — ლათ. spatula — „ნიჩაბი“, ძელის ან ხის პატარა ნიჩაბი, იხმარება საღებავების ასარევად ან და აფთიაქებში — მალამოს წასაცხებად (იოსებ იმედაშვილი. უცხო სიტყვათა ლექსიკონი ახლად შევსებულ-შესწორებული და გადამუშავებული III გამოცემა), თბ., 1928.

12. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1993, № 1



ტენტურ პირს „კარაბადინის“ დაწერას, ან გადაწერას არ დაავალდებულებს, რომ მახარებელ-მაღალაძე — საეკლესიო მედიცინის წარმომადგენელი კომპეტენტური პირი ყოფილა კარაბადინის შედგენის საქმეში. ეს აფთიაქი არქეოლოგიური გათხრების შედეგად მაღალაძეს კარში ჩვენ მიერ იქნა აღმოჩენილი. შედარებითი ძიების შედეგად ირკვევა, რომ უფლისციხეში, ვარძიაში, მაღალაძეს კარში და სოფ. ნიჩბისში აღმოჩენილი თახჩებიანი ნაგებობები ყოფილა წამლის სასახლის — აფთიაქის ტიპის დაწესებულებები შუა საუკუნეების საქართველოში.

წამლის სასახლე — აფთიაქის და „კარაბადინის“ ურთიერთთან დაკავშირება ფანასკერტელ-ციციშვილი და მახარებელ მაღალაძის მაგალითზე ერთ-ერთ უტყუარ არგუმენტად მიგვაჩნია ამ თახჩებიანი ნაგებობის პრაგმატული ფუნქციის განსაზღვრისას. აღმოჩენილი ნივთების: შპატელას, მინის, ფაიფურისა და მოჭიქული კერამიკული ჭურჭლების ნამსხვრევები გვიძლიერებს ასეთი მოსაზრების გამოთქმის საშუალებას.

ნოდარ გურგენიძე

ძველი ქართული პრესა როგორც საბიბლიოთეკო საქმის ისტორიის
კვლევის წყარო

როგორც ცნობილია, ამჟამად წარსულის კვლევა თითქმის წარმოდგენილია, თუ სათანადო ყურადღება არ დავუთმეთ იმ მასალებს, რომლებიც წასული წლებისა და საუკუნეების პერიოდულ გამოცემებშია მიმოხილული.

მთელი რიგი ისტორიული, პოლიტიკური, სოციოლოგიური, ეკონომიკური, ეთნოგრაფიული, კულტურული და სხვა საკითხები, რომლებიც შექმდებოდა ძველ ჟურნალ-გაზეთებში, ახლა საშუალებას გვაძლევს ბევრი საინტერესო ფაქტი გამოვავლინოთ და მეტად მნიშვნელოვანი მეცნიერული დასკვნები გავაკეთოთ. პრესამ წარსულიდან უძვირფასესი მასალები შემოგვინახა, რომლებსაც უტყუარი მეცნიერული ღირებულება აქვთ.

იგივე ითქმის საბიბლიოთეკო საქმის შესახებაც, რითაც ქართული პერიოდული ორგანოები თავის დროს დიდად იყვნენ დაინტერესებულნი.

პერიოდული ორგანოები საქართველოში მართალია, XIX ს-ის პირველ მეოთხედიდან არსდებიან, მაგრამ ფაქტობრივად ამ საქმემ ფრთები მხოლოდ საუკუნის მეორე ნახევარში გაშალა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საგლეხო რეფორმამ თავისი დადებითი შედეგები გამოავლინა და რუსეთის იმპერიაში ბურჟუაზიულმა წყობამ იწყო შემოქრა. ამდენად, ისევე როგორც ყველა სხვა ისტორიულ-პოლიტიკური, საზოგადოებრივ-კულტურული მოვლენების კვლევისას, საბიბლიოთეკო საქმის კვლევის დროსაც პერიოდიკისაგან მოპოვებულ მასალებს სწორედ ამ წლების ორგანოების ფურცლებიდან ვღებულობთ. ეს ხანა არაა დიდი. იგი ერთ საუკუნესაც არ ეტოლება, მაგრამ აქ დაცული მასალა იმდენად მრავალფეროვანი და ბევრია, რომ იგი ამოუწურავ საშუალებას იძლევა მრავალმხრივი კვლევის წარმოებისათვის.

მით უფრო მნიშვნელოვანია პერიოდული ორგანოების მიერ შემონახული მასალები, რომ მრავალი საკითხი, რომელიც აქ გაშუქებულია, სხვა სახით არ შემორჩენილა არც არქივებში, და არც ლიტერატურული ძეგლების სახით მოუღწევია. არის ისეთი რამ, რაც მხოლოდ პრესაში აისახებოდა და, ამდენად, ზოგ შემთხვევაში ამა თუ იმ ჟურნალისა ანუ გაზეთის ნომერი პირდაპირ პირველწყაროს უფლებებს იძენს.

მას სხვა ღირებულებებიც აქვს. პერიოდიკის საშუალებით შეიძლება დაზუსტდეს სხვა წყაროებიდან მიღებული ცნობებიც, შედარდეს ისინი ერთმანეთს კომპარატივის დადგენის მიზნით, მას შეუძლია დახმარება აღმოგვიჩინოს ამა თუ იმ მოვლენის შეფასებაში, დაგვანახოს, რა თვალთ უცქერდა მას მაშინდელი საზოგადოება. პერიოდიკის გამოყენება ზოგ შემთხვევაში შეიძლება სხვა წყაროების მისაკვლევად და დასადგენად, ხოლო ძალიან ბევრ შემთხვევაში აქ ვხვდებით ისეთ მასალებს, რომლებიც განსაზღვრავენ იმ სფეროს, რაც ჯერ

ხელუხლებელია და შემდგომ კვლევას საჭიროებს. შეუძლებელია ზუსტად და ამომწურავად განისაზღვროს, როგორ და რა სარგებლობის მოტანა შეუძლია ძველ ჟურნალ-გაზეთებს, მაგრამ თუ შევეცდებით ნაწილობრივ მაინც ჩამოვაყალიბოთ მისი როლი მეცნიერული კვლევის საქმეში, ის თვისებები, რაც მას აქვს დაახლოებით შემდეგია:

1. პერიოდიკა წარმოადგენს პირველწყაროს. მასთან დამე მასში დაცულია ისეთი მასალა, რომელიც არსად სხვაგან არ მოიპოვებოდა მანამდე. ან შეიძლება მოიპოვებოდა სხვაგანაც, მაგრამ მისგან დამოუკიდებლად; 2. პერიოდიკა წარმოადგენს აგრეთვე სხვა პირველწყაროების შემაჯამებელ, დამამოწმებელ, დამადასტურებელ, აზრის გამამყარებელ საშუალებას, როგორც აუცილებელ დამატებით ნაწილს ჰეშმარიტების დადგენის საქმეში; 3. პერიოდიკას მეშვეობით აღმოვაჩენთ მრავალ ისეთ საკითხს, რომელიც ჯერ ხელუხლებელი და დაუმუშავებელია. მას შეუძლია მოგვეცეს მრავალი მეცნიერული იდეა, წამოჭრას მრავალი თემა, წამოაყენოს საკითხები. ამ მხრივ ის ერთგვარად მეცნიერული კვლევის თემატურ გეგმასაც კი წარმოადგენს; 4. პერიოდიკა იძლევა უამრავ მეცნიერული ხასიათის მინიშნებებს სად და როგორ ვეძიოთ ამა თუ იმ საკითხის შესახებ საჭირო მასალა, რამართულებით ვიკვლიოთ, სად შეიძლება იყოს ის, რასაც ვეძებთ, ვის შეუძლია გვიპასუხოს ამა თუ იმ შეკითხვაზე და ა. შ. 5. პერიოდიკა წარმოადგენს ამასთანავე იმ ბიბლიოგრაფიულ წყაროსაც, სადაც თავმოყრილია უამრავი ბიბლიოგრაფიული ხასიათის ცნობა, რასაც უდიდესი ფასი აქვს მეცნიერებისათვის.

ამ და სხვა მრავალი ღირსების წყალობით პერიოდული გამოცემები იძენენ მეტად დიდ მეცნიერულ ღირებულებას, რის გარეშეც ამჟამად თითქმის შეუძლებელია მეცნიერული კვლევა მრავალ დისციპლინაში.

ჩვენ არაფერს ვამბობთ პირადად ჟურნალისტიკური დისციპლინების შესახებ, რამდენადაც ამ შემთხვევაში პერიოდული ორგანოების კვლევა სხვა ასპექტს ღებულობს, რომლისთვისაც ჟურნალ-გაზეთები კვლევა-ძიების თავსაც და ბოლოსაც წარმოადგენს.

რაც შეეხება საბიბლიოთეკო საქმეს, მის ისტორიასა და ორგანიზაციას, ბიბლიოთეკების საქმიანობას წარსულში საერთოდ, აქ უკვე ნაბიჯს ვერ გადავდგამთ, თუ პერიოდიკას არ მივმართეთ, მით უმეტეს, რომ პირდაპირი სარჩევო და ლიტერატურული მასალები ძალიან ძუნწად მოიპოვება. თითქმის არაა შემორჩენილი რევოლუციამდელი ძველი ბიბლიოთეკებიც; ზოგი მათგანი მაშინვე იხურებოდა, ზოგიც ცოტა გვიან, გადადიოდნენ შენობებიდან შენობაში, ნადგურდებოდა ფონდი და დოკუმენტაცია. ამ ბიბლიოთეკებიდან ჩვენს დრომდე აღარაფერი შემორჩა. თითქმის სავსებით შეუძლებელია საბიბლიოთეკო საქმის წარსულის კვლევისას უშუალოდ საკვლევ ძეგლებს — ბიბლიოთეკებს მივმართოთ და იქიდან მივიღოთ საჭირო ცნობები.

ოდნავ შველის საქმეს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების არქივი, სადაც შედარებით უხვადაა შემორჩენილი იმ ბაბ-



ლიოთეკების ანგარიშები, რომლებიც ამ საზოგადოების გამგებნი იყვნენ¹. მაგრამ, ცხადია, ეს საკმარისი არ არის.

რაც შეეხება ქართულ რევოლუციამდელ პერიოდიკას, აქ იმდენი და ისეთი ძვირფასი მასალებია თავმოყრილი, რომ ერთბაშად ძალიან ძნელია თქმა, რა ფასეულობას ქმნიან ისინი. აქ კვლავ უნდა გავუსვათ ხაზი იმას, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ამ მასალის მეცნიერული სისტემატიზაცია და ანალიზი, რათა ნათელი წარმოდგენა შეგვექმნას, რა მასალა არსებობს კვლევა-ძიებისათვის, რის გარეშეც მეცნიერული საქმიანობის პერსპექტივის დანახვა თითქმის შეუძლებელია. ეს კი აუცილებელია სათანადო დისციპლინის შემდგომი განვითარებისათვის.

აქ ჩვენ შევხვდებით ისეთ მასალებს, რომლებიც პირველწყაროებად შეიძლება მივიჩნიოთ, რომელთა მსგავსი სხვაგან არსად არ მოგვეპოვება. ვხვდებით აგრეთვე ისეთ მასალებს, რომლებიც, მართალია, სხვაგანაც გვხვდება, მაგრამ აქაც მოიპოვება და საშუალებას გვაძლევს მეტი დამაჯერებლობით დამსჯელოთ საკვლევ საგანზე; აქ ჩვენი ყურადღება შეიძლება მიიპყროს ისეთმა ცნობებმა, ისეთმა აზრებმა და საკითხებმა, რომლებიც ჭერჯერობით სპეციალური მეცნიერების მიერ დამუშავებული არ არის. მრავალ მეცნიერს შეიძლება დაებადოს იდეა ხელუხლებელი, ჯერ გამოუკვლეველი საგნის შესწავლისა, აღმოჩენილ იქნას ბევრი რამ ისეთი, რაც აქამდე ან არ იყო შემჩნეული, ან არ ეთმობოდა მას სათანადო ყურადღება. აქვე შეიძლება შევხვდეთ მრავალ მინიშნებას იმის შესახებ, თუ რა გზით წარემართოთ ძიება, მრავალი ჩვენთვის საინტერესო საკითხი რომ გავარკვიოთ, რა უნდა გვაკეთოთ უპირველეს ყოვლისა, სად მოვძებნოთ საჭირო მასალა, ვის მივმართოთ, სად შეიძლება აღმოჩნდეს რომელიმე მივიწყებული წიგნი თუ დოკუმენტი და ა. შ. აქვე შევხვდებით ჩვენ აგრეთვე უამრავ ბიბლიოგრაფიულ ცნობასა თუ მითითებას, რომლებსაც უაღრესად დიდი მეცნიერული ღირებულება აქვთ.

დღეისათვის საბიბლიოთეკო საქმის წარსულის კვლევისას რევოლუციამდელი პერიოდიკის გამოყენების გარეშე შეუძლებელია დარჩენა. რაც შეეხება XIX ს-ის მეორე ნახევრისა და ნაწილობრივ XX ს-ის დასაწყისის საბიბლიოთეკო საქმის შესწავლას, მისი წარმოებისათვის ქართული პერიოდიკა ყველაზე ძირითადი და ზოგჯერ ერთადერთი საკვლევი მასალაა, რაც კიდევ უფრო ზრდის ყურნალ-გაზეთების როლს ბიბლიოთეკათმცოდნეობითი მეცნიერებისათვის. თვით თავდაპირველი ძეგლების (ბიბლიოთეკების) და აქ დაკუთვნილი დოკუმენტების არარსებობა, საარქივო მასალის სიძუნწე, სხვადასხვა ლიტერატურული წყაროების თითქმის უქონლობა გვაიძულებს პერიოდიკას უფრო მეტად მივაპყროთ თვალი და მისი მასალები როგორც მეცნიერული დოკუმენტები მოვიმარჯვოთ. ამდენად, გასაკვირი არ არის, რომ XIX ს-ის საბიბლიოთეკო საქმის კვლევისას ქართულ რევოლუციამდელ პერიოდიკას რომ ესოდენ დიდი ყურადღება ეთმობა.

მაგრამ მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის სპეციფიური მომენტი, რაც დამახასიათებელია საერთოდ პრესისათვის, რისგანაც ქართული პერიოდიკაც არ იყო დაზღვეული. უპირველეს ყოვლისა ეს შეეხება იმ ამოცანებს, რომელსაც პრესა ისახავს ხოლმე — მისი პუბლიცისტური ხასიათი და დრო-

¹ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. ფონდის აღწერილობა, თბ., 1953.




ქამისადმი შესატყვისობა. ჟურნალ-გაზეთებს არასოდეს არ ახსენებდნენ, არც ჰქონდათ იმის პრეტენზია, რომ მეცნიერულ-დოკუმენტოლოგიურ დონემდე ასულიყვნენ. ისინი აქტუალურ, სადღეისო საკითხებს იხილავდნენ ძირითადად, რომელთაგან ზოგი მაშინვე კარგავდა მნიშვნელობას და წარსულს ბარდებოდა. ზოგ შემთხვევაში საჭირო ხდებოდა სოციალურად დაკანონებული ტრადიციებისადმი პატივისცემა და მოკრძალება, სათქმელის შეფარვით თქმა თუ საერთოდ გვერდის ავლა, ან კიდევ სათქმელის ბოლომდე ართქმა, საზოგადოებრივი აზრისათვის ანგარიშის გაწევა და ა. შ. ამას გარდა, ბურჟუაზიული პრესა, რომლის ასლსაც წარმოადგენდა ქართული პერიოდიკაც, საჭიროების შემთხვევაში როდი ერიდებოდა შექმნილი ვითარების შესაბამისად მოქმედებას, თავის მიზნების განხორციელებისათვის მდგომარეობის გამოყენებას, ზოგჯერ სიყალბესა და ფალსიფიკაციასაც. მას ხშირად უწევდა გამოეყენებინა საზოგადოების სუსტი მხარეები, ეთამაშა მათ გრძნობებზე, შეექმნა აჟიოტაჟი, წამოეწყო შანტაჟი, ემოქმედა ხალხის გულის მოსაგებად, ეზრუნა თავისი კომერციული სარგებლობისათვის, რისთვისაც არ ერიდებოდა იაფ სენსაციებსა და ცრუ რეკლამებსაც კი. ცხადია, არაა გასაკვირი ისიც, რომ ერთ და იმავე საგანსა თუ მოვლენაზე სხვადასხვა ინტერპრეტაცია არსებულებოდა, მით უმეტეს, რომ ზოგ შემთხვევაში პარტიული კონფლიქტები გარკვეულ შეხლა-შემოხლასა და აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა. ხოლო ზოგ შემთხვევაში ესა თუ ის გაზეთი სულ სხვაგვარ პროგრამას აღიარებდა, ვიდრე მეორე ორგანო, და ის, რაც ერთს ჭეშმარიტად მიაჩნდა, მეორე მას საეჭვოდ ხდიდა.

არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ პერიოდული ორგანოები გამიზნული იყო მასების ფართე ფენებისათვის, მათზე ზეგავლენის მოსახდენად ბევრი რამ იწერებოდა არა მეცნიერული, არამედ პოპულარული თვალთახედვით. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ პერიოდულ ორგანოებში მონაწილეობას დებულობდნენ სხვადასხვა ჯურის ადამიანები, როგორც საქმის მცოდნე სპეციალისტები, ისე სავსებით შემთხვევითი, სრულიად უცნობი პირები, რომლებიც არაფრით არ იყვნენ დამოკიდებულნი არც პერიოდულ ორგანოებზე და არც საზოგადოებაზე საერთოდ.

ამას თუ დაუმატებთ ამ რთულ და მძიმე ტექნიკურ პირობებს, რომლებშიც იმყოფებოდნენ რევოლუციამდელი ჟურნალ-გაზეთები, რის გამოც ფერხდებოდა ინფორმაციის მიღება, მისი შემოწმება და შესწავლა, საჭირო მივლინებები, სახსრები და სხვ. გასაგები გახდება, რამდენად ფრთხილად უნდა მოვეციდით პერიოდიკის გზით მიღებულ მასალებს რაიმე მეცნიერული დასკვნების გამოტანის დროს.

პერიოდიკის მასალების გამოყენებისას მათი ნდობის საკითხის გადაწყვეტა და დადგენა ერთ-ერთი ურთულესი ამოცანაა, რომელიც მკვლევრის წინაშე დაისმის ხოლმე. პერიოდიკის მასალებზე მომუშავე მკვლევარი სულ ცოტა ორი სირთულის წინაშე დგას — ერთი, მიაკვლიოს უამრავ მასალათა შორის საჭიროსა და აუცილებელს, და მეორე — გადაჭრას, დაადგინოს, შეისწავლოს ეს მასალა რამდენად ღირსეული და სანდოა.

ცხადია, ყველაფერს თანაბარი ნდობით ვერ მოვეციდებით. ზოგი მასალა თავისი ხასიათით სავსებით იმსახურებს ნდობას, მასთან დაკავშირებით საეჭვო არაფერია, მაგრამ ზოგი სათანდო შემოწმებასა და დაზუსტებას საჭიროებს, ზოგიც შეიძლება სავსებით უარსაყოფიც იყოს და ა. შ.



ამისათვის მეტად მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, ვიდრე სათანადო ცნობებს კვლევას შევუდებით, თუ რა ხასიათის მასალასთან გვაქვს საქმე, რაძღენად სანდო და მისაღებია ის.

საბიბლიოთეკო საქმის ამსახველი მასალა ქართულ რევოლუციამდელ პრესაში მეტად მრავალფეროვანია. იგი თითქმის ყველა საკითხს მოიცავს, რაც კი შესაძლებელია ბიბლიოთეკათმცოდნეობის დისციპლინებს განეკუთვნოს. ცხადია, საკითხების მიხედვით მათი ცალკეულად აღნუსხვა სავსებით შეუძლებელია მასალის სიმრავლის გამო, მაგრამ მათი ხასიათის მიხედვით დაჯგუფება სავსებით მოსახერხებელია, რაც ნათელ წარმოდგენას მოგვცემს იმ სფეროზე, რასაც ქართული პერიოდიკა იძლევა საბიბლიოთეკო საქმესთან დაკავშირებით.

სახელდობრ, რა ხასიათის მასალა მოიპოვება ქართულ რევოლუციამდელ პრესაში საბიბლიოთეკო საქმის შესახებ?

აქ შეიძლება შემდეგი სახის მასალები შეგვხვდეს: 1. კორესპონდენციები ბიბლიოთეკების გახსნის, მათი მუშაობისა და არსებული მდგომარეობის შესახებ; 2. ბიბლიოთეკების ანგარიშები; 3. პოლემიკური წერილები მეთოდოლოგიურ საკითხებზე, საკატალოგო მეურნეობისა და საბიბლიოთეკო საქმის ორგანიზაციის შესახებ; 4. პოლემიკური წერილები ბიბლიოთეკის სხვადასხვა საორგანიზაციო საკითხების გაშუქებასთან დაკავშირებით. სხვადასხვა პირთა დავა-კამათი არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით; 5. მეთოდური ხასიათის წერილები და საინსტრუქციო მითითებანი; 6. რეცენზიები და შთაბეჭდილებანი სპეციალურ ლიტერატურასა და მსოფლიოს უდიდეს ბიბლიოთეკების შესახებ; 7. გამოცდილებათა გაზიარება; 8. ინფორმაციები ბიბლიოთეკების გახსნის, სხვადასხვა შეწირულებათა შესახებ და ა. შ. 9. ბიბლიოთეკების განცხადებები მუშაობის რეჟიმის, ადგილმდებარეობის და სხვა საკითხების ირგვლივ; 10. მკითხველთა გამოხმაურებანი ბიბლიოთეკებისა და სხვა კერძო პირთა საქმიანობის შესახებ და ა. შ.

ცხადია, ყველა ამ სახის მასალას თანაბრად ვერ ვენდობით და უკანასკნელი სიტყვის სათქმელად მისი დამოწმება ყოველთვის თანაბრად როდი შეიძლება.

მაგალითად, თუ მეცნიერულ-მეთოდური ხასიათის პოლემიკა სავსებით დამოკიდებულია მკვლევრის სუბიექტურ მოსაზრებებზე სადავო საქმის მიმართ და დასკვნების გამოტანა მის ალლოსა და მოვლენების ობიექტურად შეფასების უნარს უნდა მიენდოს, ამას ვერ ვიტყვით ქართულ რევოლუციამდელ პრესაში უხვად გამოქვეყნებულ პოლემიკურ მასალაზე სხვადასხვა ბიბლიოთეკის მუშაობის ავტორიანობის შესახებ, როცა ერთ პირს მიაჩნია, რომ ბიბლიოთეკა კარგად მუშაობს, მეორე კი საწინააღმდეგო აზრს გამოთქვამს; ან როცა რომელიმე პირი რაიმე საქმეში ბრალს სდებს მეორეს, მეორე კი თავს იცავს და ა. შ. ამ შემთხვევაში ორივე მხარის საწინააღმდეგო მოსაზრებანი დაბეჯითებით უნდა იქნას შესწავლილი და, თუ შესაძლებელია, სხვა მასალებით დამოწმებული; უნდა მივმართოთ აგრეთვე ისტორიულ ფაქტებს, აწონილ უნდა იქნას არსებული მდგომარეობა და თუ დასკვნას გამოვიტანთ ჩვენი ვარაუდის მიხედვით, იგი სავსებით ლოგიკური და დამაჯერებელი უნდა იყოს.

ასე მაგალითად, ცნობილია, რომ ქართულ პრესაში ერთ პერიოდში მიმდინარეობდა მეცნიერულ-მეთოდური ხასიათის კამათი ხელნაწერთა კატალოგიზაციის საკითხებთან დაკავშირებით ე. თაყაიშვილისა, თ. ყორღანისა და ალ. ცაგარელს შორის. ცხადია, ამ და ანალოგიური ხასიათის მასალის შეს-



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

წავლისას არ დაისმის მისი ნდობის საკითხი, არამედ იგი განიხილება უტყუარი ფაქტი, რომელსაც მრავალგვარი ახსნა შეიძლება ჰქონდეს. ასევე შეიძლება მისი ანალიზიც ჭეშმარიტების დადგენის მიზნით, სხვადასხვა მოსაზრებების მეცნიერული ღირებულების შესაფასებლად და ა. შ. მაგრამ სულ სხვა კუთხით უნდა მივუდგეთ დავას მაგალითად სოხუმის სახალხო ბიბლიოთეკასთან დაკავშირებით, რომელიც 90-იანი წლების დასასრულს გაიმართა მის მესვეურთა შორის, რაშიც განსაკუთრებული მონაწილეობა მიიღეს, ერთი მხრივ, თ. სახოკიამ, მეორე მხრივ, კი ბიბლიოთეკის გამგემ პ. კალანდარიშვილმა². ამ უკანასკნელს საზოგადოება ადანაშაულებდა საქმისადმი გულგრილობაში და სხვადასხვა ბრალდებას უყენებდა. ის თავად, იმართლებდა რა თავს, ბიბლიოთეკის მესვეურებს ადანაშაულებდა ბიბლიოთეკისადმი უყურადღებობაში, პ. კალანდარიშვილს უსაყვედურებდნენ იმას, რომ მან 1898 წელს „ცნობის ფურცელი“ გამოაქვეყნა ბიბლიოთეკის დროებით დაკეტვის შესახებ. ამან საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია. პ. კალანდარიშვილმა შემდეგში განაცხადა, რომ მან ეს იმიტომ გააკეთა რათა გამოეცოცრებინა მოდუნებული საზოგადოება.

მხოლოდ ამ საპოლემიკო მასალით დადგენა იმისა, ჭეშმარიტად როგორ იყო საქმე, ძალიან ძნელია. აქ საჭიროა მოვიშველიოთ სხვა წყაროები, შეიძლება ვისარგებლოთ პერიოდიკის სხვა ხასიათის მასალითაც, მაგალითად ანგარიშებით, გამომხატურებით ამ ბიბლიოთეკის შესახებ და მხოლოდ ასე მოვახდინოთ ჭეშმარიტი და სწორი აზრის შექმნა სოხუმის ბიბლიოთეკის ავტორიანობაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია არასწორი დასკვნები გავაკეთოთ.

იგივე შეიძლება ითქვას ქუთაისის გაბრიელის სახელობის ბიბლიოთეკაზეც. 1905 წ. „ივერიაში“³ საკმაოდ მკაცრად გააკრიტიკეს ამ ბიბლიოთეკის საქმიანობა. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ ეს ბიბლიოთეკა საერთოდ არაფერს წარმოადგენდა. მაგრამ ამ წერილის პასუხად ბიბლიოთეკის გამგის ილ. დარახველიძის გამომხატურების შემდეგ⁴ შეიძლება ვიფიქროთ, რომ შესაძლებელია ადრინდელი შეფასება გადამეტებულად მკაცრი იყოს. გაბრიელის სახელობის ბიბლიოთეკაზე ქართულ პერიოდიკაში მრავალი ცნობა არსებობს, რომელთა საფუძვლიანმა შეჩერებამ შეიძლება მოგვეცეს ზუსტი სურათი, თუმცა ამ შემთხვევაშიც არ შეიძლება სრულყოფილი დასკვნების გაკეთება.

ასევე ძნელია იმ პოლემიკაში გარკვევაც, რომელიც აღძრული იყო ქართულ პრესაში ბაქოს ქართული ბიბლიოთეკის მუშაობასთან დაკავშირებით მისი გამგის დ. მკერვალიშვილის წინააღმდეგ⁵.

ანალოგიური შემთხვევები საკმაოდ ბევრია. მართალია, ისინი მრავალი დასკვნის გამოტანის საშუალებას გვაძლევენ, მაგრამ საჭიროა აქ მკაცრი და მიუხერობებელი მკვლევრის თვალი, რომელიც არ უნდა მოჰყვეს რომელიმე მხარის გავლენაში და ეცადოს მოვლენები ობიექტურად შეაფასოს და დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობით გამოიტანოს ჭეშმარიტი დასკვნები.

² „ივერია“, 1895, № 251; 1897, № 94; „ცნობის ფურცელი“; 1898; № 420 და სხვ.

³ „ივერია“, 1905, № 16.

⁴ „ივერია“, № 1905, № 35.

⁵ „კვალი“, 1899, № 20, გვ. 313—316; „ივერია“; 1898; № 106; 1900; № 254 და სხვ.



ამ მხრივ შედარებით ადვილია საქმე ვიქონიოთ ისეთ საკუთრივ ტრუქციები, აგრეთვე რეცენზიები და შთაბეჭდილებანი მსოფლიოს უდიდესი ბიბლიოთეკების საქმიანობის შესახებ, მკითხველთა გამოხმაურებანი ბიბლიოთეკებისა თუ კერძო პირთა საქმიანობის შესახებ. მათი ნდობის საკითხი თითქმის არა დგას, მაგრამ ამ შემთხვევაშიც არ შეიძლება ბრმად ვენდოთ ავტორებს, რომლებიც შესაძლებელია ბევრ რამეში სცდებოდნენ. ამიტომაც ანალოგიური მასალაც სათანადო სიფრთხილით მოპყრობას მოითხოვს. სავსებით არ შეიძლება ვენდოთ თუნდაც გამოცდილების გაზიარების ამსახველ წერილებს არაა გამორიცხული, რომ ხშირად, ლაპარაკობენ რა თავიანთი მუშაობის შესახებ, ბიბლიოთეკარები შეიძლება არ ასახავდნენ რეალურ სურათს და მდგომარების უკეთ დახატვის მიზნით ბევრ რამეს ახვიადებდნენ. იგივე უნდა ითქვას ბიბლიოთეკების ანგარიშებზეც, თუმც მათი სისწორის შემოწმება ამჟამად თითქმის შეუძლებელია და ხშირად იძულებული ვართ ისინი უტყუარ ფაქტობრივ მასალად მივიჩნიოთ.

რაც შეეხება ბიბლიოთეკების განცხადებებს მათი ადგილმდებარეობის, მუშაობის დღეებისა და საათების, სარგებლობის ფასებისა და სხვათა შესახებ, ისინი თავისუფლად შეიძლება იქნან მიჩნეულნი უტყუარ დოკუმენტებად, რომლისგანაც ბევრი საინტერესო დასკვნის გამოტანაა შესაძლებელი. მაგრამ იგივე არ ითქმის ერთის შეხედვით თითქოს და ყველაზე უტყუარ მასალაზე, როგორცაა მოკლე ინფორმაციები, რომლითაც იუწყებიან სხვადასხვა ფაქტობრივ ცნობებს ამა თუ იმ ბიბლიოთეკების შესახებ. მათი გახსნა-კურთხევაზე, წიგნებისა თუ მკითხველთა რაოდენობაზე, გამართულ ღონისძიებაზე, შეწირულებაზე და ა. შ. მის შესახებ არ შეიძლება ვთქვათ, რომ მათი შემოწმება თითქოს და არ იყოს საჭირო. აქაც მოსალოდნელია შეცდომები. არის შემთხვევები, როცა სხვადასხვა პერიოდულ ორგანოებში მოპოვებული ცნობები არ ეთანხმებიან ერთმანეთს.

სავსებით განსაკუთრებულად უნდა მივუდგეთ იმ უხვ კორესპონდენციას საბიბლიოთეკო საქმის შესახებ, რომელიც ქართულ პერიოდულ ორგანოებშია მოცემული.

საერთოდ ეს კორესპონდენციები საბიბლიოთეკო საქმიანობის მრავალაკითხს შეეხებიან და ამდენად, ფაქტობრივად ისინი ყველაზე მეტ მასალას გვაძლევენ მეცნიერული კვლევისათვის.

კორესპონდენციებში ვხვდებით ფაქტობრივ მასალას — როდის, სად, ვის მიერ და როგორ გაიხსნა ბიბლიოთეკა; ვხვდებით ბიბლიოთეკების საქმიანობის ამსახველ დოკუმენტებსაც — ანგარიშებს, სტატისტიკურ ცნობებს და ა. შ. ვხვდებით ბიბლიოთეკის მუშაობის ასახვასაც, მის შეფასებასაც, ცნობებს ცალკეულ პირთა მოღვაწეობის შესახებაც, ცნობებს ბიბლიოთეკების წარსულსა და პერსპექტივებზე, ასევე სხვადასხვა მეცნიერულ-თეორიულ მოსაზრებებს, წინადადებებს და ა. შ. აქ შეიძლება იყვეს ისეთი ცნობებიც, რომელთა ნდობა არავითარ ეჭვს არ იწვევს და არის ისეთი ცნობებიც, რომელთა მიღება შეუძლებელად შეუძლებელია. შეიძლება იყოს ისეთიც, რომელიც სავსებით უგულებელვყოთ და არ მივიღოთ. ყოველგვარ ეჭვს და მოკიდებულა მკვლევრის მეცნიერულ თვალზე.

ამდენად, ასეთი მასალის გამოყენება განსაკუთრებულ სიფრთხილესა და წინდახედულებას მოითხოვს.

როგორც ვხედავთ, რამდენად ძვირფასიც არ უნდა იყოს ჩვენთვის აღ-
 რინდელი პერიოდული ორგანოების მიერ შემონახული მასალა, მის მეცნიე-
 რულად გამოყენებას თავისი სპეციფიური მხარეები ახლავს, რაც უშუალოდ
 მხედველობაშია მისაღები.

მაგრამ მიუხედავად ყოველგვარი სირთულისა, პერიოდიკას ჩვენ გვერდს
 ვერ ავუვლით საბიბლიოთეკო საქმის წარსულის კვლევისას.

ყოველივე იმის გარდა, რაც აქ ვთქვით, საგულისხმოა ვიცოდეთ ერთიც —
 სახელდობრ, ამ სხვადასხვა ხასიათის პერიოდული მასალიდან შინაარსობრივად
 რა და რა მიმართულების მასალა შეიძლება მოვიპოვოთ, რომლის შესახებ იყო
 ლაპარაკი პერიოდიკაში, რაც მეცნიერული კვლევისათვის გამოდგება.

პერიოდულ ორგანოებში საბიბლიოთეკო საქმის თითქმის ყველა საკითხ-
 ზე შეიძლება მიკვლევულ იქნას მასალა, ბიბლიოთეკათმცოდნეობის რომელ
 დისციპლინასაც არ უნდა განეკუთვნებოდეს იგი — იქნება ის ფონდებისა და
 კატალოგების ორგანიზაციაში, მკითხველთა მომსახურებასა და საბიბლიოთე-
 კო ქსელისა და ბიბლიოთეკის საქმის ორგანიზაციაში. აქ მოიპოვება მასალები
 აგრეთვე როგორც საბიბლიოთეკო საქმის ისტორიაში, ისე წიგნის ისტორიისა-
 თვისაც.

პერიოდიკის მეშვეობით შეიძლება დავადგინოთ: დაახლოებით რამდენი
 ბიბლიოთეკა არსებობდა საქართველოში და სად; რა სახის ბიბლიოთეკები არ-
 სებობდა; ნაწილობრივ როგორი იყო მათი სარგებლობის წესები, რომელი ბიბ-
 ლიოთეკა როდის გაიხსნა და ვის სახელზე, რა პირობებში გაიხსნა იგი, რამდე-
 ნი წიგნი ჰქონდა, რამდენი მკითხველი ჰყავდა, რა ღონისძიებებს ატარებდნენ
 ეს ბიბლიოთეკები, ვინ იყვნენ მათი დამაარსებლები და ორგანიზატორები,
 როგორი იყო მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რა როლს ასრულებდნენ
 ისინი საზოგადოების კულტურულ-საგანმანათლებლო საქმეში, რა სულისკვე-
 თებით იყვნენ გამსჭვალული და როგორ უწყობდნენ ხელს რევოლუციურ და
 ეროვნულ თვითშეგნების დანერგვის საქმეს და მრავალი, მრავალი სხვა.

განსაკუთრებით საგულისხმოა ის, რომ პერიოდული ორგანოების მა-
 სალის საფუძველზე ძალიან ბევრი საინტერესო სოციალური ხასიათის დასკე-
 ნის გაკეთება შეიძლება.

ქართულ პერიოდულ პრესაში მთლიანად და საფუძვლიანად აისახა ის მძა-
 მე და აუტანელი ეპოქა, რომელშიც მას უწყევდა მოღვაწეობა. ყოველი მიაი-
 ნომრიდან ნათლად გამოსჭვივის ის სულისკვეთება, რითაც სუნთქავდა ამა თუ იმ
 პერიოდში ქართველი ხალხი. ყოველი ფაქტი, მოვლენის ყოველი შეფასება,
 ყოველი დახატული სურათი არსებული მდგომარეობისა კარგ საშუალებაა
 გვაძლევს დავასკვნათ, თუ რა სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური
 ვითარება არსებობდა ჩვენს ქვეყანაში.

რაც შეეხება ბიბლიოთეკებს, პერიოდიკაში მოქცეული მასალის თუნდაც
 უბრალო გადახედვაც კი საშუალებას გვაძლევს დავინახოთ ის მძიმე სოცია-
 ლურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პირობები, რომელშიც მათ უწევდათ
 საქმიანობა.

ქართული პერიოდიკა უძვირფასესი მასალების შემცველია, რომელთაც
 უაღრესად დიდი მეცნიერული ღირებულება აქვთ. საბიბლიოთეკო საქმის
 კვლევისას იგი მიჩნეული უნდა იქნეს როგორც ერთ-ერთი უძირითადესი წყა-
 როთავანი.

Н. А. ГУРГЕНИДЗЕ

РАННЯЯ ГРУЗИНСКАЯ ПРЕССА, КАК ИСТОЧНИК
ИССЛЕДОВАНИЯ БИБЛИОТЕЧНОГО ДЕЛА

Резюме

Сведения о библиотечном деле в грузинской прессе появляются во второй половине XIX века. Материалы из прессы могут быть использованы как:

1. Первоисточники, 2. Средства суммирующие и подтверждающие раз-
ные соображения, 3. Тематический план о научных направлениях, 4. Ори-
ентир научных исследований, 5. Библиографический источник.

Материал периодических изданий требует глубокого научного исследо-
вания, которое должно предопределять систематизацию этого материала, что
и является задачей настоящего труда.



ქართული სიტყვისა და კულტურის დიდი მოაზაბე

ბატონ თედო სახოკიას დაბადებიდან 135 წელი შესრულდა. ჩვენი საზოგადოებისათვის კარგად არის ცნობილი ამ მრავალმხრივი მოღვაწის, შესანიშნავი მოქალაქის და პატრიოტის, ქართული სიტყვის ვალმოხდელი მუშაის ღვაწლი. იგი 1880—90-იან წლებში გამოვიდა საზოგადოებრივ ასპარეზზე და მოვალეობად დისახა XIX ს-ის მამულიშვილთა ილია ჭავჭავაძის და სხვათა სახელოვანი ტრადიციების ერთგულება. ბატონი თედო გახლდათ ეთნოგრაფი, ფოლკლორისტი, ლექსიკოგრაფი, მწერალი, მთარგმნელი და ჟურნალისტი.

თედო სახოკიასათვის დამახასიათებელია სავიწრო მუშაობის სხვადასხვა ხასიათის მასალის მოძიების, კვლევის და თარგმნის ფართო ასპექტი, მოვლენების, ყოფითი მასალის განხილვა მეცნიერული მიღწევების დონიდან. ბატონი თედოს მსგავსი ადამიანების რიცხვი (სამწუხაროდ, ძალზე მცირეა: მისი პატრიოტიზმი და ენკაიკობა, თავადებული შრომა ქართული ყოფისა და კულტურის შესასწავლად და წარმოსაჩენად, მისი თანმდევი თავისებურებით, სრულიად განსხვავებულია. თ. სახოკია ის მოღვაწეა, ვინც ყმაწვილკაცობაშივე შეუდგა ხალხური მასალის შეგროვებას და ასეთი მოღვაწეობით ერის საგანძურს მტკიცე საფუძველი ჩაუყარა. არსებობისათვის და სარგებლობის მოტანისათვის სრულიად ახალგაზრდამ ტირანისის სკოლაში მასწავლებლობას მოჰკიდა ხელი და ზეპირსიტყვიერებით მასალის შეკრება დაიწყო.

თ. სახოკიამ თვისობრივად ახალი ეტაპი შექმნა ქართულ ეთნოგრაფიაში. მის ნარკვევებში „მოგზაურობანი“ — გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი“ (1956) და სხვ. თავისუფალი თხრობაა რთულ ეთნოგრაფიულ საკითხებზე. მის ეთნოგრაფიულ თუ პუბლიცისტურ ნარკვევებში ჩანს განსჯა და ფიქრი იმდროინდელ საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ყოფაზე. იგი კალმით და საგარო გამოხედვებით გამოთქვამდა უმამოფილებას ცარიზმის მიერ დამკვიდრებული სოციალური და საზოგადოებრივი ცხოვრების წესებზე.

„მოგზაურობაში“, რომელიც დოკუმენტური პროზის შესანიშნავი ნიმუშია, ავტორი მგზავრის შთაბეჭდილებათა გადმოცემის გზით ცოცხალ ეთნოგრაფიულ სინამდვილეს ასახავს. მასში მოცემულია, ბევრი ახალი, მანამდე ლიტერატურაში უცნობი ეთნოგრაფიული ფაქტი და მისი თავისებურება.

ბატონი თედოს მიზანი იყო არ შემოფარგულიყო მარტოოდენ საქართველოს წარსულით, მას სურდა შეესწავლა მთელი კავკასია. თ. სახოკიამ ფეხით შემოიარა საქართველოს მთა და ბარი, მუხლჩაუხრებლად მისდევდა ყოფას და სულ იმის ფიქრში იყო, რომ არაფერი დაკარგულიყო. თედო სახოკიას მიერ მოპოვებულმა უმდიდრესმა მასალამ და მეტად მნიშვნელოვანმა კოლექციებმა მეცნიერებაში შემოიყვანა და სამუდამოდ უკვდავყო ის, რაც მისი მეცნიერი წინამორბედებისათვის უცნობია — (ბატონი თედოს მიერ შეგროვებული ეთნოგრაფიული კოლექციები, რომლებიც ეთნოგრაფიული მუშაობის ორგანული ნაწილია, დატულია საქართველოს, რუსეთისა და უცხოეთის მულტიმენბში) ასეთებია: ჩამურის, საცეხველის, შუაეცხლის—კერის და მისი შემადგენელი ნაწილების, ოჯინჯალის, სხვენის, თავნის და მათი ნაირსახეობანის, „სქუაში მითორგინაფას“ — კუვალდის (გამოჩეკა) — მშობიარობასთან დაკავშირებული სიმულიაციის, შნაკვის, გვაბანკის და სხვათა შესახებ ავტორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ექსკურსი და მათ საფუძველზე მიღებული საყურადღებო დასკვნები, რომელიც მკვლევართ საშუალებას აძლევს, დღემდე უმართებულოდ გადაწყვეტილი რიგი საკითხი ახლებურად გაარკვიოს, ამ წერილში შეუძლებელია. მათი ჩამოთვლა და მათ შესახებ სჯა-ბაასი.

მნიშვნელოვანია აგრეთვე ბატონ თედოს სხვა ნაშრომები: როგორ ვიზრდებოდით ძველად, კავკასიის ებრაელები, შვეიცარიის სოფელი ილუსტრაციებით, სიმინდი, ფეტვი, არაბული ლეგენდა ღვინის შესახებ და სხვ. თ. სახოკიას ნაშრომები დღემდე რჩება გზა-მკვლევად საქართველოს ეთნოგრაფიაში.

თ. სახოკიამ უაღრესად დიდი მემკვიდრეობა დაგვიტოვა ლექსიკოლოგიაშიც. სამ ტომად გამოცემული „ქართული ხატოვანი სიტყვათქმანი“ შეიცავს უხვ და დიდად საჭირო მასალას არა მარტო ლექსიკოლოგიის თვალსაზრისით, არამედ ეთნოგრაფიულადაც; ავტორის მიერ აქ მოყვანილი თითოეული სიტყვა ხატოვანი მღებულებების მშვენიერი ნიმუშია.

დიდი შრომის შედეგია თ. სახოკიას მნიშვნელოვანი კრებული „ქართული ანდაზები“ (1967); მისი ღვაწლი ამ მხრივაც დაუფასებელია.

თ. სახოკიას საფრანგეთში ყოფნის დროს გონებრივი განვითარების ახალი თვალსაწიერი გადაიშალა. პარიზში ყოფნის დროს იგი ეთნოგრაფიის საეტიკოლოგიას და ველზე მუშაობის მეთოდს სწავლობს ჯერ სორბონის უნივერსიტეტში, ხოლო შემდეგ — უმაღლეს ანთროპოლოგიურ სკოლაში რომელიც მსოფლიოში სახელგანთქმული Musée L'homme-ის (ადამიანის მუზეუმი) სახელით არის ცნობილი. თ. სახოკია პარიზში მონაწილეობდა დემოკრატიული მიერ მოწყობილ ყოველკვირეულ ექსკურსიებში. მან ფრანგებს გააცნო ქართული ყოფა, ქართული ფოლკლორი. ანთროპოლოგიურ საზოგადოებაში წაიკითხა რამდენიმე მოხსენება, მათ შორის ქართულ-ხალხურ სამკურნალო მედიცინაზე — „ყვავილბატონები საქართველოში“, რომელიც ფრანგულ ენაზე გამოქვეყნდა. ამის შემდეგ ბ-ნი თედო საფრანგეთის ანთროპოლოგიური საზოგადოების წევრად არჩეულა. მან საფრანგეთში ყოფნის დროს ბევრი რამ შეითვისა და სამშობლოში საზოგადო მოღვაწეობისათვის სრულადად მომზადებული დაბრუნდა.

თ. სახოკიას, როგორც საზღვარგარეთ, ისე ჩვენში გამოქვეყნებული აქვს მნიშვნელოვანი ეთნოგრაფიული ნარკვევები, რომლებიც შემდგომ ერთ წიგნად გამოიცა სათაურით „ეთნოგრაფიული წერილები“

თავის პოლიტიკური მრწამსის გამო ბატონი თედო არაერთხელ ყოფილა დაპატიმრებული და გადასახლებული. ჯერ კიდევ 1890-იანი წლებიდან თ. სახოკია სოხუმის საზოგადო საქმეებში იღებდა მონაწილეობას. 1890-იანი წლების მეორე ნახევრიდან მეფის მთავრობამ აფხაზეთში გააძლიერა კოლონიზატორული პოლიტიკა. აფხაზეთის თავისუფალ მიწა-წყალზე ასახლება რუსეთის შიდა გუბერნიებიდან უფრო ხშირად, დამნაშავე პირებსა და სექტანტებს, ამით საფუძველს უყარდა რუსულ კოლონიზაციას. ავიწროებდა მკვიდრ მოსახლეობას — ქართველებს და აფხაზებს, დევნიდა

ქართულ ენას ეკლესიებიდან და სკოლებიდან. 1890-იანი წლების მეორე ნახევარში აფხაზეთ-სამურზაყანოში შეიქმნა ქართველ ინტელიგენტთა ჯგუფი, რომლებიც მიზნად ისახავდნენ ამ მხარის ქართულ მოსახლეობაში ქართული ენის და კულტურის დაცვას მეფის მოხელეთა იერიშისაგან. „ამ ჯგუფში, რომელსაც ცარიზმი ქართულ პარტიას უწოდებდა, თედო სახოკია ერთი პირველთაგანი იყო. ყველაზე გავლენიანი, მოქმედი და დაურადებელი“ (ტ. ხუნდაძე).

ქართულ პერიოდიკაში სისტემატურად იბეჭდებოდა თ. სახოკიას პუბლიცისტურ-პოეტური სტატიები, ძალზე შთაბეჭდავი ეთნოგრაფიული წერილები, გამოკვლევები და თარგმანები. იგი „პირიასთან“ არსებულ ჟურნალისტთა და მთარგმნელთა წრის წევრი იყო; თარგმნიდა ფრანგულიდან, იტალიურიდან, ინგლისურიდან, ბულგარულიდან და რუსულიდან. ბატონი თედოს თარგმანები მწირი და მშრალი ენით კი არ არის შესრულებული, არამედ ქართული ენის ბუნების ღრმა ცოდნით, დიდი ტაქტიკითა და მდლადარი და განსაცვივრებელი მხატვრული ენითაა ნათარგმნი; სწორედ ამიტომ თ. სახოკიამ ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა ქართული მწერლობის საგანტურში.

მიუხედავად ხანდაზმულობისა თედო სახოკია აქტიურად იყო ჩაბმული მეცნიერულსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. იგი მოხსენებებით გამოდიოდა, ჟურნალ-გაზეთებში წერილებს ბეჭდავდა, თვალს ადევნებდა კოლეგათა მუშაობას, აძლევდა რჩევა-დარიგებებს ენც კი ამას საჭიროებდა და ა. შ. მას ჩვენს მეცნიერებთან კავშირი ბოლომდე არ გაუწყვეტია.

ბატონი თედო თავის პიროვნული თვისებებით სრულიად გამორჩეული იყო. იგი პართუნელი და მიუჯერძობელი შეფასებით ყველას აცდიერებდა, მუდამ იბრძოდა უზნეობისა და უკეთურობის წინააღმდეგ. თედო სახოკიას ყოველი დღე და საათი ერის და ხალხის სამსახურისათვის ჰქონდა განაწილებული — სიკეთეს უხვად გასცემდა. საბედნიეროდ მან ბევრი რამ მოასწრო თავისი სიცოცხლის მანძილზე, რომლის არც ერთი დღე და საათი სამშობლოს საქმეებზე, ქართულ კულტურაზე და მის მონაპოვარზე ზრუნვის გარეშე არ დახარჯულა, შეუძლებელი შეძლო და, ბევრ მის თანამოღვაწესთან ერთად ეთნოგრაფიის ყამირი გატეხა. თედო სახოკიას წიგნებს ყოველთვის ეყოლება მკითხველი და დამფასებელი. მის სახელს დავიწყება არ უწერია.



გრიგოლ მარგანი

ქართველ ისტორიკოსთა რიგებს გამოაყლდა ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი — გრიგოლ ნიკოლოზის ძე მარგანი. იგი იყო შესანიშნავი, ფართო განათლების მქონე მეცნიერი და ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებას აქტიური მონაწილე: მუდამ ცდილობდა თავის საქმიანობით სარგებლობა მოეტანა მთლიანად საქართველოსათვის და მასთან ერთად მშობლიური სენაეთისათვის.

გ. მარგანი ჯერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი იყო. შემდგომ სწავლა განაგრძო ლომონოსოვის სახ. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც დაამთავრა 1949 წელს. 1950—1953 წლებში იყო იმავე უნივერსიტეტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის ასპირანტი. ასპირანტურის დამთავრებისთანავე იქვე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „1918 წ. იანვრის საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა ავსტრიაში“. მოსკოვის უნივერსიტეტის მისი უშუალო მასწავლებლები იყვნენ ევგენი ტარლუ, არკადი იერუსალიმსკი, ავერბახი და სხვები.

1953—1957 წწ. გ. მარგანი მუშაობდა ი. გოგებაშვილის სახ. თელავის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში დოცენტად, ხოლო 1957 წლიდან 1993 წლამდე მოღვაწეობდა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგი-

ისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში — 1960 წლიდან უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ხოლო 1978 წლიდან გარდაცვალებამდე — ახალი ისტორიის განყოფილების გამგის თანამდებობაზე.

მოსკოვის უნივერსიტეტში სტუდენტობისას და ასპირანტურაში სწავლის დროს მიღებულმა ფართო და ღრმა მომზადებამ, კერძოდ, კაპიტალიზმის განვითარების კანონზომიერებათა საფუძვლიანმა ცოდნამ და ამ ხაზით საგანგებო კვლევითმა მუშაობამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი გრ. მარგანს წარმატებით ჩამოეყალიბა საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის პრობლემების კვლევაში.

გრ. მარგანი ძირითადად XIX—XX სს. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, საზოგადოებრივი აზრისა და ისტორიული მეცნიერების ისტორიის პრობლემებს იკვლევდა. მისი ყურადღება აღრევე მიიქცია ახალი ხანის საქართველოს სამეურნეო ცხოვრების ისეთმა მნიშვნელოვანმა დარგმა, როგორცაა სამათამაღრო მრეწველობა. ჯერ იგი აქვეყნებს წერილებს ტყიბულისა და ტყვარჩელის ქვანახშირის მოპოვებაზე, ხოლო 1968 წ. გამოსცა მონოგრაფია „სამათამაღრო მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი რევოლუციამდე საქართველოში“, რომელიც ეძღვნება



ჭიათურის მანგანუმის მრეწველობის განვითარებას. „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ VI ტომისათვის (1973 წ.) გრ. მარგიანმა დაწერა ცალკე ნარკვევი: „საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი 1900—1921 წლებში“, ხოლო 1976 წელს გამოაქვეყნა მონოგრაფია: „საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი 1864—1917 წლებში“. დასახელებულ ნაშრომებში ავტორმა საარქივო მასალებზე და სხვა პირველწყაროებზე დაყრდნობით მოგვცა საქართველოს სამრეწველო განვითარების მთლიანი სურათი. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა სამთამადნო მრეწველობის დარგის შესწავლას, რომელიც ადრე შედარებით სუსტად იყო წარმოდგენილი.

გრ. მარგიანის ნაშრომებში მოტანილი ფაქტობრივი მასალა და ავტორისეული დასკვნები ცხადყოფენ, რომ XIX—XX სს. მიჯნაზე საქართველოს მრეწველობაში შეინიშნება ინდივიდუალური წარმოებიდან კორპორაციულ წარმოებაზე გადასვლის ტენდენცია. საქართველოს მრეწველობის ზოგიერთ დარგში ტონის მიმცემი ხდება საექციო საზოგადოება, ჩანს, წარმოების სინდიკატისა ცდები. მწვავდება საკონკურენტო ბრძოლა უცხოურ, კომპარდორულ და ქართველ ბურჟუაზიას შორის. ნავთობის საერთაშორისო მონოპოლიებთან დაკავშირებულმა ფირმებმა მბრძანებელი სიძაღვლები დაიკავეს ბაქოს ნავთობის მოპოვება-დამუშავებასა და ექსპორტში, რაც ძირითადად ბათუმის ნავსადგურიდან ხორციელდება. უცხოური და ქართული კაპიტალი ერთმანეთს ებრძოდა აგრეთვე ჭიათურის სამრეწველო რაიონში. აქაც თანდათან ძლიერდებოდა გერმანული, ფრანგული და სხვა უცხოური კაპიტალის პოზიციები, მაგრამ მანგანუმის მრეწველობაში უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნეს ქართულმა ფირმებმა.

გ. მარგიანის ნაშრომებში ისიც კარგად ჩანს, რომ რუსეთისა და მსოფლიო კაპიტალიზმის სისტემაში ჩართულ საქართველოს ეკონომიკაზე დიდ გავლენას ახდენდა საერთაშორისო ბაზრის კონიუნქტურა. XX ს-ის დამდეგს საქართველოს მრეწველობის ძირითადმა დარგებმა განიცადეს ეკონომიკური კრიზისი, მისი მომდევნო დეპრესია და პირველ მსოფლიო ომამდელი აღმავლობა. კრიზისული მოვლენებისა და რუსეთის ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის მიუხედავად, საქართველოს საწარმოო ძალები რამდენადმე მომძლავრდა, გარკვეულაზრდა შეინიშნებოდა მრეწველობაში, გრძელდებოდა საერთაშორისო კომერციულ კავშირ-ურთიერთობათა გაფართოება. ეს მოვლენები ცხადყოფდა, რომ საქართველოც შედიოდა კაპიტალიზმის ხანაში, ხდებოდა ამის შესაბამისი

ცვლილებები ქვეყნის სოციალ-ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სოციალურ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

წლების მანძილზე გრ. მარგიანი ნაყოფიერად მუშაობდა ისტორიული მეცნიერების ისტორიის სფეროში. ამ პრობლემატიკას ეძღვნება, კერძოდ, მისი ნაშრომი „1905—1907 წლების რევოლუციის ისტორიოგრაფია საქართველოში“ (1975 წ.), „ქართული ხალხოსნობის ისტორიოგრაფია საქართველოში“ (1975 წ.), „ქართული ხალხოსნობის ისტორიოგრაფია“ (1978 წ.).

1986 წ. გრ. მარგიანმა გამოისცა ცნობილი მეცნიერის ს. ავალიანის წიგნი: „სავლეთო სიკითხი ამიერკავკასიაში“, ტ. V, რუსულ ენაზე (პირველი გამოცემა). მანვე წარუშმძღვანა ამ წიგნს ვრცელი ნარკვევი — „ს. ავალიანის შემოქმედება“.

აღსანიშნავია, რომ გრ. მარგიანი თავის მრავალმხრივი კვლევა-ძიებისას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა უცხოური წყაროების მონაცემების კრიტიკულ შესწავლას. ყველა მისი გამოკვლევა ემყარება პირველწყაროების და ძირითადად საარქივო მასალების კრიტიკულ ანალიზსა და შეფასებას.

საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგი, რომელსაც იკვლევდა გრ. მარგიანი იყო ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორია. თავის გამოქვეყნებულ ნაშრომებში იგი ეხებოდა თერგდალეულთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებების ხასიათს, ხალხოსნების როლს საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. მის ნაშრომებში ფართოდ არის გაშუქებული ქართველ საზოგადო მოღვაწეთა ი. ქაჭავაძის, ა. წერეთლის, ნ. ნიკოლაძის, გ. მაიაშვილის და სხვათა ღვაწლი საქართველოს სამთამადნო მრეწველობის განვითარებაში და საერთოდაც მოცემულია ამ მოღვაწეთა მსოფლმხედველობის შესახებ, აღსანიშნავია გრ. მარგიანის მონოგრაფია „ბოსლეველი“ (1986 წ.), სადაც საარქივო და სხვა წყაროების გამოყენებითაა გაშუქებული 1870—1880-იან წლების ქართველი პუბლიცისტის ე. მკედლიძის (ბოსლეველის) ცხოვრება, მოღვაწეობა, ესტეტიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებები.

ბლო წლებში გრ. მარგიანი ინტენსიურად მუშაობდა 1832 წლის შეთქმულების მასალებზე, განზრახული ჰქონდა ამ მოძრაობის საფუძვლიანად, მთელი სიღრმე-სისრულით შესწავლა.

გრ. მარგიანი დიდ ყურადღებას უთმობდა ბუნებისა და ადამიანის ურთიერთდამოკიდებულებას, საქართველოში ახალ პერიოდში მიმდინარე სამეურნეო-ეკონომიკური პროცესების მა-

გალითზე. ამ მიმართულებით გაწეული კვლევის შედეგები გამოქვეყნებულია მის წიგნში: „გეოგრაფიული გარემოს როლი საზოგადოების განვითარებაში და ისტორიული პროცესის საზღვრისი“ (1985 წ.).

გრ. მარგიანს ეკუთვნის მრავალი პოლიტიკური ხასიათის წერილი და რეცენზია.

ნაყოფიერ და მრავალმხრივ შეცნიერულ კვლევით მუშაობასთან ერთად გრ. მარგიანი ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. ი. გოგებაშვილის სახ. თელავის პედინსტიტუტში და სულხან საბა ორბელიანის სახ. თბილისის პედინსტიტუტში, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში. მისი ზეღმძღვანელობით და-

იწერა და დაცული იქნა ათამდე საკანდიდატო დისერტაცია.

სადოქტორო დისერტაცია გრ. მარგიანმა დაიცვა 1969 წელს. 1973 წელს მას მიენიჭა პროფესორის წოდება, ხოლო 1983 წ. საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

გრ. მარგიანის სამეცნიერო მუშაობისა და საერთოდ მისი მოღვაწეობის მიმოხილვა ცხადყოფს, რომ იგი იყო ფართო მეცნიერული ინტერესების მქონე მკვლევარი, რომელმაც თვალსაჩინო წვლილი შეიტანა საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის შესწავლაში, შექმნა მნიშვნელოვანი ნაშრომები ამ დარგში, რითაც გაამდიდრა ქართული ისტორიოგრაფია.

ალ. ბენდიანიშვილი, ე. ხოზარია-ბროსე

გო 73/2



ინდექსი 76197
ქართული
ენების ინსტიტუტი